

# ქვემოთი

15  
36035797  
2003-01-01

114 / 2  
2003

2003

5/6

განმომის 1924 წლიდან

# ენათობი



ნაწილი 79-ე

№5-6

2003 წელი

საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო



დამფუძნებლები:

საქართველოს მწერალთა კავშირი  
და ჟურნალ „ენათობის“ რედაქცია

## შინაარსი

### *კოეზი, პროზა*

მარიკა ბარათაშვილი – ლექსები .....	3
ვახტანგ ახვლედიანი – ცაში წასული გილიკები .....	6
მიხეილ ანთაძე – ჩემი აფხაზეთი .....	71
ოთარ შალაგვარიძე – ლექსები .....	85
ირმა მებურიშვილი – ლექსები .....	90
ვანო შატაბერაშვილი – ორი მოთხრობა .....	92
კონსტანტინე გაჩეჩილაძე – ლექსები, მინიატურები. წინასიტყვაობა მარინე ქადაგიძისა .....	101
გობუმიძე გრაბაღი – სალუდეში შეთხზული მოთხრობები. მოთხრობა. თარგმნა ანდრო ბუაჩიძემ .....	107
აგნეს ფონ კრუსენშერნა – ძირაპდება კუთხე. მოთხრობა. თარგმნა მანანა შიქელაძემ .....	114

### *კრიტიკა, უპბლიცისტიკა*

თამაზ შილაძე – „მარტოვბა სულისა“ .....	122
--	-----

### *თვალსაზრისი*

SOS! .....	129
------------	-----

7

იბ. მე-2 გვ.



**შინაარსი**  
*(გავრცელება)*

**მეცნიერება**

კარლო ბლაგიძე – შედეგების ანალიზი .....	139
ლაიოშ ტარდი – გზა საქართველოს გავლით. უნგრულიდან თარგმნა ვანო იმერლიშვილმა .....	154
ვასტანგ ბოილაძე – პირველი ქართული საეკლესიო თხზულება .....	164

**ხელოვნება**

ქეთევან შენგელია – ღამის მხატვარი .....	173
ნინო ჩიხლაძე – ირანულ-ქართული კულტურული ურთიერთობები და XVII ს. ქართული სახვითი ხელოვნების ერთი ასაქმტი ..	177

**სარკმელი**

ალექსანი ლოსავი – წიგნიდან: "ულატონი და არისტოტელე". თარგმნა ნოდარ შანიძემ .....	185
---	-----

**ვიკლიოგრაფია**

ანდრო ბუაჩიძე – კონტრასტული შტრიხების კოეზია .....	201
--	-----

მთავარი რედაქტორი  
თამაზ ქილაძე

სარედაქციო საბჭო:  
მარიამ აგიაშვილი  
ანდრო ბუაჩიძე (მთ. რედაქტორის მოადგილე)  
აკაკი მინდიაშვილი  
მანანა მიქელაძე  
მზია შატბერაშვილი



მარია ბარათაშვილი

95 წელი შეუსრულდა ცნობილ ქართველ პოეტ მარია ბარათაშვილს. საქვეყნო და პირად-ცხოვრებისეულმა ტკივილებმა მოყვასის სიყვარული გაუმძაფრა პოეტს. მარია ბარათაშვილის ლექსები ტკივილგამოვლილი ადამიანის სიბრძნეს და ზნეობრივ სინათლეს ასხივებს. კიდევ დიდხანს ნუ მოკლებოდე პოეტს ეს უიშვიათესი მადლი.

ყვლისმხილველო!

მცირე ნაფლეთი ცის,  
გორაკის ნატეხი – მცირე,  
მაინც არ ვკარგავ საოცრების  
ხილვების იმედს...  
ცისკენ მიილტვის საცოდავი  
ჩემი საკანიც...  
ვიცოდე მაინც, ოცნებების  
ზღუდე სად არის!  
მაცნეს მტრედებმა, ჩემგან  
ცისკენ ნარგზავნილებმა,  
ქვეყნის მპყრობელის, მამა-ღმერთის  
დადგენილება,  
რომ ჩემს საშველად ანგელოზებს  
აღარ სცალიათ.

თავს უშველეო, იჩქარეო  
ნასვლა, მარიამ!  
ნასვლაო? მაგრამ საით ნასვლა,  
ეს რომ არ ვიცი?  
და მიპყრობს სევდა – ფიქრი მძიმე,  
გაუსაძლისი.  
ო, რომ შემეძლოს მათთან მისვლა,  
მისვლა შეილებთან,  
მე იმ შეხვედრის მოლოდინი  
დამამშვიდებდა...  
... და ცას შევძახი თვალნათელს  
და დაუსაბამოს:  
„ყოვლისმხილველო, მაპოვინე  
მათი სამყარო!!!“


29.03.2003 წ.

საგაზაფხულო

როცა აყვავდა ბალში ნუშები  
და იცინიან ლაღად ტყემლებიც,  
ნუ გაიკვირვებ თუ ვიღუშები,  
ნუ გაიკვირვებ თუ ვიცრემლები.  
იყო... საოცარ დღეთა ასხმულით –  
ასეთი ღელვით რომ მოველოდი,

შემოვიდოდა მინ გაზაფხული  
და სიყვარულით ვითანგებოდი.  
აბლაც გამოჩნდა, კვლავ თაიგულით  
მოდის, მოიბრძვის, კარს ურახუნებს,  
მე კი ქარებით გამოფიტული  
შემოვრჩენილვარ იმ გაზაფხულებს.

10.03.03 წ.



## ავღარში

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

მინას ასკდება ლეგიონები,  
რალაც სიშმაგით და გააგებით,  
დგახარ სარკმელთან და ელოდები,  
ეგებ, ეკვეთონ მომხდურთ ქარები.  
ეგებ, გამოკრთეს სადღაც ცისკარი  
ჯოჯობეთისგან ვერმოსყიდული,  
ღვითით ბოძებული, ნასათუთარი

ჩვენთვის აყვავდეს კვლავ  
ცისკიდური?  
ფარდას გადანეე სარკმელზე  
ფრთხილად  
და იმეორებ ლოცვას ჩურჩულით,  
რომ არ შეაკრთო უეცრად დილა,  
ეგებ აქ, სადღაც შემოხიზნული...

5.02.2003 წ.

უფალო იმ დღეს მომასწარ  
რომ სოჭიდან ჯავახეთამდე,  
ჩემს მამულეთში სამტროდ მოსვლას  
ვერვინ ბედავდეს.  
რომ არსად იყოს შური, მტრობა და  
გააგება,

ყველა ჩვენგანი გულს უხსნიდეს  
მაღალ სამებას,  
არ ქაქანებდეს ჩვენში მტერი  
ავი, მგესლავი,  
ამერ-იმერი ანათებდეს  
ქვეყნად მზესავით.

2.04.03

## ჩემს ბაღებს

*ირაკლი ქორიძეს*

ამ ჩემს საკანში,  
დარჩენილი საკუთარ თავთან,  
ვარ და ამ ძაფებს, ფიქრის ძაფებს  
ვართავ და ვართავ...  
ამ ნართის ბოლოს კვლავ მოვყავარ  
ისევე შენამდე  
ჩემს მოამაგე, ჩემზე მზრუნველ  
გადამრჩენელზე...  
არა, ღმერთმანი შე არავის არ  
ვემდურები,  
ყველას ეუყვარვარ, განა შეთქმის  
საცვედურები?  
რაც შეუძლიათ ყველა ზრუნავს და  
მეფერება,  
არავინ მაკლებს სიყვარულის  
ბედნიერებას.

მაგრამ შენ ისე უყოყმანოდ  
კაცურად შესძელ,  
რომ ჩემი ტვირთიც აგეტაცა  
საკუთარ მხრებზე.  
როცა საქვეყნო საზრუნავი  
გაქვს უნაპირო  
როგორ ახერხებ  
ემ გული მეც გამინანილო!  
და ვევედრები მამა-უფალს:  
ღმერთო ძლიერო,  
ჩემი ბადიში  
გთხოვ ახარო, აბედნიერო,  
რომ ფიქრნათელმა,  
ვატკაცური კეთილი გულით  
იმკას სამკალი:  
ერის ნდობა და სიყვარული.

6.04.03 წ.

როცა სიცოცხლემ მოხურა კარი,  
ისე ვიყავი ნაგვეში ქარით,  
რომ გულს, ღმერთმანი აღარ  
უნდოდა

შემობრუნება ამ სანუთროსთან.  
მაგრამ გამგებლის ნებით იქნება,  
მოხდა განელილის გადავიწყება  
და მე წარსულის ჭუჭრუტანიდან  
კვლავ დავინახე ლხინის მაგიდა,  
მაგიდის თავში ლალი თამადა  
ოდესლაც გულზე რომ ითავადა

და წამომიძღვა ისევ ცდუნებად  
ამ სანუთროში დასაბრუნებლად.  
... ღმერთო მაღალო, ეს შენი ნებით  
შემომეხვივნენ ჩემი შვილებიც,  
უფრო ძვირფასი რა მეგულება?  
მარტო ეს ღირდა დასაბრუნებლად;  
კიდევ აქა მყავს დედა მარიამ,  
ვისი დანახვაც გულს უხარია,  
და სიყვარულით მოუთენთავი -  
კვლავაც თან მახლავს გული -  
მფეთქავი...



მასტანო ახვლედიანი

## საუბი წასული ბილიკაბი

### თხმელის სალამური

ადრიაანი გაზაფხულია.

თავიდანვე მზიანი დღეები დაიჭი-  
რა და ერთბაშად გადნა თოვლი.

ნუხელ ყველაზე მაღალ გორებზეც  
გაქრა თეთრი ლაქები, რადგან მთელი  
ღამე ქროდა თბილი ბორიო.

მდელოებსა და ფერდობებზე ღი-  
ლილოები და ია-იები კეკლუცობაში  
ეჯიბრებიან ერთმანეთს. ჩარდაგი-  
ლებში და ღელისპირებში ენძელები  
ხასხასებენ. ხასხასებენ და ხასხასებენ  
თეთრ-მწვანედ...

თხმელებს წყლით გაეჟღინათათ  
ტანი და ახლა პირდაპირ ჩემს თვალ-  
ნინ იმოსებიან ღია მოლისფრად.

წვრილ ტოტს ვატყებ...

თავისებური მსუყე სუნი ასდის გა-  
დამსხვრეულ თხმელას. ჯერ გესია-  
მოვნება და ხარბადაც შეიყნოსავ, მა-  
გრამ მალე იცის მოყირჭება. კანს მი-  
აბრუნებ, მოაბრუნებ და მთლიანად  
მოსცილდება ტანს. ამოიშვლიკება  
თეთრად მოქათქათე მერქანი და კანის  
წვრილი მილიც მზადაა.

ერთ მხარეს აქეთ-იქიდან ირიბად  
ვათლი კუთხეებს და ჩასაბერს ვაკე-  
თებ. მერე ზემოდან მთელს სიგრძეზე  
სათითე ღრმულებს ვლრუტნი დანის  
წვერით და ესეც ჩემი ბავშვობის სა-  
ლამური!

რა კარგი იყო ის დრო! უუჰ, რა  
კარგი!

ალარავინ უკრავს ახლა ასეთ სა-  
ლამურზე. აბა, მიუგდეთ ყური, არსა-  
იდან ისმის მისი ხმა.

მაღაზიებში რომ სათამაშო სალა-  
მურები იყიდება, ნამდვილს არ ჩამო-  
უვარდება. პოდა, აღარ კადრულობენ  
ასეთს. ჩემს ბავშვობაში კი მათი ქიჭ-  
ყინისაგან გამოყრუებულები დაედიო-  
დით...

თხმელას ზურგით ვეყრდნობი,  
ენის წვერით ვისველებ ტუჩებს და  
ღრმულებს გულმოდგინედ ვადებ თი-  
თებს. ფრთხილად ვუბერავ.

ნაზი კანი თრთის ჩემს თითებში.  
პირველი ბგერები უგემურია და მოუქ-  
ნელი. სალამური კი თრთის, თრთის,  
თრთის... და ნელ-ნელა ლავდება მე-  
ლოდია.

ასე მგონია, საიდანღაც თავისით  
მოფრინდა-მეთქი ჩემი ბავშვობის მარ-  
ტივი, მაგრამ საოცრად ტკბილი სიმ-  
ღერა და ჩამოსკუბდა თხმელის სალა-  
მურზე.

მღერის, მღერის... სულ უფრო გაბე-  
დულად გალობს თხმელის სალამური  
ჩემი ბავშვობის შორეულ სიმღერას...

ლოყებზე ლაპალუპით მოგორავს.  
მოგორავს და მოგორავს მსხვილი  
ცრემლები.



რალაც მიხარია და მტკივა თანაც ძალიან...

ბა და რა, ვთქვათ, ბუნებრივი მთავარი რის სონატის\* ჰანგების მოსმენა...

### ლამაზი სოფელი ულამაზო სახელით

სოფელი, სადაც მე დავიბადე და გავიზარდე, ძალიან ლამაზია, მაგრამ სახელი აქვს ასეთი... მახინჯაური.

რატომ და რისთვის დაერქვა, დღესაც იმტვრევენ თავს ეთნოგრაფები, არქეოლოგები, ისტორიკოსები და ლინგვისტები, მაგრამ ვერ დაუდგენიათ. არადა ზღაპრული სოფელია. რომ მიუახლოვდებით, სამოთხეში შევდივარო, გეგონებათ.

ერთი მხრიდან ზღვა აკრავს - ხან ზურმუხტისფერი და მოალერსე, ხან კიდევ ისეთია, რომ შეხედავ, შიშისაგან ტანში გაგცრის. გადაუგრიანებს ქარიშხალი და აიფოფრება. მთებივით ნამოიძარბება ტალღები და გამოექანება ნაპირებისაკენ. ისე მოაშხუილებს ქაფიან ტალღებს, გეგონებათ, მთელი ქვეყნიერების ჩაყლაპვა სურსო. როცა ასეთ ხასიათზეა, სჯობს, ახლოს არ გაეკაროთ. არ დაგინდობთ. ერთი სული აქვს, რალაც დაამტკრიოს, დაანგრისო, შთანთქას თავის შავ სტომაქში. ამას რომ გააკეთებს, დამშვიდდება, დანყნარდება, ფეხებთან გაგერთხმება და ლაქუცს დაგინყებს. ისე გელაციცება, იფიქრებ, საკუთარი ნამოქმედარის გამო რცხვენია და ახლა პატიებას ითხოვსო.

სამი მხრიდან მთები აკრავს ჩემს სოფელს. ადრე ეს მთები უღრანი ტყეებით იყო დაფარული. რა ცხოველები და ფრინველები არ ბინადრობდნენ იქ...

ლამაზია ჩემი მახინჯაური. სოფელი - ლამაზი, სახელი - უშნო. ეს სხვებისთვისაა უშნო, თორემ ჩემთვის და ჩემი სოფლებებისათვის, როგორ გითხრათ... რა მახინჯაურის გაგონე-

### დაბადება

დედაჩემს რთული მშობიარობა ჰქონია ჩემზე.

არა და არ მინდოდა თურმე მოვლინება ქვეყნად.

სწორიც ვიყავი, დაბადებამდე ვხვდებოდი, რომ ადვილი ცხოვრება არ მელოდა.

დავიბადე. როგორც იქნა მოვევლინე სამყაროს.

ხმას არ ვიღებდი თურმე.

კარგა ხანს მიტყაპუნეს აქეთ-იქიდან, თავუკულმა დაკიდულს. მე კი ვდუმდი.

ასეც დამებედა. მცემენ, მე კი ხმას არ ვიღებ. უფრო ხშირად, ზურგში მზაკერულად. მე კი ვუძლებ.

ხომ გახსოვთ კეისრის, უფრო სულიერი, ვიდრე ფიზიკური, ტკივილით ამონაკენისი: „შენც, ბრუტუს?“

იმდენი მიტყაპუნეს ჩვილს, რომ ბოლოს ვიყვირე.

ისე მიყვირია, კინალამ დამინგრევია ყველაფერი.

ახლაც ასეთი ვარ. ვითმენ. ვითმენ... მაგრამ თუ გამოვედი მოთმინებიდან...



თვენახევრისა მამაჩემს ავუყვანივარ ხელში, ერთი შევეუტრიალ-შემოვუტრიალებივარ და უთქვამს:

- ა, ბატონო, რაც გამოვა, აგი გამოვაო.

მაგრამ მალე ექვი შეპარვია თავის ადრინდელ შეხედულებაში:

- ცოტა... ბლაცვის გამოხედვა აქვსო.

## ამბოგანე, დედას ვაჟვარ

მამაჩემი გამორჩეული კაცი იყო. დიდი ხნის განმავლობაში თავკაცობდა სოფელს, კოლმეურნეობის თავმჯდომარეობა ომის დამთავრების შემდეგ ჩააბარეს. მალე ჩვენი სოფელი საუკეთესო გახდა მთელს აჭარაში.

კომუნისტი იყო – თავგამოდებულნი. დაუსწრებლად სწავლობდა თბილისის უმაღლეს პარტიულ სკოლაში. ხუთებზე დაამთავრა.

მახსოვს, როგორ მეცაადინებოდა. გვიან ღამით მიუჯდებოდა კონსპექტებს და კითხულობდა.

– საბ-ჭოთა კავ-შირის, კო-მუ-ნისტური პარტია!.. – ამ სიტყვებს გაარძელებდა, სიმღერასავით იტყოდა.

კანტორის შენობა მან ააგო.

დედაჩემი ღვთისმოსავი ქალი იყო. არაუითარი განათლება არ მიუღია, მაგრამ, ჩემი ნება რომ ყოფილიყო, აკადემიკოსობას მივანიჭებდი. მაშინდელი ღირსებით, ცხადია.

დედა აბაშიძის ქალი ბრძანდებოდა. სოფელ კაპრეშუმშიდან.

მე რომ მკითხოთ, დედაშინაზე ორი უღამა ზენის სოფელია – ჩემი მშობლიური მახინჯაური და დედაჩემის – კაპრეშუმი.

ამბობენ, რომ დედას ვგვევარ.

ალბათ, გარეგნობით, თორემ ქკუით და შინაგანი ღირსებებით მასთან სად მივალ.

## „ნა-ნიი, რა ლამაზი ქალიიი!“

მშვენიერებისადმი განსაკუთრებული მიდრეკილება პატარაობიდან დამჩემდა.

სოფელში იყო ამბულატორია. ამბულატორიაში – ექიმები, ექთნები, სანიტრები.

ამბულატორია იყო ნინო ექიმი. არა

ვცდები. ნინო ექიმი იყო ამბულატორია.

თუ რაღაც მიზეზით ვერ გამოცხადდებოდა სამუშაოზე, ამბულატორიაში აღარავინ შედიოდა.

ქალბატონი ნინო კაკაბაძე ჩვენი სოფლის ყელიც იყო, ყურიც და ცხვირიც, შინაგანიც და გარეგანიც, მოტეხილობაც და ჩანყობა-ჩალაგებაც. მოკლედ – ქალი უნივერსალი.

ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს გვეწვია. მე მაშინ ისე პატარა ვყოფილვარ, არც კი მახსოვს.

იყო ადრე ასეთი წესი – ექიმები და რაიკომის მდივნები თავისი ფეხით დადიოდნენ მოსახლეობაში.

თეთრი ხალათი ეცვა ნინო ექიმს. რაც მახსოვს თეთრი ხალათი ეცვა და ძალიან უხდებოდა.

თუ ზოგიერთი პერანგით იზადება, ნინო ექიმი, ასე მოგვჩია, თეთრ ხალათში დაიბადა. კიდევ – ნუნუ პერტია.

იმიტომ რომ მათი ექიმებად გაჩენა ღვთის ნება იყო.

ჰოდა, იმას ვამბობდი, გვეწვია თურმე ნინო ექიმი. ცისფერთვალეა, თეთრი, მომღიმარი. ნინო ექიმის ღიმილი – ათას ელიზაბეთ ტეილორის ღიმილზე მომხიბლავი!

ისედაც დიდი და გადმოკუსული თვალები კიდევ უფრო გამიფართოვდა თურმე.

– ნე-ნიი! – კაბის კალთაზე მოვექაჩე დედაჩემს, – რა ღამაში ქალი-ი!

## „ჩვენ არა ვართ კაი ხალხი!..“

დღეს ჩაი და ციტრუსი არავის უნდა. გლეხი დაბნეულია. არ იცის, რა უყოს ათნლეულობით შვილივით ნალოლიავებ-ნაზარდ ხეხილსა და ბუჩქებს.

იყო დრო, როცა იგივე საბრალე



გლუხაკაცს არ შეეძლო თავისი ნაშრომის როგორც სურდა ისე გამოყენება. ჩაი რომ გაეხმო და შეენახა – თუნდაც რამდენიმე გრამი – მავნებლად გამოაცხადებდნენ და ციმბირი აქეთ დარჩებოდა. ციტრუსებზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. კაკალ-კაკალ უნდა ჩაგებარებინა სახელმწიფოსათვის. ჩემს მხსიერებაში ფოტოგრაფიულად ჩაიბეჭდა მსოფლიო ომის ბოლო და შემდგომი წლები – მალენკოვ-ხრუშჩოვამდე. სოფლებში სპეციალური კომისიები დადიოდა და ოჯახებს ამონებდა. ჩხრეკდნენ სარდაფებს, ბრაგი-ბრუგი გააქონდათ სხვენში. მოკლედ, პირის გასასველებლად, ავადმყოფისათვის მისანოდებლად არ გვიტოვებდნენ მანდარინს, ფორთოხალს, ლიმონს. განსაკუთრებული ნადირობა იყო ლიმონზე. მისი სამკურნალო თვისებების გამო. ლიმონიანი ჩაი ახლაც მიყვარს. ლიმონის ნაჭერს რომ ჩავაგდებ და მოვზერებ, ის დღეები დამიფგება თვალწინ.

ოთხი წლისა ვიყავი. მე და ჩემი უფროსი ძმა – თემური ეზოში ეთამაშობდით. უცებ, ეზოს რამდენიმე კაცი მოადგა. ჩვენმა ნაგაზმა კუდი აიპრიხა და გაავებით ეცა ქიშკარს.

– ჭო, დააბით ძაღლი. მტერი ჩავარდა მაგის ეშვებში.

– კაი ხალხს არ ერჩის ბიძია. – ბავშვური გულუბრყვილობით მივმართე, – ტყუილი არ მითქვამს. ჩვენი ნაგაზი შინაგანი ალლოთი ცნობდა კეთილსა და ბოროტს.

– ჩვენ არა ვართ კაი ხალხი, ამიტომ მოაშორე ეგ ძაღლი ქიშკარს, – თქვა ერთ-ერთმა მათგანმა.

– ისე იცის აყეფება, თორემ გული კეთილი აქვს, – გამოასწორა ჩემი ნათქვამი თემურმა. – მობრძანდით და თვითონ დარწმუნდებით.

გაიცინეს.

– შენი გვეჯერა მაგრამ ნაგაზს ნაირად ფიქრობს. შამაშენი სადაა?

– არ არის სახლში.

ერთმანეთს გადახედეს. რა ვქნათო, თვალებით შეეკითხეს.

– ციტრუსები ჩააბარეთ? – თემურს ეკითხებიან.

– ჩავაბარეთ. – პასუხობს იგი.

– სულ არ შეგინახავთ?

– არა, ბიძია...

– როგორ არა! – შეეუტიე უფროს ძმას. – დაგავინყდა?

„სტუმრები“ უცებ გამოცოცხლდნენ.

– თქვი, ბიჭუნი.

– ბაბამ პადვალში ხუთი იაშიკი ჩაიტანა, ბნელ კუთხეში დაანყო და ზემოდან ძველები გადააფარა.

გულიანად გაიცინეს. ერთმანეთს რალაცა გადაულაპარაკეს და წავიდნენ.

იმ წელს ჩვენ აღარ შევეუნუხებივართ.

## მე, დილა, მზე და მზოგლის ბიჭი

თენდება...

ომბალურის მთას გვირგვინივით ადგება ნარინჯისფერი სინათლე.

ამომავალი მზის სხივები ჩვენი ბლის კენწეროს დაეფინება ყველაზე პირველად.

მინდა დავასწრო.

– ეპე-პეიიი!.. – ვყვირი მე, უკვე ბლის კენწეროდან.

– ეპე-პე-პე-იიი!.. – მპასუხობს ნისლჩამდგარი ხევ-ხუვი.

მზე მთის უნაგირიდან იჭყიტება, ათასი თვალმარგალიტი იბნევა ფოთლებზე.

– დილა მშვიდობისა, ბიჭუნი! – მესალმება მზე და ლოყაზე მეფერება თავისი გრძელი თბილი თითებით.



– დილა მშვიდობისა, მზევე! – ეპა-სუხობ მე უნაგირზე დაგორებულ მო-ელვარე დისკოს, უთვალავ პატარა მზეს, მარგალიტებად მიმოპნეულს ფოთლებზე.

– ჰი-ჰიჰიი! – ქირქილებს ეზოში გამოტანტალებული, მუცელშიშველა მეზობლის ბიჭი, – ბალი ჯერ ყვავილი-დან არ გამოსულა, ეს ღორმუცელა კი... ჰი-ჰ-ჰიი! – და აქეთ-იქით ასხუ-რებს ჭავლს.

დედაჩემს თავისი ბავშვობის გახსენება უყვარდა:

– კაპრეშუმი ძალიან აღმართ-დაღმართიანი სოფელია. სახლები მოშორებით იდგა ერთმანეთისაგან, მაგრამ მეზობლობა ახლო გვექონდა. ასე მოგვდგამდა ათადან-ბაბადან.

ნავთის, ფქვილის, შაქრის, ასანთის ჩასესხება მეზობლობაში ჩეულებრივი საქმე იყო.

ერთხელ დედა მეუბნება.

– ბურკენაძეებში გადადი და მჭადის ფქვილი გამოართვი. უთხარ, ხვალ ჩამოეფქვათ და დაგიბრუნებთ-თქო.

მე კოთხო ავიღე და აღმართს შევე-დექი.

– ასიე ბიცოლა-ა! ა-სი-ე ბი-ცო!..

– შემოდი, გოგო!

შევედი. სუფრას უსხედან. ასეა, როცა მივალ, სადილობენ სულ. მე დედის დანაბარები ვუთხარი და კუთხე-ში ჩამოვჯექ.

როგორც იქნა მოათავეს ჭამა.

„ახლა ასიე ბიცოლა მეტყვის...“ – ის იყო გავიფიქრე, რომ...

– მოსულიყავ და ცოტა შენც გეჭა-მა, ნენი, – მეუბნება ბიცოლა.

## მე, არქიმედე ღვინოტონი ანუ რატომ ვარ ანტი

ხშირად მეუბნებიან, რომ ჩემი ძმე-ბი – სულიკო, თემური და ნუგზარი ფიზიკა-მათემატიკური ნიჭით არიან დაჯილდოებული, მე კი...

სცდებიან, მე მათზე ნიჭიერ ფიზი-კა-მათემატიკოსად დავიბადე.

პატარა ვიყავი, ჯერ სკოლაში არ დავდიოდი და, ცხადია, არქიმედეს შე-სახებ არაფერი ვიცოდი. ერთ დღეს მისი სიტხეში ჩაძირულ სხეულზე ამომ-გდები ძალა მეცნიერებიდან ამოსაგ-დებად გაენიერე – ავბობლდი ლოდზე და გადავეშვი ზღვაში.

მერე ერთხანს ველოდი ქვემოდან ამომგდებ ძალას და, ალბათ, სამუდა-მოდაც, ისევე ზემოდან რომ არ მოსუ-ლიყო იგი.

არქიმედე რომ გავანადგურე, ახლა ნიუტონი ავითვალუნე. მისი მსოფ-ლიო მიზიდულობის კანონის კანონი-ერებაში ეჭვი შემეპარა, მაგრამ მაგ უსაქმო არისტოკრატივით ვაშლის ზის ქვეშ კი არ ნამოვნოლიღვარ და მიც-დია, კინკრიბოზე როდის დამასვამდა კოპს მოზრდილი ნაყოფი, თვითონ ავ-ფოფხბდი ხეზე და თავით დავეშვი ძირს.

ოპერაცია ცნობილმა ქირურგმა ვალერიან მაქაცარიამ გამიკეთა.

ჩემი კადნიერება იწყინა კანონმა და თავზე სამუდამოდ დამაჩნია ნამგა-ლივით მოლუნული კვალი.

გონს რომ მოვედი, თავში ყველა-ფერი გადაყირავებული მქონდა.

## დედაჩემი მშობალთა კრებიდან გრუნდება

საბავშვო მოთხრობა „ქინაქინა“ რომ ნავიკითხე, რვა ნლისა ვიყავი. ვინ იცის, რამდენი გენიალური ნანარმო-

ები ნამიკითხავს და დამვიწყებია, „ქინაქინა“ კი დღესაც მახსოვს.

პატარა მონაფის სიბრაღულით ღამეები არ მეძინა.

იმ დღიდან საკითხავი წიგნებით „დავადადი“, რაც ნელ-ნელა ჩემს ნიშნებსაც დაეცყო.

ლენა მასწავლებელი ისეთი იყო, მტრისას! ბისკვიტი იცოდა-ა! გიგემნიათ? თქვენ, ალბათ, ბუტერბროდი გირჩევნიათ. თანაც ხიზილალთ. კარაქიც – სქლად, არა?

გქონიათ გემოვნება!

ბისკვიტს ჩვენ მუშტს ვუნოდებდით. კი არ ჩაგვარტყამდა, ჯერ რალაცნაირად დაატრიალებდა გამონეულ მოლუნულ თითზე, ბეჭედი რომ ეკეთა ზედ, თვლებიანი. მერე გვგონებოდათ, ნაიქცაო მუშტი – რრაქ! მოხოტრილ თავებზე. ვაი, რა მწარე იყო! ახლაც მტკივა, გახსენებაზე.

დედაჩემი დაბრუნდა მშობელთა კრებიდან... რა აჩქარებდათ, ცოტა ვერ გააგრძელეს? სახეზე ვატყობ, ვერ გადაეურჩები მიტყუებას. კარგი, ბატონო, სალამომდე ვიხეტილებ გარეთ, მაგრამ მერე ხომ მაინც უნდა დაგებრუნდე.

ჩამოხნელდა. სახლში შემფოთდნენ და ძებნა დამიწყეს. ხეზე ავცოცდი და ფოთლებში მოვკალათდი...

იმ სალამოს არ მომხვედრია. სამაგიეროდ, ლაპარაკი გქვონდა, ასე ვთქვათ, კატეგორიული!

დედა: ხომ ხედავ, შენი უფროსი ძმა უმაღლესში სწავლობს, მოსკოვში. თემური ხუთოსანია. ესეც მოენყობა უმაღლესში. შენ კი უსწავლელი დარჩები (მაშინ ის დრო იყო, კადრები რომ ნყვეტდნენ ყველაფერს. ახლაც ასეა? ვერ დაგეთანხმებით. მაშინ სპეციალისტები ცოტა იყო, მაგრამ ვინც იყო, მართლა აკეთებდა საქმეს. ახლა – ბევრია, საქმის გამკეთებელი... ე-ეჰ!)

მე: მერე რა, თუ უსწავლელია მხოვდები, პარიკმახერობა უნდა უნდა (ჩემს პატარაობაში საპარიკმახერო ჩვენი სოფლის კულტურის და ინფორმაციის ცენტრი იყო. შემდეგ მოდიოდა კლუბი, კინოთეატრი და სამკითხველოები. იმიტომ რომ საპარიკმახეროში მუშაობდნენ არტუმა და ილარიონი. მე მგონი, ნინო ექიმის შემდეგ, ისინი იყვნენ ყველაზე პოპულარულები ჩვენს სოფელში).

მამა: ჭო, არტუმაი უნდა გამოხვიდე? მე: პო.

თემური: პარიკმახერობასაც უმაღლესი უნდა, – სულ რალაც ორიოდე წლითაა ჩემზე უფროსი, მაგრამ ბავშვობაში კარგი ეშმაკი იყო. მერე სად დაკარგა ეს თვისება, არ ვიცი. ერთი მე ვიყავი, ყველაფრის რო მჯეროდა. ასეთ კაცს ჩვენთან... ბეჭს უნოდებენ.

სიტყვამ მოიტანა და, მახსოვს, საკმაოდ მონიფულმა (შესახედავადაც არა მოხედა, მგონი), ერთი გოგო გაეიცანი, მომეწონა, მეც... მივეწონე. „ნინადაო“, მითხრა თვალბმილულვით. გაუშვი. მერე უფრო მაგრად მომეკრა. ახლა. ალბათ, „ნადა“-მეთქი, გავიფიქრე. „ნინადაო“, კიდე უფრო მიბნედევით ამოიკვნესა. კვლავ გაუშვი ხელი.

მეორე დღეს ზედაც არ შემხედა.

თქვენ გგონიათ, ვისწავლე ჭკუა? საქმე საქმეზე რომ მიდგება, ისევე ისა ვარ.

● – წარმოგიდგენიათ? – პყეება ვილაც, – ჩრდილოეთის ყინულებში ქალი და კაცი უნახავთ. სამი თვის განმავლობაში მარტონი. ცოცხლები იყვნენ.

- როგორ? - დაინტერესდა ერთი.
- კაცი ქალის ძუძუს სწოვდა.
- ქალი? - იკითხა მეორემ.
- ის მეორე... მე ვიყავი.

### პარიკმახერობასაც უმაღლესი უნდა

მე: პარიკმახერობას უმაღლესი რად უნდა! - გულიანად გავიციინე და დედას გადავხედე ისეთი სახით, შეხე, ჩემზე უფროსია, თანაც ხუთოსანი, სისულელეებს კი რომავს-მეთქი.

სულიკო: უნდა. აბა, შენ რა გგონია, ნამდვილმა პარიკმახერმა წინასწარ უნდა იცოდეს, კლიენტს რამდენი ღერი თმა აქვს თავზე.

მე (თვალეები დაეაჭყიტე): მაგის ცოდნა ვის რაში სჭირდება?

სულიკო: შენ დაიწყებ ყანის თოხნას ისე, რომ წინასწარ არ იცოდე, რა და რამდენი გაქვს გასათოხნი?

მე: არა.

სულიკო: აი, ხომ ხედავ, ისიც მისი სათოხნია. ყველამ თავისი საქმე უნდა იცოდეს.

საგონებელში ჩავეარდი.

უცებ კარი გაიღო და ბიძაჩემი შემოვიდა. კეთილი კაცი იყო. ძალიან უყვარდი. ლანგრადან დიდი მსხალი ავიღე და მივანოდე.

- გმადლობ. ხედავთ, რა ყურადღებოანია? - თავზე მომეფერა.

- ბიძია, გიყვარვარ?

- მიყვარხარ კი არა, ვგიჟდები! - ლოყაზე მიჩქმიტა. თუ ნასვამი იყო, ჩქმეტა იცოდა.

- მაშინ მითხარი... ოღონდ სიმართლე...

- როდის მომიტყუებხარ?! - ხმაში წყენა ვიგრძენი.

- პარიკმახერობას მართლა უნდა უმაღლესი?

ბიძაჩემი შეჩერდა და მკვრივად გმამაკურად მოწკურა. **ჩაქლომს!**

- უნდა.

- კაცო, არტუშას და ილარიონას უმაღლესები აქვთ დამთავრებული?! - სადაცაა ავტირდები.

- აქვთ. თანაც წითელ დიპლომებზე. ილარიონს - ერთი, არტუშას - ორი.

- ორი რალად უნდოდა?

- რომ ზუსტად ცოდნოდა, ვის რამდენი ღერი თმა აქვს თავზე, - ჩაურთო მაშამ.

- სწორედ, - დაუდასტურა ბიძაჩემმა, - ახლა შენ თვითონ მითხარი, ვის უფრო აქებენ, არტუშას თუ ილარიონს?

- არტუშას.

- აი, ხომ ხედავ.

მერე სხვა საქმეებზე ისაუბრეს. მე სულ დაეაინყდი.

უცებ...

- პარიკმახერობას, კაცო, პარიკმახერობას, დაეიჯერო მართლა უნდა უმაღლესი? - ჩემთვის წარმოვთქვი.

რამდენიმე წამით სიჩუმე ჩამოვარდა. მერე ერთბაშად ატყდა ხარხარი.

მე ცრემლები მახრჩობდა.

არ იცინოდა დედა.

- ჩემი საბრალო კეთილი ბიჭი, - თქვა და გულში ჩამიკრა.

### პანკი

ზღვიდან ორასიოდე მეტრის დაშორებით, შემალღებულ ბექობზე დგას პატარა სახლი, იქ ცხოვრობდა მემედ ფერაძე.

მემედი მძლოლი იყო.

ორმოცდაათიანი წლების ამბავს გიყვებით ახლა.

იმ დროს სოფელს სულ რამდენიმე მანქანა ჰქონდა. ბავშვების თვალში



მანქანის მძღოლი ფოკა დირექტორზე ნაკლები არ გვეგონა.

მამაჩემი მახინჯაურის კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო.

ერთ დღეს ძია მემედი მუზუნება:

- მამაშენი ყოროლისთავში მგ ზავნის. კაბინაში ადგილი თავისუფალი მაქვს...

- რა კარგია! - სიხარულით შევხტი. - სთხოვე მამას, გამომიშვას.

როგორც მახსოვს, სასუქებით სავსე ტომრები დაანყვეს ძია მემედის საბარგო მანქანაზე და გზას გაუუდექით.

- რა ბედნიერი კაცი ხარ, ძია მემედ, - უუთხარი.

- რატომ?

- სულ კატაობ და კატაობ მანქანით.

- ჰოო... - ცოტა იყუჩა. - ეს შრომაა, შვილო.

„აღბათ ძნელია მანქანის მართვა, - ვფიქრობდი, - ეეჰ, მე სადა მაქვს მაგის ნიჭი“ - გადავიწურე იმედი.

ბევრი ვიარეთ თუ ცოტა, ყოროლისთავში აუვდით.

სასუქიანი ტომრები ჩამოტვირთეს. ერთმა კაცმა განზე გაიყვანა ძია მემედი და რალაცა ჩაუჩურჩულა.

კი, ბატონოო, უპასუხა მანაც. ოღონდ ეს ბიჭი არ დამიტოვოთ უყურადღებოდ, ჩემო ჯელილ.

მე ჯელილის ოჯახში დავრჩი.

სადილის შემდეგ ბიჭებთან ერთად მორევზე წავედით.

ყოროლისწყალი ცივი მეჩვენა. ჭყუმბალაობით რომ ვიჯერეთ გული, კალმახისა და ლორჯოს ჭერა დავიწყეთ. იქვე დავანთეთ ცეცხლი. ვილაცამ კიტრი, პომიდორი და პური მოიტანა.

ეს იყო ჩემი პირველი ქეიფი მდინარის პირას.

- რა ბედნიერები ხართ, რომ ამხელა მდინარე გაქვთ სოფელში! - შურით წარმოვთქვი.

- თქვენ უფრო ბედნიერები ხართ, ი-იმხელა ზღვა გაქვთ. - შიშასუნეს.

ძია მემედი რომ მოვიდა, მე იქაურ ბიჭებთან უკვე სამუდამოდ დაძმობილებულები ვიყავი.

სირბილით გამოგვაცილეს.

ჩამოლამდა. ძაღლები აღავლავდნენ.

- ჩვენ მეგობრები ვართ? - მეკითხება ძია მემედი.

- ვართ.

- მამაშენს ნუ ეტყვი, რომ მე ჯელილს შეშა მიუტანე.

- რატომ ნუ ვეტყვი, შენ ხომ კეთილი საქმე გააკეთე, ძია მემედ.

- აბა, რა ვქენი. მაგრამ... მაინც ნუ ეტყვი. ხომ იცი მამაშენის ფინთი ხასიათი, ჩვენ აქ რამდენი საქმე გაქვს კოლმეურნეობაში, შენ კი იქ ვილაცვებს ეხმარებოდიო.

- თუ მასეა, არ ვეტყვი.

- სიტყვა სიტყვაა?

- ხომ იცი ჩემი ხასიათი.

უცებ მანქანა გააჩერა. სმენად იქცა.

- გესმის?

- რა?

ძაღლების ღავლავის გარდა არაფერი ისმოდა. მთელი ახლო-მახლო სოფლების ნაგაზები მანქანის ხმაურს გაელიზიანებინა.

- პანკი! ჩემი პანკი! ეს მისი ხმაა, ბიჭო! - კაბინის კარი გააღო, საფეხურზე დადგა და მთელი ძალით გასძახა სიბნელეს: - პაა-ნკი-იი!..

ერთი წლის ლეკვი ენახა ქუჩაში და აეყვანა. ბავშვივით უვლიდა ძია მემედი. დიდი და ფახულა თვალები ჰქონდა ლეკვს. გრძელნაწმამებიანი. კი არ ახამხამებდა, აპანკუნებდა. ძია მემედმა პანკი დაარქვა.

იმ რამდენიმე დღის წინ გაქრა პანკი.

ყეფა-ღავლავში, მომეჩვენა, რომ ერთმა იკივლა.

– გაიგონე? – მერე ისევ გასძახა სივრცეს, – პანკიი.. აქა ვარ, პანკიიი!.. მანქანის ხმა იცნო, ბიჭო!

ისევ შეჰკივლა ძალღმა. სიხარულიც იყო ამ ხმაში და სასონარკვეთილებაც.

– პანკიი! – ახლა ორივე ვიძახდით.

შეჰყმუველა. ეს გააგებულის ყმუილი იყო უფრო. აღბათ თოკს თუ ებრძოდა პანკი.

ამაოდ ვიძახდით. პანკი აღარ პასუხობდა.

უცებ რალაცამ გაიშლივინა და ძია მემედს დაეტაკა. ორივენი ბალახებში გაგორდნენ.

– ჩემი პანკი, ჩემი ბიჭი... – ამბობდა დროდადრო ძია მემედი. ძალღი ნკმუტუნით პასუხობდა. ჩანდა, ორივენი ტიროდნენ.

მეც ეტიროდი.

## დიდი ნახე

ოჯახში საახალწლო სამზადისი გვექონდა.

ძალიან მიყვარდა დედის გვერდით ფუსფუსი. ლილინით იცოდა საქმიანობა.

მეც აყვებოდი უნებურად... ჩემი ჭიკჭიკი მაშინ უნდა გესმინათ ერთი, ბაქლაეას თუ ამზადებდა დედა. პეი, ბიჭოო! სული მიმდიოდა მაგ სასუსნავზე.

– ნიგოზი შემომაკლდა, – მითხრა მან. – დიდ ნენესთან წადი და უთხარი, ათი-თხუთმეტი ცალი გამოგატანოს.

დიდი ნენე მეზობლად ცხოვრობდა. მთელი ჩვენის სოფლის დიდი და პატარა უნოდებდა ასე. მგონი, არ არის სოფელი ჩვენში, ერთი თავისი დიდი ნენე რომ არ ჰყავდეს.

– ახლავე, – ვუპასუხე დედას და მოკლე ბილიკით დავემუი... დიდი ნენეს ეზოში ბავშვები დროშობანას თა-

მაშობდნენ. იყო მამის ასეთი თამაში, ძალიან მიყვარდა. სიონილი ეტიოდი – ქარი ვერ დამენეოდა. ხელებს რომ გაეშლიდი, დედა იტყოდა, აფრინდება პა და პაო.

ძალიან მოკაეული ქალი იყო დიდი ნენე. რაც თავი მახსოვს, ასეთი იყო. ერთხელ დედამ მითხრა, არც მე მახსოვს სხევანიროო. უყვარდა დიდი ნენე. მეგობრებიც იყვნენ. მეც დედას დავემსგავსე სულ, ძალიან მიყვარს მოხუცები, ძალიან.

– დედამ, ათი-თხუთმეტი ცალი ნიგოზი გვასესხეო. – ვუთხარ აგუზგუზებულ ბუხართან მოქოთქოთე მოხუცს.

– ნიგოზი მქონდეს, მე შევეჭამ, – მომიჭრა მან.

ეზოში გამოვედი. ბავშვებს ერთი ხელი მოეთავებინათ თამაში და ახლა არჩევან-არადანს ითვლიდნენ ისევ.

– ითამაშებ? – მკითხეს.

სულმა წამძლია.

– ვითამაშებ... მაგრამ, დედამ რალაც დამაბარა და... გავალ, ვეტყვი და დაებრუნდები ისევ, კარგი?

– აქედან დაუძახე.

მე ხელეები მივიტანე პირთან, რათა ერთი მიმართულემა მიმეცა ხმისათვის და, რაც ძალი და ღონე მქონდა, ვიყვირე:

– დევედააა!.. დიდმა ნენემ, ნიგოზი მქონდეს, მე შევეჭამდიოოო!...

– იმეჰ! – მომესმა სამზარეულოს ღია ფანჯრიდან დიდი ნენეს შეცხადება.

## მკვახელ ნასროლი სიტყვა

პატარაობიდან მიყვარს მოხუცები. ვიცი, შემეკამათებით ახლა: ეგ რა საოქმელია განა ჩვენ კი არ გვიყვარსო? ჩვენს ბებიებსა და ბაბუებსზე უკეთესი ქვეყნად არავინ გვეგულეებო.

მეტყვიით და სწორიც იქნებით. დე-  
და და მამა ხომ საყვარელია და საყვა-  
რელი, ბებია-ბაბუას საყვარული კიდევ  
სხვაა. ეს ისეთი გრყნობაა, ახსნას რომ  
ვერ შეძლებ... ხომ მართალს ვამბობ?  
მე კი, იცით... ყველა მოხუცი მიყ-  
ვარდა – ნათესავ-მეზობელი, ნაცნო-  
ბი, უცნობი...

ახლაც მიყვარს.

იქნებ იმიტომ, რომ მამაჩემის  
მხრიდან ბებიასა და ბაბუას არ მოეს-  
წრებივარ, დედაჩემის მშობლები კი  
შორს ცხოვრობდნენ...

ეჰ, არ ვიცი არა!

ერთხელ, ვხედავ, მოდის ბერიკაცი  
ჩვენი სოფლის გზაზე. შო, ჩემი ბავშ-  
ვობის ამბავს გიყვებით ახლა. მოდის  
თერთვერდაფენილი, მხრებში მოხ-  
რილი, ჯოხს ებჯინება და მოაბიჯებს.  
ძალიან უხდება ქათქათა თმა-წვერი.

„რა ლამაზია!.. როცა დავბურდები,  
მეც ასე დავიყენებ თმა-წვერს!“ –  
ეფიქრობ.

ჩვენი სოფელი არ იყო. ჩვენი სოფ-  
ლის ბერიკაცებს ყველას ვიცნობდი.

მოდიოდა და თან აქეთ-იქით იხე-  
დებოდა. მივხვდი დალლილი იყო და  
ადგილს ეძებდა ჩამოსასვენებლად.

გზის კიდზე, ჩეროში, კორძი შე-  
ნიშნა, შედგა, ყოყმანობდა. მაინც ჩა-  
მოჯდომა არჩია.

კორძთან მივიდა, იქით შეტრიალ-  
და, აქეთ შემოტრიალდა. მუხლებში  
მოიხრებოდა, ისევ გასწორდებოდა...  
კორძი დაბალი იყო და დაჯდომას ვერ  
ახერხებდა მოხუცი.

მივირბინე.

– მოგეხმარები ბაბუ.

– შენ ისე პატარა ხარ და გამხდა-  
რი... ვერ მზიდავ.

– გზიდავ.

მხარზე გადამხვია ხელი, ნელ-ნე-  
ლა ჩაჯდა, ხენეშით.

მე მის წინ გავჩერდი.

– რა გქვია? – მკითხა.  
უპასუხე.

– კაი სახელია. შენც კარგი ბიჭი  
ჩანხარ.

– ძალიან დაიღალეთ, ბაბუ?

– ძალიან.

მეც დიდვით ამოვიხენეშე:

– დავიღალე-ეჰჰ!.. – და გვერდით  
ჩამოფუჯექი. გაიცინა და თავზე ხელი  
გადამისვა. კორძები ვიგრძენი. თმა  
გადახოტრილი მქონდა და ასე მეგო-  
ნა, მოხუცის ხელი კი არ სრიალებს,  
დახტის ჩემს თავზე-მეთქი.

– წყალი გენდომება, ბაბუ.

– საიდან მიხვდი?

– აკი, დალლილი ვარო!

– აბა, შენ ვაზრდას...

სახლში მივირბინე, თუნგი წყლით  
გავავსე და ისევ მოხუცთან მივბრუნ-  
დი.

– უჰჰ, რა გემრიელია დალოცვი-  
ლი!.. – თქვა მოხუცმა. – რა მქვიაო?  
შო, გამახსენდა... შენ კი გაიხარე, შეი-  
ლო. აი შენს ქორწილში...

– გოდრით მომიტან წყალს? – ჩა-  
ვურთე.

სიცილი წასკდა.

– საიდან მიხვდი?

– ყველა მაგას მპირდება, ბაბუ, –  
უპასუხე და მეც აეკსიკისდი.

– კაი ეშმაკი ბიჭი ჩანხარ, შენ კი გა-  
ეზარდე დედას.

ასე იყო. ყოველ კეთილ კაცს ადვი-  
ლად გაუფიქრებოდა ხოლმე. ძვე-  
ლი ნაცნობებით გავაბამდით მუსა-  
იფს. მერე ისინიც მომიტხრობდნენ ამ  
მთისას, იმ ბარცას.

ერთხელ ბრაზიანი მოხუცი შემხვ-  
და.

– რომ დამყუდებიხარ თავზე!.. –

შო, სწორედ ასე მითხრა, თუმცა მის-  
გან ხუთი-ექვსი ნაბიჯის მოშორებით  
ვიდექი, – ნადი და წყალი მომიტანე,  
არაფერი მოგივა!

ბრაზით უბრიალებდა თვალები და, ამიტომ თვითონ ვერ შევებდე, წყალს ხომ არ ისურვებდით-მეთქი. უფრო სწორედ, ვყოყმანობდი, მეთქვა თუ არა.

„დამყუდებიხარო“ – მატკინა გული.

თავჩალუნული ნავედი.

– გადადგი ფეხი. მასე ხომ საღამომდე ვერ მობრუნდები!.. – დამადევნა.

მივუტანე წყალი. დალია. ოდნავ მოუღება სახე.

– ეუპ!.. კარგია!.. შენს ქორნილში გოდრით...

– ვერ მომიტანი! – გავანწყვეტინე.

ეშმაკურად მოჭუტა თვალები:

– რატომ?.. აბა, თუ მეტყვი, რატომ?

ეგონა, გოდორში წყალი არ გაჩერდება-მეთქი, ვეტყოდი.

– ვერ მოესწრები და იმიტომ, – მიივუგე მკვახედ.

შეცბა, თვალებში მიყურებდა და უფერულად ილიმებოდა.

დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ... ზოგჯერ ნამომესახება იმ მოხუცის ტკივილიანი მზერა და მოსვენება მეკარგება.

### სულიკო ჯიჯავასის დამსახურება

ასეც ხდება, ცუდს გაგიკეთებს ვინმე, გავადრო და სიკეთით შემოგობრუნდება იგი.

ზედა მახინჯაურის დანყებითი სკოლის მესამე კლასში ვსწავლობდი. ჯგუფში ჩვენზე გაცილებით დიდი ბიჭიც გვყავდა – სულიკო ჯიჯავაძე. ჯიბეები თუთუნით პქონდა გამოტენილი. სკოლიდან რომ მოვბრუნდებო-

დით, ქალაქში გაგვრჩევდნენ უკმა-მოგვირიგებდა. **სიზღიროთქა**

ბიჭი იყავ და უარი გეთქვა!

ერთხელ, მივდივართ და მივაბოლებთ, ფეხებქვეშ ახალი თოვლი ქრატუნობს. ვეჭაჩები თუთუნს და თავბრუ მეხვევა, გულის ცემას ძლივს ვაჩერებ, რომ იტყვიან კბილებით ვუძლებ. მე ხომ კაცი ვარ.

უცებ ბიძაჩემი გამოჩნდა. ჩვენსკენ მოდის. მე მაშინვე გვერდით მოვისროლე ანთებული ხვეულა. ნამწვავმა თოვლში გაიბიძინა და ყვითელი რკალი შემოხაზა ირგვლივ.

ბიძაჩემმა გაიღიმა, მეც თამამად ნავედი მისკენ.

მოულოდნელად ყურში მწვდა და გადამიგრინა.

მეორე დღეს სულიკომ, ჩვეულებრივ, გამომიწოდა თუთუნის ხვეულა. მე თავი გავაქნიე.

– ხომ დაინახე, რა დღეც მაყარეს! – მიეუგე.

თამბაქოსადმი სიძულვილი მთელი სიცოცხლის მანძილზე გამყვა, ეს კი სულიკო ჯიჯავაძის დამსახურებაა.

### აღმასკომის მნიშვნელობა ანუ „მეყვარებულ-მამა მითხრა პარიზა...“

დიდი ხანია ქალაქში ვცხოვრობ, სიზმრებსა და ფიქრებში კი დღესაც იქა ვარ – ჩემს ზედა მახინჯაურში. დავრბივართ ფეხშიშველა, ხის ხმლებით ვფარაკაობთ – მაშინ ძალზე პოპულარული ფილმის „გიორგი სააკაძის“ მთავარ გმირს ვბაძავთ. ხან კიდევ ფეხბურთს ვთამაშობთ ტინქის ბურთით.

ადრიან დილით კი ძროხებს მივდენი საძოვარზე, თან მთელი ხმით გავყვირი:



**მე დღე და ღამე-ვე  
არა მაქვს ძილი-იი,  
მითხარ, ღამაზო-ოო,  
ვისი ხარ შეილი-იი...**

სადღაც ყური მოვკარ ერთ მეტად უცნაურ სიმღერას და მაშინვე ავიტაცე იგი, რა კარგი ვქენი, რომ არ დავივიწყე:

**შეყვარებულმა მითხრა ვარია,  
უნდა მოვიკლა ჩემი თავია.**

კი, ტრაგიკული ამბავია, მაგრამ ყველაზე საინტერესო შემდეგ მოდის:

**შეყვარებული, შეხარებული,  
აღმასკომში ვარ დაბარებული.**

ვინ იცის, რამდენი სიმღერა დამისწავლია და დამეჩინებია, ეს კი კარგად დაეიმასხოვრე. მისი შინაარსი, ალბათ, არც მქონია გაცნობიერებული, მაგრამ სხვებისგან რომ განსხვავდებოდა, ვხვდებოდი ნაღდად.

ამ სიმღერის გმირი შედის აღმასკომში და იქედან სრულიად შეცვლილი განწყობილებით გამოდის:

**შეყვარებული ვის არ ჰყოლია,  
მაგრამ საფლავში არ ჩაჰყოლია.**

ეს იქ, აღმასკომში უთხრეს შეყვარებულ ახალგაზრდა კაცს. უთხრეს და დაუჯდა ქკუაში. კარგად რომ დამეშვევეს, მიხვდა, რომ სიყვარული ბორკილებია:

**შეყვარებულმა მითხრა ვარია,  
გან-ვთა-ვი-სუფლ-დიიი, რა მი-  
ხარია-იააა...**

აი, ასეთი იყო მაშინ აღმასკომის როლი და მნიშვნელობა, ბატონებო!

### **ღერის ტყუილის დაეჯერება**

სპორტი ბავშვობიდან მიყვარდა.

განსაკუთრებით – ფეხბურთი. ზაფხულის რაიონის გუნდში ვცაბითიანი საქართველოს პირველობაზე გამოდიოდა.

მეთუ კლასის მოსწავლე ვიყავი, როცა ამ გუნდის კარებს ვიცავედი.

ამ რამოდენიმე წლის წინ თავის დროზე ნიჭიერმა ფეხბურთელმა, დღეს ცნობილმა მწვრთნელმა, ბატონმა ლერი ვერულიძემ ერთ-ერთ შეხვედრაზე გაიხსენა:

– ვახტანგი კარებში დაფრინავდა! ჩემთვის ეს დიდი შეფასება იყო.

### **აბუშა**

გუნდის მწვრთნელი იყო აბუშა, ნარმოშობით ბერძენი. ფეხბურთის ფანატიკოსი, ჩვენი გული და სული. თავზე მეტად გვიყვარდა, იმიტომ რომ მომთხოვნიც იყო და კეთილიც.

კარგი გუნდი გვყავდა, მაგრამ ზოგჯერ ვაგებდით კიდევაც.

რაიონის ფიზკულტურის კომიტეტი იხილავს ჩვენი ერთ-ერთი მარცხის მიზეზებს. აბუშა თავგამოდებით იცავს გუნდს და საკუთარ თავს.

– ბიჭო, – ეუბნებიან, – ჩვენს კარში რომ სამი ბურთი ხიეს, – მონინაღმდეგისაში კი ერთი ძლივს შელოღდა, ვისი ბრალია ეს?


– ბურთის! – პასუხობს აბუშა.

### **დედას ტყუილი არასოდეს უთქვამს**

მამა მკაცრი იყო, დედა – სათნოება.

მამა თბილ სიტყვას იშვიათად იტყოდა. თითქმის არც კი მახსოვს. დედას კალთა და ხორკლიანი ხელები ჩემი სიზარულისა და ნაღველის ნაცსაყუდარი იყო.

სადმე, ქორწილში ან სხვა ხალხმ-







რავლობაზე რომ გამოჩნდებოდა, სიამაყით შევსებოდა გული: „დედა ყველაზე ლამაზია და ქკვიანი“.

და მაინც ვერ ვიტყვი, უყვარდა ოდესმე მამას დედა?

მამაჩემის გარდაცვალებიდან ორი თვე იქნებოდა გასული, დედამ თქვა:

– შეილებო, ამ დღეებში მეც წავალ, მამათქვენი მეძახის.

დედას ტყუილი არასოდეს უთქვამს.

### „კაკაზ აოღო მხოიუ...“

აჭარის განათლების ისტორიის ერთი ლამაზი ფურცელია ფოკა ცქვიტინიძის ცხოვრება და მოღვაწეობა. იგი მახინჯაურის საშუალო სკოლის დირექტორი იყო. ქართული და რუსული სკოლები ერთ შენობაში იყო მაშინ – რკინიგზის სადგურის პირისპირ, ახლა რომ რუსული სკოლაა განთავსებული.

ფოკა მასწავლებელი, ანუ ფოკა პავლოვიჩი, როგორც მაშინ ეძახდა დიდიცა და პატარაც, ფრიად განსწავლული კაცი იყო. კარგად იცნობდა ქართულ და რუსულ მწერლობას.

იგი მარტო დირექტორი და პედაგოგი კი არა, მთელი სოფლის მოძღვარი გახლდათ, ყველა საქმის გამრჩევი და მომრიგებელი. გაჭირვებაში თანამდგომი, სიმართლის უკომპრომისო ქომაგი.

ხმას არასოდეს აუწევდა, რაღაც შინაგანი ძალით ატყვევებდა და იმორჩილებდა ყველას.

კლასში დიდი ბიჭებიც გვყავდა, მეორეწლიანები. სწავლაზე მწყრალად იყვნენ, მოესურვებოდათ – მოვიდოდნენ, მოესურვებოდათ – წავიდოდნენ. მუსტიკრივი იყო მაშინ მოდაში, სამართლიანი ბრძოლა, მკლავის მოსინჯვა. დანის, ქვის და თუნდაც ჯოხის

ხმარება არავის მოსწონდა უზრაოდ. და თუ ვინმეს მაინც მოსწონდა ხელი, გუნდიდან გააძევებდნენ. მხარმკლავიანი ბიჭების პაექრობა იყო ეს. განსაკუთრებით მახინჯაური, ბენზე და ბარცხანა ეცილებოდა პირველობას, თორემ ასეთი გუნდები ჰყავდა ორთაბათუმს და ჩაქვს. ბათუმსაც, ცხადია. მაგრამ ბათუმს საკუთარი პრობლემებიც ჰქონდა. იქ ქურებსა და უბნებს შორის იყო პირველობა. ხშირად მილიციაში უწევდა მისვლა ბატონ ფოკას, როგორც თვითონ უწოდებდა – „ყოჩების“ გამოსახსნელად. მისი რიდი ჰქონდათ სამართალდამცავებს და ხელწერილით ათავისუფლებდნენ ჩხუბისთავეებს.

როცა ქართული სკოლის რუსულის მასწავლებელი გათხოვდებოდა ან დეკრეტულ შევებულებაში წავიდოდა, ფოკა პავლოვიჩი იყო მისი შემცვლელი.

ერთ მშვენიერ დღეს პუშკინის „Кавказ“-ს გაედივართ.

– აბა, – მიმართავს იგი ერთ-ერთ „ყოჩს“, რამდენიმე დღის წინ რომ გამოიხსნა „კაკაზედან“, – მომიყვილექი, ამით მაინც დამდე პატივი.

„ყოჩი“ ზღაზვნით დგება. ხვდებით, გარკვეული მოსაზრებით არ ვასახელებ მის გვარს.

– პუშკინ, – ამბობს რიხით, – „კაკაზ“!

– ო, კარგია, – ამხნეებს ფოკა მასწავლებელი, – ახლა –ლექსი.

– პო, როგორც ვთქვი, პუშკინ. „კაკაზ“!

– დალმე?

– პუშკინ. „კაკაზ“!

აქა-იქ ფზუკუნი ისმის. ფოკა პავლოვიჩს რკინის ნერვები აქვს.

– გავიგე. ახლა – ტექსტი.

თავს ოდნავ აბრუნებს ჩემსკენ.

ზურგსუკან მუშტს მიღერებს. მიკარნახო მავალებს.

– „Кавказ подо мною

Один в вышине“... – ჩურჩულით ვამბობ.

– პუშკინ. „კავკაზ“. კავკაზ პოდო მნოიუ, ოდინ ვ ვიშინე... – იმეორებს.

– კარგია, დალშე?

– „Стою над снегами у края стремнины“... – ვკარნახობ.

რთული გამოდგა.

– პუშკინ. „კავკაზ“. კავკაზ პოდო მნოიუ, ოდინ ვ ვიშინე... – ზურგსუკან კვლავ მიღერებს მუშტს.

მე მომბეზრდა. არც ის ბიჭი ვარ, ვინმეს მეშინოდეს.

– ბევრი ვისნაველ და ვერ შევისმინე. – ვკარნახობ.

– ბევრი ვისნაველ და ვერ შევისმინე. – შექანიკურად იმეორებს.

– რაო? – ფოკა მასნაველებელი სათვალის ზემოდან იცქირება, – როგორ თქვი?

– კავკაზ პოდო მნოიუ, ოდინ ვ ვიშინე, ბევრი ვისნაველ და ვერ შევისმინე... –

– მაშინ – ორიანიი.

– ეგ შე არ გამომითქვამს, მასნ.

– აბა?

ჩემზე ანიშნებს.

– მაგასაც ორია-ნიიიი. – უცებ ჩერდება. – თუმცა მაგას რატომ? ასე კარგად ისევე პუშკინი თუ იტყოდა. „კავკაზ პოდო მნოიუ, ოდინ ვ ვიშინე“, ბევრი ვისნაველ და ვერ შევისმინე... – ბრწყინვალეა. ლექსებს წერ? – მეკითხება.

– ხანდახან. უფრო ხშირად მოთხრობებს.

– ახლა მაგ ონავრობისთვის რომ დაგტუქსო, მომავალში, ვინ იცის, რამხელა მწერალი დადგები. მოგონებებში ცუდად მომიხსენიებ – ლექსისათვის დამსაჯაო.

უკრაინელი მარუსიას შემდეგ ჩვენი სოფლის მოძღვარმა... ღრუბლები ტინიძემ მინინასწარმეტყველა მწერლობა.

## რატომ არ მიყვარს იურისტები

იურისტები არ მიყვარს.

ამის მთქმელი კაცი ან თავზე ხელალებული უნდა იყოს, ან გიჟიო, იტყვი.

უმიზეზოდ არაფერი ხდება ქვეყანაზე.

იურისტებისადმი ჩემი დამოკიდებულება პირველ სიყვარულთანაა დაკავშირებული.

ეს გრძნობა კი მერვე კლასში მენვიო.

იმ წელს ახალი მასწავლებელი მოვიდა. პირდაპირ ინსტიტუტიდან შემოაბიჯა ჩვენს კლასში... ლამაზი იყოო!.. გიშრისფერი თმა და იისფერი თვალები ჰქონდა. ტურები – მრგვალი და ბავშვურად გაბუსხული.

ვენერა ერქვა. გვარს არ გეტყვი.

ასეთი კარგი გოგო უინტერესო საგანს – ფიზიკას გვასწავლიდა. არადა ლიტერატურა უფრო შეეფერებოდა. ან ხატვა. გეოგრაფიაც შეიძლებოდა.

მის გაკვეთილებზე ჩვენი კლასის ბიჭების სრული დასწრება იყო. პირდაბანილები, თმადავარცხნილები, ფიზიკაზე უზომოდ შეყვარებული სახეებით ვისხედით.

მე და შალვა ხოფერია გვერდიგვერდ ვიჯექით.

ნიჭიერი იყო, მაგრამ, სკოლის პირობაზე, კაი ონავარიც. გაკვეთილებს თვალის ერთი გადავლებით სწავლობდა. მაგრამ ის ერთი გადავლებაც ეზარებოდა.

ფიზიკაში კი გამოიძო თავი.

სწორედ იმ თვეებში აიყარა ტანი.

ულვაშები შეუღინღლდა. ხმაც შეეცვალა, ჩაეხრინნა და ჩაუბოხდა.

ჩემზე უფროსი იყო ერთი წლით.

ის იყო და ის. მერე სანტიმეტრიც არ მომატებია.

ასე მეგონა, ვენერა მასწავლებელი მხოლოდ მისთვის ხსნიდა გაკვეთილს. დავი-ბოლ-მე!

ბუზების ჭერის დიდოსტატი ვიყავი. აფრენილს ვიჭერდი.

ერთხელ დავიჭირე ბუზი. ფიზიკის გაკვეთილზე ზდება ეს. ცალი ფრთა მოვაძერე, მერე ვენერა მასწავლებლისადმი ყურადღებადქცეულ შალვას სასმენ აპარატს დაუღმიზნე და ვისროლე.

მოხდა სასწაული. ბუზი შიგ ყურის ღრუში შევარდა, აქს დაეჯახა და... შალვას თავში ფუგასური ბომბი აფეთქდა თითქოს.

- ვაიმე!!!

ისეთი ძალით შეხტა, რომ მერხთან ერთად მეც ამიტანა.

ჩვენი სამელნეები ჰაერში ავარდა და ჩვენს წინ მჯდარ ნანა ახალაძეს ახალთახალი კოფთა შეუღებდა.

ნანას თვალები ცრემლებით აევსო.

- დატოვე გაკვეთილი! - ვენერა მასწავლებელი ასე მკაცრი ჯერ არ შენახა. - წადი, მშობლები მოიყვანე! დღეს-ვე!

შალვა თავჩაქინდრული ნაეიდა გასასვლელისაკენ.

- ვენერა მასწავლებლო, შალვა არაფერ შუაშია. ჩემი ბრალი იყო. - ვთქვი მე.

- შენი? - უცებ დაიბნა. - მაშინ შენ დატოვე გაკვეთილი. - მშობლები მოიყვანეო, არ უთქვამს, რატომღაც.

შესვენებაზე კლასში დამიბარა. მართო დამტოვეთო, ბავშვებს სთხოვა.

- ვერ გავიგე, რა მოუვიდა ხოფერიას. ან რატომ იყავი შენ დამნაშავე? მე მოუყუყუვი.

სიცხილი წასდა. გოგონა იყო ვენე-

რა მასწავლებელი. ჩვეულებრივი გონა. ბავშურად გულმტრყველო. ცოტა ნებიერიც.

გულიანად კისკისებდა.

- რას ერჩოდი? თუ ცელქობით მოგივიდა?..

- თქვენს გამო... - თვითონაც არ ვიცო, როგორ ნამომცდა.

- ჩემს გამო? - გულწრფელი გაცემა ჩაუდგა თვალებში. - მე რა შუაში ვარ?!

- სულ მას უცქერით. თითქოსდა სხვა არავინ გყავდეთ გაკვეთილზე.

ნიკაპზე შემეხო. თავი მიმაბრუნებინა. რამდენიმე წამს მიცქირა თვალებში. უცებ ორივე ხელი მომხვია და ჩამიკრა.

დღესაც ვგრძნობ მისი ტანის სითბოს.

შელერღებებაში შევდიოდი მაშინ... იმ წელსვე გათხოვდა ვენერა მასწავლებელი. სკოლაში აღარ მობრუნებულა.

იურისტს გაჰყვაო, თქვეს.

არ მიყვარს იურისტები.

## საკუთარი თავის კიებაში

მბატვრულ სიტყვას რომ დიდი აღმზრდელობითი ძალა აქვს, მაშინ მივხვდი, როცა ერთ მშვენიერ დღეს, ბახუსის მოყვარულ ჩვენს მეზობელს მოთხრობა-პამფლეტი მიუძღვენი (მაშინ მეშვიდე კლასში ვსწავლობდი). იმ დღიდან შეიცვალა ჩემი ნაწარმოების გმირი. თუ შემთხვევით გადაყლურნავდა ცოტას, დედას ან მამას შეეკითხებოდა, მაგ მამაძალღს ხომ არ გაუგიაო.

ხატვა მიყვარდა, მაგრამ სიმღერისთვის ვგოჟდებოდი. მინდოდა, საოპერო მომღერალი გაემხდარიყავი.

ხომ გაგიგონიათ, კაცი ბჭობდაო...

მეცხრე თუ მეათე კლასში, კარგად



არ მახსოვს ახლა, საზეპიროს გავდი-  
ოდით რუსულ ლიტერატურაში –  
გორკის „ქარიშხალას“. სულ იმას ვჩი-  
ოდნი, მაგ მწერალს ნორმალური ლექ-  
სის შეთხზვა არ შეეძლო და ჩვენდა ჭი-  
რად პროზად დანერა მეთქი.

სწორედ იმ დღეებში ახალი მასნაე-  
ლებელი მოვიდა და ისე წაიკითხა „ქა-  
რიშხალა“, რომ ბუსუსები დამაყარა  
ტანზე. „რა დიდი მწერალი ყოფილა  
თურმე მაქსიმ გორკი“, – უნებურად  
დავასკვენი.

რუსული ენისა და ლიტერატურის  
ფაკულტეტზე შევიტანე განცხადება.  
თან ვმუშაობდი. ჯერ პიონერხელმძ-  
ღვანელად, მერე პედაგოგად.

მამინ ჯერ კიდევ სრულიად ახალ-  
გაზრდა მწერალი ჯემალ ჯაყელი მე-  
უბნება:

– ხატვა კარგია, სიმღერაც. პედა-  
გოგიკაც აუცილებელია, მაგრამ შენ  
მწერალი ხარ, ასე გხედავ მე.

ჩემი პირველი ნოველა „მანანა“  
სწორედ მისი თაოსნობით და რედაქ-  
ტორობით გამოცემულ კრებულში  
„სათავეებთან“ დაიბეჭდა.

ხატვა და სიმღერა დღესაც მიყ-  
ვარს. კარგ მომღერალს რომ ვუსმენ,  
ავტირდები ჩემთვის.

### მარუსია

მაგრამ ჩემში ლიტერატურული ნი-  
ჭის აღმოჩენა უფრო ადრე მოხდა.

ზედა მახინჯაურში არის ერთი დი-  
დი სახლი. იგი გრაფინია ფესენკოვამ  
– ნიკოლოზ მეორის ძიძამ – ააშენა  
აგარაკად. მიუხედავად იმისა, რომ ამ  
სახლში დიდი ხანია ბავშვები ცხოვრო-  
ბენ და მას ოფიციალურად „მახინჯა-  
ურის ბავშვთა სახლი“ ჰქვია, ადგი-  
ლობრივი მოსახლეობა – დიდიც და  
პატარაც – დღესაც „ფესენკოის  
სახლს“ უწოდებს.

მეორე მსოფლიო ომის დასრულ-  
ებამდე მომხდებოდა ნაღებების  
გაყიდვა და ნაღებების შეგროვება.  
მომხდებოდა აქ უპატრონო ბავშვები.

ჩვენ ამ სახლიდან არცთუ მოშორე-  
ბით ვცხოვრობდით და დილიდან საღა-  
მომდე მათთან ერთად ვთამაშობდით.

აქ მუშაობდა სანიტარი – მარუსია  
– უკრაინელი სოფლელი ქალი, წერა-  
კითხვის უცოდინარი. ევაკუაციამ ჩა-  
მოიყვანა იგი ჩვენს სოფელში.

მარუსია ჩვენი ოჯახის ხშირი სტუ-  
მარი იყო და დედას ეხმარებოდა ჩვენს  
მოვლა-გაზრდაში.

ერთხელ ავად გავხდი. სიცხემ ამი-  
წია. ამბულატორიაში მარუსიამ წამიყ-  
ვანა:

– რა სჭირს ბავშვს? – ეკითხება ნი-  
ნო ექიმი.

მარუსიამ ვერ გაიხსენა – „ტიმპე-  
რატურა“.

– უ დიტკო, ეტო... ნუ... ლიტერა-  
ტურა იე...

### ჰინეტუ – ინფორმის ვაჟი

ახალგაზრდა, მეტად ენერგიული  
და იმედის მომცემი პედაგოგი ვარ. გა-  
ნათლების სამინისტროს დავალებით  
ვესწრები ისტორიის გაკვეთილს ქა-  
ლაქის ერთ-ერთ სკოლაში. ის პერიო-  
დია, როცა მთელს ქალაქში ინდიე-  
ლებზე ფილმების ნამდვილი ბუშია.  
იუგოსლავიელი მსახიობის გოიკო მი-  
ტიჩის პორტრეტებია ყველგან – აფი-  
შებზე, კიოსკებში, ოჯახებში, გოგო-  
ნების ჩანთებში. მასწავლებელი  
ფრონტალურ გამოკითხვაზე გადა-  
დის:

– ბავშვებო, აბა, ვინ მეტყვის, ვინ  
იყო ნაბუქოდონოსორი?

- კლასში სიჩუმეა.
- ვესპასიანე?
- ხმას არავინ იღებს.
- გაიუს იულიუს კეისარი?

ბუზის ხმას გაიგონებ.

- ბავშვებო, ვინ იყო ვინეტუ? - მოთმინებიდან გამოვდივარ მე.

- ინჩუ-ჩუნის ვაჟი! - ერთხმად მპასუხობს კლასი.

## მე, ფინეთი და საბჭოთა ხელისუფლება

1982 წელია. საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის აქარის განყოფილების პასუხისმგებელ მდივნად ვმუშაობ.

ფინეთში ტარდება საქართველოს დღეები. თბილისში შედგა სპეციალური ჯგუფი ოცდაათი კაცის შემადგენლობით. ჯგუფის ხელმძღვანელად დანიშნეს ბატონი დევი სტურუა, მოადგილედ მე.

მოსკოვში, საერთო გასაუბრების შემდეგ, ცალკე გამიხმეს:

- თქვენ, როგორც მოადგილეს, გვვალებათ, თვალყური ადევნოთ ყველას და, როცა დაბრუნდებით, წერილობით მოგვახსენოთ.

ჯიბიდან საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის მონომობას ვიღებ და მაგიდაზე ვდებ.

- თქვენ ცუდად შეგისწავლივართ. მე მწერალი ვარ და არა მზეერავი, - ვპასუხობ.

ერთმანეთს გადახედეს. თავისუფალი ხართო, მითხრეს. მე ბატონ დევის მოვუყევი ყველაფერი.

- რა მეშველება?

- თავს აქნევს და მხრებს იჩუჩავს.

- არ ვიცი. ვნახოთ... სწორად მოქცეულხარ.

ფინეთში საბჭოთა კავშირის ელჩის სობოლევს ჩვენი ჯგუფის მიღება აქვს.

უცებ ჯგუფის ერთ-ერთი წევრი, კგბ-ს მუშაკი ელჩს ეუბნება:

- საინტერესო საქმეა, გსვოლოდ მიხაილოვიჩი ჩვენს სამსახურთი მწერალია, - წარმადგინა, - მაგრამ არ უყვარს საბჭოთა ხელისუფლება. ელჩმა მხარზე ხელი მომითათუნა.

ის იყო და ის, კაპიტალისტურ ქვეყნებში აღარ გაუგზავნივარ.

მე-იან წლებში სულ უფრო ხშირად მახსენებს თავს გული.

სასწრაფო დახმარებებისა და საავადმყოფოების მდებარესონალებს გავუშინაურდი.

ახალად გამოსული ვარ საავადმყოფოდან. ექიმების რჩევას ვასრულებ - ხშირად დავდივარ ზღვისპირა პარკში. ვსეირნობ, გულს ვეაერჯიშებ.

ნაცნობი მაჩერებს. გავიგე, გულმა შეაწუნხაო, მეუბნება. არადა ვიცი, სულაც არ ვენალვლები.

- პო, იყო რაღაც...

- ნწუ-ნწუ... - თავს აქნევს. მერე ნიშნის მოგებით მომმართავს: - რა მოგივიდა, შე კაცო. აი, მე შენზე უფროსი ვარ და გული სადა მაქვს, არც კი ვიცი.

- არ გაქვს და იმიტომ - ვპასუხობ და გზას ვაგრძელებ.

## ვეტა

ვეტა მეურენობაში მუშაობდა.

ტანმკვრივი და ღიმილიანი გოგო იყო. უცებ გამოჩნდა და მაშინვე მიიქცია მამაკაცების ყურადღება. საიდან ჩამოვიდა, არაფერი ვიცოდით.

არავის იკარებდა ვეტა.

ცხრამეტისა ვიყავი. მორცხვი, გაუბედავი, მშობარა.

ვეტა რომ დამინახავდა, ღიმილს შემომადრქვევდა. რომ ჩამივლიდა, ან ლოყაზე მომეფერებოდა ან თმაზე.



- მოი კუდრიავიჩი, - მეტყოდა. -  
მოი ნეტნი მალჩიკ...

დილაადრიან ზღვაზე დაედოდი.  
კარგად ვცურავდი.

მე ჩემი ადგილი მქონდა აჩემებუ-  
ლი. სხვებისაგან მოშორებით.

ვეტა დამიმეზობლდა. წყალში ჩა-  
ვიდოდა, ადგაფუნდებოდა და გამოვი-  
დოდა.

- მასწავლე, რა? - მთხოვა.

რამდენიმე გაკვეთილი ჩავუტარე.  
სწრაფად აითვისა. გამბედავი გოგო  
იყო.

ხელები შეაჩვია ჩემს ტანს.

მეც...

მერე თავისთან მიმიწვია.

- შენ რომ არა, აქ ერთ დღესაც არ  
გაეჩერებოდი, - მეუბნებოდა და  
მეხვეოდა.

კარებზე დააკაკუნეს. მერე დააბ-  
რახუნეს.

- გააღე, გესმის? ვიცი, მარტო არა  
ხარ! - თან გინებაც მოაყოლა. რუსი  
იყო ვილაც.

- აკი გითხარი, შენთან არაფერი  
მესაქმება - მეთქი. დამანებე თავი. -  
უპასუხა ვეტამ. ნადი, მომშორდი და  
მომასვენე.

- გამიღე, თორემ შემოვამტერე! -  
კარს ფეხი მძლავრად ჰკრეს.

ვეტამ ხალათი მოისხა. მეც ფაცხა-  
ფუცხით ჩავიცვი.

ოთახში ორმეტრიანი ბეზლენი შე-  
მოვიდა.

- ამასი გამცვალე, შე ძუკნავ... ამ  
ჭიაცელაში?! - და ჩემს გასაჭყლეტად  
წამოვიდა.

- ხელი არ ახლო! - ვეტა ამეფარა,  
- თუ ოდნავ მაინც შეეხები, მოგკლავ!  
ბეზლენი შეცბა.

- რით მოგხიზლა ასე...

- ეს შენი საქმე არ არის. ახლავე გა-  
ეთრიე აქედან! - ვეტას სამზარეულოს  
დანა ეჭირა ხელში, დიდი, წვეტიანი და

პრილა. შემეშინდა, მტრულად მომყა-  
ლას ეს კაცი-მეთქი. იცხლინეთქი  
ბეზლენმა რალაც ჩაიბურტყუნა და  
გავიდა.

- მეც წავალ, - ვთქვი.

- არა. შენ ახლა აქედან არ გახვალ.  
არ იცნობ მაგას... საშინელი კაცია.  
ყველაფერს იკადრებს. დილამდე უნ-  
და დარჩე, ჩემთან ნულარ მოხვალ.

იმ დღეებში წვიმები დაიჭირა. ერთ  
დილით გადაიყარა.

ზღვის პირას გავედი.

შორიდანვე დავინახე ვეტა.

ტანთ იხდიდა.

ზღვა ავად ღრიალებდა, ერთმა-  
ნეთს ეხეთქებოდა ტალღები.

„გაგიჟდა?!“

ქერა თმები მჭიდროდ შეიკრა.

- ვეე-ტაა!.. - მისკენ გავექანე.

არ მოუხედავს. ალბათ ვერ გაიგო-  
ნა. რამდენიმე ნაბიჯით გადაჭრა პლა-  
ტი და წყალში შევიდა.

თვითდაჯერება იგრძნობოდა მის  
მოდრაობაში, თითქოსდა ზღვას უპი-  
რისპირდებოდა.

ტანი მომშვილდა და თავს ზემოთ  
აღმართულ ზვირთს შეუვარდა.

იმ ტალღას მეორე მოჰყვა. ვეტა  
არსად ჩანდა.

ზღვა კიდევ უფრო გადაირია. ტან-  
ში ვერ ეტოვდა, იფოფრებოდა, ყალყ-  
ზე დგებოდა. დიდი მორევივით ტრია-  
ლებდა და იქაფებოდა.

უცებ იმ ჯოჯოხეთში ვილაც დაე-  
ლანდე.

„მომეჩენა?“

არა, ადამიანი იყო, ღონივრად ებ-  
რძოდა სტიქიას. კარგი მოცურავის  
მოდრაობა ჰქონდა.

მოექცეოდა ზვირთის თავზე, მერე  
ჩაიკარგებოდა. კვლავ გამოჩნდებო-  
და..

- ცურვა არ მეხერხებაო... რა ჩაი-  
ფიქრა ნეტავ?“

- ვე-ტაა! - ჩემი ხმა იქვე იკარგებოდა, მაგრამ მაინც ვყვიროდი. - ვე-ტააა!...

ისევ ამოვარდა. მალლა აიჭრა, ზვირთი იზრდებოდა და ვეტაც მიინევდა მალლა. ცისკენ მიინევდა ვეტა. კინკრისოზე მოექცა ტალღას. ერთ წამში მოხდა ყველაფერი. უცებ შემობრუნდა. თითქოსდა ვილაცას ეძებდა.

ჩვენი მზერა ერთმანეთს შეხვდა. გამიღიმა.

მე უფრო ვიგრძენი ეს, ვიდრე დავინახე.

მერე ხელი დამიქნია.

ასე ხელანულო ჩაემვა ქვესკნელში. სწორედ იმ ადგილას ტალღები ტყლაშუნით შეეჯახა ერთმანეთს და შხეფები შორს მიმოისროლა.

ცისიკედურიდან ელვა ჩაიკლაკნა ზღვაში.

მე სველ ბალახებში ვეგდე და ვტიროდი.

სადაც წავალ, აუცილებლად რაღაც უნდა შემემთხვას.

მახინჯაურის ქართულ საშუალო სკოლაში დიდი ლიტერატურული საღამო ტარდება. დარბაზი გადაჭედითაა.

მწერლები სცენაზე მიგვიწვია ბატონმა სერგო ჯაყელმა - სკოლის დირექტორმა და ფრიად განსწავლულმა პიროვნებამ. კაცი კი არა, ქართული თავაზიანობის ნიმუშია.

ვსხდებით. მე კუთხის სკამს ვირჩევ.

- თქვენ აქ არა, - ამბობს უცებ ბატონი სერგო, - თქვენ აქეთ... - და მოულოდნელად სკამს იღებს.

მე იატაკზე ვკოტრიალებ.

## ერთი გოგო ცრემლებს აღვარღვარავს

ერთხელ ახალგაზრდული გაზეთის კორესპონდენტი გოგონები გვეწვია ოჯახში.

- ჩვენი კუთხის გამოჩენილი ადამიანების შესახებ ვწერთ. ოჯახური კურიოზები გვაინტერესებს. ვიცით, თუშორი ვიყვართ. აი, მაგალითად, როგორ გაიცანით ქალბატონი ნაირა, როგორ შეუღლდით?

- გამომცემლობა „აჭარაში“, მაშინ „საბჭოთა აჭარაში“, განყოფილების გამგედ რომ მივედი, დამწყები მწერალი ვიყავი. ყოველი ახალი ნოველის გამოსვლა ჩემთვის დიდი სიხარული იყო. მკითხველიც ბევრი გვყავდა, ვიდრე ახლა. ახალი მოთხრობის, ნოველის, ლექსის, ნიგნის გამოქვეყნება-გამოცემა შეუმჩნეველ-შეუფასებელი არ რჩებოდა. მიუხედავად საკმაოდ მწირი შემოქმედებისა, პოპულარობით ვსარგებლობდი და მიხაროდა.

იმ დღეებში ჩემი ახალი ნოველა „ჭამი სიყვარულისა“ გამოქვეყნდა ჟურნალში და მე გახარებული შევევადი გამომცემლობაში.

წაგვიკითხე, მოხოვეს.

თავპატიჟი არ დამინცია. დროდარო თვალს გადავაგვლებდი ჩემს მსმენელებს, მაინტერესებდა, როგორ შთაბეჭდილებას ვახდენდი.

ვხედავ, ერთი გოგო აღვარღვარებს ცრემლებს, აღვარღვარებს და აღვარღვარებს... გულში სითბო ჩამეღვარა.

რამდენიმე თვის შემდეგ ის გოგო ჩემი მეუღლე გახდა.

- ვინ მოთვლის, რამდენი ნიგნი გამოგიციათ მას შემდეგ. სულ ასე აღვარღვარებს ცრემლებს? - მიაპიტურად მეკითხება კორესპონდენტი.

- თქვენც არ მომიკვდეთ. წვეთი ცრემლი აღარ გადმოუგდია.

### ნაირა-წინასწარმეტყველი

მახსენდება:

- როცა ჩვენ გავბედნიერდებით, მე გაიყოფ ყველა შენს გასაჭირსა და პრობლემას, - მითხრა ჩემმა მომავალმა მეუღლემ.

- მაგრამ... მე ისინი არა მაქვს, - ნატრიაბახე.

- ახლა არა გაქვს...

ლამაზია და მდიდარი ჩვენი კუთხე. მაგრამ მისი ყველაზე დიდი სიმდიდრე - ღირსეული ადამიანებია. მე ვამაყობ მათით.

ზოგიერთი, სამწუხაროდ, უკვე ცოცხალი აღარ არის.

ამ ოციოდე წლის წინ ქალაქს ისეთი კაცი დააკლდა, რომლის გამოჩენა ჩვენი ბათუმის ქუჩებს სხვა ხიზლსა და ღირსებას აძლევდა.

ეს - ბატონი იბრაიმ აბაშიძე გახლდათ.

მისმა მოულოდნელმა გარდაცვალებამ ისე დააცაროელა ჩვენი ქალაქი, რომ, მახსოვს, იმ დღეებში დავწერე მინიატურა:

### დადიოდა ჩვენს ქალაქში კაცი

დადიოდა ჩვენს ქალაქში კაცი, რომელმაც გამორჩეული შეხვედრა და სალამი იცოდა - ქუდს მოიხდიდა, თავს დახრიდა ღირსებით, ულამაზეს ღმილს ჩაიფენდა თვალებში და ვეცყოდათ:

- ო, მამულიშვილს ვახლავარ!

- სიკეთე და ბედნიერება ნუ მოგაკლათ უფალმა, მამულიშვილო!

- იცოცხლეთ და იდღეგრძელეთ, მამულიშვილო!

ვერც მოკითხვას დაასწრებდით.

მიუყვები ქუჩას ზოგჯერ ჩემთვის ჩაფიქრებული და უცებ სულის სიმწარით შემომენთება სურვილი კვლავ მომმართოს ვინმემ:

- როგორ ბრძანდებით, მამულიშვილო?

### „ნუ, ტი დაიოზ, გრუზინი!“

გული თოთხმეტი წლის ასაკიდან მანუხებდა.

იმ დანყველილი საბჭოთა ხელი-სუფლების დროს აგრეთვე დანყველილი საბჭოთა პროფკავშირები კისლოვოდსკში სამკურნალოდ მაძლევდა საგზურს.

მთელი წლის განმავლობაში ზღვისპირა კლიმატის პირობებში ცხოვრების შემდეგ, მთიანი იმიერკავკასიის ჰაერი სასანაულებრივად მოქმედებდა ჩემს ჯანმრთელობაზე.

ახალგაზრდა კაცი ვიყავი, უცოლ-შვილი. კისლოვოდსკში, გიორგი დიმიტროვის სახელობის (ახლა ვის სახელს ატარებს ნეტაე?) სანატორიუმში მოვეწყვე. სანატორიუმში ქალაქის ცენტრშია, ირგვლივ ყვავილების ბაღები და სკვერებია. მაშინ პრესტიჟულად ითვლებოდა ეს სანატორიუმი.

პირველი დღეა. აივანზე გამოვედი. მეზობელ აივანსა და ჩემსას შორის თხელი კედელია. მოაჯირს ახალგაზრდა კაცი გადმოყრდნობია.

- გამარჯობათ, - მესალმება.

- გაგიმარჯოთ, - ვპასუხობ.

- ქართველი ხართ?

- დიახ. თქვენ, ალბათ, რუსი?

- ჰო, ვლადიმირიდან. - ხელს მინდის, - ლიონია.



მე ჩემსას ვეუბნები.

- ამ სანატორიუმში ერთი გოგონა ცხოვრობს - ალისა. მზეთუნახავია, რა! წარმოიდგინე, ოქროსფერი თმები, ზღვისფერი თვალები, შავი წარბ-წამწამები... წამდვილი ზღაპრის პრინცესაა. მაგრამ, რად გინდა, არავის იკარებს. შენ კარგი ბიჭი ჩანხარ, თანაც ქართველი, მაგრამ... არაფერი გამოგივა.

- იქნებ არც კი მომეწონოს?

- არა, ეს შეუძლებელია. როგორც კი გამოჩნდა, აქაურობა გადასხვაფერდა თითქოს, - უცებ ჩურჩულზე გადადის, - ეჰ, მეც ვცდიდი ბედს, მაგრამ ცოლი მახლავს. წამდვილი ტირანია. ობეხეესი. არა, ძმაო, შენც არაფერი გამოგივა. ჯერ ერთი, რა ქართველი ხარ, უღვაშიც არ გაქვს.

- ეს აუცილებელია?

- თუ ქარველი ხარ, უღვაშიც უნდა გქონდეს... წყაროზე რომ მიდის, ჩვენს აივანს ჩაუვლის ხოლმე. მალე მე და სვეტიც ნავალთ, შენ? - პასუხი არ მაცალა, უცებ შეუყვია: - აი, ისიც!

მოდოდა ალისა - მზეჩაღვრილი თმებითა და ტანით. მის კაბაზე ველის ყვავილები თამაშობდნენ. გამხდარს ვერ ეტყოდი. არც ტანსრული იყო. უღამაზესი წელი, მკერდი და თქოები ჰქონდა.

უნებურად უკან გადავდგი ნაბიჯი და... დავიწყე:

Ты стой, стой, Красавица моя,  
Дай мне наглядеться, радость на  
теб-я-аа!

„მეტელიცას“ ვლეროდი, რუსულ ხალხურ სიმღერას. ბოლო ბგერა მაღლა აიჭრა, წავიდა, წავიდა და უსასრულობას შეერია, გაუჩინარდა.

- ვოტ ეტო დაა!.. ნუ, ტი დაიოშ, გრუზინ!

ცალი თვალით გადავიხედე ძირს.

ალისა იდგა და ჩემსკენ უფურცლად ტაშს უკრავდა. მუთუ ხელეობოტაქფხა, ეს მე?... მე მიმღერეთო? თავი დავუქნიე.

მკერდზე ხელი მიიღო - გმადლობო.

- წადი, ძმაო, ხომ ხედავ, გიცდის! - მიყვია ლიონიამ.

მე აივნიდან ოთახში გავეკარდი. „ნუ ი გრუზ-ინი!“ - გამყვა ლიონიას ხმა ოთახიდან დერუფანში. კიბეები ქარით ჩავირბინე და ალისას წინ გავჩერდი...

## ამაჟი ღარიბი

ჩემი და ნაირას ქორწინების თაფლობის თვე რომ გავიდა (აუჰ, როდის ეს!), წელ-წელა - წამოგვეჭრა ყოფითი პრობლემები.

ჩემი პატარა ხელფასი კაპიკ-კაპიკ რომ გავთვალ-გავანანილე, აღმოჩნდა, გამოსაკვებად გვეყოფნიდა პა და პა.

- სტუმარი რომ მოვიდეს? - მეკითხება მეუღლე.

- თვითონ წამოიძღვანოს, - ვპასუხობ.

ერთ დღეს ცოლის და - ნაზიკო გვეწვია ქობულეთიდან. დიდხანს იმუსაიფეს. ნაზი გამოცდილი თვალთ დროდადრო მიმოათვალიერებდა ხოლმე ჩვენს კუთხე-კუნჭულებს...

რამდენიმე დღეში ისევ გვეწვია. ორი დიდი ბადურა ეჭირა შემწვარი ქათმებით, ხაჭაპურებით, ყველით და სხვა პროდუქტებით სავსე.

მე ვითაკილე:

- ოჯახის პატრონი ვარ და მისი მონარაგება ჩემი საქმეა. ახლავე ნაილე უკან!

- შენ თუ არ გინდა, ვინ გადალევს. მე ესენი ჩემს დას მოუტანე, - მშვიდად მომიგო მან.

**პასაჟები და...**

- დი-დე-ბუ-ლია! - შესძახა რედაქტორმა და მოთხრობა გვერდზე გადადო, - როგორი სიმართლე, როგორი, ასე ეთქვათ, ნიუანსები, პასაჟები და მასაჟ... - რედაქტორი, როგორც შემდგომ ვაეიგე, რადიკულიტით იტანჯებოდა და ყოველ საღამოს მასაჟებს იკეთებდა. - დიახ, მე მომწონს თქვენი მოთხრობა, თქვენ რას იტყვით? - მიმართა პასუხისმგებელ მდივანს.

- მეც თქვენს აზრს ვიზიარებ. ამ მოთხრობაში ჩანს პოეტის სული. ასე ეთქვათ... იგრძნობა დიდი ლირიზმი და ავტორის პოეტური ნვა. - პასუხისმგებელი მდივანი პოეტი იყო.

- მაგრამ... - ჩაურთო რედაქტორმა.

- დიახ, დიახ... მეც ამის თქმა მიწოდდა. მაგრამ... - გაიმეორა პასუხისმგებელმა მდივანმა და რედაქტორს პირში მიაჩერდა, - მაგრამ...

- ჩემი აზრით... - რედაქტორმა მოთხრობა ისევ თავისკენ მიიწოჩა, - ჩემი აზრით, სადღაც იგრძნობა ნაცნობი ნიუნსები, პასაჟები და...

- მასაჟები! - გაახსენა პასუხისმგებელმა მდივანმა.

- დიახ, დიახ! ეს მოთხრობა ერთ-ერთი ცნობილი კლასიკოსის, თუ არ ეცდები, ბარნაბა ბარნაბელის მოთხრობას მაგონებს. თქვენ თუ გახსოვთ ის მოთხრობა? - მიუბრუნდა იგი პასუხისმგებელ მდივანს.

- ოო, ის მოთხრობა!.. - აღტაცებით შეჰყვირა პასუხისმგებელმა მდივანმა და თვალეები ჭერს მიაპყრო. - ის მოთხრობა ნამდვილი პოეზიაა... იმის შემდეგ ეს... - პასუხისმგებელი მდივანი კვლავ რედაქტორს მიაჩერდა.

- დიახ, დიახ, ვადამლერე-ბაა! - თქვა რედაქტორმა და ტურები აიბზუა. პასუხისმგებელმა მდივანმა მხრე-

ბი აინურა და ისე გადმომხტედა კამითქოს მეუბნებოდა, რა ვქნა? შეგე (ჩაბაჩთა) ღმერთთა მონამე, თქვენითვის ყველაფერი გააკეთო.

ის მოთხრობა სხვა ჟურნალში დაიბეჭდა და მოწონებაც ხედა წილად. ცოტა ხნის შემდეგ ახალი მოთხრობით ხელდამშვენებული ისევ ნაცნობი ჟურნალის რედაქციას ვენიე. რედაქტორი და პასუხისმგებელი მდივანი გულთბილად შემეგებნენ და კარგა ხანს ანჯღრეეს ჩემი მკლავი.

- თქვენი მოთხრობა ნაეიკითხეთ, დიდებულაია! პირდაპირ ნაწყენია, რომ გვერდი აგვიარეთ და სხვა ჟურნალს მიმართეთ! - მითხრა რედაქტორმა.

- ასეთი მოთხრობით ნებისმიერი ჟურნალი იამაყებდა, - მისაყვედურა პასუხისმგებელმა მდივანმა.

მინდოდა მათთვის გამეხსენებინა, რომ ეს მათ მიერ დაწუნებული მოთხრობა იყო, მაგრამ თავი შევიკავე. რა საჭიროა, უხერხულ მდგომარეობაში ჩავგადო ეს გულთბილი ხალხი, ერთი შეცდომა ვის არ მოსვლია-მეთქი, გავიფიქრე. მერე გულისჯიბიდან ახალი მოთხრობა ამოვიღე და რედაქტორს მივანოდე. რედაქტორი ყურადღებით კითხულობდა და თან „მშვენიერია-დიდებულაია“ იძახდა.

- თქვენ რას იტყვით? - ჰკითხა პასუხისმგებელ მდივანს.

მდივანმა უკანასკნელი გვერდიც გვერდით გადადო და ნამოიძახა:

- ბრწყინვალე მოთხრობაა! როგორი პოეზია, როგორი ლირიზმი, თქვენ ნამდვილი პოეტი ხართ!

- როგორი სიმართლე, ნიუანსები, პასაჟები და...

- მასაჟები... - მივაშველე რედაქტორს.

- დიახ, დიახ... მაგრამ... - რედაქტორმა ისევ თავისკენ მიიწოჩა მოთხრობა.

– მაგრამ... – გაიმეორა პასუხისმგებელმა მდივანმა და რედაქტორს მიაჩერდა.

## ოლენკა და ნადენკა

აჭარის სანაპირო მთელი საბჭოთა კავშირისათვის ერთ-ერთი საყვარელი საკურორტო ადგილი იყო ადრე.

70-იან წლებში აქ ისვენებდა ახალგაზრდა რუსი მწერალი სერგეი ელიზაროვი ცოლ-შვილთან ერთად.

პანსიონატ „ბათუმში“ ცხოვრობდნენ და ყოველ დღე, დილიდან დაღამებამდე, მზეზე იხრუკებოდნენ.

შემთხვევით გაეიცანით ერთმანეთი და შეეამზანაგდით კიდევაც.

თავის ნიგნი მაჩუქა. პატარ-პატარა ზღაპრების კრებული იყო. ლამაზად დასურათებული.

ერთხელ მეუბნება:

– ჟურნალ „მოლოდაია გვარდიაში“ მეგობრები მყავს. მოდი, შენი ნოველები გამოვაცქეყნოთ.

– რუსულად არა მაქვს, – ეპასუხობ.

– მე გითარგმნი. შენ პნკარედეები გამომიგზავნე მხოლოდ.

გაფუგზავნე.

დაპირება შეასრულა. ხუთი ნოველა იყო დაბეჭდილი „მოლოდაია გვარდიას“ ფურცლებზე.

თარგმანი დიდად არ მომეწონა. ჩემი პერსონაჟები რუსის მუყიკებად ქცეულიყვნენ. მალე პონორარი მივიღე და მან ასე თუ ისე გააქარწყლა უკმარისობის გრძნობა. იმდენი ფული აქ ნიგნშიც არ ამეღო.

იმ წელს მოსკოვში მომინია გამგზავრება. ბევრი ახალგაზრდა მწერალი გამაცნო სერგეიმ.

ერთ დღეს მეკითხება.

– ჩემი და ოლენკა მოგწონს?

მე გათამაშებული გულგრილობით ეუპასუხე:

– კარგი გოგოა, ქარქნუნული

„კარგიო?!“ პირველად ჩინამქაქაქნახე, სული შემეგუბდა კინალამ. გიმრისფერთმიანი. მწვანეთვალეება. ულამაზესი წელითა და ბოუსტიო. „მინის“ ჩაცმა უყვარდა ჩემი ცოდვით სავსეს.

ცხრამეტი წლისა იყო ოლენკა.

– სამაგიეროდ მას მოსწონხარ, – ჩაერია სერგეის ცოლი – ლიუდა, – სერგეისთან ერთად სიარული არ მოგწყინდა? კინოში დაპატიჟე ოლენკა.

ვიფიქრე, მცდიან-მეთქი. მე მათი სტუმარი ვიყავი. ოჯახის ნევრივით მიმიღეს და ოლენკასან, როგორც თვითონ იტყვიან, „შური-შური“ გამემა?

არადა, ლოგინში ჩავნეებოდი და ოცნებით ოლენკასაც მოვიწვენდი.

იმ დილითაც მოთენთილი წამოვდექი. ოლენკა, ჩვეულებრივ, ინსტიტუტში წასულიყო, სერგეი – სამუშაოზე.

„არა, ასე მართლა არ შეიძლება. გავალ ქალაქში, ვინმე კაი გოგოს გავიცნობ“ – გადავწყვიტე.

ტროლებუსში ავედი. ქალები შევათვალერე. ერთი გოგო მომეწონა. მსხვილ ნანწავად შეკრული თმა წელს გადასცილებია. „ჩოლკას“ შეუბერავს დროდადრო, აქეთ-იქით გადაიყრის. ესეც უხდება.

ეუახლოვდები.

– უკაცრავად, შემდეგი გაჩერება რომელია! – ვეკითხები.

არ მახსოვს რა მიპასუხა. მგონი, არც გამოგონია. არ მაინტერესებდა და იმიტომ.

– შემდეგზე ჩადიხართ? – მკითხა.

– თუ თქვენც ჩახვალთ – კი.

– მე შორს მივდივარ.

– რა დამთხვევაა, მეც.

იცინის. ძალიან უხდება. გაიცინებს

– ჩაეკუჭება ლოყები. გაიცინებს – ჩაეკუჭება. გადაირევი კაცი!



რამდენიმე წუთში ტანით ვეხებოდით ერთმანეთს. ნადია მქვიაო.

- რამდენი წლისა ხართ, ნადენკა?

- თექვსმეტის.

- უფრო დიდი შეგონე.

- ადრე დავქალდი და იმიტომ. მოგნონეარ?

ოლენკა აღარ მახსოვდა.

- ძა-ლი-ან! სად მივდივართ?

- ჩემთან. დედა და მამა სამუშაოზე არიან. მუსიკას მოგასმენინებთ. ცეკვა გიყვართ?

- მიყვარს. სკოლა დაამთავრე?

- წელს ვამთავრებ. შენ რას აკეთებ?

- მე... მწერალი ვარ. - ჟურნალი გავუნოდე. - აქ ჩემი ნოველებია.

- რა კარგია! ცოცხალ მწერალს ჯერ არ შევხვედრივარ!

„არასრულწლოვანი... თანაც სკოლის მოსწავლე... არა, ნამდვილად არ მიმართლებს“.

მაგრამ მალე გადამავეინყდა. ნადია გადასარევი გოგო იყო.

მივედიო. ბინა შევათვალიერე. „ცუდად არ უნდა ცხოვრობდნენ.“

წელზე ხელი შემოვხვიე. მან კისერზე შემომაჭდო მკლავები. ვცეკვავთ.

- იცოდე, ჯერ არავეინ მყოლია, სულ არავეინ.

- ვიცი, - თან იქით ვენევი. სადაც ჩემი აზრით, საძინებელი ოთახი უნდა იყოს. - ეს მე ძალიან მომწონს.

- რატომ?

- პირველი ვიქნები. მიყვარს პირველობა.

- არა, ეს არ შეიძლება! - მტკიცედ მეუბნება. - გენყინა?

- არა.

- მიინდა უკეთ გაგიცნო. ვიამაყო შენით. ჩემი დაქალები შურით დაიბოლმებიან, როცა გაიგებენ, რომ მწერალი ხარ.

- შენ ისეთი ლამაზი ხარ, რომ ვერ ვიცი ველი... - მაინც ჩემსას გონივრულად მაგიდაზე ჩარჩოში ქალისა და კაცის სურათია.

აქამდე რატომ ვერ შევენიშნე!

- მშობლები არიან?

- პო.

მამაკაცს სამხრეებიანი კიტელი აცვია.

- სამხედროა?

- არა, მილიციის პოლკოვნიკი. ციხის უფროსად მუშაობს.

„ნე-ნი!“

- არა, მოთმინება როგორ არ შემიძლია, ნადენკა, შენ ძალიან-ძალიან ლამაზი ხარ, მაგრამ თუ ასე გსურს...

- დამირეკავ?

- აუცილებლად!

- მომისმინე... არ გენყინოს რა... თუ ძალიან-ძალიან გინდევარ...

- შენ მართალი ხარ, უკეთ უნდა გავიცნოთ ერთმანეთი, ნადიუშა.

„პუ-პი! - ქუჩაში ამოვისუნთქე შევებით. - არა, ოლენკა მაინც სჯობია!“

## გამომცემლობაში

გამომცემლობაში უცნობი შემოვიდა, თანამშრომლები შეათვალიერა და მომმართა:

- უკაცრავად... რას აკეთებთ?

- ვცემთ, - ვუპასუხე.

უცნობმა შიშით მიმოიხედა და ნაბიჯი უკან გადადგა.

- ვ-ვის?

- ვის კი არა, რას.

- პო... რას?

- ნიგნს, - ვუპასუხე მე და მაგიდაზე დახვავებულ ანაბეჭდებს ხელი დავარტყი.

უცნობმა სიბრაღულით გადახედა ანაბეჭდებს.

- შერედა... მე უკაცრავად, არ გეცოდებათ?

ალიოშას „ზიმ-მოსკვიჩი“

ალიოშა ადვილი გამოცემლობის კოლორიტი იყო. ქალაქის სანყობის გამგედ მუშაობდა. თავისი საქმის ერთგული გახლდათ. მეგობრობაშიც უღალატო. თუ უგუნებობას შეგნიშნავდა, ისეთ ამბავს მოყვებოდა, ისეთი იუმორითა და უშუალო არტიზმით მიმოხატავდა, რომ მაშინვე გადაგვიყრიდა ქმუნვასა და ნალველს.

ავიაციის გადამდგარი კაპიტანი იყო ბატონი ალიოშა. ომის მონაწილე-ორმოცდაათიან წლებში ნიკიტა სერგევიჩიც გადაუფრენ-გადმოუფრენია სადღაც. იმ წლებში განსაკუთრებით გვძულდა ხრუშჩოვი. თბილისში მონყობილი ხოცვა-ჟლეტის გამო.

– გულმა როგორ მოგითმინა და არ გადმოგდე იმ შენი თვითმფრინავიდან? – ვეკითხებოდით.

– ცუდი კაცი არ ჩანდა მამაძალი – (მამაძალი კი არა, მამაძალიო იტყოდა). – არაყი უყვარდა-ა! კიდეც, ისეთი ხუთსართულიანი გამოთქმები – უკანასკნელ რუსის მუფიკს შემურდებოდა. მე მაშინ რუსეთში ვმსახურობდი და მაგ ამბებისა არაფერი ვიცოდი.

ერთი ძველი „მოსკვიჩი“ ჰყავდა ალიოშას. „ზიმ-მოსკვიჩს“ რომ ვუნოდებდით, ისა. ბათუმური თქეში რომ წამოვიდოდა, გამოცემლობის თანამშრომელი ქალები ალიოშას მანქანას მიაშურებდნენ. ალიოშა დაუზარებლად ჩამოარჩებდა სახლებში.

ერთ დღეს ჰყვირის ალიოშა:

– სად მიძვრებით, სად, მამაძალი. ვერ ხედავთ, პაკრიშკები დაჩუტულია?

– ჩვენ რომ მოგვინდება, რავა ყოველთვის დაჩუტული გაქვს, ალიოშა? – საყვედურობენ შეთამამებული ქალები.

## ზია ხონელია

მახინჯაური რომ უღალატებდა ყოფელია დედამინაზე, ამის შესახებ უკვე გითხარით.

კიდეც – დედაჩემის კაპრეშუმი. ესეც სადღაც დამინერია.

ვინ იცის, რამდენი ადგილია დედამინაზე ერთნაირი სახელწოდებით, მახინჯაური კი ერთადერთია.

კაპრეშუმიც.

განსაკუთრებულ სოფლებში, მოგეხსენებათ, განსაკუთრებული ხალხი ცხოვრობს.

ვიცი, შემდეგები მკითხველო, არც ჩვენი სოფელია ნაკლები და არც ხალხი ჩამოვრჩებით ვინმესო.

არ გეკამათები.

მე ჩემი ვთქვი, შენი – შენ იცი.

მე რომ ვუკვირდები, ყოველი მახინჯაურელი ცალე ნოველაა.

ჩემს სოფელში ათი ათასამდე კაცი ცხოვრობს. ამდენ ნოველას, ცხადია ვერ დავწერ, ამიტომ მინიატურებს შემოგთავაზებთ.

ათი ათასს თუ ვერა, რამდენიმეს მაინც.

ხონელია ყველაზე მცირერიცხოვანი გვარია მახინჯაურში.

ენვერი, ხმედი, ნაზიმი და ზია ხონელიები ძმები იყვნენ. უმცროსი – ზია ადრე გარდავიდა ამა სოფლიდან. მერე – ნაზიმი, ენვერი და ხმედი.

ენაწყლიანი და მახვილგონიერი იყო ენვერი. რაც ერთხელ გაეგონა და დაენახა, ფოტოგოგრაფიული სიზუსტით ახსოვდა.

ნაზიმს უნაკლო ტანი ჰქონდა. ახალგაზრდობაში გალიფეს და აზიურების ჩაცმა უყვარდა. ჩაიცვამდა აზიურებს და ოდნავ ჩაჭუჭნიდა. ისეთი მიხრა-მოხრა ჰქონდა, გვეგონებოდათ, ვილაცას თავს ანონებსო.

ზიასკენ უფრო მიმინედა გული.



მათ შორის ყველაზე რთული ხასიათის კაცი იყო. ტანხმელსა და ერთი შეხედვით, ჩიას, ცხვირი სასწაულებრივად დიდი და კეხიანი ჰქონდა.

თანაც მიგრებილ-მოგრებილი.

ქეიფი უყვარდა. სვამდა ზომიერად. იმიტომ რომ თუ დათვრებოდა, ვაი-მტრისას!

ზიამ დაუსტვინაო, თუ იტყოდნენ, ნიშნავდა, რომ დიდიცა და პატარაც უნდა მორიდებულიყვნენ. ამ გამზადარ კაცს მუშტი რკინისა ჰქონდა.

უცნაურობანი სჩვეოდა ზიას. აი, ერთი მათგანი: იქირავებდა ორ მსუბუქ მანქანას. ერთში თავის გრძელკარდიან კუპს ჩადებდა. არა, კი არ ჩადებდა, დიდის პატივისცემით დაასვენებდა მძღოლის გვერდით, სავარძელზე. მეორეში თვითონ ჩაჯდებოდა და ასეთი კორტეჟით გაემგზავრებოდა შინისაკენ.

არ იფიქროთ, ვინმე ლოთბაზარა და უქნარა ყოფილიყო ზია ხონელია.

დიდი და კარგად მოვლილი ბალი ჰქონდა. მუხლჩაუხრელი და გულფიცხი მუშაობა სჩვეოდა. ფული ყოველთვის ჰქონდა. მეზობლისათვის ხელის გამართვა უყვარდა. არასდროს ეტყოდა, ამ დროს დამიბრუნეო. არც თვითონ შეანუხებდა. მაგრამ... თუ დამსესხებელს ნამოსცდებოდა, ამა და ამ დღეს უეჭველად დაგიბრუნებო და არ შეასრულებდა, ზია ხონელიას რისხვას ვერ გადაურჩებოდა.

უპირო კაცს ვერ იტანდა.

ჩემ ყოველ ახალ ნიგნს, ასე მგონია, ჩემზე მეტად ელოდა.

- ცოტა ჩქარ-ჩქარა რომ ნერო, არ შეგიძლია? - მკითხავდა.

ერთხელ მახინჯაურის ცენტრში შემაჩერა.

- მაგარი ხარ! - მითხრა. - შენი ნახატების გამოფენა ვნახე. ყოლისფერში მაგარი!

- გმადლობთ. **ერქენული**

- ცოტა მაინც მგმობს **ნიქოშვილი**

- რატომ, ზია?

- არა... ისე, გული დამწყდა. ნუთუ იმის ღირსი არ ვიყავი, რომ მეც დაგეხატე? თუნდაც ამ ცხვირის ხაზრით, ა? დაეპირდი. იმ დღეებში გარდაიცვალა.

როგორც მხატვარმა ვერ დაეხატე. ბევრჯერ ვცადე, არაფერი გამოვიდა.

მაინც ვხატავ. ახლა სიტყვით. ვიცო, მხედავს და უზარია.

დიდი ხნის ამბავია ეს. მე და თემური თბილისიდან ვბრუნდებოდით. ყმანელი კაცები ვიყავით მაშინ. მატარებელზე ბილეთები შევიძინეთ. დრო კიდევ ბევრი გქონდა. სადგურის სასადილოში შევედით და კუთხის მაგიდას მიუჯექით, თითქოსდა არ გვმოიოდა, მაგრამ... რომ ვხედავდით შემწვარ-მოხრაკულებით სავსე ხონჩებს როგორ დაარბენინებდნენ ოფიციანტები, კუჭმა ბუყბუყი დაგვიწყო.

ჰოდა, ვიჯექით სასადილოს ერთ შორეულ მაგიდასთან ორი გამზადარი ბიჭი და ნაგრძელებულ ყელზე ჩიჩახვებს ვამოძრავებთ ზევით-ქვევით.

უცებ ზღურბლზე ზია ხონელია გამოჩნდა. დარბაზს თვალი მოავლო და შეჰყვირა:

- ამათ ვის ვხედავ! - ჩვენსკენ ნამოვიდა. - ეი, ჯიბო! - გასძახა გზად ოფიციანტს, - გეყოფა აქეთ-იქით სირბილი. ახლა ჩვენ მოგვხედე! სწრაფად. ეს რა ტილო გადაგიფარებიათ, ქუჭყიანია და თანაც დაბლუჯული. ეს ბიჭები შენ ჩვეულებრივი არ გეგონოს. ანგელოზებია! გაიგე?

ოფიციანტმა ახალთახალი თეთრი ტილო გადააფარა სუფრას. შეკვეთაც ბლოკნოტში ჩაინერა და მალე ლამაზი სუფრა გაიშალა.

არა, მდიდრული არა - ლამაზი.

სადღეგრძელოებიც ვთქვით.

მალე მატარებელი ჩამოდგა.

– ოცდარვა მანეთი თქვენგან, – გვიანგარიშა ოფიციანტიმა.

– მომისმინე, ჯიბო, – მკლავში ხელი სტაცა ზიამ, აი, ოცდასამი მანეთი. ეს ყველაფრის ხარჯია. ხუთიც – შენ, ჩემი საჩუქარი. გაიგე?

– გავიგე.

– მაშინ მადლობა სადაა, შე კაცო.

– გმადლობთ.

გაგვაცვილა. თვითონ დარჩა. ცოტა საქმეები მაქვს და მალე ჩამოვალო.

გამომშვიდობებისას ვკითხე:

– იმ... ოფიციანტს იცნობ?

– არა.

– აბა... ჯიბოო...

გაიცინა, თავისი განუშეორებელი უხმო სიცილით. გამხდარი ლოყები ღრმად ჩაეკუჭა. მერე შებრუნდა და წავიდა.

## მანინჯაურელი კოსმონავტი

ცხოვრობდა ჩვენს სოფელში როსტომ დოლიძე.

ის არ გეგონოთ, პარლამენტში რომ „მოღვაწეობს“.

ის განთიადიდანაა, ეს მანინჯაურელი... იყო.

ის ცოცხალია. ეს რამდენიმე წლის წინ ზეცაში გაფრინდა.

ჩვენი როსტომ დოლიძე თავად კეთილშობილება და სათნოება იყო. მამის გარდაცვალების შემდეგ საკუთარ ყმანვილურ მხრებზე იტვირთა ოჯახის სიმძიმე. უმალლესი განათლება მიაღებინა დებს, მერე დაათხოვა. საკუთარ თავისთვის ვერ მოიცავდა.

არადა, ძალიან ნიჭიერი იყო როსტომი. სანათესაოშიც გამოჩნეული.

სახლების შენების ნამდვილი ოსტატი იყო. ჩემი ბინის მრავალწლიან რემონტში მასაც აქვს წვლილი.

უსასყიდლო, ცხადია.

ერთი პატარა დასწამა ზნეობისლი გადაიხადა თვითონვე.

თამაძებს შორის მეც ვიყავი, თანაც ცალკე ოთახში განყოფილი სუფრისა. ასე რომ იმ პატარა კუთხის მეუფე გახლდით და ჩემებურად ვმართავდი კიდევაც.

– ბატონებო და ქალბატონებო, – ვამბობ, – დღემდე ქართველებს კოსმონავტი არ გვეყოლია. პოდა, იწყება ახალი ერა კოსმონავტიკის ისტორიამ.

თანამესუფრეებმა ყურები სცქვიტეს.

– ამალამ, მეგობრებო, როსტომ დოლიძე ვენერაზე ავა. მაშ, გაუმარჯოს მახინჯაურელ კოსმონავტს!

ამ ამბავმა სწრაფად შემოიბრინა ოთახები. პირველმა თამაძამ საკუთარი რეგლამენტი დაარღვია და დიდი ყანნი მოითხოვა. ვერ ნახეს. მაშინ ხონჩაზე რვა ქიჯა დაანყო, ღვინით გააპიპინა და ამ დიდი ასტრონომიული მოვლენის სადღეგრძელო შესვა.

იმ დღიდან როსტომს მეტსახელად კოსმონავტი შეაერქვეს.

## იზეთი

მანინჯაურელი იზეთ კონცელიძე მამის კვალს გაჰყვა – მიმინოებს იჭერდა, წერთინდა და ფრინველების ბაზარზე ჰყიდდა.

მწყურები სგადაფრენის დროს მიმინოებით უფრო ნადირობდნენ მაშინ, ვიდრე თოფით, ამიტომ ამ ფრინველს ფასიც კარგი ჰქონდა.

ერთხელ იზეთი გვიყვება:

– თარსი დილა გამითენდა გუშინ. არ იქნა და არ გამოჩნდა მიმინო. ის იყო, იმედი გადავიწურე და ნასასვლელად მივემზადე, რომ, როგორც იქნა, აი, ეს დალოცვილი დავლანდე, – და მარცხენა ხელის მჯავაზე დაბმულ თვლებბრიალამიმინოს სიყვარულით

შესცქერის. - ძალიან მალლა მოფრინავეს. ვახსენე მამაჩემის მაღლი და ავუქმე ლაჟო. ერთ ხანს ვაფარფატე აქეთ-იქით. შენიშნა ბოლოს. იმ სიმაღლიდან შენიშნა, ჭო. მონკურა ფრთები და ქვასავით ნამოვიდა. სადაცაა უნდა ეძგეროს, რომ დავახურე ზემოდან ბადე. თვალყვითელა მიმინოა - იშვიათი ჯიშის. ამას ჩემთვის გავრწმუნენი.

- რა სიმაღლეზე მიფრინავდა? ეკითხება ერთი მისი კოლეგა და თან პროფესიული შურიტ შესცქერის ფრინველს.

- დაახლოებით... ორ კილომეტრზე...

- ვერ შენიშნავდა.

- ხომ შენიშნა!

- ესე იგი დაბლა ყოფილა.

- დაბლა რო ყოფილიყო, რა მომაცოლებდა?

- შენი ტრაბახა ხასიათი.

- ვინც ტრაბახობს... მარჯვენა აიქნია იზეთმა და უცებ შეჩერდა. - რაღაც დავიჭირე, ჭო! თან მუშტი მასგრად შეკუმშა. - აი, თუ არ გჯერა, - თფუი, სკლინტი ყოფილა!

ყველამ მალლა ავიხედეთ.

ცის ტატნობზე ობოლი მიმინო ირაოს აკეთებდა.

ავხარხარდით. მუცლებზე ხელებმოჭერილები ვგორაობდით ბალახებში. იზეთი ხან სკლინტიან ხელზე დაიხედავდა, ხან მიმინოს ახედავდა ცაში.

- კიდევ იტყვით, რომ მართალს არ ვამბობ?! - თქვა ბოლოს, - იმსიმაღლიდან ჩემი ხელი რომ შენიშნა და ზუსტად მოარტყა სკლინტი, მოფარფატე ლაჟოს ვერ დაინახავდა?!

**„სოფსაბჭო“ და გუს კვირცხეი**

იუსუფ ბერიძე ღირსეული კაცი

იყო სოფელში. დიდი ხნის განმავლობაში მახინჯაურის სასოფლო საბჭოს თავკაცობდა.

ხალხმა სიყვარულით „სოფსაბჭო“ უწოდა.

- ჩვენი „სოფსაბჭოს“ სიტყვა ბეჭედი, - იტყოდნენ.

- შეილის ქორნილი მაქვს, „სოფსაბჭოს“ უნდა ვთხოვო, თამადობა.

- აგერ, ცხენით მოდის „სოფსაბჭო“...

გული ხომ ბაჯალლო ოქროსი პქონდა „სოფსაბჭოს“, გარეგნობითაც ნარმოსადეგი იყო - მაღალი, მხარბეჭიანი, სიტყვამადლიანი, უღვაშლიმილიანი.

ბოლო დროს თირკმლებმა შეანუხა ძალიან.

- არც ნამლები მშველის, არც მიწერალური ნყლები. ვხვდები, წასულია ჩემი საქმე, - იტყოდა.

კულტურის სახლის დირექტორად მუშაობდა დავით ზაქარეიშვილი - კაცი ენამახვილი, ოხუნჯი, კვიმატი.

- აქამდე რატომ არ მითხარით, - უსაყვედურა.

- რაო, იცი რამე?

- ვიცი რომელი, ერთ დღეში დაგავინყდება თირკმლები სადა გაქვს.

- სერიოზულად მეუბნები?

- მაგაზე ზუმრობა შეიძლება, კაციო? - შავ ხაზად გაჭიმულ უღვაშზე ხელს ისვამს ზაქარეიშვილი.

- ა, კაცი! აჰა, ჩამანერიწე აგერ, - საყვარელი ფრენჩის წინაჯიბიდან ფანქარსა და ბლოკნოტს იღებს.

- ქათმის კვერცხები, იხვის კვერცხები, ინდაურის კვერცხები და ბუს კვერცხები, - კარნახობს ზაქარეიშვილი, - ორ-ორი ცალი ერთმანეთში აურიე და ყოველ დღე უზმოზე გადაყლაპე.

- ესაა სულ?

- კი.



- აგაშენა ღმერთმა. ხვალიდანვე შევედგები მაც საქმეს. არა, ნამდვილად მიშველის, ხომ?

- წყალი არ გოუვა, ძმავო, ოო-ოლონდა...

- ჰე, თქვი, რა უნდა კიდე.

- კარგად რომ წავიდეს მკურნალობა, ნინასნარ დალოცვა არ აწყენდა...

- ევ თავისთავად, დათო.

ექვსი თუ შვიდი კაცის პურმარილი გაიშალა ახლადაშენებულ რესტორან „მახინჯაურში“, ყველაზე პრესტიჟულად რომ ითვლებოდა მაშინ მთელს ამ მხარეში. რომ იტყვიან, ჩიტის რძეც არ აკლდა თურმე სუფრას.

რამდენიმე სადღეგრძელოს შემდეგ უცებ შეცვლია გუნება „სოფსაბჭოს“, შეფიქრიანებულია.

- ქათმის კვერცხებს ვნახავ, იხვისაც, ინდაურისაც... ბუს კვერცხები სად ვიშოვო?

### ფიქრია მასნავლეჯელი

კაცის ჭეშმარიტი სიცოცხლე, ჩემი აზრით, მის ხსოვნაშია.

სიკვდილი მაშინ კი არ მოდის, როცა სხეული სტოვებს მიწიერ ყოფას: არამედ მაშინ, როცა კაცის ხსოვნა დაინწყებას ეძლევა.

„წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო,“ - უკვდავი აკაკის სიტყვებია ეს.

მახინჯაური ჩემი სოფელია. არაერთი მოგონება მაკავშირებს მასთან. გამომიქვეყნებია კიდეცაც.

მოსაგონარ-გასახსენებელი კვლავაც ბევრი მაქვს.

ლამაზია მახინჯაური, მაგრამ მისი ჭეშმარიტი მშვენება მაინც ჩემი სოფლელებია - სალიხ ახვლედიანი, მემედ სტამბოლიშვილი, იბრაიმ აბაშიძე, ახმედ აბუსერიძე, ოსმან ჯინჭარაძე, ვახტანგ და ოთარ ახვლედიანი-

ბი, ლიდა სამსონია, ილიკა ხუციანთაძე, სულეიმან მიქელაძე, ვიქტორ ტყეშელაშვილი, ხარიტონ ახვლედიანი, ფიქრია ხალვაში...

ურთულეს დროს დაემთხვა ჩემი და ჩემი თანატოლების მოვლინება ქვეყნად. დაიბადე 1939 წელს და... მსოფლიო ომიც დაიწყო. პირველი სიტყვები, რაც წარმომიტქვამს - „დედა“, „მამა“ და „ომი“ იყო თურმე.

1946 წელს შევედი ზედა მახინჯაურის დაწყებითი სკოლის პირველ კლასში. აიშე მამულაიშვილი შეგვიძლვა დედაენის ჯადოსნურ სამყაროში.

მეორე კლასში ფიქრია მოვიდა. თექვსმეტი თუ ჩვიდმეტისა იქნებოდა. მაღალი, გამხდარი. სადად გადაეარცხნილი თმებით. მორცხვი ღიმილით. დღეიდან ჩვენ ერთად ვიქნებითო, გვითხრა და იმ ერთი სასწავლო წლის განმავლობაში, ასე მგონია, ჩვენით ცხოვრობდა და ცოცხლობდა.

საოცარია ადამიანის გონების ნყოფა. რამდენი წელი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ დღესაც ცხადად მახსოვს მისი შემოსვლა და პირველი გაკვეთილი, რომელიც მისთვისაც პირველი იყო თურმე.

შემიძლია ვთქვა, რომ ფიქრია ხალვაშის პედაგოგიური ნათლობა სწორედ ჩვენს ჯგუფში მოხდა და, მომავალში ცნობილი და აღიარებული რომ გახდა, ჩვენი პატარა დამსახურებაც იყო ამაში.

შენ კარგად კითხულობ, - მითხრა ერთხელ, - აი, პატარა ნიგნი მოგიტანე და წაიკითხეო.

ნახატებიანი იყო. თხელი, ყდაგაცრეცილი. „ქინაქინა“ - ეწერა ზედ. პატარა კეთილი ბიჭუნას ამბავი იყო მოთხრობილი (ამის შესახებ მგონი უკვე მოიტქვამს კიდეცაც). იმ დღიდან საკითხავი ნიგნებით დავაჯადღე. შემდე-

გომში მთელი ჩემი სიცოცხლე რომ მხატვრულ ლიტერატურას დავუკავშირე, ვინ იცის, იქნებ იმ პირველი ნიგნით მოხდა.

უცნაური გოგო იყო ფიქრია. რას არ მოიფიქრებდა. ერთხელაც ასეთი დავალება მოგვცა:

„რომელი სახელები მოგნონთ ყველაზე მეტად და რატომ?“

მე, ცხადია, დედას და მამას სახელები ჩაუნერე. მცირე ყოყმანის შემდეგ მესამეც მიუღწერე – „ფიქრია.“ იმიტომ რომ ლამაზი და კეთილი სახელებია-მეთქი.

დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, ფიქრია ხალვაში ცნობილი გახდა მთელს აქარაში.

სოფელმა იუბილევ გადაუხადა პედაგოგსა და მოღვაწეს.

ორიოდე წლის წინ გადავიდა სამარადისო სასუფეველში.

ნოველების ერთ-ერთ კრებულს, რომელიც 70-იან წლებში გამოვეცი, „ფიქრია“ ჰქვია. მართალია, ნოველის პერსონაჟს ჩემს მასწავლებელთან არაფერი აქვს საერთო, მაგრამ...

ფიქრია მასწავლებლისადმი დიდი პატივისცემა და მოკრძალება პატარაობიდან მომდევს.

**„ვინც შენზე ნაკლებად დააბრიალოს!..“**

შუქრი ჟორჟაძე არც მწერალია და არც საზოგადო მოღვაწე, მაგრამ მაინც ცნობილია... თავისი უზომოდ დიდი თვალებით.

ხშირია შემთხვევა, გაიცნობ კაცს და მერე, თუ დრომ დაგაშორა, დაივწყებ.

შუქრის – ვერა. მისი დიდი და ბრი-

ჩვენს ქალაქში, ალბათ, ორი დადის ასეთი თვალებით.

პირველი – შუქრე... მე.

მე, მაგალითად, თუ გავბრაზდი, მაშინ ვაბრიალებ თვალებს.

შუქრი – ყოღველთვის. ჩვენი ნაცნობობაც ჩვენივე თვალების მიზეზით დაიწყო.

გამომცემლობაში ვმუშაობდი მაშინ. უცებ კაბინეტის კარი იღება და ახალგაზრდა, საკმაოდ ბეჭებგადგმული კაცი შემოდის.

დგას შუა ოთახში და აბრიალებს თვალებს.

არც მე ვიყავი მზრებვენრო ბიჭი. უნებურად წამოვდექი და თავდაცვის სათვის მოვემზადე. ერთ წამში ავნონე მისი შესაძლებლობები:

„ძლიერი მონინაალმდეგეაა!..“

ვდგევარ და ველოდები მოვლენების განვითარებას.

ისიც დგას და მიბრიალებს თვალებს.

„ვინც შენზე ნაკლებად დააბრიალოს!..“ – და მეც ვუქაჩავ თვალებს.

– აქადრე... სანყობის გამგედ ვმუშაობდი... – ბორძიკით ამბობს იგი, – მეგობრების მოსანახულებლად შემოვიარე... თვალები კი... დაბადებით მაქვს ასეთი.

**ფარია**

უცებ მილაღატა გულმა.

ჯერ ქალაქის მეოთხე სამმართველოს სააუადმყოფოში მომათავსეს. თავს დამტრიალებდნენ ქალბატონი ნუნუ პერტია, ვერიკო გვანცელაძე, რუსიკო შავიშვილი, მთელი პესონალი...

მომჯობინება დამეტყო თითქოს, მაგრამ მოულოდნელად კიდევ უფრო

თბილისში გადამიყვანეს. იქიდან –

მოსკოვში, მწერალთა კავშირის კლინიკაში მომთავსეს.

რიგრიგობით ჩამოდიან ჩემი მეუღლე და ძმები. ერთმანეთს ცვლიან.

საოპერაციოდ დამინყეს მომზადება. ცხვირიდან ყელში გამიყარეს ზონდები და გულს შეურეთეს. გამოცდას უწყობენ, გაუძლებს თუ არა. ჩართეს აპარატურა. ნელ-ნელა იზრდება დატვირთვა. ნეივებსა და მაჯებზეც უამრავი გამტარ-გამომტარი მაქვს დახვეული.

სადაცაა გასკდება გული, მე კი ხმის ამოღება და განძრევა არ შემიძლია.

ბოლოს მიხვდნენ ჩემს გასაჭირს თუ თავიანთი საქმე მოითავეს, უცებ ეიგრძენი შვება – აპარატურა გამორთეს.

– გადაიტანთ! – საზეიმო რიხით მითხრეს.

ოპერაციის დღეც დანიშნეს.

– ხვალ ჩვეულებრივი პროცედურა მექნება და დილით ადრე ნუ მოხვალთ, გამოიძინეთ, – ვეუბნები ჩემებს. ჩვევა მაქვს ასეთი – უკიდურესი გასაჭირის დროს მარტოობას ვარჩევ.

კლინიკა ცალკეა, ქირურგიული კორპუსი – ცალკე. მათ მიწისქვეშა გვირაბი აკავშირებს. 1987 წლის თებერვალია. გარეთ ფაფუკი თოვლი დევს. მე ლიფტით ჩავდივარ გვირაბში და ფეხით მივუყვები ცარიელ ტალანს.

უცებ მეორე მხრიდან ქალიშვილი გამოჩნდა. კი არ მოდის თეთრი ნისლივით მოცურავს. მიახლოვდება, მიახლოვდება. ღმერთო, რა ლამაზია! თმები – ხუჭუჭი, დახვეული კი არა, ბუნებრივად ხუჭუჭი. ნარბები – შავი და მერცხლებივით გაფრენილი. თვალები – ლურჯი.

– გამარჯობათ! – ვესალმები.

– გაგიმარჯოთ.

– თქვენ... ანგელოზ ხართ იცინის. უხდება სიცლი.

– მე ანგელა მქვია.

– ანგელა – იგივე ანგელოზი!

– დიახ, თქვენ კი აქ ყველა გიცნობთ. ნუ ლელავთ, აი, ნახავთ, ყველაფერი კარგად იქნება.

– ქალიშვილო, თუ არ მეტყვი, სად მუშაობთ და როგორ გნახავთ, მე ახლა საოპერაციოდ მივდივარ, რაიმე რომ მომივიდეს, თქვენი ბრალი იქნება.

თხუთმეტი წუთის დაგვიანებით გამოვცხადდი. მისაყვედურეს.

საოპერაციო მაგიდაზე სხვა გაეყვანათ. ის სხვა შემოაკვდათ.

უკან დაბრუნდით, ოპერაციას სხვა დროს გაგიკეთებთო მითხრეს.

ასეც მოხდა. სამი დღის შემდეგ გამოიკეთეს.

რომ მოვმჯობინდი, ანგელას ძებნა დავიწყე.

ვერსად ვნახე.

## „ნიანგის“ საიდუმლო

ერთი იუმორისტული მოთხრობა მაქვს – „სანებელი“. მისი მთავარი გმირის სახელია ანდრო. მახინჯაურელი ანდრო ქვეთარაძის ერთი კურიოზი დაედო საფუძვლად ამ მოთხრობას. ადრე აქტიური მოჭიდავე იყო, საქართველოსა და საბჭოთა კავშირის პირველობაზე გამოდიოდა. ახლა სპორტის ვეტერანია და ძველი მოჭიდავეების ქომაგი.

ვისაც სურს, მოთხრობის შინაარსი გაიგოს, უტყუარ გზას მივანიშნებ – ნაიკითხოს იგი.

ერთ დღეს აედექი და „ნიანგს“ ვენციე. ნოდარ დუმბაძე იყო მაშინ ამ ფურნალის მთავარი რედაქტორი. ჩვეული სიტბოთი მიმიღო. კითხულობდა „სანებელს“ და შიგადაშიგ გულიანად



იცინოდა. კარგია, – თქვა ბოლოს, – შენ ასეთი მოთხრობები ჩამოგვიტანე და ყოველთვის დაგიბეჭდავთო.

მალე „ნიანგის“ აქტიური ავტორი გაეხდა.

მერე ნოდარ დუმბაძე მწერალთა კავშირის მდივნად გადაიყვანეს და ნიანგის მთავარ რედაქტორად ზაურ ბოლქვაძე, იგივე „ლოში“, დანიშნეს.

– ახლა დროა, შენი იუმორისტული მოთხრობები ცალკე წიგნად გამოვცეთ, – მეუბნება ერთ დღეს ბატონი ზაური. – თუ წინააღმდეგი არა ხარ, რედაქტორი მე ვიქნები. ილუსტრაციებს, ალბათ, თვითონ დახატავ. თანახმა ხარ?

იმ საღამოს „ნიანგები“ რესტორან „თბილისში“ მივიწვიე. ოფიციალტი წინასწარ მყავდა გაფრთხილებული – ამდენი იქნებოან, ამდენი მაქვს და უნდა ჩაეტო – მეთქი.

ყველაფერი რიგზე იქნებაო, დამამიმედა.

ავთანდილ ადუიშვილი თამაშობდა სუფრას.

იმ საღამოს საპატიო „ნიანგად“ მაკურთხეს „ნიანგებმა“.

ანგარიშში ბევრად მეტი უნერა. ჯიბეები ამოვიფხიკე. მატარებლის კი არა, ავტობუსის ბილეთის ფულიც აღარ დამრჩა.

თავი დავაიმედე, სადგურში ნაცნობ ბათუმელს შევხვდები და დავესესხები-მეთქი. დრო კიდევ ბევრი მქონდა და რუსთაველიდან ფეხით დავეშვი. პიჯაკი გავიხადე და მკლავზე გადავიკიდე.

უცებ გამოხერხილ ჯიბეს მოხვდა ხელი.

ცნობისმოყვარეობამ მძლია.

„ფული?!“

დავთვალე.

იმაზე მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ბათუმიდან გამოსვლისას მქონდა.

აი თურმე, ჩემგან სჯობდნენ და რატომ ჩურჩულობდნენ და აქვს ხეობები დნენ „ნიანგები.“

## პერსონალური გამოცენა, კონორარი და ჩემი ცოლი

ახალგაზრდა კაცი ვარ. მეუღლითა და ორი პატარა შვილით ოროთახიან ბინაში ვცხოვრობთ. ხელფასი ისე პატარა მაქვს, რომ ძლივს გაგვაქვს თავი.

ვწერ და ვხატავ.

– რომ წერ, მესმის, მწერალი ხარ. ეს ნახატები რისთვის ვჭირდება? – დროდარო შემომინწყრება მეუღლე. – ხატავ და ხატავ... ამ ორ ოთახში ისედაც ძლივს ვეტივით, დალაგებას ვერ აუუდივარ, შენ კიდევ ჭუჭყსა და ნაგავს მიმატებ!..

მე ვხატავდი, ის მლანძლავდა. ასე მიდიოდა დღეები. ჩემ შედეგებს ცელოფანის დიდ ტომარაში ვდებდი და სანოლის ქვეშ ვინახავდი.

ერთ დღეს ჩემი მეგობარი მხატვარი ზურაბ ხაბაძე გვეწვია. სწორედ მოლბერტთან ვიდექი მაშინ.

– სხვებიც მაჩვენე! – მოხოვა.

ტომარა გამოვათრიე. ნახატები კედელზე მივანყვე.

– ბრწყინვალეა, – თქვა ზურაბმა, – ამით გამოფენა სჭირდება.

– არა, ამით ჯერ ჩარჩოები სჭირდება, – ვპასუხობ მე. – მაგის ფული ვინ მომცა.

– მაგ საქმეებს მე მოგიგვარებ, – თქვა და წავიდა.

მეორე დღეს ქალაქკომის მდივანი ქალბატონი ნათელა დუმბაძე მიჩვენა:

– ვახტანგ, ხვალ შენთან ჩემი თა-

ნამშრომლები მოვლენ. ნახატები აჩვენე. ზომებიც მიეცი, ჩარჩოებს დავამზადებინებთ.

გამოფენის მოწყობა მხატვრის სახლში დაიგეგმა. მე დაედექი უარზე. მწერალი ვარ და მწერალთა კავშირის დარბაზში მოვანყოთ-მეთქი. ჩემი გავიტანე.

უამრავი ხალხი დაესწრო გამოფენას. შთაბეჭდილების წიგნი ჩანანერებით გაივსო. მე ბედნიერი ვიყავი.

მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ათი ნახატი შეარჩია და ნაილო.

მალე დამიძახეს და რალაც ანგარიშზე მომანერინეს ხელი.

- ათასი მანეთია, ჩაიბარეთ, - შეუბნებთან.

- ჩემი? - ისედაც დიდი თვალები სადაცაა გადმომიცვივდება ბუდეებიდან.

- მეტი საშუალება არ გვაქვს. უნდა გვაპატიოთ, - ბოდიშსაც მიხდიან, კაცო!

სახლში ტრიუმფატორის სახით შევედი, ფული მაგიდაზე დავანყვე.

- ეს ნახატებში გადამიხადეს, - ვთქვი.

ახლა ცოლი მიხდება დასაწყნარებელი.

ჩავიცვით, დავიხურეთ, ბავშვებიც შევმოსეთ. რომ იტყვიან, სული მოვითქვით ცოტა.

ერთ დღეს თანამეცხედრე დოინჯ-შემოდგმული მხედება.

- რაშია საქმე? - ვეკითხები.

- ფული გვითავდება.

- მერე?

- რა მერე! რომ დადიხარ აქეთიქით და დროს ტყუილად ფლანგავ, დადექი და ხატე!

## ეროვნული გიგლიოთეკა

ხშირად მეკითხებიან:

- თქვენს ნოველებში განსაკუთრებული ადგილი უკავიათ სოფლის ბერიკაცებს - ოთხმოცს გადაცილებულებს, „ეთორწერდაფენილებს“. რატომ?

ერთი ეპიზოდი მაგონდება ჩემი ბავშვობიდან. მეზობლის ქალი ეუბნება დედაჩემს:

- ცაე, მეტი იბრეთი ბიჭი გყავს. მისი ტოლები ეგერ თამაშობენ, ის კი მოხუცებს შორის ჩამომჯდარა და მათ ხებრებს უსმენს.

## პოლიციის ვიცე პოლკოვნიკი რეზო ჭალალიძე

საგზაო პოლიციის ვიცე პოლკოვნიკი რეზო ჭალალიძე ქვეშარიტი ინტელიგენტია. მუნიციპლის ფერი და ყველა აქსესუარი ისე უხდება, იფიქრებ, დიზაინერს ნიმუშად ამ ახალგაზრდა კაცის უზადო გარეგნობა აუღიაო.

ერთხელ (მაშინ ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტში ვმუშაობდი), მეკითხება:

- ბატონო ვახტანგ, მძლოლი გყავთ, მანქანას კი თვითონ ატარებთ? ხომ არ ვეტყვოდი, რომ ჩემი მძლოლი - ნაზიმი (გვარს გარკვეული მოსაზრებით არ ვწერ) ზრდილობითა და ოჯახიშვილობით არავის ჩამორჩება, მაგრამ, რამდენჯერაც შედის გარაჟში და გამოდის იქედან, ან თვითონ ეჯახება გარაჟს, ან გარაჟი - მას. ქორნილში ნაფა და, თუ იქ ერთი ვინმე მაინც გაისერის შუშხუნას, ის დასანავი (ცხადია, შუშხუნა) მიმოირბენს ზეცას, მერე ნამოვა, ნამოვა და მაინცდამაინც ჩემს მანქანას დაეცემა მეთქი.

ბატონი რეზოს გულისხმიერებაში, მართალია, ოდნავადაც არ მეპარება ეჭვი, მაგრამ, რაც უნდა იყოს, - პოლიციის მუშაკია.

- რა ვიცი, ჩემო რეზო, - ეპასუხოვ, - მგონი, უფრო დაზღვეული ვარ, ყოველ შემთხვევაში, ჩემი მხრიდან მაინც.

ის დროა, როცა ბათუმში მწვავე ენერგოკრიზისის განიცდის და შუქი გზაჯვარედინებს კი არა, ოჯახებს ენატრებათ.

ორი თუ სამი დღე გავიდა ჩვენი საუბრიდან.

გორკის (ახლა ერას) ქუჩით მივდივარ. იცით, ქალაქის მთავარი მაგისტრალია და გზა ჩემია.

უცებ მაზნიაშვილის კვეთაში თამამად შემოდის „09“ მარკის „ფიგული“.

ჯახხ! ლან-ლუნ!.. ის არის, მძლოლს მკაცრად უნდა ვუსაყვედურო საგზაო ნესების უხეშად დარღვევა, რომ უნებურად შუქნიშანისაკენ გამიზნის მზერა.

ბრდღეიალებს. ოთხივე კუთხეში. ცხადია, ჩემს სასარგებლოდ არა.

„09“-ს კი... პოლიციის ვიცე პლკოვნიკი ბატონი რეზო ქალაქში მართავდა.

ვებრძვით ასაკს. სასარგებლოდ გავმოგვიღვეს.

გვარის ტრადიციებს აგრძელებს უმცროსი ბადოვეი - რუსტამი, რომელიც ამჟამად ქალაქის ვიცე მერია და, იმავდროულად საბინაო ფონდს თავკაცობს.

რთულია ეს სამსახური. განსაკუთრებით დღეს.

მაგრამ რუსტამი ნამდვილი რაინდია. ადამიანებთან ურთიერთობის ღვთით ბოძებული უნარი მოსდგამს.

სასიამოვნოა მასთან საუბარი.

ერთხელ საქმიანი შეხვედრაც მქონდა. ცხადია, საბინაო საქმეებთან დაკავშირებული.

- დოკუმენტები მოიტანეთ? - მეკითხება.

მე საქალაქდღეს ვუწოჩებ.

რუსტამი ყურადღებით ფურცლავს, ხან მე შემომხედავს, ხან დოკუმენტებს. ხან -მე, ხან - დოკუმენტებს. დაბნეულია.

მე კისერს ვიგრძელებ... ისედაც დიდი თვალები კიდე უფრო მიფართოვდება.

გავგიჟდები კაცი! მე ხომ საქალაქდღეში დოკუმენტები ჩაევანყვე, ნოველები საიდან გარჩნდა?

## ნოველები საიდან გარჩნდა?

ცხოვრობდა ბათუმში სამი ძმა ბადოვეი - ალი, შირონი და ახმედი.

ცხოვრობდა-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ ამ რამდენიმე თვის წინ გარდაიცვალა ალი-ქალაქის ერთ-ერთი ღირსეული სახე. მერე - ახმედი.

დარჩა შირონი.

შირონს კარგად ვიცნობ. იგი სიკეთით, თავმდაბლობით, შინაგანი ღირსებებით შემკული კაცია.

დილაადრიან ზღვისპირა პარკში ვხვდებით ერთმანეთს, ვვარჯიშობთ,

## კაფე-ბარის ბაღერინა

ბათუმში, ხელოვნების მუზეუმის სკვერში, კაფე-ბარია.

მაგნოლიების, კრიპტომერიების, ცაცხეების ქვეშ ისეთი მიკროკლიმატია, რომ ზაფხულის ყველაზე პაპანაქება სიცხეშიც აქ გრილა. თან ქალაქის კი არა, ტყის სურნელი ტრიალებს.

ამ კაფე-ბარის დედოფალია ასმითი - უმშვენიერესი ახალგაზრდა ქალი. მისი სიარული ბაღერინას როკვასა ჰგავს. კი არ დადის, გვეგონებათ, პაერში დაცურავსო.



როცა პირველად ვნახე, ვიფიქრე, ეჰ, რა დრო დადგა, პროფესიონალი ბალერინები კაფეებში მუშაობენ-მეთქი. თურმე განდაგანაც არასოდეს უცეკვია...

სიცხეა, რამდენიმე მეგობართან ერთად ასმათის ბარში შევდივარ, კუთხის მაგიდას ვიკავებთ. ცივ ლუდს შევექცევით და ვმასალაათობთ. არც დღევანდელი გაჭირვებული ყოფა გვრჩება განსჯის გარეშე.

- მე შევამჩნიე, - ამბობს ასმათი, - როგორც კი მათხოვარი შემოვა, სხვას კი არა, პირდაპირ ბატონ ვახტანგს მიამოწრებს.

- მართლა? - შეკითხებიან.

მე მხრებს ვიჩეჩაე.

- არ ვიცი... არასოდეს მიმიქცევია ყურადღება.

უცებ, ვხედავთ, თმა-წვერ გაბურძღნული შუახანს მიტანებული კაცი გამოჩნდა. აქეთ მოდის.

- მგონი, მათხოვარია, - ამბობს ერთი თანამესუფრე, - ვნახოთ, რამდენად მართალია ასმათი.

უცნობმა მაგიდას შემოუარა და ჩემ ზურგს უკან გაჩერდა.

- დამეხმარეთ, ღმერთი შეგენვეათ.

მე ჯიბეებში ვიქექები. ზურდა ფულს ვუნვდი. მათხოვარი მიდის.

- რატომ მაინცდამაინც შენთან მოვიდა? - შეკითხებიან.

- თქვენ არ გაიღებდით და იმიტომ.

## ექსპროზიტ

რედაქციაში ვმუშაობდი მაშინ.

ტელეფონი რეკავს. ყურმილს ვიღებ. ქალბატონი გულიკო კიკნაძის ხმაა. ხმა კი არა, მუსიკალური ნაწარმოები: სიმღერა, რომანსი, არია. რა ქალბატონი გულიკოს საუბარი და რა, ვთქვათ, მაროს „მუქურვარსკვლავი“. მერი ნაკაშიძის შესრულებით, ცხადია.

გათვითცნობიერებულმა მელომანებმა იცინა, რომ იყო ერთ-ერთი ასეთი მომღერალი, მსოფლიოს ცნობილ სოპრანოებს ტოლს რომ არ დაუდებდა.

- ბატონო ვახტანგ - მღერის გულიკო, - დღეს, ოთხ საათზე, ჩვენთან, „ნითელი ჯვრის“ საზოგადოებაში, ჩვენი და თქვენი მეგობრის, რამაზ სურმანიძის 65 წლის იუბილეს აღვნიშნავთ. თქვენი ორიგინალურობის იმედი გვაქვს.

საათს დავცქერო. ცოტა მქონია დრო. სარედაქციო საქმეებს ჩემს მოადგილეებს ვუნაწილებ, კაბინეტში ვიკეტები და რამაზ სურმანიძის შემოქმედების, კაცურ-კაცობის, მრავალმხრივი მოღვაწეობის თავისებურებებს ვულრმავდები. თანდათან იკვეთება მხატვრული სახე. ახლა გამომსახველობითი ხერხების ძებნა ჩემთვის ძნელი აღარაა.

ფურცელს ვკეცავ და „ნითელი ჯვრისაკენ“ მივიჩქარო.

ქალბატონი გულიკოს ფანტაზია ყველაფერს აჭარბებს. სუფრა გაუნყია - ჩიტის რძე რომაა, ნამცხვარი კი არა, ნამდვილი ჩიტის რძე, მგონი ისიც არ აკლია. აქაა გათვალისწინებული სადღევრძელოებიც, მხატვრული თვითმოქმედების ნომრებიც, ცეკვებიც, სიმღერებიც, პროზაცა და პოეზიაც.

ერთი სიტყვით, ულამაზესი სალონური საღამოა.

სიტყვა მეძლევა.

- რამაზი ჩემი უახლოესი მეგობარი და თანამოკალმეა, - ვამბობ მე, - მიხარია, რომ ამ ნიჭიერი მწერლისა და მეცნიერის სახით ბათუმის ქუჩებში ქვემარტივ კეთილშობილება დადის.

ჩემი ექსპროზიტის სათაურიც, თვით ბატონი რამაზის ბუნებასავეთ, უბრალოა:



65 წლის რამაზ სურმანიძეს

სამოცდახუთი რა არი,  
როცა წელი გაქვს მყარი,  
რომ არ გჭირდება ნაშალი და  
არ გეშინია ქალის.  
სახელი გქვია, შეგფერის  
კაცს მოხდენილს და ლამაზს.  
რამაზ, რაგვარად ახერხებ  
ვეროპულ დოზით ჭამას?  
გაგაქვს მრავალი ნაპირი,  
გულიც გიჭრის და ტვინიც.  
ნამინისტრალი ექიმი  
სჯობს ნაექიმარ მინისტრს...  
ხარ რექტორი და მწერალი,  
თან მედიკტორიკოსი,  
ვახდები პოპ-მომღერალიც,  
ალბათ, რომ გქონდეს ხოში.  
სამოცდახუთი რა არი,  
როცა წელი გაქვს მყარი.  
რომ არ გჭირდება ნაშალი და  
არ გეშინია ქალის.

ტაშმა იქუხა.

- მშვენიერია, ბატონო ვახტანგ, -  
ამბობს ქალბატონი გულიკო. - ამ პა-  
ტარა ლექსში ყველაფერი ჩაატიეთ,  
თანაც თქვენთვის ჩვეული იუმორით.  
მაგრამ... ერთი პატარა, ჩვენთვის კი  
მნიშვნელოვანი, დეტალი მაინც გა-  
მოვრჩათ.

- ბრძანეთ, ქალბატონო გულიკო.

- ბატონი რამაზი ჩვენი საზოგა-  
დოების პრეზიდენტის საპატიო წევ-  
რიცაა.

- რას მეუბნებით! ეგ კი ნამდვი-  
ლად არ ვიცოდი, - გულწრფელად  
შეეწუხდა მე. მერე რამაზს ვუბრუნ-  
დები: - გთხოვ, მაპატიო, წინასწარ-  
განზრახვით არ მომსვლია.

- არაფერია, ვახტანგ, - მპასუხობს  
იგი, - საქმეს არაფერს მაკეთებინებენ  
და არც ხელფასს მიხდიან. ეს არის სა-  
პატიო წევრობა. პოდა, მეც ვარ.

- მეგობრებო, გთხოვთ ერთი წუ-

თი მომცეთ, ახლავე გვერდებზე  
ჩემს შეცდომას. გპირდები, არც ერთ  
მენტში ჩავეტევი.

არ ვიცი, იგრძნო ფარსაგი რამ თუ  
ჩვეული თავმდაბლობით მოუვიდა,  
რამაზი მეუბნება:

- რაც დანერე, კარგია, ვახტანგ-  
მეტი არაა საჭირო.

მაგრამ მას ვინღა უსმენს, უკვე  
შთაგონებაში ვარ. ზუსტად ვეტივეი  
რეგლამენტში. დარბაზში სიწოშე დგე-  
ბა.

ტიტულები გაქვს იმდენი,  
ველარ ჩამოთვლი ენით,  
ახლა გამხდარხარ „ნითელი  
ჯვრის“ საპატიო ჩლენიც.

ალბათ წარმოგიდგენიათ, რაც  
მოხდებოდა იქ. საერთო მხიარულება-  
ში რამაზის ხმა ისმის:

- ეჰ, ნეტავი არ აგერჩიეთ მაგ პრე-  
ზიდენტში!

## მინისტრი და ხელოსნები

80-იან წლებში აჭარის საყოფაც-  
ხოვრებო მომსახურების მინისტრად  
ასლან აბაშიძე დანიშნეს.

როგორც ყველა დიდი თანამდებო-  
ბის პირს, მასაც უჭონდა საზოგადოებ-  
რივი დავალება, ჩეხოსლოვაკიის სო-  
ციალისტურ რესპუბლიკასთან მე-  
გობრობის საზოგადოების თავმჯდო-  
მარე იყო.

მე მაშინ საზღვარგარეთის ქვეყ-  
ნებთან კულტურული ურთიერთობის  
აჭარის განყოფილების პასუხისმგე-  
ბელ მდივნად ვმუშაობდი.

ერთ დღეს ბატონი ასლანის კაბი-  
ნეტში შევდივარ.

გაოცებული ვჩერდები ზღურბლ-  
ზე.

რაც ბათუმში ფეხსაცმლის ოსტა-  
ტია, თავისთან მოუხშია, გრძელ მაგი-



დასთან დაუსხამს, თვითონაც მათ შორის ჩამომჯდარა და ქალის, მამაკაცის და ბავშვების ფეხსაცმელების მოდელებზე მუშაობენ.

ნახაზებით, ნახატებით, ტყავებით, ლანჩებით და ქუსლებით დატვირთულია მაგიდა.

– შემოდი, ვახტანგ, – მომმართავს მასპინძელი. – მოგნონს? – კარადებში გამოფენილ ახალ ფეხსაცმელებზე მიმანიშნებს.

აღტაცებას ვერ ვფარავ.

– ასეთი რამ არასოდეს მინახავს, ბატონო ასლანი!

იმშუშნება.

– ძალიან ვთხოვ, ბატონობით ნუ მომმართავ. ჩვენ ხომ მეგობრები ვართ, თანაც, თანატოლები. აბა თუ მიხვდები, რა არის ეს? – ნეილონის ქსოვილისაგან შეკერილ პატარა ოთხკუთხა ნივთს მიწვდის.

– საფულეა, თუ არ ვცდები.

– ახლა გახსენი.

მე კნოპს ვაღებ. „საფულე“ უცებ ჩამოიშალა და ხელჩანთად იქცა.

– ახლა საფულეცა და ხელჩანთაც ერთად ექნება მომხმარებელს, – ამბობს ბატონი ასლანი. – ეგ ნიშუშია. ასე ვთქვათ ერთ-ერთი პირველი ეგზემპლარი, შეგიძლია მეუღლეს მიართვა. ვნახოთ რას იტყვის.

რამდენიმე დღის შემდეგ ისევ ვხვდებით ერთმანეთს.

– მოენონა? – მეკითხება.

– ძალიან. ბაზარში მხოლოდ იმ ხელჩანთით დადის. პრაქტიკულიაო, ამბობს. თანაც ასეთი არავის აქვსო. ეს კი ყველაზე მთავარია ქალებისათვის.

– მალე ისეთ ნივთებს გამოვიტანთ გასაყიდად, რომ უცხოურისა კენ თვალი არავის გაექცევა, – ამბობს და ცისფერ თვალებში ღიმილიანი ოცნება უცემციმებს.

იმ დღეებში თბილისში გულგულად ვხვდებით. დაანინაურეს ცხელი ქალი

ასე იყო-პპ!.. პარტიას, მთავრობას და მათ საიმედო დასაყრდენს – კგბ-ს პიროვნების ინიციატივა შეუმჩნეველი არ რჩებოდა.

ის იყო და ის, საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრის კაბინეტში ხელოსნები არავის მოუწვევია.

### ორი ჯადოქარი, თვალხატულა პრაქტიკანტები და ჩემი ყურები

ცურვა ბავშვობიდან მიყვარს.

როცა ძალიან მიჭირს ან მიხარია, ზღვის ტალღებს მივცემ თავს უნებურად. უახლოეს მეგობარვით ვუმხელ ფიქრებს.

საღლაც დამინერია კიდევ, ზღვა ვერ იტანს, როცა მას უდიერად ეყურობიან. არ გაპატიებს. ძალიან მგრძნობიარეა და იმიტომ. მოფერება-მოაღერება ქალივით უყვარს. რომ შევცურდები და ნახ სიტყვებს ვეტიყვი, ვგრძნობ, წყნარდება, თბება, ნათდება...

ერთხელ (არ ვიცი რატომ) ეს არ შევასრულე და არ მაპატია.

ყურების ანთება შემყარა.

მაშინვე ამ საქმის ჯადოქარს დურსუნ დიასამიძეს მივაპურე. ბატონი დურსუნის ზრდილობა, გულისხმიერება და მაღალი პროფესიონალიზმი საქვეყნოდაა ცნობილი.

– მდაა... სერიოზული მკურნალობა გეჭირდება. – თქვა მან.

და დავინწყეთ.

ერთ დღეს რომ კარგად მესმის, მეორე დღეს მეზმოდა ყურები.

ქალბატონი ტაისა თარხნიშვილი (იციით, ცნობილი მუსიკოსია და ხანდა-



ხან ჩემი კონცერტმაისტერიც) მეკითხება:

- ბატონო ვახტანგ, ხმაზე როგორ ხართ?

- არ ვიცი. იმითომ რომ ჩემი ხმა თითქმის აღარც მესმის, - ვპასუხობ. გასაჭირი ავუხსენი.

- ვაჟა ბალოშვილიც კარგი ექიმია, - მეუბნება.

- ვიცი... მაგრამ ბატონმა დურსუნმა რომ გაიგოს...

- რა დროს ეგაა, ბატონო ვახტანგ, ყრუდებოთ!.. - ეს სათნო ქალი ზოგჯერ უკიდურესად კატეგორიულია ხოლმე...

მეორე დღეს ბატონ ვაჟას ვეწვიე. პოდა, ნაყიდა ასე: ხან ერთთან ვარ, ხან მეორესთან. ხან ერთის ნამღლებს ვყიდულობ აფთიაქში, ხან მეორისას.

ამირან შამილაძე (ნომერ პირველი აფთიაქის დირექტორი) გაცვებულისა:

- თქვენს ოჯახში, ბატონო ვახტანგ, ყურების ანთების ეპიდემიაა?

დავრბივარ ამ ორ ჯადოქარ ექიმსა და არანაკლებ ჯადოქარ აფთიაქარს შორის, მაგრამ... ჩემს ყურებს არც მათი ავტორიტეტისა ეყურება და არც ნამღლებისა.

შეფიქრიანებულია ორივე მკურნალი. შეფიქრიანებული ვარ მეც. ჯერ ჩემი ყურების გამო, მერე მათი შენუხებულობით.

„არანაკლებ ჯადოქარს“, იგივე ამირან შამილაძეს პირიქით, უხარია - მისი ნამღლები საღდება.

თამაზ გოგიტიძე ზუმრობს:  
- არაფერია, ვახტანგ, ბეთპოვენიც ყრუ იყო.

მე ვიფერებ მის ნათქვამს:

- არ შეიძლება გენიოსიც ვიყო და სმენაც მქონდეს?

ერთ მშვენიერ დღეს ბატონი ვაჟას კაბინეტის კარს ვაღებ. პრაქტიკანტე-

ბი ჰყავს, შვიდი თუ რვა წელია სტუდენტი გოგო. ექიმს დღემსაღამე კაბინეტში მიწვევს.

ინყება პრაქტიკა. ამჯერად ჩემზე.

- ამათ თუ იციან მაინც, ვინ არის მათი დაკვირვების ობიექტი? - ვეკითხები ექიმს.

- ვიცით, ბატონო ვახტანგ... ყველა გიცნობთ... - მპასუხობენ გოგონები.

- დღეს მომწონხარ, - მეუბნება ბატონი ვაჟა, - უკეთესობისაკენ მივდივართ.

- ეს მარცხენა ყურში. მარჯვენა სხვანაირად ფიქრობს, - ვურთავ.

- კი მაგრამ... ამას ნინათ ხომ მარჯვენა იყო კარგად?

- სამაგიეროდ, მარცხენა იყო ცუდად. ასე ენაცვლებიან ერთმანეთს.

- ცუდია.

- პირიქით, კარგია, ექიმო. ხომ შეიძლება, ერთ დღეს აღარ შეენაცვლონ და ორივე დაყრუვდეს!

- ჩვენ აქ რატომღა ვართ?! - გადამდებია ბატონი ვაჟას ოპტიმიზმი. - გარწმუნებთ, ყველაფერი კარგად იქნება.

მარჯვენა ყურში ჯერ რკინის ნერილი და გრძელი ჩხირით მიღიტინებს, მერე ცხვირის ნესტოში რეზინის მილს მიკეთებს, რომლის ბოლოში პაერით გატენილი ბურთია გამობმული.

- ბატონო ვახტანგ, ჩემთან ერთად თქვით: ერთი, ორი, სამი და მე ამ ბურთით ჩაგებრავ, თქვენც ლოყებში დაგუბებული პაერით მიანექვით. ყურებში გავა.

ორივე ვამბობთ: ეე-რთი, ოოო-რი, სააა-მი! და ვანვებით - ის ბურთით, მე - ბურთებადქცეული ლოყებით.

- ყურებში გავიდა? - მეკითხება.

- ყურებში არა, მაგრამ სადღაც რომ გავიდა, ნაღდა. - ვპასუხობ.

გოგონებს ისტერიული სიცილი





თუმის ოპერის სოლისტმა. ასე არასოდეს უმღერია.

თურმე, გედის სიმღერა იყო მისი. ჭირი და ლხინი ერთმანეთის მეგობრებიანო, ტყუილად არ უთქვამთ. ასეა მოწყობილი ცხოვრება.

ბატონი ოთარ გიორგაძე – პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი და, რაც მთავარია, ჩემი მეგობარი, ამჯერადაც ორიგინალური იყო.

ჩემი პორტრეტი დაეხატა. ცხადია, მარტი. მინაწერი უკონდა ლექსად.

– ბატონო ვახტანგ, – ამბობს იგი, – მე და ჩემი მეუღლე, სედა, ჩვენს სიცოცხლეში მეორეჯერ ვნერთ ლექსს. მე პირველად ცხრამეტი წლის ასაკში დავნერე და ჩემს მომავალ მეუღლეს მიუძღვენი. ჩემმა ლექსმა ისე მოხიზლა თექვსმეტი წლის გოგონა, რომ თვითონაც ლექსით მიპასუხა. მალე მივხვდით, რომ ლექსების წერა ჩვენი საქმე არ იყო და... შევუღლდით. სწორადაც მოვიქცით. რაც ჩვენი საქმე იყო, შესანიშნავად ვასრულებდით. სანამ შეგვეძლო.

ამ საღამოსთვის რომ ვემზადებოდით, კარგა ხანს ვიფიქრეთ, რით გავეკვირვებინეთ და... ორივემ კოლექტიურად დავნერეთ ლექსი.

გთხოვთ დააკვირდეთ: მე და სედამ ახალგაზრდობაში დავნერეთ ლექსები და ერთმანეთს მიუძღვენით.

გავიდა მრავალი წელი და, ახლა, შვილებითა და შვილიშვილებით დახუნძლულები, მეორედ ვნერთ ლექსს და თქვენ გიძღვნი, ჩვენი მეგობრობისა და სიყვარულის ნიშნად.

ბოლოს მთხოვა, ჩვენს ნაცოდვილარს ნურსად გამოაქვეყნებ, ნუ მოგვჭრი თავს შენს მეგობრებსო.

მერე ქალბატონმა სედამ და ბატონმა ოთარმა თეთრი პერანგი მაჩუქეს.

მე ექსპრომტით ვუძახებდი  
გილიკაპს  
კაცის გული, ჩემო ოთარ,  
ხარბია და ვერაგი.  
სალამოებს მე გავმართავ,  
თქვენ მაჩუქეთ პერანგი.

### „ერთი ჩვეულბერივი კაცი არ მეკუთვნოდა?“

სიმღერა რომ სიცოცხლესავით მიყვარს, ეს იცით. ზოგჯერ ხმაზე ვააარ, ასე მგონია, ვარსკვლავეთში დეფრინავ-მეთქი. ვუმღერი ცას და დედამინას, დღესა და ღამეს, ლაფვარდისფერ ზღვასა და ყველაზე ღამაზე ქალს...

ოდესაააც გიცქერ, ტკბილად ძვე-  
ერს გულითი,  
შენდამი ტრფობით გატაცებუ-  
ლი...

გამღერებებს ბინაში გავდივარ. იგი მწერლის კაბინეტიცაა, მხატვრის სახელოსნოც და მომღერლის სარეჟეტიციოც.

ჩემი კონცერტმაისტერი, უკეთილშობილესი და უმშვენიერესი ტაისა თარხნიშვილი ჩემი პედაგოგიცაა და დაც.

– უნიკალური მონაცემები გაქვთ, ამ ასაკში ასეთი დიაპაზონი იშვიათობაა, – არაიშვიათად მეტყვის ხოლმე.

დღეს ხმაზე ვარ. საათისკენ არ ვიხედები. მინდა დიდხანს გაგრძელდეს ვოკალის საათი, არადა ყველაფერი გათვლილი მაქვს.

შესვენებას ვაცხადებთ. სამხარეულოში გავდივარ. იქ თბილი ჩაი ან „ნესკაფე“ მულოდება ყელის „ჩასარბილებლად“.

– დღეს როგორ მოგნონს ჩემი ხმა? – ვეკითხები ნაირას. იგი ფანჯარაში იცქირება. – როგორ ჟღერდა „გენაცვალე?“

ნელა ბრუნდება ჩემსკენ, თვალეზში ცრემლები უბრწყინავს, ნიკაპი უთრთის. თითქმის ჩურჩულვით ამბობს:

- ღმერთო, რა დაგიშავე ასეთი?.. ნუთუ ერთი ჩვეულებრივი კაცი მე არ მეკუთვნოდა?

### პოეტის შემოქმედებით სალამო და „ო, სოლე გიო“

1999 წლის 17 მაისს თბილისის რკინიგზის მუშაკთა კულტურის ცენტრში გაიმართა ცნობილი პოეტის ფრიდონ ხალვაშის შემოქმედებითი სალამო.

ისე მოხდა, რომ მის ბათუმელ თანამოკალმეებთან მხოლოდ მე აღმოვიჩინდი იქ.

ჩვენი თანაქალაქელის ჯემალ ჩიჩუას მეურვეობით მოენყო ის სალამო. ჯემალი ცნობილი ქორეოგრაფია. მაშინ თბილისში ცხოვრობდა და კულტურის ცენტრის სამხატვრო ხელმძღვანელად მუშაობდა.

როგორც კი თავისუფალ დღეებს მოიგდებდა, მაშინვე ბათუმს ენვეოდა. ასეა, ნაღდ ბათუმელს ვერც თბილისი შეცვლის და ვერც ნიუ-იორკი.

კარგი სალამო იყო.

შეც გამოვედი და ჩემებურად მოვეფერე ფრიდონს. დარბაზის რეაქციის მიხედვით - არცთუ ცუდად.

ალეკო ხომერიკმა მისებური ზავითი იმღერა „გენაცვალე“ და „გრენადა“. კინალამ გადარია ხალხი.

მეორე განყოფილება მტკვარზე გადამდგარ რესტორანში შედგა. ადრე „თევზის რესტორანს“ რომ უწოდებდნენ.

ბატონი ლევან სანიკიძე ავირჩიეთ თამადად.

მაღალპროფესიულად უკრავდნენ მუსიკოსები.

ალეკომ ბოდიში მოიხადა, დაღლი-

ლი ვარო, და მალე რესტორანსტორანი.

სცენაზე მაშინვე ავარდა ახოვანი, შავნერულვაშიანი ბრგე ახალგაზრდა კაცი.

„ვანო ხუხუნაიშვილს ჰგავს“, - გავიფიქრე.

დავაკვირდი, არა, ის არ იყო.

- ბატონი ალექოს თანდასწრებით ვერ ვიმღერებდი. - თქვა მან. - ღმერთს ვეხვეწებოდი, ნავიდეს მეთქი და არ ამისრულა!

თბილისზე შეასრულა სიმღერა. ლალიძის არა, სხვისი. კარგად მღეროდა. ძლიერი ბარიტონი ჰქონდა, ხორციანი და ხავერდოვანი.

დარბაზში ტაშმა იქუხა.

- ვინ არის? - ვეკითხები ემზარ კეიტაიშვილს, ემზარი - ტარიელ ჭანტურიას, ტარიელი - ფრიდონს. ხალვაშს, ცხადია. ბოლოს ანზორ ერქომაიშვილს აღმოაჩნდა შედარებით ზუსტი მონაცემები.

- ბანკირია. ამ პურმარაილის სპონსორი. კონსერვატორია რომ დაამთავრა „პერესტროიკა“ დაიწყო და აირია ყველაფერი. სიმღერისათვის ვილას ეცალა, და ფინანსებში ნავიდა. ახლა ერთ-ერთი ბანკის პატრონია.

მე ალტაცებით ვუკრავდი ტაშს მომღერალ ბანკირს.

- რაკი ემღერება, კარგად აქვს საქმე ბანკში, - მეუბნება გულიყო გაბაიძე.

სუცებ, ვგრძნობ, ყველა ბათუმელი მე შემომცქერის.

ჯემალ ჩიჩუა სადაცაა „ადამის ვაშლს“ გამოიღებს ორი თითით.

ბატონი ჯემალ გოგიტიძე ამბობს:

- არ იფიქროთ, ჩვენთან, ბათუმში, ნაკლებად მღერიან. ამაში მალე დარწმუნდებით.

მე უარზე ვდგევარ. დაღლილობას



ვიმიზეზებ. კარგა ხანია ხმა საერთოდ არ ამომიღია-მეთქი.

არაფერი ქრის.

ბოლოს ბატონი ფრიდონის ქალიშვილები მერი და მზია ერევიან საქმეში და მეც ვნებდები.

- ცოტა ხანს ვაცალოთ მაინც, - ბარიტონზე ვამბობ, - შეირგოს თავისი წარმატება.

ღვეან სანიკიძე ჩემს მხარესაა.

- ამ ერთ სადღეგრძელოს ვიტყვით და მერე სცენაზე უნდა ახვიდე. მამ, ხელოვნებას გაუმარჯოს, ბატონებო! - და ანტიკური ხანიდან მოჰყვა.

სცენაზე ავდივარ.

- მე პოლიტიკოსი არ გახლავართ. ქართველებს შორის, თბილისსა და ბათუმს შორის, მხოლოდ სიყვარულის, თანადგომის, ხელოვნების, ლიტერატურის, ერისა და ქვეყნის აღორძინების პოლიტიკას ვცნობ და ვემზრობი. ჩემს წინ გამოსულმა ახალგაზრდა კაცმა ჩინებულად იმღერა და ხელთათმანი ისროლა - ვინ არის ჩემზე უკეთესიო. მე ჰაერშივე ვიჭერ და ვღებულობ გამონვევას. მხოლოდ ასეთი გამონვევები ყოფილიყოს თბილისსა და ბათუმს შორის, ბატონებო! მე ვსვამ ხელოვნების სადღეგრძელოს! - ჭიქას ვცლი და იქვე ვდგამ. - ქართველი პოეტის საღამოზე მეც ქართული მინდოდა შემღერა, მაგრამ ქალბატონებმა მთხოვეს, რაიმე იტალიურიო...

„ო სოლე მის“ ვიმღერე.

დარბაზში ტაშმა იქუხა.

ბატონი დევი სტურუას ხმა მომწვდოდა.

- თორმეტი დღე ვიყავით ფინეთში. ერთხელაც არ წამოცდენია, რომ მღეროდა.

მომღერალ ბანკირს შემცბარი სახე ჰქონდა.

## ბათუმის „სოფაზე“

მოსანვევი მომიტანეს: მისი მისაღებად 28 ნოემბერს მაჭახლის ხეობის სოფლები იუბილეს უზდიდნენ ცნობილ პედაგოგსა და მოღვაწეს, მრავალი ორდენისა და სხვადასხვა ჯილდოს კავალერს, აჭარის უზენაესი საბჭოს ნევრს, ჩხუტუნეთის საშუალო სკოლის დირექტორს, ამ კუთხის, ალბათ, ერთადერთ ხევისბერს საქართველოში სულხან კახიძეს.

თითქმის ყველა რეგალია ჩამოვუთვალე ბატონ სულხანს, გარდა ერთისა, ჩემთვის მთავარისა, რასაც ჩვენი მეგობრობა ჰქვია.

სასწრაფოდ შეიკრიბა ჩვენი ოჯახის საბჭო. თავმჯდომარე - ნაირა ვიჯავაძე-ახვლედიანისა (იგივე ჩემი მეუღლე), ნევრი (ხაზინადარი) - მე. დღის წესრიგში იყო ერთი საკითხი - რა ვუყიდოთ?

მე: მოდი, ჩემი ერთ-ერთი ნახატი ვაჩუქოთ.

ნაირა მისთვის ჩვეულ ღრმადმნიშვნელოვან პაუზას აკეთებს.

მე: რა იყო, ქალო, ქვეყანას მოსწონს ჩემი ნახატები და...

ნაირა: ქვეყნის სახელით ნუ ლაპარაკობ. შენ რომ მოგწონს, საკმარისი არ არის. (მცირე პაუზის შემდეგ): ან მე, შენს ცოლს. (განზე): ისიც შენი ხათრით. (მამინ ყურების ანთება მანუხებდა და ეგონა, ვერ გავიგონებდი).

გადაწყდა ბათუმის „სოფას“ ბაზრობაზე გადაგვეტანა ჩვენი სხდომა.

მანქანაში ჩავჯექით და რამდენიმე წუთში იქ ვიყავით.

იმ თვისათვის იშვიათი მზიანი დღე იდგა. ქალების სექციაში მიიქცია ჩემი ყურადღება. ბრჭყვიალებდა ქალები. წითლად, ყვითლად, ცისფრად, ნარინჯისფრად, ზურმუხტისფრად - ციმციმებდა და ლივლივებდა. მოჯადოებულებივით შევყურებდით.

– მოდი, ერთ-ერთი შევეურჩით... – ვეუბნები მეუღლეს.

– მაგი დენის გარეშე მხოლოდ შზის სხივებზე ბრჭყვიალებს, – მახვილგონივრულად მომიჭრა მან. (მოგახსენებათ ში ოქტომბრის მოვლენების შემდეგ ერთხანს ჩვენთანაც იშვიათი გახდა შუქი.)

ერთ-ერთ დახლზე ლამაზი პაკეტები აწყვია.

– ეს რა არის? – ვეკითხები გამყიდველ გოგონას, რომლის ასაკი ჯერ კიდევ სასკოლოს არ უნდა იყოს გადაცილებული.

– მამაკაცის ნიფხავ-პერანგია. – ადრე, ამის თქმაზე, შორიახლოს მდგარი ქალიშვილები ყურებადმდე განითლდებოდნენ. ახლა ისე პატეთიკურად ამბობს ეს გოგონა, მოდი და, ნუ იყიდი.

– კარგია, ვაჩუქოთ. კაცს სამოცდაათი წელი შეუსრულდა და სითბო ესაჭიროება, – ვამბობ მე.

– ისეთი ვაჩუქოთ, რომ... გამოჩნდეს.

– შე კაი ქალო, ამას, აი, აქ – ღილი აქვს. თუ უნდა, გაიხსნის და...

– პო, რასკვირველია... აი, აქა აქვს ღილი, – საქმიანად ერთვება გოგონა და ნიფხავზე უცაცუნებს თითებს.

მე და ნაირა ძლივს ვიკავებთ სიცილს. რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით ვიჯერებთ გულს.

– რაკი სითბო ესაჭიროება, – ამბობს ბოლოს იგი, – მოდი, აი, ის პულოვერი ვუყიდოთ.

– თანახმა ვარ. სულხანი ინტელიგენტი კაცია და პალსტუხის გაკეთება უყვარს.

– პოდა გამოჩნდება...

– პალსტუხი, – ვაზუსტებ მე, – თანაც ღილების გახსნაც არ დასჭირდება.

– მაშინ ამოიღე.

– ახლავე...

ჩემი ხელის მოძრევით ვეჭვობ ჩვენს იხრება და ჩუმად შევხვდებით.

– შეიშალე?! ფული ამოიღე-მეთქი. ნაყიდით კმაყოფილები ვართ.

– რაც შენ ახლა იანგლე, იქ არ მოყვე, – მაფრთხილებს ცოლი.

– როგორ შეიძლება! – დაბეჯითებით ვპასუხობ.

მე, მოგახსენებათ, სიტყვის კაცი ვარ. „იქ“ ეს ნამდვილად არ მომიყოლია.

## ახალგაზრდა იასან ვენებანი

მე ფინანსისტი არა ვარ. მრავალ უწყებაში მიმუშავია ხელმძღვანელად და ცხოვრებამ დამარწმუნა, რომ ფინანსები ჩინურსა ჰგავს, ჩინელებმაც რომ არ იციან.

გამომცემლობაში რომ ვმუშაობდი, მახსოვს, ჩვენს ბულალტერს ვკითხვე:

– როგორ შეგიძლია მთელი დღის განმავლობაში იჯდე და მაგ ციფრებს უკირკიტებდე. ყოველ დღე ერთი და იგივე არ მოგწყინდება?

ბულალტრისაგან (ჩემი აზრით) მოულოდნელი პასუხი მივიღე:

– ციფრები ჩემთვის იგივეა, რაც მუსიკოსისათვის ნოტები. ერთიცა და მეორეც, თუ ნიჭიერადაა დალაგებული, სიმფონიად იქცევა.

იასა ჩავლევით შვილი პროფესიით ფინანსისტია. მრავალ ორგანიზაციაში უმუშავია პროფილით. ბოლოს ფინანსთა მინისტრიც იყო.

დღეს იგი „ყოფილია“.

იმხელა თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგ უცებ გახდა უმუშევარი.

სახლი, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, ზღვის პირას დგას. დილაადრიან ვდგებით და პირსახოცგადაკიდებულები, ზღვაზე მივდივართ. იასა თით-



ქმის ყოველთვის მასწრებს. მერომ გადავდივარ პლაჟზე, იგი ზღვაშია უკვე ხელს შორიდან მიქნევს.

ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცია. ენერგიით სავსე. აკურატული. ცურვა იცის, გეგონება, ყოველი მოძრაობა გააზრებულ-გათელილი აქვსო. უხმაუროდ ასწევს ხელს და ჩააცურებს წყალში, ასწევს-ჩააცურებს.

იამა ძალიან განიცდის თავის დაუსაქმებლობას.

ნაპირიდან საკმაოდ შორს ვართ. იამა შეუპოვრად მიიწევს წინ.

დროა დავბრუნდეთ.

- უმუშევარ კაცს ზღვაში შესვლის უფლება აქვს? - არ ვიცი, რატომ მოუვიდა თავში ასეთი უცნაური შეკითხვა.

- შესვლის - კი, - ვპასუხობ, - გამოვლის - არა.

### შუამთოგაზა

- ხემიდავ, ერთი იგი ამბავი თქვი, ექიმთან რომ იყავ...

- შეიშალე, ჭო?! მაგი თქვენთან მოვეყვი, მწერალთან არ ითქმის.

- ბეჩო, მწერალთანა მოყვე, რომ ქვეყანამ გეიგოს, თვარა ჩემთან გინდ ვითქვამს, გინდ არა.

- ჰო, კაი აბა. ერ დღეს ჩემი ქალი შემომიჩნდა, ექიმთან წაი ხემიდავ, რაცხა შენი ფერი აღარ მომწონსო. წაი და წაი, წაი და წაი...

ჩავიხედე, ჭო, სარკეში. იქით შევატერიალე თავი, აქეთ შამუატრიალე. რაცხა მეც არ მომწონა ჩემი ფერი. ავდექი, ჩვევი ბათომში. ჩვენს სოლომონას ვენვიე. ფუტკარაძეს. მოკლედ, გვეშინჯე ყოლისფრით და დავბრუნდი სახლში.

ქალი მეკითხება:  
- რა გითხრა სოლომონმა?  
- პაპიროზი არნა მოწიოვო, - ამოვიოხრე.

- ე, ხომ გებნეოდე, ქველ გუფუნევი?! დღეი არ იცოდე, რა ღმერთი კიდებული გქონდა იმასავით... კიდო?

- სასმელი არნა დალიოვო.

- ააშენა ღმერთმა სოლომონაი. ყოველ-დღე თრალი, ყოველ-დღე თრალი. რა კაცი გუფდებდა მაგას. სხვა აფერი უთქვამს?

- ქალთან არნა დანვე-ო.

ერთხანს გაჩერდა ჩემი ქალი, მერე:

- მაგ ექიმებს ყოლიფერი კი არნა დუუჯერო, ხემიდაე!

### ქველი ბლოკნოტიდან

ჩემს უჯრაში ძველ ბლოკნოტს ვანყებები. ვფურცლავ:

ხიხაძირი:

- ფეზლაის პრატი (გოგო) რომ მეიტაცეს, გახსოვს? ჰო, ამ სამი წლის წინ იყო მაგი. შეიშალენ, გო, ფეზლაი და სვეიეი. უძებნიან, უძებნიან, თველი დუნია შემუშველიან თურმე, ბოლოს ერ სოფელში უნახავთ. ამასობაში რამდენიმე დღეიც გამშპარა.

გამშარდა ი მათი პრატი და ჩიხუტა მშობლებს. ეხუტება და ტირის: ჩემო კარქო ნე-ნიიი, ჩემო კარქო ბაბიი... - აღვარღვალეებს ა-მსისხო კურცხლებს, - ჩემი ბრალი არ იყო-ო, ნენი და ბაბი-იი!..

- არაფერია, შვილო, - ეფერებიან ხან სვეიეი, ხან ფეზლაი, - დანყნარდი ახლა, - რა ქნან, ეშინიათ არ მოიკლას თავი ერთადერთმა გოგომ. - მაგინს ჩვენ მუშველით, შვილო. შენ კი იმფო კარქათ გაგათხოვებთ. ნამოი ახლა სახში!..

- ა-არა, ბაბავ და ნენვე, აა-არა! - პასუხობს თურმე ი მათი პრატი, - მე თელმა სოფელმა დამასო აქ და ნამსველელი აღარსად ვარო.

- ჰი-ჰი-ჰიიი!..



## შეხვედრა ქართული კინოს ვარსკვლავებთან

1996 წლის მარტის პირველ რიცხვებში ჩვენი ქალაქის ქუჩებში გაჩნდა აფიშა: „ქართული კინოს ვარსკვლავებს მიესალმებიან ბათუმელი ჯენტლმენები“. შეხვედრის ორგანიზატორი და წამყვანი იყო ქალბატონი მზია კვირიკაშვილი – ქართული ესტრადის მშვენიერა, სიცილის დედოფალი და მომღერალი.

დიდ ნიჭთან ერთად უფალს დიდი ჭკუაც უბოძებია ქალბატონი მზია-სათვის.

რა კარგად მოუფიქრებია ყველაფერი.

მარტი – გაზაფხულის პირველი თვე.

ქართული კინოს ვარსკვლავები – უმშვენიერესი ქალბატონები.

ბათუმელი ჯენტლმენები.

ასეთი შეხვედრა, აბა, ვის არ დააყენებს ინტრიგის (საუკეთესო გაგებით) ხასიათზე.

გამოცოცხლდა ჩვენი ქალაქი. სულ მალე დადგინდა, რომ ჩვენი სტუმრები იქნებოდნენ ქართული კი არა, მსოფლიო კინოს ვარსკვლავები – ლეილა აბაშიძე, მედეა ჩახავა და ლია ელიავა.

ბათუმში, მოგეხსენებათ, ჯენტლმენების ქალაქია. მათ შორის, ალბათ, განსაკუთრებულთ ხედება პატივი მიესალმოს ამ ღვთაებრივი სილამაზის ქალებს, ვფიქრობდი.

ჩემს განცვიფრებას არ ჰქონდა საზღვარი, როცა გავიგე, რომ მათ შორის მეც ვიყავი.

ბათუმის სახელმწიფო თეატრის კედლებს მრავალი მშვენიერი შეხვედრა, კონცერტი, საღამო, იუბილე ახსოვს.

ასეთი – არა.

დარბაზი გაჭედებული ზღაპრის, ყვავილების მთებზე მთხრანად თავი დაეხარა სამ ულამაზეს ქალს. დარბაზში ტაში არ ცხრება. უმრავლესობა ხომ პირველად ხედავს მათ. ეკრანის გარეთ, ცხოვრებაში. ასე პირისპირ. ეს თითქმის ზღაპარსა ჰგავს!...

ქალბატონი მზია აცხადებს:

– ვინცებთ ჩვენს ლამაზ შეხვედრა-კონცერტს. ჩვენს ძვირფას სტუმრებს – ქართული კინოსა და თეატრის ამ ღვთაებრივ ვარსკვლავებს პირველი მიესალმება... პირველი კი იმიტომ, რომ იგი მართლაც ჯენტლმენია... აჭარის ტელერადიო დეპარტამენტის თავმჯდომარე, მწერალი... – და ასე შემდეგ, – ბატონო ვახტანგ, გთხოვთ... თქვენთვის ჩვეული იუმორით...

მე (მიკროფონთან ვდგები): რომ დავბადებულეარ, მომიტარებია მზერა და ვარსკვლავებისათვის მიმიპყროა. მას შემდეგ მიყვარს ვარსკვლავები.

ქ-ნი მედეა: რა სქესის იყვნენ ის ვარსკვლავები?

მე: ულამაზესისა, ქალბატონო მედეა, უმშვენიერესისა. სიყვარულისათვის რომ ჯილდოებს იძლეოდნენ, ახლა ამ პიჯაკზე ხუთი ვარსკვლავი მექნებოდა.

რა მე და რა ბრეფნევი.

პატარა ვიყავი, მგონი ხუთი თუ ექვსი წლისა, „ქეთო და კოტი“ რომ ვნახე. მედეა ჯაფარიძის სილამაზემ გამოაგნა ბავშვი.

ეპ, ცოცხალი რომ ყოფილიყო, მჯერა, ქალბატონი მზია აუცილებლად ჩამოიყვანდა ბათუმში.

გავიდა ცოტა ხანი და ეკრანზე გადაიშალა „ნარინჯის ველი“. მეც გავფრინდი ამ ჯადოსნურ ველზე ზღაპრული სილამაზის დოდო ჭიჭინაძესთან ერთად. შეუძლოდ ყოფილა ქალ-



ბატონი დოდო, თორემ ჩვენი სტუმარი იქნებოდა უთუოდ.

არ ვიცი რამდენ ხანს ვიფრინე ასე. ერთ დღეს ისევ კინოთეატრში ამოვყავი თავი.

უცებ: – „აბადელი-დელი-დელი-დელია!..“ შემოცქრილდა ლეილა აბაშიძე... შემოცქრილდა და გადაირია ქვეყანა. მე მაშინ შეღერლეტებაში შედვიოდი და რა გასაკვირია, მეც გავბეჩებულყავი...

ვიფიქრე, ჩავალ თბილისში, მოვძებნი ამ ლამაზ ქალს და ვეტყვი რომ სიცოცხლეს მიჩვევია. ამ ფიქრებში ვარ გახვეული, რომ ქალების საუბარი ჩამწვდა:

– რაღა შეშალა ე კაცები ლეილა აბაშიძემ. ჩემი ქმარი სიზმარშიც მის სახელს აბოდებს. ვერ უნდა მიხთე, რომ ი ქალი შენ არ მოგინებს?..

– ბეჩები არიან, გო, ბეჩები.

უცებ გავჭვრიტე ყველაფერი: მე რომ იმათ რიგში ჩავდგე, ერთი სიცოცხლე არ მეყოფა ლეილასთან მისვლამდე – მეთქი.

ქ-ნი ლეილა: თქვენ, ალბათ, რიგის ბოლოში იდგქით?

მე: სხვათა შორის, მოვიხედე და კაი დიდი რიგი ჩემს უკანაც იდგა. „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს, კარგისა მამაციისაგან,“ – მომაგონდა ქართული ანდაზა და მისმა სიბრძნემ ჩამომიყვანა ღრუბლებიდან.

ჯერ კიდევ არ ვიყავი ქალბატონი ლეილას სიყვარულისაგან განკურნებული, რომ... რალა ბერი გავაგრძელო მეგობრებო... თქვენ ახლა ნახავთ ნანყვეტებს კინოფილმიდან „გლახის ნაამბობი“. იქ ერთი უმშვენიერესი ქალი გარდასახვის საოცრებებს ახდენს. ნახავთ მისი უღამაზესი თვალ-ნარბის მომწუსებელ შემოხაზულობას, სასწაულებრივად სექსუალურ ჩალიმილე-

ბას და მიხედებით, რადღაც ვარდებოდი.

ქ-ნი მედეა: რამდენი წლის იყავით მაშინ?

მე: ზუსტად იმ ასაკისა; ქალბატონო მედეა, რომელიც ჩანაფიქრს... ახორციელებს.

ქ-ნი მედეა: რატომ დაიგვია-ნეეთ?

მე: შემამინა ერთმა აბდუშაპილივით კაცმა. თურმე, რა გაშინებს, შეკაცო. ამასთან არაფერი საქმე არა მაქვს. მაგრამ, რომ შეუხედე, მზრები – აბა! მოდი და ნუ შეგეშინდება...

შემოფრინდა უცებ ღია ელიავა. ნაზი, სათუთი, იასავით მორცხვი, ნატიფი გოგონა. სანდრო ბოტიჩელის „სამი გრაცია“ ხომ გინახავთ, იქედან ყველაზე გამჭვირვალე, ლეთიური ანგელოზი... ყველაფერი გადამაინყდა უცებ.

ვიფიქრე, ეს მეხუთეა-მეთქი. ხუთი კარგი ციფრია და აბა, შენ იცი! – შევიგულიანე თავი.

მაგრამ ბედი არ მწყალობს და ესაა! უცებ ჩვენს შორის აღიმართა ორმეტრიანი ოთარ კობერიძე. შევხედე – ლამაზი კაცია. არა, მეც არ გახლდით ცუდი ბიჭი, მაგრამ... სწორად შეაფასო მეტოქე – ესეც კარგი თვისებაა მგონი.

არადა... ი-იმხელა რად გინდა. ქალებს, ჩემო ბატონო, დიდი გული აქვთ. იმხელა – უშველებელი რად გინდა.

აგერ, ჩვეულებრივი არ სჯობია? დარბაზში იფეთქა სიცილმა. მერე გრიგალივით გადაუარა ტაშმა.

მე: ჩვენ, ადამიანები, მოგვხსენებათ, ოცნებისათვის ვართ გაჩენილნი. განსაკუთრებით, ამ არეულ-დარეულ დროში.

ჩვენი დღევანდელი სტუმრები

მართლაცდა საოცნებონი არიან, ვარსკვლავებოვით იდუმალნი, ნატურასავით მშვენიერნი, ველის ყვავილივით ნაზნი და ნატიფნი.

მათ საპატივცემულოდ შემოგთავაზებთ რუსულ რომანს „Гори, гори, моя звезда“.

როიალთან – ქალბატონი ტაისა თარხნიშვილი.

იმ საღამოს ბედნიერები ვიყავით – მეც და მაყურებელთა დარბაზიც. ბედნიერი იყო ქართული კინოს სამი მშვენიეზაც – ლეილა აბაშიძე, მედეა ჩახავა და ლია ელიავა.

ჩემი თაობის მამაკაცების გასაგონად ვამბობ ახლა:

რამდენი ღამე თეთრად გაგვითენებია მათზე ფიქრითა და ოცნებით, გახ-სო-ო-ოვით?

ეჲ, რა კარგები ვიყავით მაშინ!

● ბაზარში უმთავრესად ჩემი მეულღე დადის.

ხანდახან მეც მომიწევს ხოლმე.

– აბა, კაა-გი პომიდო-ი, ქედის პომიდო-ი, კაა-გი პომიდო-ი! – ქედელუბი „რ“ს არ სცნობენ.

– რა ღირს? – ვეკითხები ახალგაზრდა ქალს.

– ეე-თი ღა-ი და ოცი თეთ-ი.

– ეგ ოცი თეთრი, ალბათ, დასაკლებზად?..

– აა-ა, ბიძავ, აა-ა... იმა ქვეშ ვე-ევიზამ!

### დილაადრინან ზღვისპირა პარკში

დილის ექვსი საათიდან ვგროვებებით ზღვისპირა პარკში და ვინყებთ ვარჯიშს. საკუთარ ღიებებს და კარზე

მომდგარ ასაკს ვეზრებით თავგანმოდებით.

– გუშინ რატომ გააცდინე?

– შევუბერე.

– სად?

– „სალილინოში“.

– რამდენი?

– ოთხი ბოთლი.

– გვარიანია.

– აბა! ნყალში ჩავყარე ამდენი ნავარჯიშევი.

– კაცო, გაანებე თავი მაგ პანტილებს. მსუბუქი ვარჯიშები შეასრულე. გაიგე, არ შეიძლება ეგრე გადატვირთვა დილით.

– მოეშვი... ეგ შენთვისაა დატვირთვა. ვერ ხედავ, რამხელა მუტრუკია?

– მაგაზე ნაკლები მუტრუკი კი არ იყო, გუშინ რომ ინფარქტით განვა.

– მერე? როგორაა ახლა?

– ყოფნა-არყოფნის საკითხს ნყვეტს.

– საბრალო...

– გამარჯობათ, ყმანვილებო!

– ვაჲ, თინიკო, არ მოგვეკალი ლოდინით?! ნანა სადღაა?

– ბავშვი გაუხდა ავად.

– გრიპით?

– ჰო. ბადმინტონი ვითამაშოთ?

– თქვენთან, ჩემო თინიკო, ბადმინტონი რა ყოფილა...

მეზობლის მუჯღლუგუნო.

– ენა, კრეტინო!..

– ისე, კაი ქალია, არა?

– რაც არი, არი!

– ორმოცდაორის ყოფილა, ნარმოდიდგენიათ?

– არ გადამრიო!

– შეხედე შენ...

– კა-ააი ქალია.

– კი-ჰჰ!

– კაცო, რომ უღანუნებ მაგ ჩოგანს, ქალს ეთამაშები, ქალს. ნაააზად, რბიიილად... კიდევ! მომეცი, გაჩვენო.



- პირიქით, პირიქით... ლიუბლიუ  
ოსტრიე ამჩუშენია.

- გვიგონე? გვიგონე? ესეც მე ვარ?  
- ნუ ხარ შენ მოლრეკილი გონების  
კაცი!

- რამ გამოგაშტერათ, ხალხო! აბა,  
ახლა გავივრბინოთ ცოტაც... პოპ-  
პოპ...

და ვებრძვით ღიპებს და კარზე  
მომდგარ ასაკს.

### შარლ აზნავური, კაკო ბერიძე და მე

1999 წლის დეკემბრის მინურულია. ბათუმის სახელმწიფო კონსერვატორიის საკონცერტო დარბაზში მედიცინის მუშაკთა დღისადმი მიძღვნილი საზღვიმო საღამო ტარდება. ორატორები სიტყვაკაზმულობაში ეჯიბრებიან ერთმანეთს. ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი კაკო ბერიძე საპატიო სიგელებითა და სამახსოვრო საჩუქრებით აჯილდოებს ღირსეულთ. მასაც აჯილდოებენ. მერე, დამსწრეთა ტაშის გრიალში, აცხადებენ წლის საუკეთესო ექიმს. ეს ნოდება ენიჭება ონკოლოგიური საავადმყოფოს მთავარ ექიმს მემედ ჯინჭარაძეს. მე ამყად ვაცხადებ, რომ ბატონი მემედი მაზინჯაურელია.

სცენაზე მინვევენ. მთხოვენ, რაიმე კურიოზი მოუთხრო. აი, თუნდაც, სულ ბოლოს რომ გადამხდენია.

- ბოლო კურიოზი, - ვამბობ მე, - მოხდა დღეს, თქვენს თვალწინ, აი, ამ დარბაზში.

პაუზას ვაკეთებ  
ი-იზებლა დარბაზში ისეთი სიჩუმეა, ბუზის გაფრენას გაიგონებ.

- რამდენიმე წუთის წინ ცნობილ-  
მა სომეხმა მწერალმა ფელიქს ბაზჩი-  
ნიანმა თქვენი მინისტრი დიდი ფრან-  
გი (ეროვნებით სომეხი) მომღერლის,

შარლ აზნავურის სამეცნიერო ღირ-  
სივით დააჯილდოებდა „ლიმონქა-  
განა კურიოზი არ არის ბატონებო?  
მე ვმღერი, კაკო ბერიძეს კი შარლ აზ-  
ნავურის ბარელიეფით აჯილდოებენ!..

### „კოემა ჩემია და მე დამსაჯეთ“

1984 წელს ჟურნალ „ჭოროხის“  
ფურცლებზე დაიბეჭდა ჩემი პირველი  
პოეტური ნაწარმოები - პუბლიცის-  
ტური პოემა „მახილი“.

ცნობილია, რომ დამწყები ავტო-  
რები, უმთავრესად, ლექსებით შემო-  
დიან მწერლობაში, პროზაიკოსებად  
მოგვიანებით ჩამოყალიბდებიან ხოლ-  
მე.

ეს არცაა გასაკვირი: ახალგაზრ-  
დობა, სიყვარული და პოეზია განუყო-  
ფელი სამკუთხეა.

მე აქაც განსხვავებული ვიყავი.  
ნოველების ხუთი თუ ექვსი წიგნი  
მქონდა უკვე გამოცემული და საბჭო-  
თა კავშირის მწერალთა კავშირის წევ-  
რიც გახლდით.

სამი წლის განმავლობაში იქმნებო-  
და „მახილი“ - მეტად თავისებური პო-  
ემა.

ბათუმში მაშინ ლიტერატურული  
ცხოვრება დულდა. კარგი წიგნი მაღა-  
ზიაში არ ჩერდებოდა.

მიუხედავად მრავალათასიანი გა-  
მოცემებისა, მოთხოვნა უსწრებდა ტი-  
რავს.

წიგნებს კითხულობდნენ ქუჩებში,  
მატარებლებში, ავტობუსებში, პაემ-  
ნებზე - შეყვარებულის მოლოდინში.  
„მახილმა“ ცხოველი ინტერესი გამო-  
იწვია.

ბათუმის სახელმწიფო პედაგოგი-  
ური ინსტიტუტის სააქტო დარბაზში,  
ინსტიტუტის ენისა და ლიტერატურის  
კათედრისა და პარტიის ბათუმის სა-

ქალაქო კომიტეტის ინიციატივით, დიდი განხილვა მოენყო.

ქალბატონი ნათელა დუმბაძე – ქალაქკომის მდივანი და ყველა კეთილი ნამოწყების ინიციატორი, სტუდენტები, ლექტორ-მასწავლებლები, ქალაქის ინტელიგენცია შეიკრიბნენ იქ. განხილვა მიჰყავდა დღეს უკვე სახელმწიფო მემკვიდრეებს, მკვლევარსა და საზოგადო მოღვაწეს შუშანა ფუტკარაძეს.

ასეთი შეხვედრა პირველი იყო ჩემთვის.

აქა-იქ, ჩუმად ისიც უთქვამთ, მაგ პოემის ავტორი სულ სხვა პიროვნებააო.

ეს უკვე ნამდვილი გამარჯვება იყო. ვილაცამ ზემდგომ ორგანოებს ჩაასმინა, „ძახილი“ კრამოლური ნაწარმოებია, იგი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგაა მიმართულიო.

საქმეს ისიც ართულებდა, რომ მე მაშინ საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის აჭარის განყოფილების პასუხისმგებელ მდივანად ვმუშაობდი.

ერთ დღეს მეუბნებიან, საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი გიბარებსო.

კაბინეტის კარი რიდით შევაღე.

– აჰ, ეს შენა ხარ? – ვახტანგ პაპუნძემ ქალაღებებიდან ამომხედა.

უაღრესად განათლებული, გულისხმიერი და დინჯი კაცის სახელი პქონდა ბატონ ვახტანგს.

„მაგრამ... მდივანი მაინც მდივანია“... – ვფიქრობდი.

უჯრიდან „ჭოროხი“ ამოიღო და გადაფურცლა.

– ამხანაგებმა დისიდენტურ ნაწარმოებად მიიღეს შენი პოემა, – მეუბნება.

– როგორ გეკადრებათ.

ფესტი მარჯვებს გამომხატველბა აქვს ისეთი, სულელური სიყვარული, მეუბნება. მონიშნულ ადგილს კითხულობს:

რატომ ხდება, რატომ ხდება  
ასეთნაირად, –  
დირიჟორობს, სმენაზედ რომ  
ძალზედ მწყრალია?  
ვინ სტვირს ანვალებს, ვინ ბაიანს,  
ვინ კი დაირას,  
ვინ კიდევ რომანსს, სერენადას, ვინ  
ლათაიას.

ზოგს თვალშიბნედვით აღუპყრია  
საზანდარია,  
ზოგი კი, ხელგანვედნილი, პკივის  
არიას.

ვინ საქსაფონზე იგრიხება,  
გიფურად როკავს,  
ვინ კიდევ დაბლა დაცემულა,  
მუცელზე ხობავს,  
ზოგიც უსტვენს, ამ აზარტულ  
რიტმში მყოფელი,  
და ხარხარებს ამაზრზენად  
მეფისტოფელი...

ბნელი კრება... იგი ხვდება  
დეტონაციებს  
და უმართავს ბნელ სოლისტებს  
ბნელ ოვაციებს.

– რას იტყვი? – მეკითხება.

– ეს პოეზიაა... ზოგადი ნათქვამი, ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ქვეყნის კრიტიკა არც მიფიქრია.

საყვედურით სავსე თვალებით შემომცქერის.

– ფურნალის მთავარ რედაქტორს განთავისუფლება ელის. შეიძლება სულაც დაიხუროს „ჭოროხი“. არც იმ განხილვის ინიციატორებს დაადგებათ კარგი დღე.

ვგრძნობ მინა მერყევა ფეხებს ქვეშ.

– პატივცემულო... – ვლულულულებ, – პოემა ჩემია და მე დამსაჯეთ...



უცებ დგება. მიახლოვდება.

- დამშვიდდი, - მეუბნება, - ასე ნერვიულობა არ შეიძლება. შენი პუბლიცისტური პოემა მართლაც კარგია. გულწრფელად გეუბნები. თუმცა... მეჩვენება, რომ ზედმეტად მუქ ფერებში გვხატავ... იქნებ რაღაცას ვერ ვხვდები... - შებრუნდა და მაგიდისაკენ წავიდა. - იქნებ მართლაც მწყრალად ვართ სმენაზე?... წარმატებებს გისურვებ. ნახვამდის!

პარტიულ ხელმძღვანელობაშიც გვყავდა დიდი პიროვნებები.

● დღე არ ჩაივლის, რაღაც უცნაურს რომ არ გადაეყარო.

ტელეფონების მალაზიაში ვარ. ჩემს გვერდით შუახნის ქალბატონია. ჩანს „მოზილურის“ შექმნა სურს. უცებ ეს სიტყვა გადააინწყდა და გამყიდველს მიმართავს:

- მე ის მინდა... ბიჭებს დილიდან დაღამებამდე ხელში რომ უჭირავთ...

### საბრალო რუსთაველი

2000 წლის სექტემბრის ერთ ღამეზე დღეს ქედის რაიონის კლუტურის სახლში გაიმართა გამოჩენილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ფრიდონ ხალვაშის საიუბილეო საღამო.

გამომსვლელები ერთმანეთს ვეჯიბრებოდით ორატორულ ხელოვნებაში.

მოუხედავად რაიონის გამგებლის ჯემალ გვარიშვილის ხეწნისა, დროის სიმციროს გამო, რაც შეიძლება შეგვემჭიფროვებინა ჩვენი მისაღმებები, არაფერი გამოვიდა.

ერთმა გამომსვლელმა ყველას გვაჯობა - ნახევარი საათის განმავლობაში კითხულობდა აფორიზმებს იუბილარის ნაწარმოებებიდან.

ბოლოს მოზოდისებრი კარგად დალაშქრის გამო მხოლოდ ერთი ნაწილი მოვიყვანე ბატონი ფრიდონის შემოქმედებიდან ამოკრებილი მარგალიტებისაო.

- საბრალო რუსთაველი, - ამოვიოხრე, - მისი აფორიზმების ჩაკითხვას სამიოდ ნუთიც ეყოფა.

### ტიტო სკიპა, აურელიანო პერტილე, ენრიკო კარუზო და... ვახტანგ ახვლედიანი

80-იანი წლების მეორე ნახევარში ბათუმს დაუბრუნდა პარი ფირცხალავა - ცნობილი ბანი, მოსკოვის ფილარმონიის სოლისტი, მუსორგსკის საერთაშორისო კონკურსის „გრან-პრის“ მფლობელი.

ჯანმრთელობა უკვე შერყეული ჰქონდა. ხმაც. მაგრამ არ იმჩნეოდა. კვლავაც უყვარდა ქეიფი, სიმღერა, მოგონებები, სადღეგრძელოები, ქალები...

გრიბოედოვის ქუჩაზე თორმეტსართულიან სახლში ეცხოვრობდით. კარის მეზობლები ვიყავით. დიდი მომღერლების გრამამწერების მდიდარი კოლექცია ჰქონდა.

- აბა, გამოიცანი, ვახტანგ, ვინ მღერის? - მეკითხება.

- ტიტო სკიპა, - ვპასუხობ.

- ოპო! - უკერს. - ესა?

- აურელიანო პერტილე.

- საოცარი კაცია ხარ. აბა, ამ მომღერალსაც თუ გამოიცნობ...

- ეს ხომ კარუზოა, - ვანწყევტინებ.

ეს შემთხვევა კი 2001 წლის აპრილში მოხდა.

ოთარ მურვანიძეს წარდგენა არ სჭირდება ბათუმში. ეს პოპულარობა მას არც თანამედრობით მოუპოვებია (თუმცა ადრე ბათუმის „დინამოს“ სტადიონის დირექტორიც იყო), არც

მხარ-მკლავებზე კუნთების თამაშით, არც პარლამენტარობით...ოთარი კაი კაცია, ნაღდი ბათუმელია. ამ წოდების მოპოვება კი არც თუ ადვილია ჩვენს ქალაქში.

ერთხელ მარცხი მოუვიდა და ფეხი გადაემსხვრა. მას შემდეგ კოჭლობით დადის. ეს – ფიზიკურად, თორემ ურთიერთობაში ოთარ მურვანიძეზე წელგამართული კაცი იშვიათად შემხვედრია.

ერთხელ მისთვის ჩვეული რიდით მთხოვს:

– ვახტანგ, ფეხი მტეხს ძალიან. ალბათ ამინდის ცვალეზადობის გამო. შენი მანქანით ნამიყვანე სახლში.

– მოზრძანდი ოთარ. მანქანა იმიტომაა გამოგონებული, რომ კაცს მოემსახუროს.

ლუდის ქარხნის დასახლებსაკენ ვიღებთ გეზს.

მაგნიტოფონს ვრთავ. იტალიურ რომანსებს ასრულებს ტენორი.

– ლუჩანო პავაროტია? – მეკითხება ოთარი.

– არა... ვახტანგ ახვლედიანი, – ვპასუხობ.

## ახლანდელი მიყვარს ი გოგო

ეპ, რამდენ ქალს ჩაუვლია ჩემს ცხოვრებაში. სიყვარულიც ბევრჯერ გამომიცვლია. ნაღვლიან-ფიქრიანი ღამეები მითენებია. რას ვიფიქრებდი მაშინ, რომ ჩემი ცხოვრების თავისებურ ისტორიას ვწერდი, სადაც არაფერია გათამაშებული.

ბავშვი ვიყავ და ბავშვად დავრჩი.

ამ რამდენიმე დღის წინ მეგობარს ჩემი ბავშვობის ეპიზოდი მოვუყევი, ოთხი წლის ასაკში რომ გადამხდა. შენ გგონია, შევიცვალე? – ვუბნები, – რომ ჩავუფიქრებდი, ისევ ისა ვარ მეთქი. თვითირონით ვამბობ ამას,

ცხადია. გოგიტა კი... გოგიტა არის გოგიტაო? რა გოგიტაა? გოგიტას გვარი რად უნდა, შე კაცო. ვინ იცის, რამდენი გიორგია ჩვენს ქალაქში, გოგიტა კი – ერთი. პოდა, მეუბნება, იცი, რატომა ხარ ასეთი და არა ისეთი? იმიტომ რომ დღესაც ოთხი წლის ბავშვის გულით დადიხარო.

ეს მან დაინახა, იმიტომ რომ თვითონაც ბავშვის გულით დადის.

სიყვარული გიჟური ვიცოდი. მახსოვს, თითქმის პირტიცველა ბიჭი ვიყავი, ისე მომენატრა ჩემი გოგო, ისე, ისე!.. დილის ოთხ საათზე ნამოყვარდი და მის ფანჯრებს ქვეშ გავჩერდი. „თუ შენც გიყვარვარ, გაიღვიძებ და გადმოხედავ!.. თუ გიყვარვარ, გაიღვიძებ და გადმოხედავ...“ – ვიმეორებდი და ვიმეორებდი.

უცებ ოთახში სინათლე ჩაირთო და ლანდმა გაიარ-გამოიარა. მერე ფანჯარა გაიღო და ჩემმა გოგომ გადმოიხედა. ლოყებზე ხელები იტკიცია:

– დე-დაა!

– აქა ვარ, გო! – სიხარულისაგან შევხტი და განდაგანას იღეთი შევასრულე.

სახელი? რად გინდა სახელი, ნამდვილს მაინც არ გეტყვი. რა მნიშვნელობა აქვს. ნანა ერქვა, ანია თუ ტანია? ერთ ნუთში ჩემთან იყო... ერთმანეთს ვეხვეოდით და ლამაზ სისულელებს ვეჭურჩულდებოდით. მთელი ღამე არ მეძინაო, – მითხრა. არც – – მე, ვუპასუხე. ვიცი, მთავარი მაინც სხვააო. ვინრიალე, ვინრიალე ლოგინში და უცებ ვინატრე, თუ გიყვარვარ, თუ მართლა გიყვარვარ, ადგები და მოხვალ – მეთქი.

მიყვარხარ და იმიტომ მოვედი, – ვპასუხობდი.

იმ დილაადრიან, ალიონზე, დიდი ეკალიპტის ქვეშ... ორივემ ჩვენი უბინოება მიუძღვევით ერთმანეთს.



ემ, ახლაც მიყვარს ი გოგო, ზაფხულის მაშინდელი დილა, დღესაც მომრიალე დიდი ევკალიპტი და ჩვენი მოუხერხებელი ფართიფურთი...

**„ის კი ოლსული ძიაა...“**

ჩემი პირმშო – ხათუნა მეტად ცნობისმოყვარე, ტიტინა და, ამავე დროს, ფიქრიანი ბავშვი იყო. ორი წლისა, ჩამჭიდებდა ხელს და ფეხით შემოვივლიდით თითქმის მთელ ქალაქს. მე ვიღლებოდი, ის – არა. უფრო მეტად მისი დაუსრულებელი შეკითხვები მქანცავდა.

ერთ მშვენიერ დღეს მივხეირნობთ მე და ხათუნა. უცებ მისი ყურადღება ახალგაზრდა ქალმა მიიქცია. ძალიან გამხდარია ქალი, მუცელი კი დიდი აქვს.

ხათუნა შარვლის კალთაზე მექაჩება.

– მამიკო, რატომ აქვს იმ დეიდას ასე დიდი-დიდი მუცელი?

– ორსულია და იმიტომ.

– რა არის ორსული?

– იმ ქალს მუცელში პატარა ბაია ჰყავს.

ხათუნას თვალები უფართოვდება.

– რატომ ჰყავს მუცელში?

– იქ იზრდება, იზრდება და მერე გამოვა.

ხათუნა შეფიქრიანდა.

– რომ ვერ გამოვიდეს?..

– აუცილებლად გამოვა, – დაბეჯითებით ვპასუხობ.

ცხადია, ჩემი პასუხით კმაყოფილი არ არის. ველარც შეკითხვას ბედავს. ჩაფიქრებული მომდევს. მუცელში გამომწყვდეული ჩვილის საცოდაობით იტანჯება.

დაახლოებით ორი თვე გავიდა იმ დღიდან.

მე და ხათუნა ზღვისპირა პარკში ვართ. მე ძელსკამზე ვზივარ და გაზეთს ვათვალთვლი. ის გაზონებში

დარბის და პატარ-პატარა ფუთვები ყვავილების თაიგუდს აკეთებს. ხულობ და თვალს არ ვაშორებ ჩემს კუდრაჭას.

ვიცი, რომელიმე თქვენგანი შემედავებით ახლა, როგორ შეიძლება გაზეთს კითხულობდე და თან ბავშვს თვალს არ აცილებდეო. ეს რომ გაიგოთ, საჭიროა გყავდეთ პატარა და სასეირნოდ ატარებდეთ.

უცებ, ვხედავ, ნამოხტა ჩემი პატარა. მის მზერას ჩემიც გავაყოლე. შორიახლოს, ძელსკამზე ახალგაზრდა სქელუა ჩამომჯდარა. არა, დახვავებულა. დიდი ღიპი მუხლებშუა დაუსვენებია და ცხვირსახოცით მელოტ თავს იმშრალებს.

ხათუნა უცებ იბადრება, თითს უცნობისკენ იშვერს და მეძახის:

– მამიკო... მა-მიკოოო!... ეს კი ოლსული ძიაა. ცოტა ხანში ჩემსავეთ პატარა და ლამაზი ბაია ეყოლებათაა!..



ჩემი გოგონა – ზეინაბი პატარაობაში სიცვლქითა და დაუდგრომლობით გამოირჩეოდა. თუ არ ცვდები, მესამე კლასში სწავლობდა მაშინ. თამაშობისას კარადას დაეჯახა.

დგამის თაგიდან ყვავილებიანი ქოთანნი გადმოვარდა და დაიმსხვრა.

ჯგუფის ახალგაზრდა და ძალიან ლამაზმა დამრიგებელმა – დედაშენი მოიყვანეო.

ზეინაბი ეკითხება:

– მა-აასნ!.. მამაჩემი არ გირჩენიათ?

**ასა მემართება სულ...**

ივლისის მინურულის უღამაზესი დილაა.

ცაში მიმოფანტულ ღრუბლების



ნამცეცა ფთილეს ალიონის ცეცხლი  
ნაპიდებია.

გრიგოლ ორბელიანის საოცარი  
ბგერნერით შექმნილი სურათი მაგონ-  
დება:

«ცისკარმან აღმოსავლეთი ვარდისა  
ფერად შელება,  
ცას სიხარული მოჰფინა და ქვეყანა-  
სა მშვენება.»

აენთენ ცეცხლის ალებრივ შორს  
გაბნეულნი ღრუბელნი,  
ცა მშვენიერობს, ნათდება, მასა შეჰ-  
ხარის მხილველნი.»

დილაადრიან მიყვარს ზღვის პირას  
გასელა. მიუყვები ფიჭვებს შორის  
დაკლაკნილ ბილიკს და ვფიქრობ, რა  
დიდებულია ბუნება, რა იდუმალებას  
ფლობს იგი. გუშინდელი რიფრაფიც  
ასე წყნარი იყო. მზეც ასე ჰყვოდა  
მთებს მიღმა. მაგრამ ასე არ ბრიალებ-  
და ღრუბლები და არ ჩურჩულებდა ნი-  
ავი. ასე არ კრუჭუნებდნენ ბულბულე-  
ბი. ასე არ ეფერებოდა ნაპირს ციციქნა  
ტალღები...

უნივერსიტეტის შენობასთან, დი-  
დი მაგნოლიის ქვეშ, ძელსკამზე,  
წყვილი იჯდა. მუხლებზე კონსპექტე-  
ბი გადაეშალათ. ვაგს გოგონას ხელი  
ეჭირა.

არა მგონია, მათი გონება ახლა გა-  
მოცდებით ყოფილიყო დაკავებული.

«ნეტავი თქვენი!» – გავიფიქრე.

უცებ ფეხი რალაცაში ჩაეფლო.

ასე შემართება სულ – საკმარისია  
გამეხარდეს რაიმე, სიბინძურეს გადა-  
ვეყრები მაშინვე.

## პასტელი საღვავსაც კვია

ჩემი ნახატების გამოფენაა.

ერთ-ერთ სურათზე შიმველი ქა-  
ლის ფიგურაა. ნახატი ზეთოვანი პას-  
ტელითაა შესრულებული.

ერთი ფრიად მომბრუნველი და კი-  
დევე უფრო თავდაჯერებული ნახა-  
ტონი (რომლისგანაც გარკვეულ სიმ-  
პათიას ვგრძნობდი და, შესაბამისად,  
ახლო მომავლის გეგმაშიც მყავდა  
გათვალისწინებული), ნახატს უახ-  
ლოვდება, ყურადღებით ათვალეი-  
რებს და ამბობს:

– პო-ოო!.. – კიდევე უფრო ახლო მი-  
დის.

«სალებავი აინტერესებს, ალბათ»...  
– ვფიქრობ.

– ეს... – ეცდილობ აეუხსნა, – პას-  
ტელში დაეხატე...

ქალი შეცბა. მწყრალად შემომხედა  
და მესროლა:

– მე არ მიკითხავს თქვენთვის, პას-  
ტელში ნებიურობდით მასთან თუ პრი-  
როდაში! – უცებ შებრუნდა და მხარს-  
ზემოდან მომიგდო, – არც მაინტერე-  
სებს! – და პაკაპუკით დატოვა დარბა-  
ზი.

მე და თამაზ გოგირიძე ზღვისპირა  
კაფეში ნაყინს შევექცევით. 1996 წე-  
ლია. თამაზის ძმა – თემური ერთ-ერ-  
თი ნარმატებული ბიზნესმენია აჭარა-  
ში.

ვზივართ უბრად, საკუთარ ფიქ-  
რებში ჩაძირულები.

უცებ თამაზი მეკითხება:

– ვახტანგ, რას იზამდი, მოულოდ-  
ნელად შენს ჯიბეში ათასი დოლარი  
რომ აღმოაჩინო?

– ვფიქრებდი, რომ შეცდომით შე-  
ნი ძმის შარვალი ჩამიცვამს, და და-  
ვუბრუნებდი... შარვალს – ვპასუხობ.

## ნათელა

1987 წლის მარტი უჩვეულოდ ცი-  
ვი და სუსხიანი იყო აჭარაში. თვენა-



ხევარზე მეტი ვინეტი საავადმყოფოში. გაუმჯობესება არ მეტყობოდა.

პატარაობიდანვე დაუმორჩილებელი ხასიათი დამეყვა. მთელი ძალითა და ნებისყოფით ვებრძოდი სენს. არც ის აღმოჩნდა დამყოლი. რალაც ძალიან უტევდა გულს... მიჭერდა, მინნებდა, მიჭექქავდა.

- თბილისში უნდა გადაიყვანოთ, - ურჩიეს ჩემებს ექიმებმა..

ჯერ კონსულტანტი გამოიძახეს დედაქალაქიდან. მან გულდასმით მომისმინა და ორად-ორი სიტყვა თქვა:

- ამლამვე... მატარებლით!..

თბილისის კლინიკაში უკეთესობა ვიგრძენი.

ერთი თვე მკურნალობდნენ აქაც.

- ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, - მუბნება ერთ დღეს პროფესორი ნთლანაძე, - თქვენ გონიერი კაცი ხართ და პირდაპირ გეტყვით, გულთან ალბათობის თამაში არ შეიძლება. მოსკოვს უნდა გაემგზავროთ. თუ აუცილებელია, ოპერაციასაც გაგიკეთებენ.

მე მადლობა ვუთხარი და კონვერტი გავუწოდე.

- როგორ გეკადრებათ! მე ცეკადან დამირეკეს თქვენს შესახებ... იქედან დამავალეს...

„ცეკადანო?.. ვინმეში ხომ არ შევეშალე?“

- ვინ დაგავალათ? - უკვე სიდინჯესა და თვითდაჯერებას ვგრძნობ საკუთარ თავში.

- აჭარიდან გვთხოვესო. პარტიის საოლქო კომიტეტიდანო. ეს კაცი გვჭირდება და მის გადასარჩენად ყველა ღონე იხმარეთო. ეგ კი, - თვალთ კონვერტზე მანიშნა, - მოსკოვში უფრო დაგჭირდებათ.

ბათუმში ჩასვლისთანავე ქალბატონ ნათელა დუმბაძეს დაფურეკე.

- მე უკვე აქა ვარ, - ვუბნები.

- მართლა? როგორნა? თან როგორ გრძნობ?

- უკეთესად. დიდი მადლობა პატრონობისათვის.

- არაფერს. მოიცადე... შენ ვინ გითხრა...

- თქვენს მეტი ვინ იზრუნებდა, ქალბატონო ნათელა.

ვინ იცის, რამდენის გვერდით დამდგარა მფარველ ანგელოზად ეს უნაზესი და უნეტარესი სულის ქალი.

ორიოდე დღის შემდეგ მოსკოვს გადავჩინდი.

### ისევ ვინეთი

პელსინკში ვარ. 1982 წელია.

ლამაზი ქალაქია, წყნარი, სუფთა, ნესიური. ლენინს დიდ პატივს სცემენ, დამოუკიდებლობა და გვიბრუნაო. სტალინს - არა. დიდი ნაწილი ნაგვართვა და რუსეთს მიუერთაო.

მივუყვები ქვაფენილიან ქუჩებს. აქ უმეტესად ასეთი ქუჩებია.

უცებ მხარზე შეხებას ვგრძნობ. მოვიხედე. ფინელია. მილიმის. მეც ვუღიმი.

- იხ სოვეტსკოგო სოიუზა? - მეკითხება.

„ოჰო!.. საიდან იცის... შუბლზე მანერია?“ - ვფიქრობ. მერე ვუზუსტებ: - იხ გრუზიი.

- გრუ... გრუ... ზიი? - მხრებს იჩეჩავს.

- უკრაინუ ზნაეტე?

- და, დაა...

- ბელორუსიუ?

- კონეჩნო.

- ლიტვუ, ლატვიუ, ესტონიუ?

- და-დაა, ფინლანდია-ლიტვა, მიოდნი, - მპასუხობს.

- ა გრუზია იუენაია რესპუბლიკა, - ვანათლებ, - კრასიეაია, ბოგატაია, სოლენეჩნაია. სტოლიცა-ტბილისი.

- ტბილისი? ნე ზნაიუ.  
„აბა, რა იცი, შე-კაცო!“ - ა ბატუ-  
მი ზნაეტე?- ვეკითხები.  
- ბატუმი დაა. პორტ.  
„ვაშაა!“ - მიხარია გულში.  
ბატუმი - ეტო გრუზია, - ვუზუს-  
ტებ.

საბჭოთა კავშირში შედისო? - მე-  
კითხება. თავს ვუქნევ.

- თქვენ ახლა ორმოცდაათ მარკას  
რისკავდით, - მეუბნება და შუქნიშან-  
ზე მანიშნებს, - ნითელზე გადასვლა  
არ შეიძლება.

არადა, რაც იქ ვსაუბრობდით, არც  
მანქანა გამოჩენილა და არც კაცი.  
ჩვენს გარდა.

- ჩვენთან კი შეიძლება. იმიტომ  
რომ სამხრეთელები ვართ, ცხელსის-  
ხლიანები. იტალიური ფილმები გინა-  
ხავთ? ქუჩის ერთი მხრიდან მეორეზე  
გადაძახება, მოკითხვა, მანქანებს შო-  
რის გადარბენ-გადმორბენა...

- არ შეიძლება, - თავს ჯოუტად აქ-  
ნევს, - იტალია, გრუზია, ეტო ხორო-  
შო, ნო ვი რისკოვალი დენგამი, ა ეტო  
ოჩენ პლოხო...

## მალულად დანერილი ლექსი...

ნიგინი, რომელსაც ახლა კითხუ-  
ლობთ, უკვე აწყობილ-დაკაბადონე-  
ბული და დასაბეჭდად გამზადებული  
იყო, რომ, მოულოდნელად, ძველ ჩა-  
ნანერებში ლექსს წავანყდი. რუსუ-  
ლად დამიწერია ოცდაორი წლის ყმან-  
ვილს და ჩემი ლექტორისათვის ქალ-  
ბატონ სერაფიმა ტყებუჩავასათვის  
მიმიძღვნია.

სერაფიმა ლეონტიენვა რუსულ  
ლიტერატურას გვიკითხავდა. მეტად  
მოწიხილავი და არტისტული ქალი  
იყო.

ამ ცოტა ხნის წინ შეხხედე, კერო,  
მოგეხსენებათ, უღმირელია, მაგრამ  
ქალბატონ სერაფიმას ღვთით ბოძე-  
ბული ნიჭით შეუნარჩუნებია უწინდე-  
ლი ხიბლი.

ვისაც ნიგნის გამოცემასთან საქ-  
მე პქონია, იცის, რას ნიშნავს დაკაბა-  
დონებული ტექსტის გადაწყობა, მაგ-  
რამ ბათუმის ერთი პატარა სტამბის  
სულისა და გულის - ნაზიბროლა სურ-  
გულაძის იმედი მქონდა.

- შენ საოცარი გოგო ხარ, - ქათი-  
ნაურად გაეკრიფე მე, - ნაზი და ბრო-  
ლი ერთად. ახლა გვარი? სურგულაძე  
ანუ... სულ-გულაძე. მაგ სახელისა და  
გვარის გოგო სულიანი და გულიანი  
ლექსის დაბეჭდვაზე უარს იტყვის?

- ნაეკითხო შეიძლება?

- შეიძლება, - ფურცელი გაუწო-  
დე.

- მართალი ხართ, ბატონო ვახ-  
ტანგ. ამ ლექსს ნამდვილად სჭირდე-  
ბა დაბეჭდვა.

ნაზიბროლას ციცქნა სამუშაო  
ოთახის კიდეც უფრო ციცქნა მაგიდის  
კიდეც მივუჯექი და ეს პატარა შესა-  
ვალიც დავეწერე.

ახლა კი იმ ლექსსაც გთავაზობთ,  
ორმოცი წლის წინ რომ მივუძღვენი  
ჩემს უსაყვარლეს ლექტორს, მაგრამ...  
არ გადამიცია.

მიზეზს თავადაც მიხედები, მკით-  
ხველო.

**Она умна и учтива,**

**Стройна, нежна и красива,**

**В женственности ее сила,**

**Зовут ее Серафима.**

**О, я знаю, бесполезно**

**Любиты Вас так безнадежно.**

**Вы мне остров грез и гавань,**

**Серафима Ткебучава.**

**Верьте, был и будет с Вами**

**Ваш Вахтанг Ахвеледiani.**



**„ნოუ პრობლემ, ვახტანგ!“  
ანუ ზეინაბის ორიანი**

ზეინაბი მხატვრული ნაწარმოებების თავგადაკლული მკითხველია. პატარაობიდანვე ფანტაზია უკიდევანო პქონდა. ჩაიკითხავდა რომელიმე ნიგნს და მერე მისი გმირების ხასიათს გვიხატავდა თავისებურად.

დაბადებიდან მოყოლებული, მისი მეტსახელები რომ ჩამოეთვალათ, ერთი გვერდი არ გვეყოფა.

რემარკის „სამი მეგობარი“ რომ ნაკითხა, მეხუთეში თუ მეექვსეში სწავლობდა მაშინ. მგონი, მეექვსეში. ერთხანს გაბრუებული დადიოდა.

– პატრიცია კარგი სახელია, არა, მამი?

ქუჩის ჟარგონსაც სწრაფად ითვისებდა.

– აუუ! ეს სახელი ძალიან მვეასება რა, ვახტანგ!

იმ დღიდან მის უამრავ მეტსახელს პატრიციაც შეემატა.

ერთ დღით ცოლი მეუბნება:

– გუშინ მთელი დღე საკითხავ ნიგნებს უჯდა. ვაკვეთილები მგონი არც კი მოუშაადებია. დაინტერესდი მაინც, კაცო.

დავინტერესდი.

– პატრიცო, სწავლის საქმე როგორ მიდის?

– ყველაფერი ოკეი, ძმაო, – მპასუხობს.

– გადავამონმოთ?

– მარტო ფიზიკა დამრჩა. ნოუ პრობლემ, ვახტანგ, სამჯერ ვარ გამოძახებული მაგ საგანში, სხვებს კი ნიშანი საერთოდ არა აქვთ.

თავი გავაქნიე და უცებ ექსპრომტად ვუთხარი:

**პატრიცია, პატრიცია,  
საგანი რომ არ იცია,  
საქმეც რომ არ ჩაგინყვია,**

**რა მოგელის, თუ რცრქმშნულნი  
ზეინაბი გაოცებისაგან შენტა:**

– ბრწყინვალე ლექსია, შენ გენიალური ხარ, ვახო!

სალამოს მისი დღიური გადაეფურცლე.

„ფიზიკის“ გასწვრივ ორიანი ეწერა.

ერთხელ შოთა ზოიძე ამბობს:

– როგორც კი ტელევიზიაში ხელმძღვანელად დაეინიშნე, იმ დღიდანვე დაიწყო კოლექტივში... დაქორწინებები და დაქორწინებები.

– მე რომ შენს შემდეგ მივედი, იმ დღიდანვე დაიწყო... – განქორწინებები და განქორწინებები, – ვპასუხობ.

**ზურაბის საღამო... არქივში**

2002 წლის 21 ნოემბრის დილაა.

ბათუმის სახელმწიფო თეატრის ფოიეში აჭარის პარლამენტის სესია მიმდინარეობს.

პარლამენტისა და სენატის წევრები მეორე სართულზე სხედან, ხოლო ჩვენ – აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები (მონვეულების უფლებით) – მესამეზე.

ესე იგი ზემოდან დავცქერით პარლამენტარებსა და სენატორებს.

ეს ერთ-ერთი იშვიათი შემთხვევაა ალბათ, როცა დაბლა მსხდომნი ბევრად მაღლა გრძნობენ თავს, ხოლო მაღლა მსხდომნი – პირიქით.

ორატორები ერთმანეთს ცვლიან ტრიბუნასთან. რომელიღაც საკითხს იხილავენ. სამწუხაროდ, ფოიეში აკუსტიკაა ისეთი, რომ ხმა მეორე სართულის ლაბირინთებში იკარგება და ჩვენამდე ვერ აღწევს.

ერთი შემთხვევა მაგონდება აკუსტიკასთან დაკავშირებით, ცხადია.

„აბესალომ და ეთერის“ პრემიერა მზადდებოდა ბათუმის დრამატული თეატრის სცენაზე. რამდენიმე წლის წინ იყო ეს. მომღერლები და ორკესტრანტები დაჟინებით ამბობდნენ, რომ სცენა და დარბაზი დრამატული სპექტაკლებისთვისაა გათვალისწინებული და არა ოპერისათვის. ცუდა აკუსტიკას უჩიოდნენ წამდაუნუმ.

ერთ-ერთი საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირი და ამავე დროს ნარმატიული ბიზნესმენიც მოთმინებიდან გამოვიდა:

– რა გააჭირვებთ საქმე ამ თქვენი აკუსტიკით! ბოლოს და ბოლოს, ნავალთურქეთში, შეგიძენთ და ჩამოგიტანთ!

ზურაბ გორგილაძე – გამოჩენილი პოეტი და პოპულარული პიროვნება, აჭარის პარლამენტის წევრია. ზის დარბაზში და უსმენს ერთ-ერთ ორატორს. უსმენს კი არა, მგონი, შესცქერის უფრო.

რატომღაც არა მგონია, განსახილველ საკითხს დასტრიალებდეს მისი გონება.

დღესევე, ნაშუადღევის სამ საათზე, ესე იგი სესიის დამთავრებისთანავე, აჭარის საარქივო დეპარტამენტშია ნასასელებელი. შემოქმედებით საღამოს უმართავენ იქ.

ჯიბიდან ბლოკნოტს ვიღებ უნებურად. თავისით მოფრინავენ სიტყვები და სტრიქონებად ლაგდებიან... ვნერ, ვშლი... ისევე ვნერ... მერე ვინახავ ბლოკნოტს.

საარქივო დეპარტამენტის სააქტო დარბაზი ლამაზად მოურთავთ. ზურაბი სავარძელში ზის და გამომსვლელებს უსმენს. ბოლოს ჩემი ჯერიც დგება:

– გული არ გეტკინოს, ჩემო ზურაბ,

– მივმართავ, – არქივში ჩადგომის გამართვა სულაც არ ნიშნავს... შენს საარქივოდ გამზადებას... იმხელა ძალა, ენერჯია და ნიჭი გაქვს, შენი პოეზია ისეა გასული ხალხში, რომ შენი ცხოვრებისა და შემოქმედების დოკუმენტებს არქივებში ძებნა არ დასჭირდება. სრულიად საქართველო, ქართველი ერია მისი მფლობელი და განმგებელი.

შენ ზოდიაქოს ნიშნით კურო ხარ – ხარი. მამალი. მთელი შენი სიცოცხლე ამ ნიშნის გამართლება იყო და არის. გიყვარს პოეზია. ხარისხით ძლიერი, შეუდრეკელი და გამტანი ხარ.

ეს სტრიქონები კი, რომელთაც შენ გიძლენი, ამ დილით დაიწერა. პარლამენტის სხდომათა დარბაზში. მონვეულთათვის განკუთვნილ ქანდარაზე.

ვიდრე მიწას ზეცა პხურავს  
და ქართველი ღვინოს ნურავს,  
ვიდრე მალლა ჩიტი ფრენს და  
დაბლა, ზღვაში თევზი ცურავს,  
რუსის ხასიათი ვიდრე  
გადეჩვევა თავის „ურას“,  
სანამ კაცის სვე და ბედი  
პავს აგდებულ „იაზი-თურას“,  
მამრის ყური ისმენს ვიდრე  
ქალის კაბის შარი-შურას,  
სანამ შენს ლექსს პოეზიის  
გამჩენელის მაღლი პკურავს,  
იცოცხლე და იდღევრძელე,  
იმზეგრძელე, ჩემო ზურაბ!

## მარკიზი

დალაგებული ცხოვრება არასდროს მქონია. ასე მოვედივარ ბავშვობიდან. აბა, რა კაცი ვარ, ერთი ძარღვიანად შეგინებაც არ შეიძლია. რაც უნდა გავბრაზდე და ნამსხვანიდან გამოვიდე, ეგ სიტყვები არ მოვა თავში.

გუსმინინ ანეკდოტი გავიგონე, ნარკომანი და ქურდი ნარდს თამაშო-



ბენ თურმე. გააგორებს კოჭებს ქურ-  
დი, არ დაუდგება კარგი ხარი – შენი  
დედაო... შეიგინებს. გააგორებს ნარ-  
კომანი, არ დაუდგება მასაც – ჩემი  
დედაო...

ჰოდა, იძახიან ასე – „შენი დედა“...  
„ჩემი დედა“...

გაბრაზდა ნარკომანი.

– შენ რა, შე ჩემა, დედა არა გყავს?!

კატის კნუტი მყავდა ერთი. თეთ-  
რი-თეთრი. ადამიანივით გონიერი.  
ფაქიზი იყო ძალიან. ეზოში რომ გავიყ-  
ვანდი, იმდენად გამორჩეული ჩანდა,  
გეგონებოდა, სხვა სამყაროდანაა მო-  
სულიო. მარკიზი დავარქვი. შეეფერე-  
ბოდა.

რომ ნამოიზარდა, ბუნებამ თავისი  
ჰქნა, გარეთ გაუნია გულმა. კარებთან  
დაცუცქდელობდა და ისეთი მუდარით  
შემომხედავდა, უარს ვერ ვეუბნებო-  
დი.

ერთ დღით ტალახში ამოგანგლუ-  
ლი და დასისხლიანებული მობრუნდა.

– ეგ რა მოგსვლია, მარკიზ? – ვე-  
კითხები.

თავი დახარა, თვალები მოწყურა: –  
ნუხელ ეზოში ერთი კატა გავიცანიო,  
– მუბნება, – სიბილა ერქვა. კაი გო-  
გო ჩანდა. მასაც მოვეწონე. ის იყო  
თითქმის დაეყოლიე, რომ...

– განაგრძე, განაგრძე, ყურადღე-  
ბით გისმენ, – თან სველი ბამბით  
ვწმენდ.

– ქუჩის მანანალები დამესხნენ  
თავს. შენ ვინა ხარ და აქ საიდან გაჩნ-  
დიო, – დამჩხავიან. მე მარკიზი ვარ და  
ა-იმ სახლში ვცხოვრობ – მეთქი.  
თქვენო ბრწყინვალეზავო, ხითხითე-  
ბენ, ეგ ქუჩის კახპა რა თქვენი საკად-  
რისიაო. თქვენ სცდებით, კახპა არ  
არის, თანაც ძალიან მომწონს, – ვპა-  
სუხობ. მაგ გოგოს თავი დაანებე და  
სახლში მიბრძანდი, თორემ... და ისე-  
თი ცუდი სიტყვები დამაყარეს, ვერ

გავიმეორებ. მაგას რაღა უნდა უკ-  
ლობთ, მეგობრებო, სიბილა, თა-  
ნაც ასე ხმაური როგორ შეიძლება, შე-  
ნუხდება ხალხი, – ვანამუსებ ამოდ.  
მოდით, სიბილას ვკითხოთ, ვისაც  
აირჩევს იმისი იყოს, – ვეუბნები.

– კარგად გითქვამს, მარკიზ, – ვა-  
ქებ.

– შენ ასე გგონია, – მწარედ ჩაიცი-  
ნა. – რალაც კაცური მაინც შეგონა  
შენში, შენ კი მართლა მარ-კი-ზი ყო-  
ფილხარო, აგდებით მეუბნება ერთი  
მათგანი. – ქალს, ბი-იი-ჯო, მოპოვე-  
ბა უნდა, შენ კი – ვკითხოთ ვისაც აირ-  
ჩევსო. თფუი! სად ნახე, გოგო, ეს ჯენ-  
ტლმენი? – ახლა სიბილას ვკითხება.

– შევხედ-შემოვხედე, ბიჭებო, მო-  
მენონა. არადა, გარეგნულად რა  
უშავს. ჰოდა, კინალამ არ მივეციო... –  
პასუხობს სიბილა.

– რა უნდა მოგეცა, – ვეუბნები, –  
მე ხომ შენთვის არაფერი მითხოვია...  
– ამ სიტყვებზე რაც დაემართათ იმ მა-  
ნანალა კატებს, ვერ გადმოგცემ. ისე-  
თი ხარხარი ატეხეს, რომ აქეთ-იქით  
გაგორდნენ. ეგ ვილაცაა, მთლად გო-  
იმი ყოფილაო, ამბობდნენ. გული რომ  
იჯერეს, შეცნენ და ისე მიმბეგვეს, სუ-  
ლი ძლივს მოვიტანე.

იოდი ნავუსევი ჭრილობაზე, ზოგიც  
შეეუბნე და თბილად ჩავანვინე. მთე-  
ლი დღე იწეა. ზოგჯერ ძილში ნამოიკ-  
რუსუნებდა და შეხტებოდა. მიიხედ-  
მოიხედავდა და ისევე მილულავდა თვა-  
ლებს.

სალამოს, ვხედავ, ისევ დაცუცქე-  
ლა კარებთან...

## აგვისტო, ზღვისპირა კავა და ჩარღვეული შარვალი

აგვისტოს პაპანაქებაა. ენის სა-  
ხელმწიფო პალატაში ვმუშაობ. სულ

ცოტა ხნის წინ შეიქმნა ეს უწყება და რამდენიმე მაგიდის გარდა, არაფერი გვაქვს. ვენტოლატორები მოგვათქმევენება სულს (კონდიციონერებზე ხომ ოცნებაც არ ღირს!). ჩვენს მდგომარეობას არც გამოღებული ფანჯრები შევლის და არც გაზეთების გამწარებული ქნევა.

აქედან რალაც ასიოდე მეტრის დაშორებით, ცაცხვების, ჭადრების, მაგნოლიებისა და კრიპტომერიების ჩრდილში, ზედ ზღვის პირას, ისეთი კაფეა, ერთხელ თუ ენეიე, მორჩა, დაავადებული ხარ იქაურობით.

მე იმ კაფეს არცთუ იშვიათი სტუმარი ვარ. მიყვარს „ბორჯომი“, მანგოს ნენეი, „ნესკაფე“ და იქაური მიკროკლიმატი.

შესვენება მოახლოვდა. თანამშრომლებს ვეპატივები კაფეში. ვზივართ და ვმასლაათობთ. თან აქეთიქით სალამს ვარიგებ. მთელი ბათუმი გამოსულა აქ თუ რა არის?!

დრო შეუმჩნეველად გაფრენილა.

ვდგებით. შარვალი მომხალვათეობია თუ მეჩვენება? რეგულარულად რომ ვვარჯიშობ, დაეიკელი აღბათ.

ყურადღება არასოდეს მაკლდა. ახლაც ვგრძნობ, მიცქერიან, თვალს მაცოლებენ. ეგ ჩვეულებრივი ამბავია – მე ხომ პოპულარული კაცი ვარ.

„მობილური“ რეკავს. ჩემი მეუღლეა. დრო თუ გაქვს, სასწრაფოდ მოდიო. მანქანაში ვუდები და რამდენიმე წუთში სახლში ვარ. სტუმრები არიანო. ჩურჩულით მეუბნება.

ტანთ ვიცვლი. ხასიათი მაქვს ასეთი, ათჯერ რომ მივიდე სახლში, ათჯერვე გამოვიცვლი.

„ღმერთო ჩემო!“ – ვჩურჩულებ.

უკან, მთელს ნაკერზე, ჩარღვეულა შარვალი.

ცოლს ვეძახი. ის იქით მიხმობს. ბოლოს შემოდის.

ასე და ასე იყო, მაგნი კაფეში ჩაირღვა, – ვუუბნები.

უცებ ისტერიული სიცილი უვარდება.

– ნარმომიდგენია, შენთვის ჩვეულებრივი სე-რი-ო-ზული იერით როგორ დადიოდი... მაგ ჩარღვეული შარვლით... – ნანყვეტ-ნანყვეტ ამბობს და სულს ძლივს ითქვამს.

– რა მოხდა, შე ქალო, მე რომ შიგნით საცვალი მაცვია, იმ კაფეში ისეთი შორტებით ისხდნენ... კაცებიცა და ქალებიც... – ვპასუხობ ნყენით.

## დავით კომახიძის იუბილე, სადღებრკელო და ბანანების კუნძულა

დავით კომახიძე გამორჩეული კაცია ჩვენს ქალაქში – გარეგნობითაც, გვართაც, ნიჭითაც, საქვეყნო საქმეებითაც.

ბატონი დავითი აღმშენებელია – ცნობილი ხუროთმოძღვარი და მალაღობი გემოვნების დიზაინერი. ვინ იცის, რამდენი სახლი აღმართულა ბათუმში და მთელს საქართველოში მისი პროექტით.

1996 წლის შემოდგომის ერთ მზიან დღეს მეზღვაურთა სახლის დარბაზში ქალაქის საზოგადოებრიობამ მას 80 წლის იუბილე გადაუხადა.

იყო მისალმებები, მოგონებები, ცეკვა-სიმღერები, ყვავილები. აქვე ნაიკითხეს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება ბატონ დავით კომახიძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ. სიტყვით გამოსულებს შორის მეც გახლდით.

მერე „ინტურისტის“ ვრცელ დარბაზში გადავინაცვლეთ. აქ, ღვინით სავსე ყანებით ხელდამშვენებულნი, უფრო მჭერმეტყველნი გახდნენ მესუფრენი.



ჩემი რიგი ახლოვდება.

რაც ადრე ვთქვი, იმას ხომ აღარ გავიმეორებდი. მერე კიდევ, მისალმების ფორმაც უნდა შემეცვალა...

უნებურად ქალაქის ხელსახოცი გავშალე და სათაური დავწერე.

მერე ლექსიც წამოვიკა. სწრაფად ავამუშავე კალამი. გადავიკითხე, გაეასწორე. კიდევ გადავიკითხე. განდაგანას რიტმზე დამინერია თურმე – ესეც აღმოჩენა! ანსამბლ „ბათუმის“ ნევრებს ვთხოვ, მისამღერი მომამუშაველონ. ვილაც მიკროფონს მიწვდის.

– მეგობრებო, – ვამბობ მე, – ბატონი დავითის ღირსებების შესახებ დაუსრულებლად შეიძლება საუბარი. მე ჩემს სადღეგრძელოს, ანსამბლ „ბათუმთან“ ერთად ასე მივუძღვნი:

ეს კაფია არის, ძმებო, კომპიხიძე დავითის, –  
მეცნიერის და მოღვაწის, რაინდის და კაი ყმის.  
მიმოხვრა გაქვს ვაფკაცური, შენ კი გეხვანხვალეებით,  
ოთხმოცი წლის კი ხარ, მარა გადარე ქალები.  
მეგობრობა – ძმობაც იცი, გვერდს გიმშვენებს ზურაბი,  
მეცნიერი, პედაგოგი, კაცი გულის გულამდე.  
თემური გყავს ვაფიშვილი – მრავალმხრივი ნიჭიო...  
მის ტიტულებს ვინც წამოთვლის, არის კაი ბიჭიო.  
ოჯახს რძალი გიცისკროვნებს, აბაშიძე გვარადა,  
იმისთანა ლამაზია, მთვარევე, უკაცრავადა.  
იუბილეს დაგილოცავთ, „ღირსებიან“ ღირსებას,  
ახალ ოთხმოცს რომ მოღუნავ, კიდო რაცხა იქნება...

**იხარე და იდღეგრძელე, გაქვს დასი  
გზები მზგანტლიოთქა  
შენთან იყო და იქნებაა... ვახტანგ  
ახვლედიანი.**

იმ დღეს კომპეტენტური ჟიურის მიერ ორიგინალური სადღეგრძელო-სათვის დაარსებული პრიზი – ბანანების კუნწულა დავიმსახურე (ქალები-სათვის შოკოლადის კოლოფი და ყვავილების თაიგული იყო, მამაკაცებისათვის... ბანანების კუნწულა), რომელიც ტაშის გრიალში გადმომანოდეს... მაგრამ ჩემამდე არ მოუღწევია.

### **პატარავს უყვარო თოჯინური საეჭტაკლები**

1999 წლის დეკემბერია. ჩემი პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკლის – „მეგობრობის ძალის“ განხილვაა ბათუმის №2 საშუალო სკოლაში. ნორჩი მაყურებლები გატაცებით საუბრობენ ნარმოდგენის ავ-კარგ ზე, კითხულობენ ეპიზოდებს, ასრულებენ სიმღერებს სპექტაკლიდან. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ „მეგობრობის ძალის“ გამარჯვება უკრაინის ქალაქ ვინიცას საერთაშორისო ფესტივალზე და პირველი პრემია ჩვენი ქვეყნის თეატრალური ცხოვრების მნიშვნელოვანი ფურცელია.

მოულოდნელად ერთი ბიჭუნა მსახიობ ვახტანგ გიგინეიშვილს მიმართავს:

– ვთხოვთ გვითხრათ, ძნელია თქვენთვის ხან შგლის, ხან ძალის როლების შესრულება?

ვახტანგი პოპულარული მსახიობია. უყვარს იუმორი. გარდასახვის საოცარი ნიჭით მდიდარი კაცია, ნამდვილი არტისტი. ამჯერად კი პასუხი ხანგრძლივი გამოუდის.

– ერთი სიტყვით, ბავშვებო, – საქ-



მეში ვერევი მე, - მგლის თამაშის დროს უნდა გამგელდე, ძალის თამაშის დროს კი უნდა გადალდე.

უცებ ყველაფერი გასაგები ხდება და ტაშიც არ აყოვნებს.

## როცა გვირდს ულამაზისი ძალი გიგვიანებს...

2000 წლის 23 მაისის წყნარი დღეა. ნელი სიო დაჰქრის და ტანმალალი ჭადრებისა და ევკალიპტების ფოთლებს აშრიანებს. ირგვლივ გაზაფხულ-ზაფხულის საამო სურნელი ტრიალებს. ხელეჩაურის რაიონი ჩემი დაბადების 60 წლის იუბილეს აღნიშნავს.

გემოვნებითაა მორთული კულტურის სასახლის სცენა. ორატორები - ჩემი მეგობრები და კოლეგები - იხსენებენ ეპიზოდებს ჩვენი ურთიერთობის წლებიდან. მოსაგონარს რა გამოლევს. რაიონის გამგებელს ჯერჯერობით აბაშიძეს კმაყოფილი სახე აქვს - ყველაფერი კარგად მიდის. ანსამბლები, სოლისტები, მსახიობები ერთმანეთს სცვლიან.

სალამო მიჰყავს მანანა სულაბერიძეს - ულამაზეს ქალს, კეთილშობილას, სცენის ჭეშმარიტ მსვენებას.

იგი ჩემს შორიახლოს ზის. მისთვის ჩვეული ინტუიციით გრძნობს ყველა ნიუანსს.

მე აღტაცებული ვარ მისი ნიჭითა და მიზიდაველობით.

უნებურად მიკროფონს ვიღებ:

- ჩემი ორმოცი წლის შემოქმედებითი საქმიანობით და სამოცი წლის ასაკით, მგონი, უმთავრესს დღეს აქ, ამ სცენაზე მივალნიე...

დარბაზი ინაბება.

- ჩვენი ბათუმის ხატება მიმშვენებს გვერდს... მგონი, ცუდად არ უნდა გამოვიყურებოდეთ, - და ქალბა-

ტონ მანანას ყვავილედებულს ეუნვდი.

გიგლიძე

## დედის დღეს

სამი მარტია. ჩემი ქალიშვილები - ხათუნა და ზეინაბი დილაადრიან მიეახლენ დედას და დღესასწაული მიულოცეს.

ბოლოს პატარა შეილიშვილი - სალომეც მოცუნცულდა, მოეხვია და ეამბორა ლოყაზე.

- დედის დღეს გილოცავ, ბებო! შორიახლოს ედგევარ, ყურადღებას კი არავინ მაქცევს. თითქოს არც ვარსებობდე.

- კაცო, ეს დღესასწაული, უპირველესად, მე უნდა მომილოცოთ, - ვამბობ, - მე რომ არ ვყოფილიყავი, ნაირა ვერც დედა გახდებოდა და... ველარც სენი ბებიაა...

## „პაითუ დამთანხმდეს?!“

ქართულ ლექსიკაში არის ულამაზესი სიტყვა - „მეგულება“.

„თანამოდარდეს“ ავტორი იცით, მემედ აბაშიძეა.

„მეგულება“ საუკუნეების სიღრმიდან მოდის და ავტორი უცნობია. არადა, რით არ არის იგი პოემა, რომანი, პიენი, სიმფონია...

იმაზე კარგი არაფერია ალბათ, როცა ვინმეს ეგულები ან გეგულება შენ.

შუაბევში ცხოვრობს და მოღვაწეობს ტარიელ ნიჭარაძე - კაცი მოღვაწე, თანამოდარდე, სიყვარულითა და თანადგომით ნამსხვანიდან გამოსული.

იქ, მთებში, მეგობრად მეგულება ტარიელი.

არადა, ამის საქვეყნოდ თქმისაც მემინია. ცუდად მაქვს დაცდილი და იმიტომ.

გარეგნობითაც გამორჩეულია, მალალი, ზომიერი მიმოხერით, თბილი



ლიმილით, ახლა უკვე ქატიქათა ქორით.

იშვითად მინახავს, უხდებოდეს კაცს ქალარა.

ქალთა შორისაც პოპულარობით სარგებლობს. ერთი სიტყვით, ყველა საქმეში ტარიელობს ტარიელი.

რამდენიმე წელია, შუახვევში მუშაობს. რაიონის თავკაცია. თანამდებობაც შეეფერება გამგებთან კაცს – გამგებელია.

ბათუმში სხვადასხვა ღონისძიებებზე ჩამოსულს რომ შევხვდები, ადვილად ვეღარ ვშორდებით ერთმანეთს. მოვიგონებთ ამ მთისას, იმ ბარისას. მერე ახალგაზრდობაში გადაფორინდებით უნებურად...

– შენ ისე ხარ მომართული, ახლაც არაფერი გიჭირს, – ვეუბნები ერთხელ, – ოღონდ კაი ქალი გამოჩნდეს...

– კი, მართალი ხარ, ვახტანგ, მაშინვე მის მოხიბლვას ვცდილობ. მაგრამ... ბოლო დროს შიში მეპარება... ვართუ დამთანხმდეს?

### ქასარობი შვილიშვილს

ერთხელ ჩემი შვილიშვილი, 5 წლის სალომე, მეხვევება:

– ბაბუ, ამდენი ლექსი დაგინერია, ერთი ჩემზეც გამოთქვი, რა?

წუთით ვფიქრდები და ვპასუხობ:

**სალო – ქალი ნატურისთვალა,  
ვახტანგ ბაბუს სალოცავი,  
არის გოგო საოცარი –  
ზოგჯერ მეტისმეტად ავი,  
კაპრიზა და აბეზარი...  
მაინც ტურფა სანახავი.**

– მოგწონს? – ვეკითხები.

– კი. – ცოტა ხნის შემდეგ, თავისთვის თამაშში გართული, ბურტყუნებს: – ის ავი და აბეზარი არ მომწონს, მაგრამ... სწორი რომაა!

### მოულოდნელი მშვენიერობი და ფანტაზია შორეულადის როიალის თემაზე

ჩემი მეგობრის – ჯემალ ქობულაძის ვაჟის ქორნილია. ზუთასკაციანი დარბაზი გაჭედლია. გრილებს მენდელსონის „საქორნიო მარში“ და შემოდინ ნეფე-დედოფალი, გაივლიან მთელ დარბაზს და მათთვის განკუთვნილ შემალღებულ ადგილს იჭერენ. დედოფალი – ირემაძეთა ასული ნინო ისეთია, ავ თვალს არ დაენახება. მის გვერდით აღმართული ნეფე არწივივით აბრიალებს თვალებს.

მე ვსარგებლობ პირველი თამადის უფლებით და თავში უნებლიედ გაელვებულ სტრიქონებს ვამბობ ექსპრომტად:

**მშვენიერო ნინო,  
ქალი ხარ თუ ღვინო?  
ყოჩალ, ბიჭო გენო,  
იცი ღვინის გემო!**

ჩემი შაგიდა ნეფე-დედოფლის ტახტრევანსა და სტუმრებს შორის დგას და ხორაგითა დატვირთული, მაგრამ ხელს ვერაფერს ეკიდებ. ჭამისათვის სადა მცალია, საერთოდ, ასე მემართება სულ, როცა ვთამადობ, მშვიერი ვრჩები.

სადღეგრძელოებს, ასე მგონია. თვით ზენაარი მკარნახობს.

უცებ, ვხედავ, შოკოლადისაგან გაკეთებული როიალი მოაქვთ, ფრთხილად დგამენ ჩემს შაგიდაზე და მიდიან.

„ეს ალბათ, ჩემი პრიზია, – ვფიქრობ, – ქორნილის ბოლოს გადმომცემენ. მაინც, რა კარგად მოუფიქრებიათ – ყაყისფერი როიალი, შავ-თეთრი კლავიშებით განყოფილი!“

ტკბილეულის დიდი მოყვარული არა ვარ, მაგრამ ასეთი პრიზი! სწორედ საჩემოა. ჩემი სიმბოლოა – ლიტე-

რატურა, მუსიკა, ფერწერა... ფანტაზიას კიდევ უფრო ვაძლევ გასაქანს. იმხელა დარბაზი ჩემი გონების ნებას ემორჩილება. ჩემი ქალიშვილი ზეინაბი შორიახლოს ზის და ალტაცებული თვალებით შემომყურებს.

„ამ მშვენიერ როიალს სახლში რომ მივიტან, ჩემი მუღულე მეზობლებს დაპატიჟებს ყავაზე. მეგობრის ქორნილში მიართვესო, ამაყად იტყვის. როგორც ყოველთვის, პირველი თამადა იყო, – სხვათაშორის ჩაურთავს...“

მთელი ქორნილი ერთ დიდ შოუდ ვაქციე. შოკოლადის როიალის ჯადოსნური აკომპანემენტი მომყვება მუუცნობლად. საუკეთესო სადღეგრძელოსათვის, ლექსისათვის, ცეკვისათვის, სიმღერისათვის, კონკურსს ვატარებ. თვითონაც ვმღერი, ვცეკვავ და ვლექსაობ. ვოკალური ანსამბლის – „ბათუმის“ სიმღერები სადაცაა ჭერს ახდის სვეტებიან შენობას.

ჯემალ ქობულაძე მიახლოვდება და ყურში ჩამჩურჩულებს:

– გენიალური ხარ, ვახტანგ. შენს ამაგს ვერასოდეს გადავიხდი.

– „კიდევ ბევრი სადღეგრძელო დაგვრჩა დაულეველი...“ – ეპასუხო.

– მალე, ალბათ, ანსამბლ „ბათუმისაც“ იტყვი, ხომ?

– ცხადია!

– ჰოდა, ეს შოკოლადის როიალიც პრიზად გადაეცი, – მხარზე მითათუნებს ხელს და მშორდება.

## ახლა მე ვარ სამოცი

ოცდაათი წლის წინ დამწყები მწერალი მერქვა.

„დამწყებები“ მაშინაც დაჩაგრულად ვგრძნობდით თავს „ცნობილები-საგან“. მაგრამ ახალგაზრდა ვიყავი და ყველაფერი წინ მქონდა.

ახალი ნოველა მივიტანე „ქორო-

ხის“ რედაქციაში, მშობლებსა და მე-

ბატონი აკაკი შონია რედაქტორობდა ჟურნალს – კაცი მნივნობარი, განსწავლული, მრავალი კრიტიკული წერილისა და ლიტერატურული ესეს ავტორი.

იქვე ჩაიკითხა ჩემი ნოველა. ვაი, რა ვნახეო, არ უთქვამს. მწარედ ამოიოხრა და დაეხედავ, დაეხედავო, – ჩაილაპარაკა.

მე მადლობა ვუთხარი და წამოვდექი.

– აქ შენ სამოცი წლის კაცს მოხუცს უწოდებ...

– დიახ, ბატონო აკაკი.

– მერე მე მოხუცი ვარ, შე-კაცო? ერთხანს უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

გავასწორებ-მეთქი, არ მითქვამს. არც მას ჩაუსწორებია.

ახლა... მე ვარ სამოცი.

## მსხალ-ბატონი

მახსოვს, მამაჩემმა პატარა ნერგი მოიტანა და ეზოსთან ახლოს, ბაღში დარგო.

მსხალ-ბატონიო თქვა.

იხარა ნერგმა, გაიფოთლა, გაიტოტა, აშრიალდა და ნავიდა სივრცეში.

ისეთი გახდა, ავ თვალს არ დაენახებოდა.

ნაყოფს კი არა და არ იხსამდა.

– ეპ, ბერნი ყოფილა... – გულისტკივილით თქვა მამამ. – უნდა მოვჭრა.

დედამ ლაგვარდებში ატყორცნილ ხეს მზერა ააყოლა და ნამი ჩაუდგა თვალებში.

– სანამ მაგ ხეს ცულს შემოჰკრავდე, მე დამარტყი ჯერ, – უპასუხა.

მიიღია ის შემოდგომა, მერე ზამთარიც, დადგა მშვენიერი გაზაფხული.



აპრილის თვის ერთ-ღამეს განუწყვეტილად ჰქროდა თბილი ბორბო.

ჩვენი საძინებელი ოთახის ფანჯრები ბაღს გადააქურებდა.

დილით, გავახილეთ თვალი თუ არა, მოულოდნელობისაგან ვიკივლეთ.

ჩვენი მსხალ-ბატონი თეთრი ყვავილები უზარმაზარ თაიგულად გადაქცეულიყო.

ივლისის ბოლოს დიდი და უტკბილესი ნაყოფით დაიხუნძლა მისი ტოტები.

გამოხდა ხანი. მარადიულობაში გაფრინდნენ დედაც და მამაც.

ხე კი ისევ დგას.

აპრილის თვეში, აუცილებლად ღამით, იფეთქებს მისი ტანი და ყვავილების უსპეტაკეს კაბაში გამოწყობილი ხედება ამომავალი მზის პირველ სხივებს.

ივლისის ბოლოს კი მზვილი და შაქარივით ტკბილი ნაყოფით დაეხუნძლება ტოტები.

**მახინჯაური - ჩემი მშობლიური სოფალი**

ყოველი დილა მახინჯაურელი კაცისათვის ომბალაურის მთებიდან იწყება. დიდი და პატარა, გაღვიძებისთანავე, თვალების ფშვნივითა და ხელის მოჩრდილვით ამ მთებს მიაპყრობს მზერას და თუ მის ნეეროებს იისფერი სინათლე ადგას გვირგვინად, გულს დაიმშვიდებს - მზიანი დღე იქნება.

ავდრის მოახლოებასაც პირველად ომბალაურის მთები იგრძნობს. ჯერ შეიშმუშნება, ფერი აუვლ-დაუვლის, ერთბაშად ბაც ნაცრისფერს დაიდებს. თითქოს მშრომელ კაცს აფრთხილებს, აბა, იჩქარეთ, თორემ, ხომ ხედავთ, მეც მარქარებნო.

... აღმოსავლეთით ცაში ატყორცნილა შავი ტყე. ეს უღრანით დაფარუ-

ლი მთაა, იქით კიდევ უფრო მაღალი მთებია. შავი ტყე იმდენად მსხვილები ვერ ატანს შიგ. სხვა მთები თუ შორიდან მუქ-ლურჯად მოჩანს, ეს რუხია. საავდროდ გამზადებულ ღრუბელსა ჰგავს. ჩაბოლმილ-ჩაბოროტებულს, გულგასიებულს. შეხედავ და გაიფიქრებ, აი, ახლა თვალის მომჭრელად იელვებს ტყის სიღრმეშიო. გაიფიქრებ და უნებურად ყურებზე მიიჭერ ხელებს, მჭახე ქვეა-ქუხილმა არ გამაყრუოსო. ავდარში მთის თავზე გველივით იკლაკნება და ინვლება ცეცხლის ხაზები. ხის განწირული კვნესა და ღანანი სოფლამდეც აღწევს. თავისებურ იდუმალებაშია გახვეული შავი ტყე. იგი ეშმაკების, ქაჯების, ჭინკებისა და საზარელი ურჩხულების სამყოფელი ჰგონიათ ბავშვებს...

ეგონათ!

ადრე ეგონათ! ახლა ჩვეულებრივი მთაა. სახელიც აღარ შერჩა საბრალოს. სადღაა ერთ დროს მისი გოროზი სიამაყე და ზღაპრული იდუმალება. სადღაა ის ცადატყორცნილი ხეები და გაუვალი ჯაგები. როგორ უხდებოდა თურმე მთელს ამ მხარეს. ერთ დღეს ხანძარი მოედო მთას და გადაბუჯა. თმაგადაპარსულ ქალს დაამსგავსა. ახლო-მახლო სოფლებიც გადასხვაფერდა მამინე, ისინიც განიძარცვა თითქოს. მახინჯაური - ყველაზე მეტად.

მაინც ღამაზია მახინჯაური. სოფელი - ღამაზი, სახელი - უშნო.

ფიქრი არ მასვენებს - რატომ დაერქვა ჩემს მშობლიურ სოფელს ეს სახელი?

მე, მოგვხსენებათ, მახინჯაურელი ვარ და, საგამოძიებო ტერმინოლოგიით რომ ვთქვა, ჩემი ვერსია გამაჩნია.

დიდი ხნის წინათ ცხოვრობდა ამ სოფელში მზეჭაბუკი. ისეთი ძლიერი

და მოხდენილი იყო, რომ მისი სიყვარულის სიმნრით ქალიშვილები ოხრავენენ და მუთაქებს ქმუჭნიდნენ ღამით.

ერთ დასაქცევ დღეს მტერი შემოიჭრა.

მზეჭაბუკმა რა ზმი შეჰყარა და ეკვეთა მომხედურთ. დამარცხდა. ურჯულოებმა ყველა განყვიტეს. მზეჭაბუკიც დაეცა. რამდენიმე ადგილას მძიმედ იყო დაჭრილი. მომხედურთ მკვდარი ეგონათ და თავი დაანებეს.

სოფლელებმა შორს ტყეში გაბიზნეს სულთმოპობაძვი.

როცა მომჯობინდა და ფეხზე დადგა.. მზეჭაბუკობისა აღარაფერი ეცხობოთურმე.

გამოხდა ხანი.

გადამთიელი გამაგრდა ამ მხარეში. აქაურობის ბატონ-პატრონივით იქცეოდა.

მონობის უღელში გმინავდა ხალხი.

ხმა დაირხა, ღამ-ღამობით, მოულოდნელად, არავინ იცის საიდან, გამოჩნდება რა ზმი, თავს ესხმის ურჯულოებს და მუსრს ავლებსო.

რა ზმს ვინმე მახინჯი გოლიათი უდგას სათავეშიო.

ამ სახელის გაგონებაზე შიშით ძრნოდა მტერი.

- მახინჯ-გიაურ!... მახინჯ-გიაურ!... - ჰყვიროდნენ და აქეთ-იქით გარბოდნენ.

აურაცხელი ოქრო დაანესა მბრძანებელმა იმისათვის, ვინც მახინჯი გიაურის თავს მოუტანდა.

ამაოდ დაშვრა.

ვაჟს ვერც ისარი ეწეოდა და ვერც ხმალი სჭრიდა.

ყველაზე უიმედო მამაკაცი უნებლად გაჰყავდა რა ზმი.

განრისხებულმა მბრძანებელმა დიდი ლაშქარი გამოგზავნა.

ბრძოლა იყო სასტიკი და უთანასწორო. მთლიანად გაუნყვიტეს რა ზმი მახინჯ-გიაურს. ჭრილობისაგან დასერილი გოლიათი თავისივე ხმალს ნამოევო.

არავინ იცოდა მისი ნამდვილი სახელი.

ხალხი ბრძენია, იგი მეხსიერებაში ინახავს და სამარადისოდ ამკვიდრებს რაც მისთვის ძვირფასია და საწუკვარი.

გმირის საპატივცემულოდ ამ სოფელს მახინჯ-გიაურს ეძახდა ხალხი. სოფლელებს - მახინჯგიაურელებს.

დამერწმუნებით, საკმაოდ ძნელად გამოსათქმელი სახელწოდებაა და შეტყველებაში იგი თავისთავად ითხოვს გამარტივებას: მახინჯგიაური - მახინჯიაური - მახინჯაური.

ზღაპარიო, მეტყვეით. არავითარი საბუთი არ არსებობს მახინჯი გიაურის შესახებო.

არსებობს!

მე მახინჯაურელი ვარ და ამ სოფლის მიწის ძარღვები ჩემშია გადმოსული. ეს ძარღვები მეუბნებიან, რომ ჩემში მშობლიური სოფლის მიწაში ასვენია გმირის გატანჯული ძვლები.

როგორც მწერალი, ვალში ვარ გმირის წინაშე.

ვისთვის როგორ, არ ვიცი, ჩემთვის კი, რა მახინჯაურის გაგონება და რა, ვთქვათ, ბეთქოვენის „მთვარის სონატის“ პანგების მოსმენა.

## ჩემი აზრებით

### 1. ხუთი და ერთი

#### მოთხრობა

#### პირველი დღე

მატარებელი აიძრა. გია ვაგონის კიბეზე იდგა, ქვემო საფეხურზე. ბაქანი სიღრმისკენ გაცურდა ფრთხილად, ბაქანთან ერთად – ყველა: ეკა შუაში იდგა, მარცხნივ – ია და მარჯვნივ – ბიძინა.

– მალე ჩამოდი, ეკა. გიცდი. აი, ნახავ, მოგენონება, – დაუძახა გიამ.

ეკამ ხელი დაუქნია და მზერა გააყვოლა.

– გენაცვალე, კიბეზე ნუ დგახარ, კარები უნდა დაეკეტო, – მკაცრად უთხრა გამცილებელმა გიას.

... ლამპიონები რიგრიგობით ელავდნენ. ფანჯარაში ღამე მიქროდა. რელსთა ხმაურის რიტმზე ირნეოდა მატარებელი. უკან დარჩა მთანმინდა... ეკა...

... დიღამ ზღვისპირას მოუსწრო გიას. ახლა ზღვა მიქროდა ფანჯარაში და გიაც მიქროდა ზღვისკენ.

... სადგურის მოედანზე ტაქსი დაიჭირა. ჩემოდანი საბარგულში ჩადო, მძღოლის გვერდით მოკალათდა. მანქანამ წრე შემოხაზა მოედანზე და ტრასას გაუყვა.

... გზა ტრიალ მინდორს ჰკვეთდა. მარცხნივ ტბა ჩანდა, ვერცხლისფრად

მოლივლივე, პატარა მდინარეზე, რომლითაც ტბას ზღვასთან აერთებდა, რატომღაც ვეება ხიდი იყო გადებული. ადრიან დილით ზღვაც შევერცხლილი ჩანდა. მანქანამ ტბას ჩაუქროლა. მოშორებით ქალაქის მრავალსართულიანი კონტურები ილანდებოდნენ.

... ქუჩაში ხალხი გამოფენილიყო. ყველას ერთიანად ადამისა და ევას კოსტუმი ეცვა. ესტრადაზე ინსტრუმენტული ანსამბლი იდგა და ხალისიან მელოდიას უკრავდა. ნეპტუნის ამალა ხალხს გარეოდა. ეშმაკები და ჭინკები აქეთ-იქით დაძრწოდნენ. ხან ვის ააკივლებდნენ, ხან ვის თვით ზღვის ღვთაება ესტრადის წინ, ტახტზე დაბრძანებულებოდა. ირგვლივ მწვანეთმთიანი სირინო ზეზი შემოსხდომოდნენ.

... კიპარისების ზეივანი სწრაფად ჩაათავეს. მძღოლმა სვლას უკლო და მანქანა შეაჩერა. გიამ ღამაზად მოჩუქურთმებულ ჭიმკარს შეავლო თვალი. მერე კარი გამოაღო და გადმოხტა. მძღოლი დინჯად გადმოვიდა, ზანტად ახადა სახურავი საბარგულს. გიამ ჩემოდანი აიღო, მძღოლს ფული გაუნოდა და შემობრუნდა.

მანქანა ადგილს მოსწყდა და თალს

მოუფარა. გიამ ნაცნობი გარემო იგრძნო.

ცხრასართულიან შენობას სამი მზრიდან გაზონებით დაქსელილი ეზო ერტყა, დასავლეთით კი პლაჟის ფართო ზოლი ეკეროდა. გიამ ჭიშკარი გამოალო და მხნედ შეაბიჯა. პირველი, რაც დაინახა, ვეებერთელა ჭრელი ბურთი იყო, გაზონში ჩაეარდნილი. მზემოკიდებული ქალიშვილი დაბალ ღობეს მკვირცხლად გადაახტა და ბურთი ამხანაგებისკენ ისროლა. ექვსნი იყვნენ. საბანაო კოსტუმების ამარად გამოსულიყვნენ ფრენბურთის სათამაშოდ. მზეზე კანი უბრწყინავდათ, მნათობის სხივები მკერდში ჩაცურებას ცდილობდნენ.

გიამ პერანგზე თითქმის ყველა ლილი შეიხსნა. შესასვლელს მიუახლოვდა. თმაგაცვენილი, მალალი კაცი მაგიდის ჩოგბურთს ეთამაშებოდა ბავშვს. ბიჭი ათი წლის იყო. ოქროსფერი თმა ჰქონდა. ზურგშექცევით იდგა, მაგრამ გიამ იცნო.

- ზურიკო! გავროშ! - დაუძახა.

ბიჭი შემობრუნდა.

- ვა, გია? როდის ჩამოხვედი?

- ვერ ხედავ, ახლა ჩამოვედი. თამაზი სად არის? სხვები?

- სხვები პლაჟზე არიან, თამაზი ჯერ ზემოთაა, ძინავს.

- მიდი, მიდი, ითამაშე, - თმაზე ხელი გადაუსვა ბავშვს. მერე შენობაში შევიდა.

ადმინისტრატორი ჩვეულ ადგილას იჯდა.

- გამარჯობათ, როგორ ბრძანდებით? - მიესალმა გია.

- ო, გამარჯობა შენი, - ხელი ჩამოართვა ადმინისტრატორმა, აშკარა იყო, ვერ იცნო.

- მე ისევ 64-ე ნომერში ვარ, ბატონო, - იტიბარი არ გაიტეხა გიამ და საბუთები გაუნოდა.

ადმინისტრატორი წამოტეხა ტაკელიდან გასახები ჩამოხსნა და მიანოდა. თან დაუმატა:

- აბა, შენ იცი.

ლიფტმა სწრაფად აისროლა მეექვსე სართულზე. დერეფანში სართულის მომსახურე შენიშნა, ქერათმიანი გოგონა.

- სეეტა, გამარჯობა, როგორა ხარ?

- გამარჯობათ, გაუცინა გოგომ, - ისევ 64-ე? თქვენი ნომერი უკე დავაღაგე.

ფართო დერეფანს მიუყვებოდნენ. გიას თვალი გაექცა განაპირა კარისკენ.

- 70-ში არავენ არის?

- არა, ჯერჯერობით არავენ, - ეშმაკურად ჩაიციინა გოგომ.

- რას იცინი? კარგი მეხსიერება გქონია.

- მე კი მეგონა, რომ უკვე თქვენი ცოლი იქნებოდა.

გიამ არ უპასუხა. გასაღები მოარგო საკეტს და კარი გაალო. ეს ოთახი წლითი წლობამდე ნირს არ იცვლიდა. თვითოეულ ნივთს ძველებური იერი ჰქონდა. ჩემოდანი სანოლზე მიაგდო. აივანზე გავიდა. ზღვას გადახედა. შემდეგ სწრაფად შემობრუნდა ოთახში. ტელეფონს სწედა და სამნიშნა ნომერი აკრიფა.

- ალო, ბატონო თამაზ, გაგიგიათ აქამდე ძილი?

- რომელი ხარ?

- აბა, გამოიცანი.

- გია ხარ? ვაა, ჩამოხვედი? ახლავე ზურიკოს გავგზავნი ჩვენებთან, წუთში ყველა მანდა ვართ.

... ახალგაზრდები ჯგროდ შემოცვივდნენ ოთახში. პირდაპირ პლაჟიდან ნამოსულიყვნენ. ხმაური, ჟრიამული და ზღვის ოხშივარი შემოიტანეს.

- სად ხარ აქამდე? - ესალმება თამაზი.

- აქა ვარ. ნინო, როგორა ხარ?

- კარგად, შენ როგორლა ხარ. ვაშლი აიღე.

- საშკა, ქალები ბევრია?

- ოხრადა.

- რა გიჭირს, აბა. თენგიზის დაიკო მარინას გაუმარჯოს.

- გამარჯობა, გია, - შავი თვალეზი შენათა გოგომ.

- ხალხო, მაცალეთ, ჩემოდანი შევინახო და რალაცეები...

- პო, კარგი, ნავედით, პლაჟზე ვართ, დროზე გამოდი.

- ნადით და ნამოვალ. მრცხვენია, ამდენ შიშველ ხალხში ჩაცმული რომ ვდგავარ, გამოვიცვალო მაინც...

- ნავედით, ნავედით. დროზე. არ გვალოდინო.

ერთიმეორის მიყოლებით გალაგდნენ ახალგაზრდები. წაიღეს ხმაური, ჭრიამული, ზღვის ოხშივარი კი დატოვეს ოთახში.

გია წამით სანოლზე წამოგორდა და გაიშალა. მერე წამოჯდა. ჩემოდანი გახსნა და შვიდი სხვადასხვა ფერის პერანგი ამოანყო კარადა გამოალო და საკიდზე ჩამოკიდა. სხვა არაფერი ამოუღია, გახსნილი ჩემოდანი სანოლქვეშ შეაცურა. მერე გაახსენდა, ხელი ჩაჰყო და ეკას სურათი ამოიღო. დახედა, საპასუხოდ გაუღიმა და სარკეზე მიაშაგრა. სწრაფად გაიხადა ფეხსაცმელები, წინდები, შარვალი და „პლაჟის“ ამარა დარჩა. მერე ისევ წამოგორდა სანოლზე და ტელეფონი დაითრია.

- ალო, შემეცვეთეთ თბილისი! 93-55-07. ჩემი ნომერი? 99-64. როდისთვის? სალამოს მიჩვენია, ათზე... კეთილი გმადლობთ...

ვაშლი ჩაკბიჩა და წამოხტა:

- აბა, ნავედით, - მხიარულად შეაგულღიანა თავი.

დერეფანში მარინა შეხედდა თენგიზის და.

- შენ აქა ხარ?

- პო. ყველანი პლაჟზე არიან უკვე. მოდიხარ, ხომ გია?

- პო, აბა, რა! ლიფტი დაკავებულია. ფეხით ჩავიდეთ.

- ჩავიდეთ, - თქვა მარინამ და გაჩუმდა.

კიბეს ჩაუყვნენ. გაზრდილა ბავშვი, დაქალებულა. გალამაზებულა. თენგიზს ჰგავს, პირველი შეხედვით იგრძნობ, რომ დაძმანი არიან. თმებს იღებავს. ნაბლისფერი უხდება, თუმცა ქერასაც არა უშავს. პაჭუა ცხვირი...

- ეს რა არის? - თითის გაურკვეველი მოძრაობით ანიშნა გიამ სადღაც მკერდისა თუ მუცლის არეში.

- რა? - დაიხედა მარინამ.

გიამ ხელი ჩაავლო პაჭუა ცხვირში.

- პი-ი-ი-პ.

ყოველთვის ასე ატყუებდა.

მარინამ გაიცინა. მაგრამ ძველებურად არ აკისკისდა, დაიმორცხვა კიდევ.

ეზოში გავიდნენ და ფაფუკი ქვიშის ბილიკს გაუყვნენ.

- შენი საქმეები როგორაა. შეათეში გადახვედი?

- პო. შეათეში.

- არ თხოვდები?

მარინამ ერთხანს არ უპასუხა. გიამ თვალი მოაქლო ეზოს. კინოთეატრის აფიშას შეხედა.

- ჯერ არა, - თქვა მარინამ.

- რა არა? - ჩააკითხა გია.

- ჯერ არ ვთხოვდები-მეთქი, - გაიღიმა მარინამ.

- კარგი ფილმია?

- არა უშავს. აგე ჩვენები.

მეგობრები პლაჟზე ისხდნენ, დიდი ქოლგის ქვეშ, გასაბერ ლეიბებზე და შეზღონგებში.



თამაზი ქვებზე განოლილიყო. იქვე ყუთი ჩანდა, კოკა-კოლას ბოთლებით სავსე. პაატა პლასტმასის ქიქებს ავსებდა.

მარინა დანინაურდა და ახალგაზრდებს შეუერთდა. ლამაზი, ყვითელი, საცურაო კოსტუმში ეცვა. ლაფის ნერილი ზორტი გასდევდა მზემოკიდებულ ზურგს.

- მოდი, ერთი დაგვილიე და მერე პაიდა ზღვაში, - კოკა-კოლა მიანოდა პაატამ.

- ჩემს ჩამოსვლას, თქვენს დახვედრას ვაუ, - გაიღიმა გიამ, მონრუ-პა სასმელი და მზეს ახედა.

უცებ ყიფინით წამოცვივდა ყველა. ხელი ჩაავლეს, მიწას მოწყვიტეს, ასნიეს მალლა და ზღვისკენ გააქანეს.

- დაიცაო. ცივია, ვაი დედა, - აფართხალდა გია.

- ერთი, ორი, სამი, - და გადაუძახეს წყალში.

სიგრილე ჩაელვარა სხეულში. ყველა ერთად ადგაფუნდა ირგვლივ. ნინომ ლეიბი შემოათრია. გიამ პაერი ღრმად ჩაისუნთქა და ჩაყვინთა. ლურჯმა ფერმა შეღება კეფა. დელფინური მოუსვა. გეზი პირდაპირ მზისკენ აიღო. გამალებით მიცურავდა და ახლა სითბომ აღუვსო ტანი. მალე ჩამოიტოვა ყველა. გადაბრუნდა და წყალზე განვა. სახე სიცხეს მიუშვირა. ერთხანს ასე გაყურდა. მერე თავი ასნია და ლეიბი დაინახა. ლეიბის უკან - მარინა.

- ასე შორს არ გეშინია?

- არა.

- არც წყლის ყლაპვის გეშინია? - დაემუქრა გია.

- არა. აბა დამენიე, - უპასუხა მარინამ და მოუსვა.

გია მიჰყვა. სწრაფად მიცურავდა. მალე წამოენია.

- აღარ შემოდგე, - უკუღმარა მითქვა მარინამ.

- არა, უნდა დაგახრჩო, - ხელი კისერში წააელო გოგოს.

- არა, არა. ნახე, ჩვენი ლეიბი რა შორს წაიღო დინებამ.

- ახლავე მოვიტან.

- მეც წამოვალ.

- აკი დავიღალეო?!

- არ დავლელილვარ.

ლეიბთან მიცურდნენ. მარინა ზედ აფოფხდა.

- დავიღალე, - თქვა და გაყურდა. ნაპირი შორს ჩანდა. პლასტი ცეროდენა ადამიანებით ავსებულყო.

გიამ თავი ლეიბის კიდეს ჩამრადო.

- კარგად ცურავ. - შეაქო გოგო.

- შო-ო, მარინა ოდნავ ჩაფიქრდა,

- ბატერფლაი არ ვიცი. როგორ უნდა?

- აი, უყურე, - გია წყალში ამოტრიალდა და დელფინური მოუსვა.

ოციოდე მეტრი გაცურა და შეჩერდა.

შენიშნა, აღტაცებული უცქერდა მარინა. გულში ესიამოვნა.

- კიდევ ნავიდეთ შორს.

- ნავიდეთ რა. გიბიძგებ.

- ნახე, გემი.

- აბა?

- აგვე, იქით.

- ვხედავ. მერე რა?

- არაფერი.

- ყვინთვა თუ იცი?

- კი, მაგრამ არ მიყვარს.

- მაშინ მე ნავედი. ნახვამდის.

წყლიდან ამოხტა და მერე სიღრმეში ჩაეშვა. თანდათან უშვებდა პაერს.

ლურჯ სივრცეში ჩაინთქა ერთიანად. უცებ დაინახა - მარინაც ჩამოჰყოლოდა.

ეტყობოდა, ყვინთვა უჭირდა. ზემოთ, ზღვის ცაზე ლეიბი ტივტივებდა.

ამოყვინთეს და ღრმად ჩაისუნთქეს.

- დავბრუნდეთ! - ბრძანა გიამ.



მარინა კვლავ ლეიბზე მოკალათდა. ვიამ ხელი ჰკრა და გააცურა. მთელ სხეულში გაუფდა სითბო და სიგრძელე. აღარაფერი უთქვამს. არც არაფერზე ფიქრობდა. ველარაფერს ხედავდა. ზღვას გრძნობდა მხოლოდ. მარინა ლეიბზე იწვია და ფართოდ გახელილი თვალებით შეჰყურებდა.

ოციოდე ნუთი მოანდომეს დაბრუნებას.

ნაპირზე ხალხი შეთხელებულიყო.

- ჩვენები სად არიან? - ვიამ ლეიბი გამოათარია და ქვებზე დააგდო.

- უკვე პირველი საათია. ალბათ, სასადილოდ წავიდნენ.

- რა დრო გასულა, - აღნიშნა ვიამ. მერე გაიხსენა: - წელან გვისტვენდნენ, მგონი.

- ჰო, თამაზი გვეძახდა.

- წავიდე, ვისადილოთ.

მარინა უხმოდ გაჰყვა.

ბლუზის მელოდია ნარნარად არწევდა დარბაზს. მბჟუტავ სინათლეს ბინდბუნდით აევსო იქაურობა. ნყვილები წელა, ზანტად ცეკვავენ. მაგიდებიდან ხმაური გაისმოდა. ვია და მისი მეგობრები აქ იყვნენ...

- ვიცეკვოთ? - შესთავაზა ვიამ.

მარინამ თავი დაუქნია და წამოდგა.

ერთხანს ჩუმად ტრიალებდნენ რიტმზე.

- აქ მონყენილობაა, ვია! - გამოაცხადა მარინამ სერიოზულად.

- მართლა? - გაუკვირდა ვიას.

- მე მონყენილი ვარ. სულ მონყენილი ვარ!

- აქ მოსაწყენად ჩამოხვედი?

- არა, რა ვიცი, რატომ ვარ ასე.

- არა უშავს, მარი. ვეცდებით არ მოგანყინოთ, - გაუცინა ვიამ.

მარინა გაჩუმდა. ხმას არ იღებდა. რალაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ვერ

მოეხერხებინა შინაგანად დაძმობა. სახე შეუფაკლდა. თისქონ-გასუქდა და ბას შეეპყრო. ბოლოს დაიწყო.

- იცი, რა, ვია, იცი, რა მინდა გითხრა...

ვიას უცებ რალაც გაახსენდა.

- რა დროა? - თითქმის წამოიყვირა და საათს დახედა, - ათი გამზდარა! ტელეფონი!

- რა ტელეფონი? - ჰკითხა მარინამ ჩუმად. ცეკვა შეწყვიტეს და ახლა ასე იდგნენ შუა დარბაზში.

- ბოდიში, მარი, გამახსენდა, უნდა გავიქცე, ნომერში უნდა ჩავიდე, - უთხრა და შემობრუნდა. აჩქარებით დატოვა დარბაზი. მეგობრებს ხელი დაუქნია - ანიშნა მიუდგეარო.

მარინამ თვალი გააყოლა. ირგვლივ ნყვილები ტრიალებდნენ.

## მეორე დღე

- აბა წავედით, - თქვა საშკამ და მანქანის კარი გამოაღო. თამაზი საჭესთან იჯდა. ვია უკან მოკალათდა.

- წავედით, - გაიმეორა თამაზმა, მანქანა დაქოქა და ადგილს მოსწყდნენ.

მზე სადღაც ზღვაში აპირებდა ჩასვლას. კვიპაროსების ხეივანი მოცისფრო ნისლით შეეფერადებინა საღამოს. მანქანა თევზით მისრიალებდა ამ ნისლში.

თამაზმა მაგნიტოფონი ჩართო. მხიარული მელოდია ფანჯრებიდან გარეთ გაიჭრა.

ვიამ სიგარეტს მოუკიდა და ხეივანს გახედა.

- აქ რომ კიოსკი იყო, რა იქნა? - მიუთითა საშკას.

- აიღეს. არ ვიცი რატომ.

- რამეს ხომ არ აშენებენ?

A кто его знает? - მიუგო საშკამ და საზურგეზე გაიჭიმა ნეტარების ხეწეშით.

ნახევარ საათში მიგრიალდენენ რესტორანთან. უკვე ბნელოდა. თამაზმა მანქანა გააჩერა. სამივენი გადმობტნენ.

დარბაზი გაბოლილი, საქმლისა და ლენის სუნით გატენილი და ნახევრად ჩაბნელებული იყო. ორკესტრი უკრავდა. წვეილები ცეკვავდნენ. ბიჭებმა თვალი მოაქცეს იქაურობას – ცარიელ მაგიდას ეძებდნენ. უცებ, მარცხნივ კუთხეში ნაცნობი კამპანია დალანდეს, – ოცამდე კაცი უსხდა სუფრას, არ უნდოდათ დანახებოდნენ, მაგრამ...

– ბიჭებო, თამაზ, გია, საშა, აქეთ, – ყვირის დათო და მაგიდისკენ მიათრევს სამივეს. საკმაოდ მთვრალია.

– გაუმარჯოს, გამარჯობათ, – ნამოვიდა შეზარხოშებული სალამი აქეთ-იქიდან.

დათომ გვერდით მოისვა გია. ხელი გადახვია. გაუცინა. როგორა ხარო, კიდევ ერთხელ ჰკითხა. მერე ჭიქა შეუფსო ლენით და მიანოდა.

– აბა, ამ ერთს ვაკმარებთ, შემოგვიერთდით და მერე არ ჩამოგვრჩეთ, – თან ბეჭებზე ხელი მაგრად დაჰკრა. გიამ ჭიქა ასწია.

– უკვე შესულ სადღეგრძელოს შევუერთდები. სუფრას დაგილოცავთ, შემოსწრებულს მაპატიებთ, ალბათ, – თქვა და გადაყლურნა.

თენგიზი და საშაკც მის დღეში იყვნენ.

მუსიკა შეწყდა. ცეკვა დამთავრდა და დარბაზში ერთხანს მთვრალი ბუბუნი გაისმოდა მხოლოდ.

– ჩემს ადგილზე რა ჩიტი დაბრძანებულა, დათუნა? – ოდნავ ჩახლეჩილმა, მელოდურმა ხმამ შეაკრთო გია. შემობრუნდა და საკმაოდ ლამაზი ქალი დაინახა.

– ეს მეგია, გია, გაიცანი. – განმარტა დათომ.

– სახიამოვნოა, კარგად გამოიყურება მეგიმ და ხელს დაგვიკმაყოფივნოდა, თან რაც შეეძლო ფართოდ გაილიმა. ეტყობოდა მთვრალი იყო.

ორკესტრმა ახალი მელოდია დააგუგუნა.

– ცეკვავთ, გია? – პათოსით ჰკითხა მეგიმ.

გია უცებ გამხიარულდა. რალაცნაირად მიიზიდა ამ ქალმა.

– ვცეკვავ.

– გთხოვთ, – გაინაზა მეგი.

გია ნამოდგა და ქალი მოცეკვავე წვეილებისკენ გაიყოლა.

– მოიცა, მოიცა, – რალაც გაახსენდა მეგის და თითქმის ძალით დააბრუნა მაგიდასთან.

შემდეგ განუმარტა: – ჯერ ჩვენი გაცნობისა დავლიოთ და მერე ვიცეკვოთ.

ჭიქები შეავსეს.

– გაგიმარჯოს, – უთხრა მეგიმ.

გიამ ჭიქა მოუჭახუნა. შესვეს. შემდეგ წვეილებს შეერივნენ.

მეგიმ ხელები კისერზე შემოხვია, მჭიდროდ მიეკრო ტანით და სიტყვა-უთქმელად ჩამალა თავი გიას მკერდში. თითები თმებში შეუცურა და მუსიკის რიტმზე ეფერებოდა.

შემდეგ სახე ასწია და შეხედა. დიდი თვალები ჰქონდა.

– დაეთვერი, – თითქოს თავის გასამართლებლად ნაიბუტბუტა.

– შეც კი დაეთვერი, – გაუცინა გიამ.

მეგი ახლა უფრო მაგრად მოეხვია, ერთხანს ასე იტრიალეს.

გიამ იგრძნო, რომ რალაც უნდა ეთქვა. შეიძლება, ეს არც იყო აუცილებელი. ყოველ შემთხვევისთვის, რალაც პოპულარული სიმღერა ნაილილინა. მეგიმ მხიარულად გადაიკისკისა და ალტაცებით აპყვა. ორივეს გაეცინა. მერე ქალი ხელახლა მოეხვია და



მთლად აეკრო. მკვრივი, შეკრული, ხორციანი ტანი ჰქონდა. რამდენიმე წუთს უსიტყვოდ ცეკვაუდნენ.

უცებ მეგი მოეშვა, ცეკვა შეწყვიტა, თითქოს საცაა ნაიქცევიაო.

- გავიდეთ გარეთ, - სთხოვა გიას, - სუფთა ჰაერზე.

- გავიდეთ, - დაეთანხმა გია. დარბაზი დატოვეს და ქუჩაში გამოვიდნენ. ერთმანეთის პირისპირ იდგნენ.

- სუფთა ჰაერია, - თქვა მეგიმ.

გია დაიხარა და აკოცა. ქალი აეკრო. შემდეგ ერთმანეთს მოსცილდნენ.

- ნავედით, - თქვა მეგიმ, გიას ხელი მხრებზე მოიგდო და ბარბაცით გაჰყვა ცისფრად განათებულ ქუჩას.

გიამ არ იცოდა, სად მიდიოდა. მექანიკურად გაიარა ეზო, აჰყვა კიბეს, გამოალო კარები, მეგიმ წამით აანთო შუქი ოთახში. აანთო და ისევ ჩააქრო. გიამ მხოლოდ სანოლის დანახვა მოასწრო...

სიგარეტის ბოლი ღამის ღამის მკრთალ შუქზე იკლაკნებოდა. გია ნახევრად ნამომჯდარიყო სანოლზე და ენეოდა. მეგის ზენარი სანახევროდ ეფარა, თაქვემ ხელი ამოედო და ტბილად ეძინა. გიას თვალები სადღაც სიღრმისკენ, შეიძლება ანთებულ სიგარეტისკენ გაეშტერებინა და რაღაც ბუნდოვანზე, გაურკვეველზე ფიქრობდა...

### მესამე დღე

გია და საშკა პარკის ოქროსფერ ბილიკს სწრაფი ნაბიჯით მიუყვებოდნენ. თვითონაც არ იცოდნენ, რა ეჩქარებოდათ. საცეკვაო მოედანს უახლოვდებოდნენ. პარკში ხალხმრავლობა იყო. მეტწილად ახალგაზრდები ირეოდნენ. ზოგი ცეკვაუდა, ზოგი მოცეკვავეებს უცქერდა.

- სდექ! - ხმაიანლა უბრძანა საშ-

კამ და განმარტოვდა. მისი მხარეში კამ-ძელისკენ მიახედდა. მისი მხარეში კამ-ძელისკენ მიახედდა. მისი მხარეში კამ-ძელისკენ მიახედდა. მისი მხარეში კამ-ძელისკენ მიახედდა.

- ნატაა, - დააზუსტა ბოლოს.

- ვინ არის? - ჩააკითხა გია.

- რა ვიცი, გუშინ დილით გავიცანი ბაზარში.

- რა გინდოდა ბაზარში? - გაეცინა გიას.

- ჩქარა, არაეინ დაგვასწროს, ნავედით, - ხელი დაჰკრა საშკამ.

გია მიჰყვა.

- მეორე ვინღაა, - ჰკითხა ზზად.

- არ ვიცნობ. ამხანაგი იქნება. გაიცნობ. ეგ უკეთესია. მაგრამ რას ვი-

ზამ, შენთვის დამითმია, ნატა მე გავიცანი და... - დაიქოქა საშკა.

- აბა, ჰე, - შეგაგულიანა გიამ.

გოგონებს მიუახლოვდნენ. საშკა ნაბიჯით დანიწაურდა და დიდი ამბით დაუკრა თავი.

- ა, გამარჯობათ, - იცნო ნატამ, - კიტრები რა უყავით?

- შევჭამე, გაიცანი, ეს ჩემი მეგობარია, - წარუდგინა გია.

- სასიამოვნოა, ეს ირინაა.

- შეიძლება ჩამოვსხედეთ? - იკითხა საშკამ.

- როგორც გნებავთ.

- Thank you, - ინგლისური მოიმარჯვა გიამ. დასხდნენ.

- თქვენ რა, სპეციალისტი ხართ? - ჰკითხა ირინამ.

- არა, ბუბია მყავდა ამერიკელი.

- ზანგი იყო, - ჩაერია საშკა.

- ქალების წინაშე ნუ მარცხვენ, - გაუნყრა გია.

- მოდით, მოედანზე ავიდეთ, - ნინადადება შემოიტანა საშკამ, - რაიმე მივირთვათ, ვიცეკვით.

- რატომაც არა, შეიძლება, - დაუ-  
თანხმა ნატა.

ირინას არაფერი უთქვამს. საცეკ-  
ვაო მოედანზე ავიდნენ და პატარა მა-  
გიდას შემოუსხდნენ. ოფიციანტი ქა-  
ლი მალე მოვიდა.

- რას ინებებთ?

- რაც კარგია, ყველაფერს, - მიუ-  
გო საშკამ.

- ორი შამპანური თაეისი ატრიბუ-  
ტივით, - დაუზუსტა გიამ.

- გასაგებია, - თქვა ოფიციანტმა  
და გაუჩინარდა.

- მოდით ვიცეკვოთ, - შესთავაზა  
ირინას გიამ, ცდილობდა უხერხულო-  
ბა არ გაჭაჭანებულყო ახლა.

ირინა უხმოდ წამოდგა.

- მოდი, ნატა, არ ჩამოვრჩეთ, - აპ-  
ყვა საშკა და ოთხივენი მოცეკვავეებს  
შეერივნენ.

გია უხმოდ ცეკვავდა და ხედავდა,  
როგორ კისკისებდა ნატა, საშას ხით-  
ხითიც ესმოდა. ირინა კი რატომღაც  
დუმდა.

სუფრას რომ დაუბრუნდნენ,  
ოფიციანტმა, როგორც იქნა, მოიტანა  
შეპირებული. ჭიქები შეაესეს და საშკამ  
წამოიწყო:

- მოდით, კეთილგანწყობის სად-  
ლეგრძელო შევსვათ. დაე, ჩვენი წუთი-  
დან ჩვენი გაცნობისა, არასოდეს ვან-  
ყენინოთ ერთმანეთს. უარი არაფერ-  
ზე ვუთხრათ. მოდის...

- მოდის, - ჭიქა მიუჭახუნა ნატამ.

- ერთ ანეკდოტს გიამბობთ, - და-  
იწყა საშკამ, როცა სადლეგრძელო  
შესვეს, - ამერიკელი ქალი პარიზში  
ჩავიდა. სასტუმროში პირველად ის  
იკითხა, მამაკაცი თუ იმოვებოა აქ.  
უთხრეს ამა და ამ ნომერზე დარეკავთ  
და ყველაფერი რიგზე იქნებაო. ასეც  
მოიქცა. ცოტა ხნის შემდეგ ვილაც აკა-  
კუნებს. გაალო და ხედავს, ერთი ციც-  
ქნა, კაფანდარა ფრანგი, ვეება ბან-

ტით კისერში დგას და ხმამაღლა ნე-  
ლამდე ძლივს სწყვიტავს: „საშკამ, გი-  
ბრძანდებით?“ „მადამ, მე სექსის ბი-  
უროდან გახლავართ“. „მერე თქვენ რა  
შეგიძლიათ?!“ „მე ჭიპზე გაკოცებთ,  
მადამ“, „მერე, ეგ არის სექსი?“,  
„თქვენ ვერ გამოგვთ, მადამ. მე შიდა  
მხრიდან გაკოცებთ“.

ნატა ჩაბჭირდა. გიამ იცოდა ეს  
ანეკდოტი და ყასიდად ხარხარებდა.  
ირინა მორიდებით იცინოდა.

... მთვარე ანათებდა არემარეს.  
პარკში ხალხი შეთხელებულიყო. საშ-  
კა და ნატა, გია და ირინა ხელგადახ-  
ვეულები ჩამოდიოდნენ კიბეზე. სა-  
ცეკვაო მოედანზე კარგა ხანი იყო,  
ალარაფინ უკრავდა მუსიკას. მაგადა-  
ზე ექვსი ცარიელი შამპანურის ბოთ-  
ლი დატოვეს.

ბილიკზე შეაბიჯეს ფეხი და ზღვი-  
დან მონაბერი გრილი ნიაფი მიესალ-  
ბუნათ სახეზე.

- აბა, კარგად იყავით, - დაემშვი-  
დობა საშკა, - მე და ნატას გზა იქით  
გვაქვს.

- ნახვამდის, ბავშვებო, - ნატამ ხე-  
ლი დაუქნია.

გია და ირინა ერთხანს იდგნენ და  
უცქერდნენ. როდესაც მეგობრების  
წყვილი თვალს მიეფარა, ირინა ოდნავ  
შეინძრა, ნახევარი ნაბიჯი უკან გა-  
დადგა. გია იძულებული იყო ხელი აე-  
ლო მისი მხრებიდან.

ნელა დაუყვანენ პარკს. ერთხანს  
დუმდნენ.

- მოგნონს ეს ქანდაკება? - სიჩუ-  
მე დაარღვია ირინამ.

- მხატვრულად კარგია, მაგრამ ან-  
სამბლში არ ზის...

ირინამ ცას ახედა. ვარსკვლავები  
კაშკაშებდნენ.

- როგორ გგონია, არის ცხოვრება  
მარსზე?

- თეორიულად შესაძლებელია, მაგრამ მე არა მგონია, რომ იქ ვინმე ცხოვრობდეს, - უპასუხა გიამ.

- მე კი ვფიქრობ, რომ ყველა ვარსკვლავზე ვილაც ცხოვრობს, - ოცნებით თქვა ირინამ.

- ჰო, ცხოვრობენ, - დაეთანხმა გია, - ცხოვრობენ, ხედებიან, ეცნობიან, აცილებენ, უყვართ... ჩვენ შეიძლება მოვესწროთ იმ დროს, რომ მარსზე ნავიდეთ და გავიგოთ, ვინმე ცხოვრობს თუ არა იქ. გინდა შოკოლადი? - გია აქამდე ატრიალებდა ხელში კანფეტს, ახლა კი მოიფიქრა და მიანოდა. ირინამ გამოართვა.

- ჩემს შვილს უყვარს შოკოლადი.

- ესე იგი, თქვენ შვილი გყავთ?

- მერე რა?

- არაფერი. ახლა აქ არის?

- არა.

- მარტო ხარ სასტუმროში?

- ჰო, მარტო ვარ, - თქვა ირინამ და შეჩერდა, - იქნებ ჯობდეს აქ დავცილდე. მე მარტო ნავალ...

- არა, მე... - შეეპასუხა გია.

- მე მარტო მინდა.

- იქნებ გამეცილებინე.

- არა. ნადი, გია.

ირინა შებრუნდა და ნელა გაუყვა ბილიკს.

გია ერთხანს იდგა. მერე შემობრუნდა და ნავიდა. სიგარეტს მოუკიდა და ღრმა ნაფაზი დაარტყა.

## მეოთხე დღე

სასადილოდან შოლამდე ოცდახუთი მეტრი იყო. კოკისპირულად წვიმდა. გია ჩორთით მისწრაფოდა თავშესაფრისკენ. ნასაუზმევზე ეს იძულებითი შხაპი არ ეჭაშნიკებოდა. მის წინ იისფერი სარაფანი მირბოდა. თავზე კოხტა სომბრერო ეხურა, საიდანაც ლამაზად გაშლილი შავი თმა გადმოშვებულ იყო. ახალგაზრდა ქალის მალა-

ლი, ჩამოქნილი ფეხები სწრაფად მიბიჯებდნენ წვიმით გასველებულ მიწაზე.

ლიფტის კარებთან გია ნამოენია ქალს. ერთდროულად შევიდნენ კაბინაში.

- რომელზე გნებავთ? - ჰკითხა.

- მეექვსეზე, - მიიღო პასუხად.

„აქამდე არ შემინიშნავს ეს ბავშვი“, - გაიფიქრა გიამ და დააკვირდა.

ლამაზი ქალიშვილი იყო. იქნებოდა ოცი-ოცდაერთი წლის.

უჩუმრად ასრიალდნენ მეექვსე სართულზე.

გიას გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა აღმოჩნდა, რომ თავის კარის მეზობელს ხედავდა: ქალიშვილმა ხხ-ე ნომრის კარი გამოაღო.

გია თავის ოთახში შევიდა. არ იცოდა, დღე როგორ გაეტარებინა. გარეთ გადაულებლად წვიმდა. გია აივანზე გავიდა და მარჯვნივ გაიხედა.

მისი მეზობელი აივანზე იჯდა, შეზღონგში. გადაშლილი ყურნალი მუხლებზე ედო და ჩასცქეროდა. მერე თითქოს იგრძნო ვაჟის მზერა და ახედა. გიამ უხერხულად იგრძნო თავი, ოთახში შებრუნდა. ჩაფიქრდა, მერე გაზეთს სტაცა ხელი, აივანს დაუბრუნდა და შეზღონგში ჩასკუპდა. ხშირ-ხშირად აპარებდა თვალს მარჯვნივ. მთლიანად ნაიკითხა გაზეთი. ერთი სტატიაც არ დატოვა. წვიმა გადაეხდა არ აპირებდა. ქალიშვილი ნამოდგა, ყურნალი დახურა და ოთახში გაუჩინარდა. გიამ გადანწყვიტა დაეცადა. იმედი ქონდა, დაბრუნდებაო და მესამედ მიუბრუნდა სპორტულ ამბებს. ხუთი წუთი იცადა. შემდეგ დაბლა, ეზოში გადაიხედა და რას ხედავს? ფართოფარფლებიან სომბრეროს არაფრად ჩაეგდო ძლიერი წვიმა და პლაჟისკენ მიფრიალებდა.

გიამ თვალი გააყოლა. ქვიშიანში

რამდენიმე პანანონა ფანჩატური იდგა. სწორედ ერთ-ერთ მათგანში მოკალათდა ქალიშვილი. ახალი ფურნალი დაიდო მუხლებზე და გაირინდა.

გია მზარდი გადანყვეტილებით ნამოდგა. საწოლქვეშიდან ჩემოდანი გამოათრია, იქიდან მოლბერტი, საღებავები და ფუნჯები ამოაწყო, ილღის ქვეშ ამოიწარა და გარეთ გავიდა. საკმაოდ უდარდელი სახით გადაირბინა ეზო და მეზობელ ფანჩატურში მოთავსდა. სულ ოთხი მეტრი ამორებდა ქალიშვილს. წვიმდა და წვიმდა.

გიამ მოლბერტი გაშალა, ფუნჯი იისფერ საღებავში ჩაანო და ქალადს გაუსვა. ეს იყო და ეს: აღარაფერი დაუხატავს. ხშირ-ხშირად უცქერდა ქალიშვილს. იჯდა ასე ჩუმად.

გოგონას შეუმჩნეველი არ დარჩენია გიას მანევრები. ჩუმად ილიმებოდა. ბოლოს ფურნალი დახურა და ხატვაში „შთანთქმულ“ გიას აშკარა ინტერესით გახედა.

- რას ხატავთ? - საკმაოდ ხმამაღლა ჰკითხა.

- მე? - აა... არაფერს - ბუნებას, ზღვას - პეიზაჟს. „წვიმიანი პეიზაჟი“.

- მხატვარი ხართ?

- არა, მოყვარული ვარ, თქვენ ხატავთ?

- არა. ხატვა არ ვიცი.

- ხატვის სწავლას არაფერი არ უნდა. ყოველ ადამიანში იმალება ნიჭი. ალბათ, თქვენშიც. მთავარია ფანქრის დაჭერა ისწავლოს კაცმა. თუ მოახერხებთ და ფანქარს სწორად დაიჭერთ, მერე ფუნჯსაც შეეჩვევი და მხატვარი გახდები, - შეაგულიანა გიამ.

- მერე რა უნდა დავხატო, - გაეცინა გოგონას.

- მაგას რა კითხვა უნდა. რასაც დაინახავ და მოგწონება, აიღებ და დახატავ. აი, მე ვხატავ ზღვას, ნაპირს და

ნაპირზე, ფანჩატურში მდებარე ქალიშვილს... **ნიკელიძე**

- ა, მეც მხატვით? გმადლობთ კომპლიმენტისთვის.

- კომპლიმენტი კი არა, ფაქტია.

ქალიშვილი ერთხანს შეყოვნდა. მერე ჰკითხა:

- თქვენ ფურნალისტი ხომ არ ხართ?

- არა, რატომ მკითხეთ?

- ისე კარგად გააბით საუბარი, ბრწყინვალედ.

- გმადლობთ კომპლიმენტისათვის, - უთხრა გიამ.

- კომპლიმენტი კი არა, ფაქტია, - დაუბრუნა ქალიშვილმა.

ორივეს გაეცინა.

- პირველად ხართ აქ?

- ჰო, პირველად, - გამოუტყდა ქალიშვილი.

- მე რამდენიმე წელია უკვე ზედიზედ აქ ვარ ზაფხულობით. ჰო, მეზუთე წელია.

ასეთი კარგი მეზობელი ჯერ არ შემხვედრია. შარშან...

- თქვენ გია გქვიათ, არა?

- ჰო. საიდან იცით.

- ვიცი, - მზრები აირჩა პასუხად ქალმა.

- თქვენ რა გქვიათ?

- თამრიკო.

- მოგწონთ აქაურობა.

- კი, ძალიან, თუმცა ცოტა მონყენილი ვარ.

- მე აქ არ ვარ მონყენილი არასდროს. თუ გინდათ, ისე მოვანყობ, რომ არც შენ მოიწყინო.

- დიდი მადლობელი ვიქნები შენი, - არ ჩამორჩა თამრიკო.

წვიმამ ისე უცებ გადაიღო, თითქოს ნაჯახით მოსხიპესო.

თამრიკო გამოვიდა თავისი ფანჩა-

ტურიდან და გიას მორიდებით მიუახლოვდა.

– წვიმის გეშინოდა? – ჩაკეთხა გია.

– არა, წვიმა კარგია, – უპასუხა თამრიკომ და გიას ნახატს დახედა. დახედა და სიცილი აუვარდა. ფერადი ქაოსი იყო დაჯღაბნილი ქალაღზე. გიასაც გაეცინა. მერე კი შერცხვა, ძალიან შერცხვა.

– მაგარია, არა? – ჰკითხა შემკრთალმა.

– შესანიშნავია. განსაკუთრებით ლამაზი ქალიშვილი მომწონს, – იცინოდა თამრიკო.

... სადილის შემდეგ ავტოდრომზე წავიდნენ გია და თამრიკო. პანანინა მანქანებით ისეირნეს.

... საღამოს კაფეში იყვნენ. ყვა დალიეს. შემდეგ გემით ერთი საათით გაისეირნეს ზღვაზე.

შინ ბრუნდებოდნენ.

– როდის გითავდება საგზური? – ჰკითხა გიამ.

– ხვალ. ხვალ შუადღისას მივდივარ თბილისში.

– მართლა? – განცვიფრდა და განაწყენდა გია, – რატომ აქამდე არ მითხარი?

– რა ვიცი. რა საჭირო იყო.

ლიფტში შევიდნენ. გიამ შეექცეს ლილაკს დააჭირა თითი.

აშკარად დანალულიანდა.

– ჩემი გაცნობა ხომ არ გენყინა, ხვალე რომ მიდიხარ? – სევდიანად გაიხუმრა.

– არა უშავს. თბილისში შევხვდებით, – გაამხნევა თამრიკომ.

– რა თქმა უნდა, ხვალ დილით გნახავ. მისამართები და ტელეფონის ნომრები გაეცვალათ.

– ღამე მშვიდობისა.

– ღამე მშვიდობისა.

## მეხუთე დღე

მარტინული

მზიანი დილა იყო. გიამ გადაწყვიტა, დღეს ბევრი ეცურა. წვიმის შემდეგ ზღვამ დანყნარება იცის, წყალი თბილია ხოლმე.

პოლში სინყნარე იყო. დამსვენებლებმა, ალბათ, უკლებლივ პლაჟს მიამშურეს. ადმინისტრატორი ჩვეულ ადგილას იჯდა და ქალაღებში თავჩარგული რალაცას ანგარიშობდა. მარმარილოს სვეტს ვილაც ქალი მიყრდნობოდა. გიას უცნაურად შეუტოკდა გული: წამსვე იცნო მაკა. თუმცა ზურგით იდგა. ვერ ხედავდა მის ლურჯ თვლებს, მაგრამ იცოდა, ისინი ზღვას გასცქეროდნენ ახლა, თვისსავე ფერის ზღვას. ათასჯერ და ათიათასჯერ დაუჭერია ეს მშერა გიას. ღიმილნარევი მშერა, შარშანდელი, შარშანინდელი...

უჩუმრად, უხმაუროდ მიეპარა და როგორც ერთ დროს ჩვეოდა, ხელი ააფარა თვალეზე.

– გია ხარ. – წამით არ დაფიქრებულა მაკა. ხელები მოიშორა. შემობრუნდა და მისასალმებლად აკოცა.

– როგორა ხარ, მაკა?

– კარგად. შენა? – გაულიმა მაკამ.

– როგორც ხედავ... ახლა ჩამოხვედი?

– პო, ნახევარი საათის წინ.

– ისე 70-ეში?

– პო. შენ ისე 64-ში?

– კი.

მექანიკურად გაუყვნენ ბილიკს, რომელიც ზღვისპირას აღმართული დიდი ქვისკენ მიდიოდა.

– გალამაზებულხარ.

– მართლა? – ვითომ გაიოცა მაკამ,

– განა ყოველთვის ლამაზი არ ვიყავი?!

– ახლა განსაკუთრებით. მაინც როგორ მიცანი ასე უცებ, ხელებით.



- ასე შენ მეტი არავინ არ მოიქცეოდა, - ირონია გამოუკრთა ხმაში მაკას.

- მართალი ხარ. - ოდნავ ამოიოხრა გიამ. - მართლა ძალიან გალამაზებული ხარ, - ისე შეათვალა იერა, თითქოს პირველად ხედავდა.

- მოგნონვარ?

- ჰო.

- გიყვარვარ?

- ჰო. მიყვარხარ. ცოლად გამომყვები?

- არა, მართლა, - გაუხარდა მაკას, - შეშინდა.

- ყოველთვის არ გეუბნებოდი: მიყვარხარ.

- ვაშლი გიყვარს? - სერიოზულად ჰკითხა მაკამ.

- ვაშლიც ძალიან მიყვარს, - სერიოზულადვე მიუგო გიამ.

- მე უფრო გიყვარვარ თუ ვაშლი?

- ორივე ერთნაირად, მაგრამ შენ ცოტა უფრო მეტად.

- არა მჯერა.

დიდ ქვას მიუახლოვდნენ. ერთდროულად შეხედეს დანით ამოჩხაპნილ საკუთარ სახელებს.

- გახსოვს: „მოდო, ვნახოთ მაკა. ვინ შეჭამა მაკა...“ - დაიწყო გიამ.

- ნანა გათხოვდა, - შეანწყვტიხა მაკამ.

- მართლა? შენ წარმოიდგინე, გავიგე უკვე.

მაკა ქვის ქვეშ იჯდა ძველებურად. გია მიუჯდა გვერდით. გაჩუმდნენ. გიამ კენჭი ესროლა ზღვას.

- სადკო აღარ მუშაობს? - იკითხა მაკამ.

- ვინაა სადკო? - ვერ გაერკვა გია.

- აქ რომ ოფიციალტი იყო. არ გახსოვს?

- მახსოვს. ნელს არ მინახავს. შეიძლება შევხვდებოდა.

პლაჟზე ვილაც კორტეზმეტი მოწყობილი ბიჭი გამოიწვია. ხელში ტომლაც ჩოგბურთის ჩოგანი ეჭირა.

- მოიცა, - თქვა მაკამ და მთელი ხმით გასძახა - თენგო, თენგო, მოდი აქ!

ბიჭმა პიჯაკი გაიხადა, მხარზე მოიგდო და მიუახლოვდა. ეტყობოდა ახლადჩამოსული რომ იყო.

- თენგო, გია, გაიცანით...

გია წამოდგა და ხელი გაუწოდა. მაკა ისევ იქ იჯდა, ქვის ძირას.

თენგიზი დააკვირდა.

- თქვენ ვალიკოსთან...

- ჰო-ო, - გაახსენდა გიას, - მეც არ ვთქვი, საიდან მეცნობა-მეთქი.

- კარგია, - ჩაილაპარაკა თენგიზმა და მაკას გვერდით მიუჯდა, იმ ადგილას, სადაც ადრე გია იჯდა ხოლმე.

- კორტეზზე არ წამოხვალ სადილის შემდეგ? - ჰკითხა მაკას, კენჭი აიღო, ჩოგანი დაარტყა და ზღვაში ისროლა.

- დღეს არა, ხვალ ნაწიდეუთ, კარგი? შენ არ ივლი კორტეზზე, გია? იცი, თენგიზმა რა თამაში მასწავლა.

- მე არ ვიცი თამაში.

- შენც გასწავლის.

- ვნახოთ, მე კიდევ ცურვას ვასწავლი თენგიზს, თუ არ იცის...

- მართლა, თენგო, იცი, ცურვა გიამ მასწავლა.

- კარგი, აბა მე ნაწიდეუთ, - თქვა გიამ და შემობრუნდა...

## კიდევ ერთი დღე

მზე ახალი ამოსული იყო. გიას თვის ოთახში, გასაბურ ლეიბზე გაეშალა ლოგინი და ეძინა ტკბილი, უმფოთველი, მოლოდინით თუ განცხრომით აღსავსე ძილით. აივნიდან სუსტი სიო უბერავდა და საამო სიგრილე მოჰქონდა. საბილიარდოდან უკვე გა-



ისმოდა ბურთების ქახაჭუხი, ეზოდან კი პინგ-პონგის ხმა. ტალღა ფრთხილად ეფერებოდა ქვიშას. ზღვა და ცა ერთი ფერის იყო, როგორც ადრიან დილით იცის ხოლმე. პლაჟი იღვიძებდა.

გიას ეძინა.

კარებზე დააკაკუნეს. გიამ ამოიხვნიშა და გადმობრუნდა.

კაკუნი განმეორდა.

– მოანეჭი და შემოდი, – გასძახა გიამ ისე, რომ თვალი არ გაუხელია.

იგრძნო, რომ კარი გაიღო. ვილაც იდგა კარებში და არ ინძრეოდა. გიამ ძილს ნაართვა თავი და თვალი გაახილა.

ოთახში ეკა იდგა და უცინოდა.

გიამ გაიღიმა.

## 2. „რიჟა“

ნოველა

ერთხელ, ბავშვობაში მხიარული ამბავი შემემთხვა. როცა პატარა ვიყავი, ასე – ათი-თერთმეტი წლის, ჩვენს უბანში მილიციონერი მუშაობდა, „რიჟას“ ეძახდნენ, რადგან მეტისმეტად ნითური იყო. ერთი ძველი მოტოციკლეტი ყავდა, რომლის რახრახიც კილომეტრზე გაისმოდა. ბავშვების მეთვალყურეობა ევალებოდა და თუ ვინმეს რაიმე საეჭვოზე გამოიჭერდა, საბრალოს განყოფილებაში წაყვანა არ ასცდებოდა. გამოგეკიდებოდა რახრახით, ხოლო ვინრო შუკებში კი, რომლებიც უხვად იყო ჩვენს ტიპიურად თბილისურ უბანში და რომლებშიც მისი მოტოციკლეტი ველარ ატანდა, „რიჟა“ – სპორტის ოსტატი მძღეოსნობაში – ფეხდაფეხ დაგედევნებოდა. რას გაექცეოდი?!

ერთხელ, ღამით ჩემზე ოთხი წლით

უფროს ბიჭთან ერთად ვიდგე უბანში. უცბად მოტოციკლეტი ჩვენი რახრახი მოისმა.

– ვაიმე, „რიჟა“! – იყვირა ჩემმა ძმაცაცმა და თვალსა და ხელს შუა აორთქლდა.

მე გაქცევა ველარ მოვასწარი. „რიჟა“ მომადგა.

– ვინ იყო?

– ვინ „ვინ“ იყო?

– რომ გაიქცა.

– ვინ გაიქცა?

– აბა ახლა მორჩი, თორემ ნაგიყვან განყოფილებაში და გაგასიებ ცემით. ვინ იყო?

– არ ვიცი, არ ვიცნობ.

– არ იცნობ კი არა, იცი, რას გიზამ? განყოფილებაში ნაგიყვან, თხუთმეტ „სუტკას“ მოგარჭობ და თანაც მაგრა გირტყამ!

– კი ბატონო, წამიყვანე, ოღონდ ამიხსენი, რა დავაშავე.

– იქ გაიგებ. ისე, რატომ არ გაიქციე?

– ვერ მოვასწარი.

– მოდი, იცი რა, თუ გინდა, გაიქციე, მე გამოგეკიდები. თუ გაშექციე, თავისუფალი ხარ, თუ არა და ნაგიყვან განყოფილებაში და გაგხეთქავ ცემით. მოსულა?

– თუ ჩემი ცემა გინდა, პირდაპირ მცემე, თორე შენ ვინ გაგაქცევა, სპორტის ოსტატი ხარ მძღეოსნობაში.

– ვა, შენ რა იცი?

– ვიცი.

– მიდი, მაინც სცადე, იქნებ...

– ვერა...

– გინდა ფორა მოგცე?

– რამდენს მომცემ?

– ათი ნაბიჯი იყოს.

– არა, ათი ცოტაა, თხუთმეტი მომეცე.

- კარგი, მიდი.
- ერთი, ორი, სამი... - გადაედგო  
თხუთმეტი ნაბიჯი და გაეიქეცი.  
ქუჩის ბოლომდე დამიჭირა.
- ხომ დაგიჭირე? ახლა წაგიყვან  
განყოფილებაში და...
- ეს არ ითვლება, თხუთმეტი ცო-  
ტა იყო, სპორტსმენი ხარ.
- აბა ახლა „ჟილკობას“ მოეშვი, შე  
ლანირაკო, წამო განყოფილებაში!
- აი, ოცი ნაბიჯი მომეცი და ნახავ  
თუ არ გაგექცევი...
- ოცი? კაი, მიდი გაიქეცი, ოღონდ,  
თუ დაგიჭირე, წაგიყვან განყოფილე-  
ბაში და გაგხეთქავ ცემით!
- მოსულა! დაეინყოთ! - ოც ნაბიჯ-

ზე გავშორდი და გავექეცე. ვიცოდი  
მარჯვნივ, კუთხეში, ერთი კერძო გა-  
საძრომი იყო, ჩემხელა ბავშვი გაეტე-  
ოდა, უფროსი - ვერა. გავძვერი და  
სამშვიდობოს გავედი.

- მომატყუე არა, შე მაიმუნო, - მო-  
მადახა „რიჭამ“, - დამაცადე, დაგიჭერ  
ერთიც იქნება...

მაშინ „რიჭა“ ძალიან დიდი მეგონა,  
ახლა რომ ვიხსენებ, ოცი წლისა იქნე-  
ბოდა.

„რიჭა“ დიდხანს მუშაობდა ჩვენი  
უბნის მილიციის განყოფილებაში...  
მრავალი წლის შემდეგ გავიგე - პო-  
ლიციის ოფიცერი გამხდარა - აფხა-  
ზეთში მოუკლავთ.



# ახალი ლექსები ახალი წიგნიდან: “სიყვარული – უპირველეს ყოვლისა”

## პატარა ისტორია

მეც ნაედგომოდი ეგებ სოფელს  
ცხვარ-ძროხის მწყემსადა,  
ან ყანის მუშადა, ანდა გემის საჭე  
მემართა?!  
მაგრამ, რა მექნა? – გამაბრძოლვე იმ  
ერთმა ლექსმა,  
თანაკლასელი გოგონასი მე რომ  
მემართა.

თავგადასაველებს ვერ მოისთვლის ის  
ისტორია,  
ადრე დაინყო და ადრევე აეგო  
წესიცი...  
თანაკლასელი რა ხანია სხვისი  
ცოლია,  
ხოლო ჩემ კისერს კვლავაც ადგას  
უღელი ლექსის...

## რჩევა

სულ აირია სიყვარულის გზაცა და  
კვალიცი,  
მთელი სიცოცხლე ვერ ველირსე  
პასუხს უწუნებელს;  
ამბობენ, როცა ცრუობენო ბაგენი  
ქალის,  
თვალეები მისი სულ სიმართლეს  
აფუფუნებენ...

ძვირფასო, ახლა ერთადერთი იმედით  
ვცხოვრობ:  
თუ მართლა ფიქრობ, ამაშორო  
სასონარკვეთა,  
მოაწყე ისე, რომ თვალეებით  
ცრუობდე მხოლოდ,  
ხოლო სიმართლე ილაღადონ ე მაგ  
ბაგეთა...

## შენ ერთხელ მკითხე...

შენ ერთხელ მკითხე... როგორ გაჩნდა ეგ კითხვა, ნეტავ,  
ვინ დაგიბედა ამ უცნაურ ეჭვთან მონება:  
მაინცი რომელი, ჩვენ ორს შორის გიყვარსო მეტადა, –  
მე თუ შენართან წილნაყარი ზემთაგონება?!

ერთადერთ პასუხს ვენმახნები, ვით ვაზი ხარდანს,  
დე, ანგელოზმა ფრთით გაახლოს ჩემი სიმართლე:  
თუ ლექსზე ვფიქრობ, სიყვარული მინთია სანთლად,  
თუ შენზე ვფიქრობ, იმ სიყვარულს ლექსი მინათებს!..

## ხვარამზე

ერქენულნი

გამიგონია: ქალმა ხვარამზემ,  
რალაც გამორული გამოქანებით  
რომ შემოღობა ერთ ნაწვიმარ დღეს  
ვაფიკას ცხენის ნაფლოქვარები...

ასე უვლიათ საქართველოში  
თავდავინწყებით ამტყდარი თრთოლა!  
იმ სიყვარულის ცხრა ანგელოზი  
აბრუნებს ჩემი ლირიკის დოლაბს!..

## თუ ჟამმა დაპკრა...

გინდ უკვდავებას გადაეტოლე,  
მაინც სულს გვხდიან ლვარძლნი  
დროთანი;  
დღეს არც ცოტნეა და არც თევდორე,  
არსად შეგხედება არც იოთამი.

მაგრამ არ გემართებს მაინც ოტება,  
ნურც ვის ჰგონია – სისხლი  
შემდორეს...  
თუ ჟამმა დაპკრა, ყველა ცოტნეა,  
იოთამი და გინდა თევდორე.

## სიტყვა შიმშილზე

საქართველოში, დებო და ძმებო,  
დღეს მრავალგვარი შიმშილი მეფობს.  
ლუკმაპურს კიდევ იშოვის კაცი,  
ძალას კი სულ სხვა შიება გვაცლის:

კაცთმოყვარების საზარელ შიმშილს  
ჩაუბუღია ჩონგურის სიმშიც...  
იქ ლუკმაპურსაც გემო აქვს მწარე,  
ერი თუ რჩება სიკეთის გარე.

რითი ეუნამლოთ იმედის შიმშილს,  
ქართველს ფარივით რომ ახლდა  
ჭირში?!  
ახლა ღიმილის შიმშილს გაუძელ,  
(არაფერს ვამბობ სინდის-ნამუსზე).

ანდა რა უყყოთ სიმართლის შიმშილს,  
არც სათნოების ჭიატობს სიმში.  
არ არის უფრო სასტიკი ხვედრი,  
ვიდრე შიმშილი ადგილის დედის.

დიახ, შიმშილის სხვადასხვა ჯოგი  
თავისნებაზე მიქრის და მოქრის.  
მნეავე შიმშილი სუფთა ჰაერის  
თავს გვაზის, როგორც გულქვა ყაენი...

როცა შინასაც ველარ შინაობ,  
თითქოს ირაომ შეგაშინაო –  
თრთი და ცახცახებ, როგორც  
ზვარაკი,  
არც კაცობაზე ღირს ლაპარაკი.

სადაც ამდენი გიპყრობს შიება,  
დუმილი როგორ გეპატიება?!

## 21 აპრილი, 2002

გადაიხარა... გადაიხარა...  
გადაიხარა შუბის ტარიდან.  
ბევრმა ოცნებამ არ გაიხარა,  
ცოტამ კი ცოტა ცრემლს ამარიდა.

გადაიხარა... გადაიხარა...  
მაგრამ როდი ესდევ თმის  
ვერცხლოვნებას;  
ლამის ცხოვრება გადაილაღა,  
მე კი თავიდან ვინყებ ცხოვრებას.



გადაიხარა... გადაიხარა...  
 ზედ შუბის ტარზე ეშმაკ უბიძგა...  
 ნლების გრაგნილი გადაიხა-რა,  
 ნაკუნებოლა შერჩა შუბის ტარს!..

ბევრი ღრუბელი გადაიხარა...  
 სუსხიც ვიგემე, ალღეც ნაჭირდა...  
 გადაიხარა... გადაიხარა...  
 და გავხდი კიდეც სამოცდაათის!..

### ირმის რძა

*ერთ-ერთ ოჯახში ენახე ირმის დატოტვილი რქა,  
 რომელიც ტანსაცმლის საკიდრად იყო გამოყენებული.*

ვინ გაგიმეტა, რქაო, საკიდრად,  
 ადრე გრიგალებს განაკიდარი?!  
 ვით განუგემო, აბა, რა ვითხრა,  
 მორჩა, გათავდა, – ხარ საკიდარი.

ველარც კი არჩევ ოთხ კედელს შორის  
 –  
 როდის ღამდება... როდის თენდება...

ხარ საკიდარი, სხვა – არაფერი  
 და ათასგვარი ძონძი გკიდია.  
 ფრიალოებზე გადანაფრენი  
 სად მოიხელთეს, სად უყიდიათ?!

სადღაც, კუთხეში ხარ დალურსმული  
 და ხევეუვების ღაზვას ჩვეული  
 მტვერდამცვრეული და გალურსული  
 თვლემ საოჯახო საგნად ქცეული

სად ჩააჩოქეს შენი პატრონი,  
 ბედმა რო ზიფათს ვერ აარიდა?!  
 ის რო დაეცა გულგაფატრული,  
 შენ გვირგვინით ნაგხსნეს  
 თავიდან...

და გესიზმრება ზღაპრული მხარე,  
 კლდე არი, ტყე თუ ნყარო ქებული  
 და ხორციანი, ბრდღვიალა მთვარე  
 რქაზე მწვადივით ნამოგებული...

მას აქეთ ჟინიც განყალდა ბრძოლის,  
 ნატვრად გქცევია ქროლვით  
 კვეთება;

ვინ გაგიმეტა, რქაო, საკიდრად,  
 ერთ დროს გრიგალებს განაკიდარი?!  
 ვით განუგემო, რა ვენა, რა ვითხრა,  
 მორჩა, გათავდა, – ხარ საკიდარი.

### სტროფი

საქართველოში გზა გაეხსნა ახალ ხელობას, –  
 ვსხედვართ, ვშიმშილობთ და გასაჭირს ერთგულად ვიყოფთ;  
 მაგრამ მთავარი მოშიმშილე საქართველოა  
 და ეს აქციაც, ღმერთმა ნუ ქნას, უვაღო იყოს!..

## ქარი



ერყენული  
ზიზლიოთეკა

ჰე, ქარო, ქარო, ველარ გავიგე, -  
მუდამ სხვის კარად ღამის მთევარი,  
ფიცხი, მუხლმარდი, მოუსვენარი -  
შენც დევნილი ხარ თუ - მადევიარი?!

მაგრამ, რას ვამბობ? - სიტყვაც წაიღე  
და გაიტაცე, როგორც თარჩია...  
აბა, დევნილი რად უნდა იყო, -  
შენ ხომ სამშობლო არ გაგაჩნია?!

## სტროფი

მთვარე გამოძერა ღრუბლის მღვიმედან  
მკერდგავესებული, როგორც ფატმანი...  
ასე საყვარლად თუ იღიმება  
შეფარებული ფოთოლს ატამი?!

## ნაპრძალი

იქამდის, ბოლო როა ყველასი,  
ღვთის ბოდებული როა, იქამდის,  
გინდა ნუხილში, გინდა ღხენაში,  
ვის რა ხელი აქვს, ვინ რას მიქადის?!

იმ ზღვრამდე, წერამ რო დამინერა  
და იმის მერე არ აქვს საზღვარი, -

არ უნდა შეწყდეს ჩემი სიმღერა,  
არ უნდა გავქრე ფარვანასავით...

ბედი ისედაც ყორნებს გვიმზადებს,  
თუგინდ - იფრინე, თუგინდ - იცოცე -  
სწორედ იქამდის, სწორედ იმ  
ზღვრამდე  
არ უნდა ეხლოს ხელი სიცოცხლეს!..

## რაკი ცდა ბედის მონახვერეა

თუმც გამიხშირდა სტრიქონში ქარვა  
და შემაცვითეს ფრთები ქარებმა,  
მე ხომ ჯერ კიდევ წარსული არ ვარ,  
მე ხომ ჯერ კიდევ მიმერქარება?!

შენი სიტყვა კი სარწმუნოს არ ჰგავს,  
თითქოს დაჰქროდეს ჩიტი ყიფიფივა...  
მაინც იმედი არ დამიკარგავს,  
მაინც რალაცის მოლოდინში ვარ.

ველი, რას ველი, რა მრჯის, რა მინდა,  
განა არ გამოქვა ლექსმა ვერაგმა? -  
მოხვიდე, როგორც წყნარი ამინდი,  
მიშველო ჩემი ბალის შერაგვა

ვიდრე არსებობ, დრო სულ ბევრია,  
და მაინც, კარგო, ნულარ გვიანობ;  
რაკი ცდა ბედის მონახვერეა,  
იქნებ ორივემ გავამთლიანოთ?!



**სტროფი**

არც ერთ გრძნობას არ ეგების მიძალემა,  
 არც – სიცრუით დაგებული კაკანათი;  
 სიყვარულზე ლაპარაკი ისწავლება,  
 სიყვარულს კი ვერ ისწავლი ლაპარაკით.

**უცნობი ქალი**

ის ქალი მე ჯერ არ შემხედვრია,  
 მე მისთვის თვალი არც კი

მომიკრავს;

გულს კი ვარნმუნებ: შენი ხვედრია,  
 თუმც, შესაძლოა, – გულიც

მომიკლას.

იმ ქალს ვატარებ ფიქრში ნებვიერად,  
 ვიცი, რომ სადღაც ჩემთვის

არსებობს...

ხომ დაინახეთ, როგორები ვართ?..

თქვენ გელიმებათ... ეჰ, ძვირფასებო...

არ დაუთვრივარ კოცნის ზედაშით

და არც ის ვიცი – მოვა საითგან;

ის – ხორცშესხმული ჩემს ოცნებაში,

ჩემს სტრიქონებში სულსაც

ჩაიდგამს.

მე მისთვის მზად მაქვს ლექსიც

საეარგი,

ოღონდ ამას გთხოვთ, – არ

გამოცდეთ, –

ბოლოს და ბოლოს ჩემს წიგნს

დავარქვი,

რომ ვიღაც მიყვარს მთელი

სიცოცხლე!..

ამ ახირების ნუ გეფიქრებათ,

პოეტი მაინც არის პოეტი;

ის – დღეს იქნება თუ ხვალ იქნება,

მოვა და მეტყვის: „აი, მოვედი“!..





## ირმა მუხომბერი

●  
პატარ-პატარა ზართა წკრიალი  
მკვეთრდება ჟღერით დედო ზარისა.  
და უნებურად წინდანინ ვიცი,  
რის გამგონება მინა, ცა - რისა.  
მე ზეიმება? წკრიალით ვმღერი,  
თუ ვგოდებ, წკრიალს მაინც არ ვიშლი.  
თავს აიძვებენ ჩემი ზარები,  
რომ შეუერთდნენ ზარებს ქარიშხლის.  
თუ არც ზარი მნადს და არც ზეიმი,  
ჟღერით არ მიჭირს სახება - სხვა  
ნიშნის.

მე სამრეკლო ვარ, ვერ დავედუმდები,  
თუ სული მვედრის - ცაში გამიშვი.

●  
ქვეყნად სიყვარულის გარდა,  
არცრა მშურდა არავისი.  
მიყვარს მუზის ჭურჭული და  
ცრემლიანი ღალადისი.  
უიმისოდ რა მაცოცხლებს,  
უიმისოდ რაღა მიხსნის?!  
დააჩნდება ლექსსაც, სულსაც -  
ამბორები მარადისი.

## დედი

აი, ლანდები ჩემი ბავშვობის,  
მისრიალებს კინოლენტოვით,  
ლანდები მჩატეა, მსუბუქი,  
ხმებიც ბავშვობიდან, რომ  
მოედინებიან  
ისე გვანან სიჩუმეს -  
პირიქით კი უნდა იყოს.  
ეს ჩემი სიცოცხლეა,  
შენი ნაბოძები და ღმერთით  
ამოვსებული.  
მე თვითონ ვარ ტკივილი,  
ზოგჯერ ცამდისაც იგოდებს სული.  
უფრო მაშინ, თუ თავს ვაოულობ -  
როსმე განცდილ, სულის სევდიან  
მოდრაობაში.

ირგვლივ მაკრავს მთელი სამყარო

და როცა ტკივილს ველარ ვუძლებ,  
მინდა გავაღწიო ამ სამყაროდან,  
სხვა სამყაროს შევებოზნო.  
მაგრამ საკუთარ თავს ვინ გაყრია  
სიკვდილამდე?!  
გინდოდა ვყოფილიყავი უფრო  
ჭკვიანი,  
მივდივარ გზით, შენი გაკვალულით,  
მივეშურები!!  
მძიმდება ზურგზე მოკიდებული  
ჯვარი,  
მეხლიჩება გული შავ-მენამულად,  
უსისხლოდ და ამომსკდება: ვაიმე  
დედა,  
ენის წვერზე, რომ მადგას  
საშველივით.

სივრცეში ტივტივებენ ჩემივე  
მიზეზით  
სევდიანი იასამნები და ჩნდებიან  
ჩემი ბავშვობის მჩატე ლანდები,  
შენი ლანდი მათში ყველაზე ლამაზია,  
ერბილდები ცვილივით, უფრო  
დამყოლი ვხდები

და ვახერხებ შევიბრალოს ყველას, რომ  
ბოროტები უფრო და უფრო  
სამყაროს და  
მიმრთელდება გახლეჩილი გული,  
რომ ისევ გაიხლიჩოს, რომ ისევ  
დამაკლდე,  
რომ ისევ დაგიძახო...

უსურვავით, ნნელებითაც,  
ნნულ-გაბმულო ხიდო ბონდის,  
ხიდიკარში შესარბენო –  
ხიდო, ახლა მომაგონდი.  
რივნის ნახვა, მოქანავე  
იმ ხიდიდან დააფეთებს  
კაცსაც, სულ პატარა გოგოს,  
შიში მისუსხავდა ფეხებს.  
ხიდზე ფრთხილად გავდიოდი,  
ნაბიჯ-ნაბიჯ, კიდე-კიდე!  
მერე უკან ვბრუნდებოდი:  
ერთხელ კიდე, ერთხელ კიდე!

სიმამაცეს ვუმტკიცებდი  
ბიჭებს, თავსაც ვცდიდი ეგებ,  
იმ პატარა ირმას ახლა,  
ხიდის ბოლოს შევეგებე.  
ჩაეიკარი, ჩავიბუტე,  
თავნება და უშიშარი.  
სიჯიუტე მეთნო მისი,  
და გამოსცდის როცა თამი  
თვით სიკვდილის ბუნვის ხიდზე  
გაელაც, თუკი დაენერა,  
გადაირბენს იმ ხიდზედაც,  
აგრემც ლმერთი შეუნევა.

ზღვა ცას შეერთებია,  
არც კი მოჩანს სამანი.  
სიო არწევს ნაპირთან,  
ცვრიან რტოებს ბანანის,  
ისე არწევს, სიოსთვის  
იყოს, თითქოს სანანი –  
ცვართა ცვენა, არ წყდება  
რტოებს წვეთიც – მანანის.



## ვანო შატაბერაშვილი

### სოფი

ხალხი კარს მიანყდა გინებითა და მუჯღლუგუნის კერით, მერე აეტობუსი ისე გამოტენა, სუნთქვაც კი ჭირდა. ძია სიკო ბოლო სკამზე იჯდა ფანჯარასთან, გვერდში ვატო ნამოსკუპებულიყო და ცნობისმოყვარეობით მისჩერებოდა უცნობ სახეებს.

- აბა, შეილოსან, ცოტათი ჩაინით, - ხენეშა-ხენეშით გამოარღვია ხალხი ნოქარმა კოლამ და ბოლო სკამზე მჯდომთ შორის ჩაიჭყედა.

კოლამ შუბლზე ოფლი ცხვირსახოცით შეიშრო, მერე კი მძლოლს გასცაბა:

- ბიჭო, დაუჩქარე - იქნება ბორჯომსაც ვერ ჩაუსწრო... და მერე შენ ნამიყვან თბილისში?

ხალხი ისევე კარებში მოიჭყეჭყებოდა, იდგა ერთი გნიასი.

- გაიგე? - მუჯღლუგუნი ჰკრა ძია სიკოს კოლამ.

- ჰო...

- კაი ხანი ურბენინებია და მერე თავისივე ბაღში გადაუჩეხია. კრაზი ეხლაც მინაზეა დარჭობილი ცხვირით.

შოფერმა როგორც იქნა ჩატენა ხალხი და კარებიც მოიხურა. მანქანა დაიძრა.

- გუშინ დილას გრიშას და მის ცოლს მიტოს ცოლი უცემიათ, ქალმა თურმე თავისი ბასანუჩკის ქუსლი ურტყა იმ სანყალს. პოდა, ხალამოზე მიტო შინ რომ დაბრუნებულა, ცოლი

სახლში არ დახვედრია: საავადმყოფოში წაეყვანათ შეზობლებს. სასწრაფოდ კასპში გაიქცა. იქ უთხრეს, თავის ქალა აქვს დაზიანებული და შეიძლება ვერც კი გადარჩესო - ეგრევე უთხრეს, ექიმების ამბავი ხო იცი, რას მოერიდებოდნენ; ისიც გაგიჟდა, თავის კრაზში ჩაჯდა და ნამოვიდა. თავიანთ აღმართი რო ამოიარა, დაინახა გრიშა, კლიონკა და ერთი ქალაქელი ჩამომსხდარან კლიონკას კარებზე და საუბრობენ. მიტოს კრაზი მოსახვევიდან რო გამოვიდა, გრიშა თურმე ფეხზე ადგა და სახლში უნდოდა წასვლა. მიტოს მანქანიდან თავი გამოუყვია და „აბა, გრიშავ, გაიქეცი, ვნახოთ როგორ დარბიხარო“, დაუყვირია და მანქანა ბირჟისკენ წაუყვანია. კლიონკა და ის ქალაქელი შეშინებულები გაქცეულან, ის კი მარტო გრიშას მისდევედა - აბა სხეასთან რა ხელი ჰქონდა. პოდა, ეგრე ცოტა ხანი ურბენინებია და ასე ჩაუჩეხია თავისივე ნაკვეთში. მაგ ერთი ბუნო მიწისთვის ჰქონდათ ჩხუბი და ხო ხედავ, ოხრათ დაურჩათ ის ადგილი.

ძია სიკო ფანჯარაში იყურებოდა, თითქოს ყურსაც არ უგდებდა კოლას ლაპარაკს. სოფლის გზის ორივე მხარეს ლამაზად ჩამსკრივებულიყვნენ მძიმე, ალაგ-ალაგ პირმორღვეული სახლები. სოფელში ნახირი შემოვიდა და ავტობუსმაც სვლა შეანელა, ნა-



ხირს შეერია. ძროხები და კამეჩები არ ერიდებოდნენ მანქანას, ზედ უხახუნებდნენ გატიკნულ ფერდებს და ნელ-ნელა, ზოზინით მიიჩნეოდნენ. ძია სიკოს უყვარდა ნახირის ცქერა. ამ დროს გზა, გზაზე გამოსული ხალხი, ნახირი, სახლები, ერთმანეთში არეულიყო. მიმწუხრის სოფლის ცქერა ნალველს გვრიდა სიკოს.

- იმ უბედურს რაღა მოუვიდა, მიტოს? - თავი არც კი მოუტრიალებია, ისე იკითხა ძია სიკომ.

- გაიქცა... სად გაიქცევა, მაინც დაიჭერენ, - ჩაილიმა კოლამ.

ეს ამბავი ნუხელ მოხდა. ეტყობა იმ დროს, როცა ვატო სახლიდან გამოვიდა და სასაფლაოსკენ გაემართა, ისე, არაფრისთვის. ორლობის ბოლოში ხიდი იყო, წითელ ხიდს რომ ეძახდნენ სოფლები, ზედ კი - სურათივით დაკიდული აღმართი. ბნელოდა და ცარიელ გზაზე გადმოხრილი ხეები მუქ ლანდებად შრიალებდნენ. მერე კი სიკარიელე იწყებოდა... ანაზდად ხიდზე ქალის ნაცრისფერი სილუეტი გამოიკვეთა. თეთრი ხილბანდით ნაკრული თავი წინ წაეგდო და ჩამომხმარი, გაშეშებული ხელების ქნევით, მოფრატუნობდა - თითქოს ძვლებზე ჩამოჩამიჩებული კანი ამძიმებდა მის ჩამომხმარ, ჩია სხეულს: ნიკომ ბერბიჭიანთ მართა იცნო.

- ჩემმა სიძემ, მიტომ გრიშა მოკლა, კრაზით გამოუვიდა, ცოტა ხანი არბენინა და თავის ნაკვეთში გადაჩეხა.

მართას არც შეუნელებია ნაბიჯი - თითქო დაღმართში მიდის და გაჩერება აღარ შეუძლიაო, ისე მიდიოდა შარაზე; სხეული წინ შქონდა გადმოხრილი და მიდიოდა. ისე მიაყარა სიტყვები, არც კი შეუხედავს ბიჭისთვის.

ორლობეში ნაცრისფერი ბინდი ჩამონოლილიყო. იქ, აღმართის ბოლოში, კრაზის ბორბლებქვეშ ეგდო თავგა-

ჭეჭყილი გრიშა. ნიკო შეშინებულადა გაიქცა. გზაშილა მოხედა, შეშეშინდაო... სასაფლაოს რომ გაუსწორდა, ორლობეში მისკენ მიმავალი მკრთალი ლანდი შენიშნა, უფრო მეტად აიტანა შიშმა, გაბრუნება და გაქცევა მოინდომა, მაგრამ ლანდი რაღაც უხილავი ძალით იზიდავდა თავისკენ...

თვალი რომ გაახილა, ძია სიკოს მკლავებში იყო ატატებულიო...

ავტობუსი სოფელს გასცდა. ქარაფებს შორის მომწყვედული, დაკლაკნილი დაღმართი დაიწყო, მოტიტვლებულ კლდეებს აქა-იქ ბუჩქნარი მოსდებოდა. თავისფერი ედო მიდამოს.

„მანქანა რომ გაჩერდეს და ყური მიუგდო, ტურის კივილი ნაიღებს ყურთანსმენას“, გაიფიქრა ვატომ. ამ გაზაფხულზე ცხენებშებმული ფორნით ამოიარეს ეს აღმართი და კოფოზე ნამოსკუპებულ ბიჭს ტურების კივილი ესმოდა. „ხომ არ გეშინიაო“, ეკითხებოდა მეფორნე ლეო და თან ცხენს უჯერდებოდა: „აჩუ, შე სამგლევე, რას დადექი - იქნება, ტურის კივილი მოგეწონაო“... ვატო სავეს მთვარეს უცქერდა. ძია სიკო ურემს გვერდში მიყვებოდა და ლეოს ჩუმად, ბუტბუტით ესაუბრებოდა. მერე, როცა გაივალს, ისინიც შემოსხდნენ ურემზე. „აჩუ, შე სამგლევე!“ ახლა უფრო გამეტებით დასძახოდა ლეო ცალულის სიმძიმეს კუებ-კუებით შეჭიდებულ ჯაგლაგს.

- სულ გაცოფდა ეს ხალხი...

ძია სიკო ფანჯარაში იყურებოდა, ავტობუსი სრიალ-სრიალით მიდიოდა დაღმართზე - მძლოლს ძრავა გამოერთო და მანქანას „ხალასტოით“ მიერეკებოდა.

- მტკვარზე ბორანი აღარ არის? - იკითხა ძია სიკომ.

- რაში გაგახსენდა, - დაიღრეჯა კოლა, ჯიბიდან „პრიმის“ კოლოფი ამოიღო და სიკოს გაუნოდა.

– რა ვიცი, აბა, რაც ეს ხიდი აამენეს, არც კი გამხსენებია, ახლა კი რატომღაც მომაგონდა, – მხრები აიჩეჩა ძია სიკომ, მერე, კოლასკენ შებრუნდა და განავრძო: – ცოფიანობა რო იყო, გახსოვს? ცოფიანი ძალი რომ დაძრწოდა ამ მიდამოებში, არ გახსოვს?

– შოო, ძალი იყო, ოღონდ ცოფიან აფთარს დაველიჯა, ის აფთარი კი მოჰკლა ჩხუბში, მაგრამ თვითონვე ცოფდა, – შემობრუნდა წინა სკამზე მსუქანი, ხინკალაქუდიანი გლეხი, – იმ ძაღლმა ადინა ბოლი სოფელს, ხოხონაანი სულმთლად ამონყვიტა, მხოლოდ ერთი ის შეჩვენებული გადარჩა, მყრალი, და ისიც მთელი სიცოცხლე ციხეში აგდია. ამ წინებზე გამოშვებული რო იყო, სიდედრი უცემია კინალამ მოუკლავს – სასამართლო იქნება თურმე მალე.

სიკო ფანჯარაში აღარ იხედებოდა, თანამგზავრებს მისჩერებოდა და ვატოს უსვამდა თავზე ხელს, რალაცაზე ფიქრობდა, მერე კი ნელ-ნელა დაიწყო:

– სანყალი ვანცა, მყრალის ძმა თუ გახსოვს? შოდა ის დრო იყო, პატარები ვიყავით მე და ჩემი ძმა: თბილისში მოვდიოდით, პირველი სექტემბერი სრულდებოდა და ჩვენც სკოლისათვის უნდა ჩავგვესწრო. მტკვარზე ბორანი იყო, მახსოვს... თქვენებიანთ ქორო არ იყო განა მებორნე? შოდა, ბორანზე ფეხი შევდგი თუ არა, ვანცაც ამოვიდა, თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა შეშინებული, მერე იკითხა, „ე ვისი ძაღლია, სუ კუდში რო დამდევეს, მთელი გზა ვერასგზით მოვიცილე, შეშინია არ დამგლიჯოსო“.

– უკვე დაგლეჯილი იქნებოდა და ელანდებოდა იმ უბედურს, არა? – ჩაკითხა კოლა.

ძია სიკომ თავი დაუქნია.

– შო, დაგლეჯილი იყო, იმ ცოფიანმა დაგლიჯა. ქორომ უთხრა, ნუ გე-

შინია, ჩვენებიანთ ძაღლია და კმენა არ იცისო, თან ჩვენ გავლინა ვერაფერი შეიმჩნიოთო; ვანცა კუთხეში ჩაკუნტულიყო და ცახცახებდა. მერე, მატარებელში რომ ავედით, ისიც ჩვენს ვაგონში აღმოჩნდა, ჩუმად იჯდა, გასუსული. მცხეთას რომ გავცდით, ცახცახმა უმატა და ყვირილი ატეხა, მომაშორეთ, მომაშორეთო. საავადმყოფოში რომ მიიყვანეს, ექიმმა თქვა, აღარ გადარჩებაო, ის კი მიგდებულიყო თავისთვის და ყველას ეხვეწებოდა, დამაბითო.

ხინკალაქუდიანი ისევ მობრუნდა, თითი მალლა ასწია და დაასკენა:

– მამ გრძნობდა ის უბედური, ცოფიანი რო იყო და არაეინ რო არ დაეგლიჯა, იმიტო ყვიროდა, შა?

– გრძნობდა არა, ისა...

მანქანა ხიღზე გადავიდა.

– მამ ბორანი აღარ არის? – იკითხა ძია სიკომ.

ხინკალაქუდიანმა ნიშნისმოგებით გაიციინა და თავი გადააქნია:

– ეგ აღარ იცი?

– იმ წელიწადს მართლა ბევრი დაიხოცა, თქვენებს არ იყო, ის ძალი რომ შემოგოგარდათ სახლში? მამამენი კი გადარჩა, არა? ნეტა რა ჯიშისაა ხართ. ცოფიანმა დაგლიჯა და გადარჩა!

ხინკალაქუდიანმა გაიციინა, ნეკით ყური მაგრად ამოიქექა და შებრუნდა.

ავტობუსი სადგურთან გაჩერდა. ხალხი კარებს მიანყდა და ჩასელა იწყო.

– ნელა, კაცო, თითო-თითო ჩადით, – ყვიროდა მძღოლი.

ახლა, გაჩერებული მანქანიდან, ვატოს კარგად ესმოდა ტურების გულის გამანვრილებელი კივილი.

– ჩავედით... – ხელი მხარზე დაკრა ძია სიკომ...



## გაზრდი

ქართველთა  
შიშველი მოწიქა

„გადავხერე გურგანის ზღვა. მივალნიე კრასნოვოდსკს“ – ნაპირზე გასვლისთანავე ვაფრინე დეპეშა შინ. მაშინ ცხრამეტი წლისა ვიყავი – ასე შორს აქამდე არასდროს წავსულვარ და ხუმრობა საქმე იყო? – ჩვენს ექსპედიციას (ექსპედიციას ვეძახდით, თორემ უბრალოდ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის საზაფხულო პრაქტიკა იყო) ეასპიის ზღვისა და ყარაყუმის გავლით ბუხარაში უნდა ჩავლნია და მერე სამარყანდი და ხივაც მოუნახულებინა! თანაც ჩვენს შორის ერთი გოგო იყო – მარინა – ჩემი ცხოვრების პირველი ქალი, რომელზეც, როგორც იტყვიან, ყურაბამდე ვიყავი შეყვარებული და მეც სხვა პუნქტებს რომ ჩავალნევი, კვლავ გავაგზავნიდი ჩემის ღრმა რწმენით, ნატიფი თვითირონით აღსავე დეპეშებს: „გადავხერე ყარაყუმი, ჩავალნიე ბუხარას“ და ა. შ...

შუა აზიის პირველი ქალაქი, კრასნოვოდსკი იყო. იგი ნაცრისფერი, ფრიალო კლდეების ძირში გაეშენებინათ. საზღვაო ვაგზლის უკან რამდენიმე ხე იზრდებოდა. მარინამ, რომელსაც ადრე ერთხელ უკვე ემოგზაურა შუა აზიაში და მის სიძველეებს ისე მოეხიბლა, რომ ახლა უმცროსკურსელებსაც ნამოჰყოლოდა, მითხრა, ეს ქალაქის ერთადერთი გამწვანებული ადგილია და კრასნოვოდსკელები ბულვარს ეძახიანო.

ფოსტა ვაგზლის შენობაში იყო და მე და მარინა იქ შევედით დეპეშის გამოსაგზავნად. გარეთ რომ გამოვიდით, ჩვენები ზურგჩანთებზე ისხდნენ და ბულვარში ჩამწკრივებულ ბიჭონ-

მომარჯვებულ ხალხს გაკვირვებით ვაცქეროდნენ.

– მაგათ წყალი ჩვენ ჩამოვუტანეთ, – მითხრა მარინამ, – სასმელი წყალი ბაქოდან მოაქვთ ხოლმე ცისტერნებით გემებს.

და ანაზადად ვიგრძენი, ამ მარილითა და მწველი მზით გაჯერებულ პაერს როგორ აკლდა წყალი. წყალი ზომაზე მეტიც კი იყო ჩემს ზურგსუკან, თუმცა აქ იგი, ზედმეტი გახლდათ იმ სამყაროსათვის, რომლის კარიბჭესთანაც ახლა მე ვიდექი. უფრო აღმოსავლეთით უფრო აღმოსავლეთი განოლილიყო და თითქოს გაექვავებინა ყოველივე, რასაც ის შეჰხებოდა. ქართველისათვის გაუგებარია, და ხშირად ღიმილის მომგვრელიც კი, ყანისის ხედ გადაქცევის ამბავი და მხოლოდ ამ ქვეყანაში, რომლის მკვიდრთა თვალებიდან ქვის მტვერი გამოსჭვივის, ხედები, რომ უმოძრაობა აქ ყველაზე ბუნებრივი მდგომარეობაა და შენც გასურს გაირინდო, ჩაეხვიო ქვადაქცეულ საუკუნეებს – ლეილის უნაზეს ტორსად რომ გესახება, ოღონდ ხედ კი არა, შენც ქვადა, ქვადა და ქვიშადა იქცე – მთელი ეს უკიდევანო სამყარო რომ მოუცავს.

თბილისში დაბრუნების შემდეგ, რამდენიმე ენციკლოპედია გადავქექე, მაგრამ იმის გარდა, რომ კრასნოვოდსკი თურქმენეთის სსრ უდიდესი პორტი და რესპუბლიკის მძლავრი კულტურული, სამეცნიერო და სამრეწველო ცენტრი იყო, ახალი ვერაფერი შევიტყვე. მე კი, მაშინ ქალაქზე მეტად ბუნდოვანი შთაბეჭდილება შემექმნა, ან სად მქონდა ყოველივეს ნახვის

დრო, და ნღების განმალვობაში მის ხატად ის რუსი მილიციელი მესახეობდა, ცისტერნებს მიმწყდარ ბრბოს რომ არეგულირებდა; აგრეთვე კონდუქტორი ქალი, გავარვარებულ ავტობუსში ასვლისთანავე რომ შემოგვეგება, ქართველები ხართ? და დასტური რომ მიიღო, უცხო ენებში სახელგავარდნილი ერთი-ორი ქართული მაგარ-მაგარი სიტყვა მიაყოლა, ჩაიქირქილა, გაგემორდა, თავის სკამზე დაკოსდა და აქეთ აღარც კი გამოუხედავს; ჩვენც შემდეგ გაჩერებაზე ჩავედით, რკინიგზის სადგურთან, კონტინენტის სიღრმეში მიმავალი მატარებლის ბილეთების ასაღებად; კიდევ – ქალაქგარეთ – პლაჟზე მძინარი ფაშფაშა ქალის მკერდზე ამოსვინგებული – *Пабивал Валико*. 1956 წ.

ბუხარამდე მისასვლელი ბილეთი რომ ვიყიდეთ, ბარგი შესანახ საკანში ჩავაბარეთ და გარეთ გამოვედით. ვაგზლის ოცდაათიანი ნღების ტიპიურ რუხ შენობასთან ქალაქგარეთ, პლაჟისაკენ მიმავალი ავტობუსი დაგვხვდა. ჩვენც ულაპარაკოდ შიგ შევიჭერთ. სკამები დაკავებული იყო და მათ შორის გასასვლელი ამოვავესეთ.

მგზავრები – გაურკვეველი ნარმოშობის ხალხი – თავჩაქინდრულნი მდუმარედ ისხდნენ. ჩვენსკენ ოდნავ მოტრიალებულმა სახეებმა და აცქვეტილმა ყურებმა მიმახვედრა – გარკვეული დისკომფორტი შეგვექონდა მათ მდუმარებაში. ბოლოს ერთმა პაჭუაცხვირიანმა მნითურმა ბარიერის გადაბიჯება სცადა და მკითხა, გერმანელები ხართ თუ ბულგარელებიო. მგზავრებმა ერთბაშად ასწიეს თავები და შემოგვაშტერდნენ. „ქართველები ვართ“, – სიამაყით მიუვგე. პაჭუაცხვირიანმა ხელი ჩაიქნია და ისე გაიხედა ფანჯარაში – ჩვენს მიმართ აშკარად დაეკარგა ინტერესი. მგზავრებმაც

თითქოს შევებით ამოისუნთქეს, ახმაურდნენ, ერთმანეთს შეანწყმა გინება-ნარევი რუსულის თითქმის გაუგებარი დისონანსური სიტყვები.

მძლოლმა კარი დახურა და ძრავა აახმაურა. ხალხი უფრო მეტად აყაყანდა.

ანაზდად ავტობუსის კორპუსზე მუშტის ბრახუნი გაისმა და წინა კარი რომ გაიღო, შიგ ხმელ-ხმელმა, მაღალმა აშკარად კავკასიური გარეგნობის კაცმა მეტისმეტად განიერი ბეჭები ძლივს შემოატია. ავტობუსი ერთბაშად გაირინდა და ახლადმოსულს მიაშტერდა, ძრავის ქოთქოთში მხოლოდ ჩვენი საუბარიღა ისმოდა. ის კი შუბლზე ჩამოშლილი, ალაგ-ალაგ შეჭალარავებული თმის ქვეშიდან მგლურად აკვესებდა ცისფერ თვალებს.

ავტობუსი დაიძრა. ახლადმოსული ნელში მოხრილი იდგა და ისე შემოგვეცქეროდა, თითქოს ჩვენს საუბარს ყურს უგდებდნო. მერე უცებ გასწორდა, პაჭუაცხვირიან მნითურს თითი პერანგის საყელოზე მოსცხო – ადექიო. ისიც მაშინვე ნამოხტა და ადგილი დაუთმო: ახლადმოსული მის ადგილზე დაჯდა – უხერხულად, გვერდულად ძლივს ჩაეტენა მძლოლის უკან, ძრავასა და რკინის სახელურს შორის, პატარა სკამზე და უხმოდ განაგრძო ჩვენი თვალთვლება. არ ვიცი, მისი გრძელი, ზომაზე მეტად გარუჯული სახის სასტიკმა მდუმარებამ დაგვამუნჯა, თუ რა იყო, ჩვენც ნაგვიხდა საუბრის გუნება; მხოლოდ მარინას არ ეტყობოდა არაფერი, კვლავ მზიარულად იყურებოდა ფანჯარაში. ქალაქს გავცდით. გარშემო მხოლოდ მზისაგან გამომწვარი ნაცრისფერი ლანდშაფტი მოჩანდა. აქა-იქ თუ გაივლებდნენ ეკლიანი, დაკრუნჩხული ხეები.

ოციოდ წუთში ზღვაც გამოჩნდა

და ავტობუსი შეჩერდა. ხალხმა ნელ-ნელა იწყო ჩასვლა, უხმოდ უზდიდნენ ფულს მძღოლს და ავტობუსის მაღალი კიბიდან ხტებოდნენ. ის კი – ბოლოს ამოსული, მხოლოდ მაშინ ადგა, ყველანი რომ ჩავედით. ქვიშის უსასრულო სივრცეებისაგან პლაჟს მხოლოდ გზატკეცილი, ავტობუსის ცხვირნინ აღმართული ბოძი აბრით – *поляж имени Владимира Ильича Ленина* და მის შორიახლოს მდგარი ლუდის მწვანე ჯიხური გამოჰყოფდა. ნაპირზე აქა-იქ იწვა ხალხი. ტანთ გავიძრეთ და წყალში შევედით. მას კი, ჩვენს უტყვე თანამგზავრს, არ გაუხდია, ჩვენს ტანსაცმელთან ჩაჯდა და ზღვას მიაჩერდა. ისევ არ მსაყენებდა ის გრძნობა, რომ ჩვენ გვითვალთვალებდა. აკი დილას მარინამ მითხრა, ამ ქალაქში ათასი ჯურის რეციდივისტი ცხოვრობსო, აქაური ციხეებიდან ჩასახლებაში გამოშვებული ხალხი და ახლა ერთი სადარდებელი მქონდა, ვილაც ოხერია, მარინას შეურაცხყოფა არ მიაყენოს-მეთქი და გვერდიდან არ მოეშორებოდა. მარინა კი თითქოს არც ამჩნევდა ჩემს შემფოთებას და შარშანწინ ბუხარაში ნანახი საქორწინო მსვლელობის შესახებ მიყვებოდა, ნამდვილი აზიური ბაზრიდან გამოსულებს რომ გადაჰყროდა – წინ, ზოლიან ხალათებში გამოწყობილი მებუკეები და მედოლე მოდიოდნენ, მონოტონურად აყვირებდნენ და ახმაურებდნენ უშველებელ ინსტრუმენტებს და შუა საუკუნეების ქალაქს თავიანთი ბედნიერების დღეს ამცნობდნენ. უკან ჭყეტელა ატლასის სადღესასწაულო კაბებსა და აბრეშუმის შვიდიშებში გამოწყობილი ქალები მოჰყვებოდნენ, ლოგინი, თეთრეული და ათასი ჯურის ფართლეული მოჰქონდათ. მათ გარშემო ჟივილ-ზივილით მირბი-მორბოდნენ ბავშვები, საზეიმო ხმები და

დიდებული პროცესია უფრო ამრავალფეროვნებდა ისევ ცხვირნინად აელვარებულ ბაზრის სიჭრელეს და ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს საქორწილო დღესასწაული ბრბოში გადამლღვლიყო და ახლა იგი ერთიან მასად მთარევედა ბუხარის პლანტ სიციხესო, ამბობდა მარინა.

წყლიდან რომ ამოვედით, პლაჟის გასწვრივ გავისეირნეთ. უცნობი კვლავ ჩვენს ტანსაცმელთან იდგა და ზღვის შორეთს დასცქეროდა. მარინა ისევ ძველ ბუხარაზე ყვებოდა: საღამოხანს ერთ-ერთი მედრესეს სახურავზე ავედით და იქიდან გადავხედეთ ძველ ქალაქს, ალიზის სახლებით, მეჩეთების გუმბათებით და წონოლა მინარეთებით რომ იყო მოქარგული. მთელი დღის ხვატისგან გაბრუებული ქალაქი დასაძინებლად ემზადებოდა, მაგრამ სადღაც თითქოს მაინც ფხიზლობდა ვილაც, რომ ეს ლამეც მშვენიერი ქალის მიერ მონათხრობი მორიგი ზღაპრის სმენაში გაეტარებინაო. მარინა ჩუმ-ჩუმად ლექსებს წერდა, ეტყობა ახლაც თავის ლექსს მიყვებოდა; ასე იცოდა ყოველთვის, გრძნობა რომ შემოანეგებოდა ზოლმე. ვუსმენდი და ცალი თვალით უცნობს ვუთვალთვალუბდი. ალბათ ამიტომ იყო, იმ პლაჟიდან არაფერი დამმახსოვრებია. თუმცა არა, ის მოსვირინგებულმკერდიანი ქალი, ნელან რომ ვახსენე, მაინც შემორჩა ჩემს მენსიერებას, ისიც იმითომ, რომ შემთხვევით ნამოეკარი ფეხი და მაგარ-მაგარი გინება დავიშახურე. ორიოდ საათის შემდეგ ქალაქის ავტობუსი ჩამოდგა, საღამოედებოდა და ახლა უფრო მეტი მოხანავე ჩამოიყვანა პლაჟზე. სასწრაფოდ ჩავეიცვით. სანამ ტანსაცმელს ვირგებდით, ჩვენი უტყვე თანამგზავრი თავზე გვადგა და კვლავ შორეთს გასცქეროდა. მერე, ავტობუსში რომ ჩავსხე-



დით, ისიც ამოგვყვა და თავისი ძველი ადგილი დაიკავა.

ჩემი წელანდელი შემფოთება ახლა სხვებსაც გადასდებოდათ. ჩვენები ხმამაღლა ლაპარაკობდნენ უცნობზე. ერთმა შეუკურთხა კიდეც. ის კი იჯდა თავჩაქინდრული და თავისთვის, რალაცაზე ფიქრობდა.

უცებ ჩემს გვერდით მარინამ სიმღერა წამოიწყო – არ მახსოვს, „ციცი-ნათელა“ თუ „სულიკო“, ჩვენც ავეყვით. უცნობი კი იჯდა, თვალი მოებუჭა და ცალი ხელით გაბურებულ მოტორს ეყრდნობოდა, ცალი – რკინის სახელურისათვის ჩაეჭიდა. ჩახსნილი პერანგის ქვეშ გარუჯული მკერდი აუღ-ჩაუდიოდა, სახეზე სიამე ეხატა – ველურის დაუოკებელი სიამე. ჩვენც თითქოს გადაგვედო მისი ალტკინება და სულ სიმღერ-სიმღერით ჩავედით ქალაქში.

ავტობუსი სადგურთან შეჩერდა. მატარებლის გასვლამდე ერთი საათი იყო დარჩენილი. შესანახი საკნიდან ბარგი გამოვიტანეთ და წასახემსებლად ქუჩის გადაღმა, ლუდხანაში შევედით. დარბაზში ბული იდგა. დახლთან ხალხი მოგროვილიყო ცარიელი კათხებით და თავის რიგს ელოდა. შევედით თუ არა, ჩვენ შემოგვაშტერდნენ. სომეხმა დახლიდარმა „ზემლიაკ-ზემლიაკის“ ძახილითა და რიგში მდგარი მობუზლუნე ხალხის დედის სულის ტრიალით წყალ-წყალა ლუდი ჩამოგვისხა და ლულა-ქაბაბით პირ-მოდგმული უშველებელი ლანგარი მოგვანოდა: როდესაც გრძელ, მაღალ მაგიდას ბარგი შემოვულაგეთ და გარს შემოვერტყით, ჩვენი თანამგზავრიც დავლანდეთ – გვერდზე მდგარ მაგიდას ჩამოყრდნობილს ლუდის კათხა ეჭირა ხელში, ჩვენზე ადრე მოესწრო აღება. უცებ გამიელვა, გამოვემცინაურები და მოვიპატივებ-

მეთქი – მის პოზაში რატომღაც მოლოდინი მეჩვენა, მაგრამ როგორც კი ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდა, ზურგი შემაქცია და მეც ველარ შევბედე.

ამასობაში მეზობელი მაგიდიდან ვილაც შავ-შავი კაცი მოვიდა და ჩვენი ხელმძღვანელი გოგი კვარაცხელია გვერდზე გაიხმო. გოგი ხელების ფშვნეტითა და კმაყოფილი ღიმილით დაბრუნდა.

– ბიჭებო, ამათ თურმე შებოლილი თევზი შქონიათ იაფად, თითო – მანეთად. თუ გინდათ ოცდაათი ცალი ნაილეთო, – იცინოდა გოგი.

ჩვენ ფულის შეგროვება დავინწყეთ. გოგიმ იმ შავ-შავს ხელი დაუქნია და ისიც ჩვენსკენ გამოემართა. უკან თავისი ერთ-ერთი თანამეინახე, აყლაყუდა რუსი მოჰყვებოდა. აყლაყუდას ხელში ბაზრის დიდი ჩანთა ეჭირა. ჩვენთან რომ მოვიდა, ჩანთა ჩემს ცხვირწინ ლუდის კათხებს შორის ჩადო და იქიდან კარგა მოზრდილი თევზები ამოალაგა.

– თითო სამი მანეთი, – თქვა ბოლოს.

– აკი მანეთად შევთანხმდით? – ნამოჭარხლდა გოგი.

– მანეთად არა ისა... ამან რა იცის? – შავ-შავზე გვანიშნა, – ამან დაიჭირა თუ გამოიყვანა? თევზები ჩემია, მიწა და სამად გავეყიდი, მიწა ხუთად... არ გინდათ და ნუ გინდათ, – და ერთი თევზი უკანვე ჩადო, მერე ხელი ჩაიქნია და თქვა:

– რაც იყოს იყოს, მანეთნახევრად მოგცემთ – და თვალები აქეთ-იქით გააცეცა.

ჩვენ მანეთნახევარი კი არა, სამი მანეთიც იაფად გვეჩვენებოდა და ის იყო ჯიბეზე გავიკარით ხელი, რომ აყლაყუდამ უცებ მზერა მარინაზე შეაჩერა, ტუჩი გაილოკა, გაიკრიჭა, ჩამ-

პალი კბილები გამოაჩინა, გვერდზე განედილი ხელი მის გვერდში მდგარ გოგის მხარს გადააცდინა, მარინასკენ გადაიხარა.

– აბან თუ მოინდომა, იქნებ უფასოდაც მოგცეთ – ჩაიხითხითა და კმაყოფილი სახით ნელს ქვემოთ შემოჰკრა.

ხელი თავისთავად გამექცა და სანამ გონს მოუვებოდი და მაგიდას შემოუვრებენდი, ჩემი ლუდის კათხის ძირი აყლაყუდას შუბლს შეეხეთქა. კათხა ამოტრიალდა, ძირს დაეცა და დაიმსხვრა. როდესაც თავს ნავადექი, აყლაყუდა იქვე ჩამჯდარიყო და გალუმპული თავი ხელებში ჩაერგო. თითებს შორის ნერილ ძაფად მოჭონაედა სისხლი.

შავ-შავი უკან გახტა, თანამეინახელებისკენ გაიქცა და როდესაც მეზობელ მაგიდეებს ოციოდე კაცი მოშორდა და ჩვენსკენ დაიძრა, ისიც შემოტრიალდა, იყვირა:

– აქაც არმახებთ? უ... თქვენი... აქედან ცოცხლები ვერ გახვალთ! ფეხებზე მკიდია... მოგკლავთ!

ჩვენც მაგიდის გასწვრივ ჩავრიგდით და მომხედურთა მოსაგერიებლად მოვემზადეთ.

მაგრამ ანაზღად შავ-შავს ენა ჩაუვარდა და გაშეშდა. მისმა ამხანაგებმაც უკან, თავისი მაგიდებისკენ დაიხიეს. ვაშტერებულეები შესცქეროდნენ ვილაცას. მათ მზერას გამოვყავოლე თვალი – გვერდში ჩვენი უცნობი თანამგზავრი გვედგა. იგი სწრაფი ნაბიჯით მივიდა შავ-შავთან, ქეჩოში ნააელო ხელი და გაათრია. იმას კი, აკანკალებულს, ხელები თოკებივით ჩამოეყარა და რალაცას გაჰკიოდა. უცნობმა ერთი დაპბერტყა, ხელი შეუშვა და შავ-შავი იატაკზე გაშხლართა. მერე მოტრიალდა, ჩვენს მაგიდაზე დაყრილ

თევზებს ხელი მოუსვა, რადეკეცად მოყარა და თქვა:

– შეეშვით მაგათ, ერთი მაგათი... შეეშვით.

დიახ, ზუსტად ასე, ქართულად გვითხრა.

დარბაზი გატრუნულიყო. აყლაყუდა და შავ-შავი ფორთხვა-ფორთხევით ამხანაგებთან მივიდნენ. თითქოს ვერაფერს ამჩნევდნენ. მაგიდას აკვროდნენ და ერთმანეთს უხზოდ მისჩერებოდნენ.

ის კი, ჩვენი გადამრჩენელი, თავჩაქინდრული გვადგა თავს. იმ ბავშვის გამომეტყველება ჰქონდა, ცუდ საქციელზე რომ ნაუსწრეს და ბორძიკბორძიკით განანგრძობდა:

– პო, რა... ქართველი ვარ, თბილისელი... ჩუღურეთი ზო იცით... ოცი ნელია აქა ვარ... უბრალოდ... ეგრე იყო... ქართულის სმენა მემამებოდა და იმიტომ დაგაღვედით.

მერე დახლის თავზე დაკიდულ, მინჯღრეულ საათს გაჰყედა და დაუმატა:

– ავტობუსში რომ გისმენდით, გავიგე, რომ ბუხარაში მიდიხართ. უკვე დროა, მატარებელი თხუთმეტ წუთში გადის. იჩქარეთ, თორე დაგაგვიანდებათ.

კარისკენ გაგვიძღვა, ჩვენც უხზოდ მივყევით. მინდოდა უფრო დანვრილებით გამომეკითხა ვინაობა, მაგრამ ენა მქონდა ჩავარდნილი.

გარეთ გავედით. ქუჩაზე ბინდი ჩამონოლილიყო. არც სახლის ფანჯრებში ენთო სინათლე.

– კარგა მღეროდით, მაგრა მემამა... ბოდიში, რო შეგამინეთ... ვერ გამოგეცნაურეთ... მე რა ღირსი ვარ ქართულად ვილაპარაკო...

ზუსტად ასე თქვა, ხელი ჩაიქნია, შებრუნდა და სწრაფი ნაბიჯით გაგვი

შორდა. პირველივე სახლის სადარბაზოში შევიდა და გაუჩინარდა. ჩვენ უკან მივყევით. სადარბაზო დიდ ეზოში გადიოდა. ეზოში ძეხორციელის ქაჩანება არ იყო, მხოლოდ ჩაბნელებული სახლები შემოგვეჯაროდნენ მდუმარედ.

– ბიჭებო, მაგის ძებნის დრო აღარა გვაქვს, საცაა მატარებელი გავა, უნდა ვიჩქაროთ, – შემოგვესმა სიჩუმეში გოგის ხმა.

უსიტყვოდ შევტრიალდით და სადგურისაკენ გავიქეციით. სწორედ რომ სულზე მივუსწარიით – ჩვენი მატარებელში ჩაჯდომა და მისი დაძვრა ერთი იყო.

ლამე, მატარებელში, ბევრი ვისაუბრეთ იმ უცნობ ქართველზე. რა ცოდვა უნდა აქონოდა ისეთი, ჩვენს შორის კედლად რომ აღმართულიყო?

მეორე დღეს, მე და მარინა უხმოდ ვისხედით ჩვენი კუპის ფანჯარასთან და ყარაყუმის უკიდევანო სიერცხეებს გავცქეროდით. სადღაც იქ, იმ ქვიშებში ჩაკარგულიყვნენ ოდესღაც დიადი მერვისა და ხვარაზმის ქვეყნები.

– ძველი, კაი დროს რომ იყო, გეტყოდი – ნაღი იგი მოქმეძე ძებნე, ახლოს იყო, თუნდა შორადო, – გაელიმა ბოლოს მარინას და თვალი ჩამიკრა.

მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა. ეს ამბავი დავინწყებულიც კი მქონდა, მაგრამ შარშან, დეკემბრის ღამით, ძილის წინ, იბნ იაყუთის „ზღვათა და ხმელთა მოხილვის“ ახლადმოსულ თარგმანს რომ ვათვალიერებდი, ერთ ფრაზას წავეწყდი: „და იმ ზღვის პირას, სპარსელნი გურგანისას რომ უწოდებენ, მე შევხვდი ხამირს, ფრანგნი კარტაფილუსად რომ უხმობენ. იგი იდგა ზღვის პირას და მზის ჩასვლას გასცქეროდა. მზე მისი სამშობლოსაკენ – დასაელეთისაკენ მიგორავს. და მასაც მეტი არა დარჩენი არა, რომ თავისი ფიქრის რაშით გაჰყვეს სამშობლოსაკენ მიმავალ მნათობს. ასეთია ნება ღვთისა“.

ამ სიტყვებმა ისე ამაფორიაქა, რომ კითხვა ველარ განვაგრძე, ლამპა ჩავაქრე და მაშინ, სიბნელეში, მისი მზერა შემომეფეთა.

## ლექსები, მინიატურები

### წინასიტყვაობა

ქართველი მწერალი, პოეტი, ფილოლოგი, პუბლიცისტი, ისტორიკოსი, პედაგოგი კონსტანტინე მაკარის ძე გაჩეჩილაძე ჯერ კიდევ გიმნაზიის შეექვსე კლასის მოსწავლე 1916 წლიდან ბეჭდავდა მინიატურებს და ნოველებს გაზეთ „სამშობლოში“, რომლის რედაქტორად იყო ჯერ ია ეკალაძე, ხოლო 1917 წლიდან – ნიკო ლორთქიფანიძე. მისი (კ. გაჩეჩილაძის) ფსევდონიმები იყო – კონ. ნეველი, კონნე სპერელ-ლი.

1917 წელს ითვლებოდა ჟურნალ „მესამე ინტერნაციონალის“ ძირითად თანამშრომლად. პარალელურად აქვეყნებდა ნაწერებს ჟურნალ „პირველ ნაბიჯში“. 1918 წლიდან, თბილისში გადმოსვლის შემდეგ აქვეყნებდა ნაწარმოებებს გაზეთ „ახალ ნაკადსა“ და ჟურნალ „კრონოსის სარკეში“ – კონნე სპერელლის ფსევდონიმით.

ნამდვილი სახელითა და გვარით გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე მინიატურა გაზეთ „ტრიბუნასა“ და „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალში“ (1923 წ.).

კონსტანტინე გაჩეჩილაძე ტერენტი გრანელთან ერთად აარსებს გაზეთ „ია“-ს და ჟურნალ „კრონოსის სარკეს“. მის არქივში დაცული მასალის საფუძველზე შესაძლებელი ხდება წარმოდგენა გქონდეს მასა და ტერენტი გრანელს შორის არსებული მეგობრობისა და საოცარი სულიერი სიახლოვის შესახებ.

კონსტანტინე გაჩეჩილაძე წინააღმდეგობებით საცხე დროების წინაშე გარიყული აღმოჩნდა ისევე, როგორც მრავალი მისი თანამედროვე, თუმცა მისი მრავალი ნაშრომი, ლექსი, ნოველა, მინიატურა, ორი რომანი დღის სინათლეს ელოდება, რომელთა გამოაშუქურება შთამომავლობის ვალია.

მარინე ქადაგიძე

### ბედის ლოდინში გათეთრდა თმები

ბედის ლოდინში გათეთრდა თმები.  
ლოდინის ფერი დაეცა სახეს.  
ნამოვიკიდე სპერეთის მთები.  
(ნეტავე ბედი იმათ თუ ნახეს!)

დაეშვა მკერდზე თოვლის ნამქერი,  
როგორც ჩვენება შორეულ ლანდის.  
არსად ღიმილი, არსად ნათელი,  
თვითონ ოცნებაც დაჭრილი დადის.

აიჭრა ცაში შავი შერცხალი,  
ბავშვის გულივით წმინდა, ფართხალა.  
ისმის ქუჩიდან ლოცვის „მინყალე“,  
აი, ამ დილამ რით გამახარა.

ისეც ყოველდღე ვმარტყუნებ  
სურვილებს,  
მუდამ კვნესსა ჩემს კართან ქარის.  
ესმით ეს ურვა გულდაჭურვილებს?  
ვის გაქვთ, მოთხარით, იმედი ხვალის!..

2.II.1958 წ.

## ნავიდა

არავითარი აღელვება – მივიდა  
მაგიდასთან და დაჯდა,  
არავის წინაშე ბოდიში არ მოუხდია;  
არავის მისალმებია,  
შლიაპა მუხლზე დაიდო.  
ბავშვები გაოცებული შესცქერიან...  
თვალი მოავლო ოთახს:  
აქ დაიბადა, გაიზარდა, დავაჟკაცდა,

დაოჯახდა.  
ახლა?.. უცხოა ყველასათვის...  
არ დააყოვნა:  
აუჩქარებლად წამოდგა, მაგიდაზე  
თავისი ოქროს საათი  
დასდო და გავიდა ოთახიდან.  
კიბეზე ნიკაპი რამდენჯერმე  
შეუთამაშდა...

10.II.1952 წ.

## ფრთხილი!

ამ ბოლო დროს გუნება მეცვალა:  
ყველაფერს ვუფრთხილდები:  
გაცვეთილ ფეხსაცმელს,  
გაძენძილ ხალათსა და  
გახუნებულ შლიაპას,  
არ ვუფრთხილდები მხოლოდ გულს,  
დაღლილსა და სისხლდაცლილს.  
უთუოდ, არ მჯერა მისი დაბერება,

მისი დაღლა, მისი გაფითრება –  
რადგანაც არ მნამს სიკვდილი.  
მერედა როგორ მეშინია  
მისი...  
მე, მოუსვენარ ადამიანს, გული  
როგორ მიღალატებს!  
სიკვდილი როგორ შეიპარება ტანში!  
მერედა, როგორ მეშინია მისი!..

7.XII.1960 წ.

## შეშოქმედაა

დაეძებ სახეს, სახელს უცნობს, შორეულ მზერას.  
მაგრამ არც ერთის სიახლოვე სულს არ სწყურია.  
შორიდან უხმობ მზე-ოცნებას, ვით ბედისწერას.  
თვით ბედისწერაც მნარე გრძნობის ანაწურია.  
სულში შემოდის სიხარული, როგორც ტუსაღი,  
აისის ნამით განბანილი, სხივი მზეებისა.  
ეს უდაბნოა – მზის სანოლი, თუ ზღვა, თუ ბაღი, –  
ყველას გალოკავს პოეტური ცეცხლი გზნებისა.

ნისლში მოფრინავს ოქროს ჩიტი ყვითელ ოცნებით, **ერყნულში**  
 გრძნობის მორევში შეიჭრება, როგორც თოლია. **ზიზლიმთეკა**  
 აქ ფანტაზია ნებით მიდის, მოვა დროც ნებით,  
 აქ თვით სიცოცხლე და სიკვდილი თანატოლია.  
 და სულის ფსკერზე ჩაძირული მწველი განცდები  
 შეშლილ თითებით ამოკრიფე, როგორც ლალები.  
 დაფლეთილ გულით ყოფნის საზღვრებს როცა გასცდები,  
 საუკუნეთა ზეულებში გადიმალევი.

3.VII.1945 წ.

### შურისძიება

შურისძიების სამსხვერპლოზე სიყვარულის ანანური გააჩალებს უხილავ ცეცხლს!..

ბედისწერის ძახილი იქ მისწვდება შენს სმენას, ადამიანო.

და დაღუპულის მოგონებაში ერთხელ კიდევ გაილება სამოთხის კარი, სადაც უდიდეს ნამების ალისფერ სუნთქვის ქვეშ იშლებიან შურისძიების სისხლიანი ყვავილები.

სასონარკვეთილების ლოცვებში შენ მიინევ სათაელის მოციქულის ნგრევის ნადიმზე, რომ ამოუბის ტაძარში ქურუმად აღიკვეცო... წყვეის ანგელოზი არსებულის უარყოფის ამბორს დააფრქვევს შენს გაცრეცილ შუბლს და შურისძიების სამსხვერპლოდან ვნებიან ნაპერწყმებს ჩააბნევს შენს თმაში... – ღირს არს! ღირს არს! – დაინივლებს ანწყო და საგანგებო საჩუქრად შურისძიების მახვილს შეგთავაზებს. შურისძიების სამსხვერპლოზე აღმართავ სურვილების სვეტს, რომ მომავლის სახე ჩამოიტყუო. მაშინ დაიწყებ დაღუპული ნუთების ძებნას, რომ შენი უბედობის მიზეზი ვინმეში აღმოაჩინო, და როცა ძიების პროცესში გასცდები საკუთარი არსებობის საზღვრებს, შენივე სულის დაღლილ სხეულზე შურისძიების სამსხვერპლოს წინაშე გაბრუნებული დაეშვები...

2.III.1922 წ.

### მწუხარების ამბორი

მწუხარების ამბორი, მწუხარების დუმილში.

სული ჩემი სიყვარულში გახვეული ლოცვის ღანებზე აენთო. ეძიებდე, მითქვამს შენთვის, გვემულ ყოფნის უტეხ ხაზებს სინამდვილის სიყალბეში!  
 სინამდვილის ყალბი მხარე არსის გადაღაბული საზღვარია, ეს ზვალინდელ – ჭეშმარიტებაზე დღევანდელი ნაჩქარევი თქმაა, რაიც უეჭველი გადასვლაა ახალ სამყაროში.

ასეთი მუდმივი სელა ახალ მხარისკენ შეადგენს ყოფნის ნამდვილ შინაარსს. დღევანდელობის საზღვრებიდან გასვლის პრცესში კი ითხზება უკედავე-ბის ზღაპარი.

აქ იშლება ხელოვნებისთვის ფართო ასპარეზი და შემოქმედების სფეროების "მთლიან განსახებას მხოლოდ მასში პოეზებს.

ამისათვის - კი აუცილებლად საჭიროა დღევანდელი სიტუაციის განაწესება. ქვეყნის მთლიანი ხელოვნური ნაწარმოები სინამდვილის უარყოფაა. მშვენიერების სახე სიცრუის სულში ქანაობს.

10.VI.1921 წ.

### გამოთხოვების შემდეგ

მე ნაშუალამევეს გავალ ამ ქვეყნიდან, როცა ყველას ეძინება და ყველაზე ნაკლები იქნება

მოლოდინი უხილავი სტუმრის მოსვლის...

ეს იქნება შემოდგომის თვეში.

იქნება ოქროსფერი ფოთოლცვენა და გახელებული ქარი...

ჩახლეჩილი ხმით ამოიჩიფრიფებს მიყრუებული ეკლესიიდან ქურდულად მონვეული ოლარგახუნებული მოძღვარი: „მართალთა თანა განუსვენოს“ და აკანკალებული ხელით მომაკმევს საკმეველს... არავინ იკითხავს დაკარგულ სამარეს ბედდახურულ ადამიანისას... გაივლის დრო.

იქნება მოკითხვა უსახელო მინიატურების, რომლებშიც ჩემი სულია ჩაბინავებული. ისინი დიდხანს უპატრონო ობლებივით იქნებიან ხელნაწერთა არქივში მიჩრდილული...

მოვა მკვლევარი ახალგაზრდა და პატიოსანი, მოკრძალებით აფურცლავს ასოებგადასულ სტრიქონებს და ორივე ხელით მზეს მიართმევს...

ეს იქნება ჩემი სულის მალალი ნეტარება და გულის მეორედ დაბადება...

მივიწყებულ ჩემს სამარეზე ლაღლადა მიხაკი გადაიშლება...

12.XII.1959 წ.

(დარწმუნებული ვარ, რომ ჩემს რვეულებს არ უწერია გამოქვეყნება და მაინც ვწერ)

### ეს უნდა ხარ, ადამიანო!

აი, საათის ისარმა კიდევ, გადათვალა ნუთები, იგი ისევ განაგრძობს გზას, განაგრძობს თვლას.

ნეტავი, რა არის მიზანი მისი რბოლის!

რისთვის გამოიგონა იგი ადამიანმა?

საჭიროდ, თუ ჭირად, რომ სიცოცხლის დღეები ეთვალა?

ეს მზის ამოსვლა და ჩასვლა.

ეს ძილი და ღვიძლი.

მოუსვენარი ფუსფუსი და დაუსრულებელი ფიქრები...

ფიქრები და შიში, შიში და ფიქრები...

(„გვაქვს კი არსებობის უფლება?“)

დროის გრიგალისებური ქროლეა და ...

ვინ უწყის საიდან საითკენ!..

და, ცხოვრების ზღვაზე აბობოქრებული ტალღები რომ ათამაშებენ ნაფოტს, ხან აისვრიან, ხან კი გამეტებით დაახეთქებენ, – ეს შენ ხარ, ბედუკულმართო ადამიანო!..

და განაგრძობს საათის ისარი სიცოცხლის წუთების თვლას...

10.VI.1958 წ.

### ჭინკების გუდა

მე ბავშვობისას უზომო შიში მქონდა ჭინკების. ეს შიში დიდხანს გამყვა. მოზრდილი ყმანვილი ვიყავი, გლინავის ხევში მარტო ვერ ჩავდიოდი. იმ დროს, როცა მთელი სოფლის ბაღები ჩემი ხელის გულზე იყო გადაშლილი, სად, ვის ბაღში მნიფდებოდა ადრეული თუ საგვიანო ხილი – პატრონზე უკეთ მე ვიცოდი, იმაზე ადრე მე უნდა გამესინჯა იმ ხილის გემო. პატრონი ფერისცვალებას ელოდებოდა, უკურთხს როგორ ჩაიკარებდა პირში.

ასევე დანამდვილებით ვიცოდი ჭინკების სამყოფელი ადგილიც, წლის რომელ თვეში გამოდიოდნენ კლდეკარის ბილიკზე და როდის მართავდნენ არულას.

ჩემი ბაბუა მეტად გონიერი და მდიდარი ფანტაზიის ადამიანი იყო, მისგან მქონდა ყველაფერი გაგონილი. გაფრთხილებულიც ვიყავი (ბაბუა როდის არ აფრთხილებს შვილის შვილს!), რომ კლდეკარზე მარტო არ ჩავსულიყავი. მიხაროდა, როცა მამა სათევზაოდ მოემზადებოდა, რადგან ბუდეც მე ამკიდებდა ხოლმე, გამიშვებდა წინ და თვითონ თევზის კალათით უკან მომყვებოდა. ასე დავეშვებოდით კლდეკარით მდინარისკენ, წინ მე და უკან მამა. იქ ნაბიჯს შევანელებდი, მამას წინ გავუშვებდი და მე უკან მივყვებოდი მსუბუქი ნაბიჯით, თანაც შიშნაკრავ თვალებს აქეთ-იქით ვაცეცებდი.

ქვიშის ხრამუნსაც კი შეეძლო ჭინკების გაღვიძება. ისინი ხომ შებინდებისას გამოდიოდნენ გარიჟრაჟამდე, შემდეგ მზეს ემალებოდნენ ტყეში, ან დევის ხვრელებში. მე მინახავს ჭინკა, კი არ მომჩვენებია. იგი ტანმორჩილია და მოკლე კუდი აქვს.

გლინავის ხეცს ოც ნაბიჯზე ვერ შეატან თვალს სიღრმეში, ისეთი ხშირია ტყერი. აქ არის ჩადგმული ცალთვალა ნისქელი, რომელშიაც ორი კაცი გაჭირვებით მობრუნდება. ამ ნისქელის კარები მე ღია არ მინახავს. მამის თქმით, იგი მხოლოდ ადრე გაზაფხულზე და გვიან შემოდგომაზე ფქვავს, ღელის ადიდები-



სას, სხვა დროს კი სძინავსო. აი, სწორედ ეს წისქვილია ჭინკებზე მდებარე მარტალი მითხრა.

ნათევ ზავები, მე გულმოდგინედ ვათვლიერებდი წისქვილის მიდამოს და ვიხედებოდი ტყის სიღრმეში, რომ თვალი მომეკრა მწვანეთვალეა და წითელბანჯგვლიან ჭინკებისათვის.

მიკვირდა კი, რატომ კლდეკარის მიდამოებში მონახეს ადგილსამყოფელი ჭინკებმა და კუდიანებმა, სადაც ბაბუას საუცხოო ბალი ჰქონდა ხეხილის, და არ აირჩიეს უფრო მყუდრო და დაბურული ხევი ძირულას მდინარის გაღმა?

20.1.1966 წ.



# სალუდაში უთხზული მოთხრობები

## მოთხრობა

ვზივარ „ოქროს ვეფხვეში“, ხელში ვათამაშებ საკათხეს და დაფინებით დავეცქერი ვმბლემას, რომელზეც ორი შავი ვეფხვია გამოსახული. ვზივარ და ქვეშეცნულად ვანგარიშობ კიდეც: ჯერ ერთი კათხა დაელიე, მერე მეორე, მესამეც მივაყოლე, და ჰა, მეოთხეც; ზოგჯერ, როცა ბოგოუმს პირველი კათხა მოაქვს, თეთრ ქალაღდაც დააძრობს ხოლმე და წინასწარვე მიმანიშნებს საფასურზე; მე კი ჩემს ხალხში ვზივარ, სადაც კი დავეჯდები, ყველგან ჩემი ხალხია; მე ჩემს რიტუალს ვასრულებ, სხვებიც იგივე რიტუალს ასრულებენ. ეს რიტუალი საუბარია, რომლის დროსაც კაცი ყოველდღიური სტრესული სიტუაციებისგან თავისუფლდება. როცა ძალიან ცუდად ხარ, შესაძლოა, გაცვეთილ თემებზე გაცვეთილმა საუბარმა გიშველოს. ზოგჯერ ჩამოვჯდები და პირქუშად ვედუმვარ, და საერთოდ, პირველი კათხის დაღვეამდე არანაირ კითხვაზე პასუხის გაცემა არ მსურს. ამგვარად ვიგემოვნებ ხოლმე პირველ კათხას. უცბად ვერ ვეგუები დესპოტურად ახმაურებულ სალუდეს, ერთბაშად ვერ ვენყობი აუარება მომსვლელს და მათ ხორხოცს: ყველას თავისი ნათქვამის გაგონება უნდა, ყველას ჰგონია, სწორედ ჩემი წარმოთქ-

მულია საგანგებოდ ყურადსაღებოდ და მთელი ხმით გაპყვირის კიდეც რაღაც ბანალობას, მიეჩერებივარ ამ აეყიებს და მეორე კათხას რომ გამოვწერუპავ, მათსავით ვიქადნები გულში, მე ვარ და ჩემი ნაბადი-მეთქი და ვცდილობ ჩემი ნათქვამი არა მხოლოდ თანამეინახეთ, არამედ მთელ ქვეყნიერებას ვამცნო. ახლაც ვზივარ და ნერვიულად ვათამაშებ ხელში მუყაოს საკათხეს, ათიოდე ცალს დავითრევე ხოლმე და კარტივით აქვრი, მერე მაგიდაზე გაეშლი, ლუდს მოვწრუპავ და თამაშს ვაგრძელებ. მე ჩემს ადგილას ვზივარ, ირგვლივმყოფთა საუბარში არ ვერევი, ყურისგდებას ვამჯობინებ. ვინ იცის, ვინ მოთვლის რამდენი ათასი საუბრის მომსწრე ვყოფილვარ, რამდენმა ათასმა ადამიანმა მასმინათავისი ხმა ამ სალუდეებში. მეც მრავალგზის გამიმართავს დიალოგი მათთან. ეს წამონყებანი ხშირად წამდელი ლექციით სრულდებოდა. ამ ლექციას მე კი არ ვუკითხავდი აუდიტორიას, არამედ მავანი და მავანი. ყველანი სულგანაბულები ვუსმენდით. ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ლექციები გადამთვრალი კაცის ლულულლი არ იყო. ემან ფრინტამ მოსწრებულად და ჭკვიანურად დასძინა, ყოველივე ამას სალუდეში შეთხზული მოთხრობები



უნდა ერქვასო. პან რუისმა – „დგორ-  
 ჟაკის კვარტეტის“ ვიოლენჩელისტმა  
 – ის-ის იყო დაასრულა თხრობა. მუ-  
 სიკოსი პირქუში ქალაქის, ბილინას ამ-  
 ბებს ჰყვებოდა. ამ ქალაქში თურმე უა-  
 მინდობა და ხელისუფალთა უმსგავ-  
 სობა სუფევდა. ცენტრალურ მოედან-  
 ზე უსაქმოდ დაყიადობდნენ ლოთი  
 ბოშები, მაგრამ საღამოხანს რატუმა-  
 ში კარგად ჩაცმული საზოგადოება შე-  
 იკრიბა და ბილინამ სახე იცვალა: მად-  
 ლიერი მაცურებელი შეძრული იყო. მე-  
 რე ჩემს გვერდითა სუფრაზე სოკო ახ-  
 სენეს და საუბარმაც არ დააყოვნა. სა-  
 უბარი მჭადა-სოკოს ეხებოდა. მე ვე-  
 ლოდი ამ სოკოზე მთავარ სათქმელს  
 როდის იტყოდნენ. ვერაფერი რომ ვერ  
 თქვეს, მოვიბოდიშე და ხმა აღვიმალ-  
 ლე... მჭადა-სოკო, ბატონებო, მისტი-  
 კური რამაა, ნითურია და ქუდზე მწვა-  
 ნე ხვეულები არტყია. ამ მწვანე, თან-  
 დათან სიპატარავისკენ მიდრეკილ  
 ხვეულებს მწვანევე ჭიპი აგვირგვი-  
 ნებს და ეს ნერტილი მჭადა-სოკოს  
 ქუდზე ცნობიერების ცენტრს წარმო-  
 ადგენს. ბუდისტი ქურუმები ამგვარი-  
 ვე ჭიპებს უმზერენ საათობით. ამ  
 გზით ისინი თითქოს უკან ბრუნდები-  
 ან. თავიანთი დასაბამიერი დედის ნი-  
 ალს ელტვიან. ამ ნიალიდან იღებს და-  
 საბამს ადამიანთა მოდგმა. ყოველივე  
 ამის ამოკითხვა სწორედ მჭადა-სო-  
 კოს ქუდზე დაკლავნილი ხვეულების  
 მშვეობითაა შესაძლებელი. აქ არის  
 ჩაქსოვილი ძირითადი სიმბოლური  
 აზრი ადამიანური წარსულისა და მო-  
 მავლისა...

თუმცა, ბატონებო, ვინაიდან  
 თქვენ უმადობას არ უჩივით, მე მო-  
 განჯდით ერთ რეცეპტს, რომელშიც  
 დანერილებით იქნება გადმოცემული  
 თუ როგორ ამზადებენ ესპანელი  
 ტყისმჭრელები მჭადა-სოკოს: თხლად  
 დაჭრილი ძეხვეული, ზემოდან სოკოს

თხელი ნაჭრებით შეფენულ ჭჭერი-  
 ლად დაქუცმაცებულ ჭიქამწვენი-  
 ლორი, პამიდორი, ისევე ძეხვეულის  
 თხელი ფენა და მჭადა-სოკო. ასე და  
 ამგვარად, ყველაფერი ფენა-ფენა უნ-  
 და იყოს ერთმანეთზე შეწყობილი. პო-  
 და, მოუყრით რა ყოველივე ამას თავს,  
 კოცონზე შებრანავთ და გახეხილ  
 ყველს მოაპნევთ.. ამას რომ ვამბობ,  
 ჩემივე ყვირილი შესმის, ვყვირი და ასე  
 მგონია, მარტო პრალაში კი არ მისმე-  
 ნენ, არამედ მთელს ევროპაში. ვყვირი,  
 როგორც დამთხვეული და ყველას  
 მივმართავ... პან რუისი კი ჰყვებოდა,  
 „დგორჯაკის კვარტეტი“ შევდეტში  
 როგორ ასრულებდა მხოლოდ და მხო-  
 ლოდ ჩებურ მუსიკას. ასრულებდა  
 სწორედ დგორჯაკის კვარტეტს, რო-  
 მელიც კომპოზიტორმა შეიღების სიკ-  
 ვილის გამო შეთხზა, დაბოლოს შეს-  
 რულდა „ჩემი ცხოვრება“... და შესრუ-  
 ლებისთანავე გაისმა ქვითინი, მსმენე-  
 ლები თავებს აბრუნებდნენ და აუდი-  
 ტორიას ათვალიერებდნენ. კონცერ-  
 ტის მერე კი გაირკვა, რომ ერთი ჩეე-  
 ნი ემიგრანტი ექიმის ცოლი იჯდა  
 დარბაზში. ეს ქალი პან რუისთან მი-  
 ვიდა და უხსნიდა თავის მდგომარეო-  
 ბას, პრალა მომენტრად, დედა და მე-  
 გობრებიო... პან რუისმა მშვიდად  
 თქვა ყოველივე ეს, მისი ხმა სასიამოე-  
 ნოდ ჟღერდა. მერე კი სიტყვა სტრა-  
 ვინსკის შემოქმედებაზე ჩამოვარდა.  
 მას თურმე კედელზე სამი მისთვის უძ-  
 ვირფასესი მუსიკოსის სურათი ეკიდა:  
 ვებერნის, შიონბერგის და ბერგის... მე  
 ერთი სული მქონდა საერთო მუსიკაფ-  
 ში ჩემი სათქმელი ჩამერთო და ეს სათ-  
 ქმელი ყველას უნდა გაეგო, – ლუდის-  
 მსმელებს, მთელ ქალაქს, მთელ ქვე-  
 ყანას, მსოფლიოს... და როცა საუბარ-  
 ში ჩემი სიტყვა ჩავაგდე, ხმაც მომემა-  
 ტა... ბატონებო, დილაობით ვენის რა-  
 დიოს ვუსმენ ხოლმე, იქ კიდევ ვებერ-



ნის ცხოვრების უცნობ წერილმანებს გვატყობინებს მისი სიძე, როცა ავსტრიაში ომი დამთავრდა და ამერიკულმა არმიამ ლინცი დაიკავა, ქალაქში კომუნდანტის საათი გამოაცხადეს... და აი, საღამოთი ვებერნის სიძემ, რომელსაც წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, ვინ იყო ვებერნი (თუმცა, ვებერნმაც არ იცოდა, რომ თვითონ ცნობილი ვებერნი გახლდათ) – განუცხადა მას: ვიცი თქვენ მაგარი მწველი ხართ და ამიტომაც რვა ლერი სიგარეტი გადაგინახეთ, აჰა ინებეთო. ვებერნს მადლიერების ნიშნად ცრემლი მოერია და უპასუხა: მე ბედნიერი ვარ, რომ ასეთი კარგი სიძე შემხვდა, ერთ სიგარეტს ახლავე მოვწვე, რადგან მოთმენა აღარ შემიძლიაო. სიძემ კი უთხრა, დერეფანში მოწიეთ, ბავშვებს მოვერიდოთო. ვებერნი დერეფანში გავიდა, მერე იფიქრა, ვაითუ დერეფნიდან კვამლმა ბავშვების ოთახში შეაღწიოსო. რაკი ასეთი სანაქებო სიძე მყავს, მოდი, აივანზე მოვწვეო. გავიდა ლამეში აივანზე, ხარბად ჩაიდო პირში სიგარეტი, ასანთს გაჰკრა მთრთოლვარე ხელით; ის-ის იყო მრავალჯის ნანატრი კვამლი ჩაისუნთქა, რომ გაისმა სროლა და ვებერნი მოცელილივით დაეხეთქა. მისი პირველი ჩასუნთქვა უკანასკნელ ამოსუნთქვად იქცა. მართლაც ძვირად დაუჯდა თუთუნისმოყვარეობა! რომელიღაც ჯარისკაცმა პატრულთაგან მიზანში ამოიღო, ცეცხლის ანთება ხომ აკრძალული იყო... თუმცა, ბატონებო, ამით არ მთავრდება მოვლენათა მისტიკური ჯაჭვი, ჯარისკაცი ქუიდან გადავიდა ვებერნის მოკელის შემდეგ. ამერიკაში დაბრუნდა, სამი წელი ფსიქიატრიულში გაატარა, მკვლელობიდან მებუთე წელს კი თავი მოიკლა... პან მარისკოზე ამ შემთხვევამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა... ის ამბობდა, ჩემთვის ამ ამ-

ბის მოყოლა არ შეიძლება, მაგრამ ახლა, ადრე იგივე მარისკოზე მსხენებაზე იგინებოდა, – მაგას ვინ შეასრულებსო. პან რუისი ამ გამოხდომას მშვიდად პასუხობდა, ვებერნი მიყვარს და სიამოვნებით ვასრულებო, მასვე უჭერდა მხარს მხატვარი პან გამპლი და ამბობდა, ვებერნს იმიტომ ვაფასებ, რომ მისი არაფერი გამეგებაო... და აი, მე ვიჯექი „ოქროს ვეფხვში“ და მომსვლელებს ვათვლიერებდი – ო, ეს მართლაც არ იყო ადგილი, სადაც ლოთური ხორხოცი ისმის. ეს ხმაურიანი საღუდე პატარა უნივერსიტეტია, აქ კაცები სვამენ ლუდს და ერთმანეთს სხვადასხვა ამბებს მოუთხრობენ, მათ თავზე კი თამბაქოს კვამლი გროვდება და უშველებელი კითხვის ნიშანივით ჰკიდია ჰაერში, აი ეს კითხვაც: განა აბსურდული და საკვირველი არ არის ადამიანის ცხოვრება?.. მე ვდუმვარ. მჭადა-სოკო მომწვანო კონცენტრირებული წრეებით, მწვანე ნერტილი სოკოს წითურ ქუდზე დაჩნეული, ეს ომფალოსი, დედამიწის ქიპი, რომელსაც გაივლი და დასაბამიერ დედის, ევას საშოში შეაღწევ... და აი, ფიქრში ნასულს გამახსენდა ჩემი ბავშვობის ის დღეები, როდესაც პირველად მოვხვდი საღუდეში. საღუდეში მომწუსხა, შეიძლება ითქვას, რომ საღუდე ჩემს ბედისწერად იქცა. მამაჩემი ლუდის ქარხნის მეპატრონე იყო, ფირმა „ლაურინ და კლემენტის“ მოტოციკლეტზე შემომსვამდა და იმ დღეებს შემომატარებდა, რომლებსაც ლუდით ამარაგებდა. ყოველი დუქანი (სულერთია დღე იყო თუ ღამე) რალაცნაირ მივგდებულ, სევდიან ადგილსამყოფელად მეჩვენებოდა, იქ თითქმის ცარიელი იყო მაგიდები და ბინდბუნდში სუსტად კრთოდა ლუდის ჩამოსასხმელი ონკანი. მამა სამზარეულოში გადასახადებს ანგარიშობდა,

მე კი შეცხებულ დარბაზში ვიჯექი და, რა თქმა უნდა, ლიმონათს ვსვამდი. ეს ლიმონათი (ნითელი ან ყვითელი) ქაფდებოდა და შიშინებდა. ბინდბუნდში ძლივძლივობით ვარჩევდი დუქნის რამდენიმე მუდმივ სტუმარს. მათ იქ ყოფნას მოძრავი ბლანტი თუ თალხი მასა ამხელდა; დროდადრო კათხას ასწევდნენ და მოიყუდებდნენ ან კიდევ სირჩით რაიმე უფრო მაგარს გადაკრავდნენ. ზოგიერთი მათგანი ენეოდა კიდევ – სიბნელეში ასანთის ნითელი ალი ნამოყოფდა ენას და მე ბედნიერების გრძნობა მეუფლებოდა. ხანდახან სამზარეულოშიც გამიხმობდნენ, იქ ჩვეულებრივ დიასახლისი იჯდა, იქ მყოფნი მეტისმეტად დალღილები მეჩვენებოდნენ. დიასახლისები ძლივს დააბიჯებდნენ, დროდადრო ავეჯსაც ეპოტინებოდნენ, სკამზე მჯდომარენი კი ისე ნამოინევდნენ, გეგონებოდა რევმატიზმი ანუხებთო. სამზარეულოში რომელიმე წვნიანი კერძით მიმასპინძლდებოდნენ, ნითლად და ყვითლად მოკიაფე ლიმონათს იქაც არ ვიკლებდი, – ჭიქას ჭიქაზე ვცლიდი, მამაჩემს კი მაგიდაზე თეთრად მოქათქათე ქალღღებები ჰქონდა გაშლილი, თავზე კი ეგვიპტური სიგარეტის ლურჯი კვამლი ადგა. ეგვიპტურ თუთუნს ენეოდა და მეც მხოლოდ მის მოსატანად მაგ ზავნიდა ხოლმე. მამა დაბალი და შემპარავი, მაგრამ მტკიცე ხმით ელაპარაკებოდა დუქნის პატრონს. ის კი უსიტყვოდ ისმენდა რჩევადარიგებებს. მე საუბრის შინაარსი არ მესმოდა, თუმცა ქვეშეცნეულად ვხვდებოდი, რომ დუქნის პატრონი საყვედურს ნამდვილად იმსახურებდა, ისევე, როგორც მე. აკი მამა სასკოლო დავალებების შეუსრულებლობის გამო მტუქსავდა ხოლმე. პოდა, ის დუქნის პატრონიც ჩემსავით თავდახრილი იდგა და იატაკზე აცეცებდა თვალებს,

ოლონდ ეგ იყო, მამაჩემს მუდამ გამბედაობას და იმედს უწინააღმდეგავს იქიდანაც ჩანდა, რომ ბოლოს ორიგენი სიცილით ართმევდნენ ხელს ერთმანეთს, თვალელები ჩასცქეროდნენ და წასვლისას დუქნის მეპატრონე ორმოცგრაფუსიან ბოთლს უტენიდა მამას ჯიბეში. შემდეგ გვაცილებდნენ, მოტოციკლეტის დაქოქვაში გვაშველებდნენ ხელს და მე ვიცოდი, რომ მათთვის ჩვენგან გათავისუფლება უდიდესი შვენის მიმნიჭებული იყო. მამა ხომ ისეთ დროს დაეცემოდა ხოლმე მათ თავზე, როცა ისინი არ ელოდნენ... მომდევნო დუქანშიც ნითელ და ყვითელ ლიმონათს ვსვამდი, ჭიქას ჭიქაზე ვცლიდი. ერთმა ნელმა გაიარა და უკვე ჩვენი ერთობლივი ვიზიტები იმით განსხვავდებოდა უწინდელისაგან, რომ მამაჩემს სამზარეულოში ფებდაფებ აღარ ვსდევდი; სადარბაზოში ვიჯექი და მინით ატიხრულ კარებში გამოლწულ მამაჩემის ხმას ვაყურადებდი. ის უსიამოვნო ტონით ესაუბრებოდა დუქნის მეპატრონეს, რომელიც თავს იცავდა. დროდადრო მეპატრონე სამზარეულოდან გარბოდა, დახლთან მიიბრუნდა, ერთ სირჩას გადაკრავდა და გაფითრებული უკან ბრუნდებოდა. მამა მეპატრონეს მზარზე ხელს ავლებდა დარწმუნების ნიშნად. ჩემს მიმართაც ხომ ასეთი იყო, როცა მეუბნებოდა, ნუ ზარმაცობ, ისწავლე, სიზარმაცე არაფერში არ წავადგებო. მე ძალიან მახალისებდა მამაჩემთან ერთად ეს მოგზაურობანი. არდადეგების პერიოდში ნიმბურსკის დუქნები მოვიარეთ. მე ზედმინეწვით კარგად ვიცოდი მათი ასავალდასავალი. ყველაზე დიდი აღმოჩენა ლისის სალუდე „ქალაქ კოლინასთან“ იყო, სადაც ისეთი ურცხვი დიასახლისი ჰყავდათ, რომ მამაჩემი წარამარა ნითლდებოდა, ის კი იცინოდა და აი-



ნუნშიაც არ აგდებდა ლუდის განაწილებასთან დაკავშირებულ მიეთ-მოეთს და საგადასახადო ციებ-ცხელებას. მე ვიჯექი მზით გაბრწყინებულ დარბაზში, სადაც იდგა დიდი ასპარგუსი და დიასახლისის საკერავი მანქანა, ვსვამდი ნითელ ლიმონათს (ზოგჯერ ყვითელსაც ვუნაცვლებდი) და გულისფანცქალით ვისმენდი ამ დედაკაცის უშვერ ლანძღვას. ის ნუთით გამოჩნდებოდა ხოლმე, რათა ჩემთვის ლიმონათი შემოეტანა, თავზე ხელს გადამისვამდა და თავის მშვენიერ თვალებს შემომანათებდა. ამ თვალეში თავით ფეხებამდე ვირეკლებოდი. სხვა დუქნებში ყველა კუთხე-კუნჭულს ვათვალიერებდი, საცეკვაო დარბაზიც და სცენაც კი არ მრჩებოდა უნახავი, მერე გავდიოდი ბაღში, სადაც იდგა მაგიდები და ბილიარდი; განსაკუთრებით შემძრა დუქანმა, სადაც მეპატრონე იყო პან პუგო შმოლკა, ებრაელი. მის ვაჟიშვილებს ხშირი ქოჩრები უმშვენიებდათ შუბლს და მშვენიერი კულულები ეფინათ სახეზე, თვითონ მეპატრონეს კი კეფაზე მოკლედ შეეკრიჭა, წინ კი წარბებამდე სცემდა შავი თმა. მეპატრონის ცოლი სულერთთავედ ოფლში ცურავდა, გეგონებოდა, ქონი წაუსვესო. აი ასე შევიყვარე დუქნები და საღუდეები, რესტორნებში კი, სადაც ფეხქვეშ ხალიჩა ბზინავდა და შაუფრაკიანი ოფიციანტი დააბიჯებდა, უცხოდ ვრგძნობდი თავს და მამაჩემს გარეთ, ქუჩაში ველოდებოდი ხოლმე, რათა მასთან ერთად კვლავაც სოფლის დუქნისკენ ამელო გეზი... ოჰ, ეს სოფლის საღუდეები! იქ ხომ მუდამ შინაურად მთვლიდნენ. ზოგიერთ საღუდეში ხორცის ფარდულიც კი იყო და მე იქ უსათუოდ მთავაზობდნენ ძებვეულს. ნამდვილი ნეტარება იყო ჭიქა ლიმონათი და ძებვის ულუფა! რეა-

ლურ სასწავლებელს, რუსულ ენაზე უკვე ლუდსაც ვწრუპავდი. სადაც კი არ უნდა ნავსულიყავი მამაჩემთან ერთად, ყველგან ლუდის ცოცხალი რეკლამა ვეგონე მეინახეებს: კათხას კათხაზე ვცლიდი და ხმამალა ვაქებდი ამ ძვირფას სასმელს. ყოველივე ამას თავდაჯერებით და სიამოვნებით ვაკეთებდი. მამა კვლავ მეპატრონეებს ეკამათებოდა და ზოგჯერ ტუქსავდა კიდეც, მე იგივე სოფლის საღუდეში ვიჯექი და კათხას კათხაზე ვცლიდი. მესამე კათხის შემდეგ უკვე მომსვლელეებსაც ვესაუბრებოდი. ყველაზე მეტად პან ვოდვარკას დუქანში ჯდომა მიყვარდა. პან ვოდვარკა გულლია და ხალისიანი კაცი იყო, მამაჩემი არასდროს დამდურებია მას. ის მართლაც მარჯვე და მარიფათიანი მეპატრონე გახლდათ. ასეთივე დარჩა ჩემს მეხსიერებაში. მის დუქანში დილიდანვე ისადგურებდა მხიარულება, როცა პან ვოდვარკა ნიმბურკს ეწვეოდა, პრალაში მივდიოდი. მამაჩემს პრალაში წასვლა ესიკვდილებოდა, მე კი ამაზე დიდი სიამოვნება არ გამაჩნდა. დუქანს, რომელსაც ჩვენ ვენვეოდით ხოლმე, ერქვა „შმელგაუნებთან“. პირველად რომ შევედით დარბაზში, პან ვოდვარკამ მევილინეს შუბლზე ასიანი მიანება. ამის შემდეგ შევიდოდით თუ არა დარბაზში, მუსიკოსები რომელიმე ჩვენს საყვარელ სიმღერას წამოიწყებდნენ. მერე კი ვქვიფობდით, მამა დროდადრო გვახსენებდა, უკვე შინ წასასვლელად უნდა შევემზადოთო, მაგრამ ჩვენ ფეხს ვითრევდით, პან ვოდვარკა ცეკვავდა და ომახიანად მღეროდა, ლიმის აფრქვევდა და ენამახვილობდა. მეც მხიარულების ფერხულში ვებმებოდი და რაც უფრო მეტს ვსვამდი, მით უფრო ხალისიანად ვებვეოდი ყველას, ვინც პან ვოდვარკასთან მოდიოდა. ასეთ დღეში ვიყავით

მანამდე, სანამ სალუდე არ დაიკეტებოდა. მამაჩემს დალევა არ შეეძლო, ვინაიდან მოტოციკლეტით უნდა წავეყვანეთ შინ, მოგვიანებით მან „სკოდა“ იყიდა. მამამ აღარ იცოდა ხოლმე რა ექნა, მოთმინების ფიალა ევსებოდა, გონზე აღარ იყო, გიჟს ჰგავდა. პანვოდვარკა სამ თვეში ერთხელ მოდიოდა ამ სალუდეში და წინასწარვე დაუთქვამდა მამაჩემს, ჯერ ყველა საქმეები მოვითავოთ, მერე კი შმელგაუზებს ვენვიოთო... შმელგაუზებიდან მუსიკის თანხლებით გვაცილებდნენ. გზად სხვაგანაც შევივლიდით, პანვოდვარკა მოითხოვდა მუსიკოსების გალვიძებას, რომლებიც საგანგებოდ ჩვენთვის უკრავდნენ. ეს ამბავი განთიადისას ხდებოდა, მზის ამოსვლის ფაზს. ჩვენ ისევ ლუდს ვსვამდით და ზედ ყავას ვაყოლებდით. პანვოდვარკა შოკოლადს ყიდულობდა და ქალებს უმასპინძლებოდა, მერე ფანჯრებზე აკაკუნებდა და სამზიარულოდ კეთილადამიანებს მოუხმობდა. ყველა ცეკვავდა და მღეროდა, მამას კი სული კბილით ეჭირა, საათზე იყურებოდა და ამბობდა, ორ საათში ლუდის ქარზნის ბულალტერიამი უნდა ვიყო. ო, ეს ჩემი სიყმანვილისდროინდელი დუქნები და მოგვიანებით ჩემი სალუდეები ნიმბურკში, სადაც შაბათ-კვირას დავდიოდი, - დღისით და საღამოს, - ბილიარდის სათამაშოდ. მახსენდება ერთი ტრაქტორიც. იქ მე პიანინოზე ვუკრავდი და კარტს ვთამაშობდი ხალიბელ ყმანვილებთან. ვიხსენებ ჩეთში მოგზაურობას, იქაურ სალუდეებს და დუქნებს, იმხანად დაზღვევის აგენტი ვიყავი. თვალწინ მიდგას რესტორნები, რომლებშიც ვსაუზმობდი, ვსადილობდი და ვვახშმობდი. ეს უკვე ის პერიოდი იყო, როცა კომივოიატერად ვმუშაობდი და ფირმა „გარი კა-

რელ“ კლოფანდას „შმმქმნენ“ ხმკონელს ვყიდდი. დაბოლოს მქმდაქადაც გამუდმებით დავდიოდი დუქნებში - ლიბენი, ჟიჟკოვი, პატარა ქვეყანა და ძველი ადგილი ერთი დღითაც არ მიმიტოვებია. თითქმის მეოთხედი საუკუნე ამ დუქნებში ვვახშმობდი და ძალზე იშვიათად შევალბდი ხოლმე (უფრო შემთხვევის წყალობით) ხეირიანი რესტორნის ან სასტუმროს კარს; ეს ადგილები, მართალი გითხრათ, არც მიყვარდა, ცოტა არ იყოს, შიშნულადაც ვეკრძალებოდი იქაურობას. იქიდან ქუჩაში გამოსული თანდათან ვიკრებდი გონებას და პირველივე სალუდეში შევდიოდი. სალუდეში შინაურულად ვგრძნობდი თავს, აქ ყველაფერი ნაცნობი და საყვარელი იყო: ოფიციანტი, მეპატრონე, ირგვლივ მეგობრები მეხვია, ოჯახურ მყუდროებას ვგრძნობდი...

და აი, მე ვზივარ „ოქროს ვეფხვში“, თვალი დუქან-დუქან გადადევნე განვილილ გზას და მივხვდი, რომ ყველაფერი მამაჩემისგან დაიწყო - მე ლიმონათს ვსვამდი, ჭიქას ჭიქაზე ვცვლიდი, ვიდრე მამა ანგარიშებს ამონებდა და სალუდეთა უბედურ მეპატრონეთათვის გადასახადს ადგენდა. მათ ხომ მუდამ რალაც ხარვეზები ჰქონდათ საქმეში. მე ვზივარ „ოქროს ვეფხვში“ და ვიღივები: მთელი ამ ხნის მანძილზე არაფერი არ მესმოდა, თითქოს ჩუმ და იდუმალ ტყეში ვიყავი. ეს კი იმიტომ ხდებოდა, რომ ფიქრში წარსულისკენ გავიჭერი და ჩემს პირველ დუქნამდე მიმავალი გზა გავიარე. ეს გზა ნიმბურკის სიახლოვეს მდებარე სოფლიდან დაიწყო. მე ფიქრში წავედი, ამასობაში კი პან რუისი თავის ამბავს ჰყვებოდა... ჩავფრინდით, მაშ, კოპენჰაგენში, იქ კი ორი მანქანით დაგვხვდნენ. ჩვენ „დვორჟაკის კვარ-



ტეტი" პირველად მიგვიწვიეს. არცკი ვიცოდი ასე ხელგაშლილად ვინ გვმასპინძლობდა. დაშხედურებს შავი ტანისამოსი ეცვათ, ორნი იყვნენ და ვიძრე იმ მანქანით მივიდიოდით, დაგვალამდა კიდეც. კოპენჰაგენი უკან მოვიტოვეთ, დიდ შენობას მივუახლოვდით, კარი გაიღო, რკინის გისოსი ზემოთ აიწია და ეზოში შევედით. გისოსებიანი ფანჯრები რომ დავინახეთ, მივხედით, ციხეში ვიმყოფებოდით, მერე ციხის უფროსმა მიგვიღო, სუფრა გაგვიშალა, – ლეინოც იყო... ცოტა ხნის შემდეგ ციხისავე სამლოცველოში გაგვიყვანეს, სადაც უკვე შეკრებილიყვნენ ტუსალები, ინსტრუმენტები ავანყვეთ და დავინყვეთ დაკვრა... ჯერ კვლავ დეორჟაკის კვარტეტი შევასრულეთ, მერე კი – „ჩემი ცხოვრება“. ვუკრავდით სულ სიწყინარეში და ვიგრძენით, რომ ასეთი პუბლიკა მანამდე არასოდეს არ გვყოლია. ეს იყო ჩვენი საუკეთესო მსმენელი. ოქსფორდი გამახსენდა, სადაც ერთი წლის წინ კონ-

ცერტი ჩავატარეთ, მანქანებში დროაკეზში იყვნენ გამონყობილნი და დაკვრას როდესაც მოვრჩით, ფეხზე წამოდგნენ და გარინდულნი იდგნენ, მაგრამ ვიძრე კულისებში გავდიოდით, ერთხელ კიდე მოვიხედეთ უკან, ისინი კი ისევ ისე იდგნენ, როგორც ეს ტუსალები კოპენჰაგენში. იქაც იგივე მელოდებს ვასრულებდით: დეორჟაკის კვარტეტს, რომელიც მან შვილეზის სიკვდილის შემდეგ შეთხზა, სმეტანას „ჩემს ცხოვრებას“ და იანაჩეკის კვარტეტს. აი, ასეთი რეპერტუარი გვქონდა და ეს მუსიკა მომწუსხველად ზემოქმედებდა მსმენელზე ოქსფორდშიც და კოპენჰაგენის ციხეშიც. იყო რალაც მისტიკური ყოველივე ამასში. ღმერთო ჩემო, რა არის მუსიკა, რით ეხმაურება ის ჩვენს ცხოვრებას? თითქოს არაფრით, მაგრამ ყველაფრით, ასე ამბობდა პან რუისი, ჩვენ კი ისე აელელდით, რომ აქაფებული ლუდის კათხები ავიფარეთ სახეზე მღელვარების დასამალავად.

თარგმნა ანდრო ბუაჩიძემ





ახანს ფონ კრუსენშერნა

## ქირავდება კუთხა

### მოთხრობა

გრძელსა და ბნელ დერეფანში უამრავი კარი გამოდიოდა. თითოეულზე თეთრი, ოთხკუთხედი ფირფიტა მიემაგრებინათ, რომელზედაც სახელი ეწერა. ალმა ლილესტამის ოთახი დერეფნის ბოლოში იყო და ეს ყველაზე მწყურდრო და სუფთა ოთახი გახლდათ ფრეკენ იანსენის სახლში, სადაც სამზარეულოს გარდა ყველა კუთხე ქირავდებოდა.

ალმა ლილესტამი ხსნის არმიას ემსახურებოდა, მაგრამ ახლა, როცა ორმოცდაათს გვარიანად გადაცილდა, დასვენების დროაო, გადაწყვიტა და ამ ოთახში გადმოსახლდა. ანდა, ვინ იცის, იქნებ პირიქით, სწორედ ამ ოთახში გადმოსახლების მერე შეუძახა საკუთარ თავს:

— აბა, ალმა, ახლა ბოლოს და ბოლოს მოისვენებ.

სააჯადმყოფოდან ის-ის იყო გამოვიდა და მძიმე ოპერაციის შემდეგ ჯერ კიდევ ვერ მოკეთებულ იყო.

ორი თვეც არ გასულა, რომ ალმა ლილესტამი მარტოობისა და რალაც უცნაური მღელვარების გრძნობამ მოიცვა. გაზაფხული დადგა, საღამოები გახანგრძლივდა, გვიან ბინდებოდა. მაინცდამაინც ბნელი არც ახალი მთვარით გაშუქებული ღამეები

იყო. ვერცხლისფერი ბინდი ოთახს ეფინებოდა.

ასეთ ღამეებში ალმა მხრებზე დიდ კუბოკრულ თავშალს მოისხამდა და ოთახში დაუსრულებლად დაბორიანდებდა. გაჩახჩახებულ მთვარეს, თითქოს არ ენდობაო, ისე შეფარვით შესცქეროდა და რატომღაც გული მღელვარებით ეკუმშებოდა. დრო და დრო ძალას მოიკრებდა, ფანჯარასთან მივიდოდა და მთვარის ყვითელ ცელს, თითქოს რალაცას ეკითხებოაო, ისე პირდაპირ შეხედავდა. მაშინ ყველაფერი ისე აირეოდა და დატრიალდებოდა, თითქოს მოლიცლიცე ვარსკვლავებით მორთულ ზეცასთან ერთად თავადაც ცეკვავდა.

არა, ალმა ლილესტამს, საერთოდ ასეთ ქალებს, მთვარიანი ღამეები არაფერში ჭირდებოდათ. ფიქრის კორიანტელს აღძრავდა. ფიქრები ადრეც კი ანუხებდა, მაგრამ ასე თავგზა არასოდეს აუბნევია. ახლა კი უბნევდა. და თავბრუსხვევის ამ წყვედიადიდან იმ გლეხის ბიჭის სახე მოჩანდა, ოდესღაც რომ უყვარდა. ისე უყვარდა, რომ თავის მოკვლაც კი უნდოდა. იმ ბიჭს ფართო სახეს კეთილი ღმილი უნათებდა და ამქვეყნიად ყველაზე ღამაში, ყველაზე ლურჯი თვალები ჰქონდა.



მაშინ არმიამ გადაარჩინა. ბიჭის არასაიმედო ალერსის ნაცვლად, ქრისტეს ალერსს მიენდო.

აღმა ლილესტამისთვის ასე სჯობდა.

ახლა კი, ამ მთვარიან ღამეებში, ხანდახან ეჩვენებოდა არჩევანში შეუცდო. მთელი თავისი უბინო, მძიმე ცხოვრების მანძილზე თავგანწირვით სხვებს ემსახურა და რა მიიღო? შერყეული ჯანმრთელობა, მოუშორებელი ყავის გემო, ქრისტესმიერ დებთან და ძმებთან ერთად დაუსრულებული ყავის სმის შედეგი, საკუთარი უბინოებით გამოწვეული კმაყოფილების შეგრძნება და ერთი თოჯინა – შესანიშნავად მორთულ-მოკაზმული თოჯინა, ორმოცდაათი წლის აღსანიშნავად რომ აჩუქეს მეგობრებმა ხსნის არმიიდან, რადგან იცოდნენ, რომ ბავშვები უყვარდა.

ჰო, თოჯინა, აღმა ლილესტამ, თოჯინა, ნაცვლად ცოცხალი ქალიშვილისა, რომელიც მკლავებს კისერზე შემოგხვევდა და კოცნით დაგაბრძობდა. მრგვალი, ფაიფურისთავიანი, ნახერხით გატენილი თოჯინა, ნაცვლად ახალგაზრდა ქალისა, ვისაც ჯანმრთელობითა და სიცოცხლის სიყვარულით გააჯერებული სხეული ექნებოდა.

ერთი ასეთი უძილო, მთვარიანი ღამის შემდეგ, აღმა ლილესტამმა გაზეთში განცხადება გამოაქვეყნა. მარტოხელა ქალი ახალგაზრდა, წესიერი გოგონასათვის კუთხეს აქირავებსო, გამოაცხადა.

– ფული მჭირდება, – დაანყნარა მეზობელთა ცნობისმოყვარეობა.

თავად კი იცოდა, რომ ფული კი არა, ცოცხალი ადამიანი ჭირდებოდა. სულ ერთია როგორი, უბრალოდ ახალგაზრდა გოგონა, ამ საგაზაფხულო დღეებსა და ღამეებს დიდი ხნის დაღინებული სინორჩის სურნელით

რომ გაჟღინთავდა. ვიდავს, მთელი მარე სუნთქვის მოსმენა, ვიდავს, წკრიალა ხმის, მზიარული ლაქლაქისა და სიცილის გაგონება სურდა...

არა, მარტოობას ველარ იტანდა! ერთ ასეთ მარტოსულ ღამეს მთვარე ალბათ ცივი და მძიმე ლოდივით დაეცემოდა თავზე ან ვარსკვლავები დასთხრიდნენ თვალებს თავისი ბასრი სხივებით და მანამდე დააბრმავებდნენ, ვიდრე სიკვდილი ჩაუშვებდა მარადიულ წყვდიადში.

– პირველ შემხვედრს კი არ შემოეუშვებ, – დამოუკიდებელი იერით იმორებდა აღმა აბეზარ მეზობლებს. – ოჰ, არა! ჯერ შევხვადე, რა ადამიანია.

მაგრამ პირველივე გოგონამ, ვინც ოთახის ზღურბლს გადმოაბიჯა, აღმას გული მაშინვე მოინადირა. რა თქმა უნდა, უცებ არ მოფერებია. სად მუშაობ, როგორ ცხოვრობ, რომელ საათზე დგებიო, დაინტერესდა. ფასზე ვაჭრობა არც უფიქრია.

პატარა, დაუძღვრებული ქალი მაგიდასთან იდგა, კეფაზე დაბეჭეული მუქი თმა, ჩავარდნილი მკერდი, გამბდარი, გაძვალტყავებული ხელები ჰქონდა და გოგონას სახეში შეტყვევლი მზერით შესცქეროდა.

ეს გოგონა კი სხვებს ნამდვილად არ გავდა. ძვალმსხვილი იყო, ჩამოქნილი მხრები და სავსე თეძოები შემოტყეცილ ხასხასა ნითელ სანვიმარში მკვეთრად იხატებოდა, ზეთისხილისფერი კანი და ოდნავ უჩვეულო, თუმცა მაინც ღამაში სახე ჰქონდა. ნახშირით შავი თვალები მუზლზე ჩამოშლილი მუქი შავი თმის ქვეშიდან უბრწყინავდა. ალბათ წარმოშობით იტალიელი იყო, ან ვინ იცის, იქნებ სულაც ესპანელი. არც ხმა ჰქონდა წკრიალა, როგორც აღმა ოცნებობდა, ოდნავ ხრინწიანი, მშვენიერი, მიმზიდველი ინტონაციები ისმოდა.

გოგონამ უთხრა კესტინ ანგელინი მქვია, მაგრამ ყველა ტატის მეძახის. სამკერვალოში ვმუშაობ და სახლიდან დილით ადრე გავედივარო.

– გაგაღვიძებ ხოლმე, – ღიმილით დაპირდა ალმა და ისედაც დაბალ ფასს კიდევ ხუთი კრონი დააკლო.

მოლაპარაკება ამით დასრულდა.

შემდეგ ჩემოდანი მოიტანეს. დიდი, ტყავის სუნით გაჟღენთილი ჩემოდანი ამ ერთიბენო ოთახში უშველებელი გამოჩნდა.

გახსნეს თუ არა, ოთახში აბრეშუმის კომბინაციების, ბზინვარე წინდებისა და ყვეტელა კაბების ისეთი ნიაღვარი ნამოვიდა, თითქოს ვილაცის ხალისიან ხელს ირგვლივ ყვავილები მიმოფანტა. ქრისტეს თაბაშირის ფიგურა, რომელიც სანერ მაგიდაზე იდგა, ქალის საცვლებით დაიფარა, ხოლო კომოდზე არმიის დათა და ძმათა ჯგუფური სურათი აბრეშუმის ღრუბელში ჩაინთქა.

ალმა დაეხმარა, უფრებიც ჩაალაგებინა და კარადაშიც ადგილი გაუნთავისუფლა. თავისი საუკეთესო, გახამებული თეთრი საყელოთი და სამაჯურებით მორთული შავი შალის კაბა, ყველაზე შორეულ კუთხეში მორცხვად განია.

შემდეგ გოგონა სამკერვალოში გაიქცა. კართან მისულმა კი ალმას თავი დაუქნია და ხრინჩიანი ხმით უთხრა:

– სალამი!

მისი წასვლის შემდეგ ეს სიტყვა ოთახს კიდევ დიდხანს აესებდა, თითქოს ხმაურიანი, მოუთვინიერებელი ზღვის ტალღა შემომსკდარიყო.

დერეფნიდან ჩურჩული, ბუზუნნი, დახშული ბგერები და ნაბიჯების ხმა გაისმა. ალმა მიხვდა, რომ დილის თვლემისგან გამოფხიზლებული ბებერი მეზობლები ოთახებიდან გამოხოხდნენ და გოგონას ცოცხლად ქორავდნენ.

– ჯანდაბას, მომფხნსნო ქნა, უკმეხად ჩაიბურტყუნა ალმა!

ქალი დაიხარა და იატაკიდან რააც აიღო. ეს რაღაც ფოტოსურათი აღმოჩნდა ალმა ფანჯარას სწრაფად მიუახლოვდა. გაზაფხულის დღის ჩახჩახა შუქმა სურათი გაანათა და სულ ახალგაზრდა კაცი გამოჩნდა, რომელსაც მხედრიონელის ლამაზი მუნდირი ეცვა. გახსნილი, ნათელი სახე ჰქონდა, ხელში თეთრი ხელთათმანები ეჭირა და ოდნავ თვალმოჭუტული, მომხიბვლელ ღიმილს აფრქვევდა. ალმას გული აუძგერდა. ეს ბიჭი მის შეყვარებულს გავდა. ოჰ, რა ძალიან გავდა! ოღონდ უფრო ლამაზი იყო.

„ტატის საქმრო“, – დაასკვნა ალმა. შემდეგ გაიღიმა, პორტრეტი მკერდზე მიიკრა და დაბნეულად ჩაიბურტყა:

– სალამი!

ამ დღის შემდეგ ალმა ლილესტამისათვის ახალი ცხოვრება დაიწყო. მარტოობა აღარ აწვალებდა. ოთახში, მის გვერდით, ვინრო, გასამლელ სანოლზე, გოგონას ეძინა.

პირველ ღამეს ალმა ვერ დაეძინებო, ფიქრობდა. იგი საპირისპირო კედელთან, თავის ტახტზე იწვა, მძიმედ სუნთქავდა და მძინარე გოგონას ღრმა ფშვინვას რაღაცა მღელვარებითა და შიშითაც კი უსმენდა. დროდადრო ტატი გვერდს ხმაურით იცვლიდა და მაშინ, ასეთ სიმძიმეს მიუჩვეველი სანოლი ბრაზიანად ჭრიალებდა. შემდეგ მშვიდობიანმა სუნთქვამ ალმაც დაანაწავა და შეუმჩნეველად ჩაეძინა.

ადრინად გამოეღვიძა და იმის შიშით, ტატი არ დავაგვიანოო, ძილი აღარც შეიბრუნა. როცა საათმა დარეკა, ადგომის დრო დადგაო, გოგონას ხმადაბლა დაუძახა. ვერ გააგონა, ჯერ კიდევ სიზმრებს ხედავდა, როგორც ჩანს, სასიამოვნო სიზმრებს, რადგან

ნითელი ტურები უღიმოდა. მუქი შავი თმა ნამიან შუბლზე ჩამოცვენოდა.

მამინ გრძელ, თეთრ ღამის პერანგში გამონყობილი ალმა, როგორც იყო ისევე წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა. ხელი ზონარს შეაელო, შტორი ხმაურით ასწია. ამან გაჭრა. ტატიმ გამოიღვიძა, თვალები მოიფშვინტა და ალმასა და მის ღამის პერანგს გაოგნებით შეხედა. შემდეგ სანოლიდან უცებ ნამოხტა.

– დანექით, დანექით, – გასცა ბრძანება. – ყავას მე მოვადულებ.

ალმა თვინიერად დანვა. ყავის მოდულებას თავად აპირებდა, მაგრამ ახლა მორჩილად იწვა და შესცქეროდა მაღალფეხება და მოქნილი, ნითელ პიჯამოში გამონყობილი ტატი ოთახში როგორ დაქროდა. ასეთი პიჯამოები ალმას მხოლოდ მოდური მაღაზიების ვიტრინებში გამოკიდებული უნახავს და ყოველთვის ისე აღშფოთებითა და სირცხვილით არიდებდა თვალს, თითქოს რაღაც უხამსობა იყო. ეს გოგონა კი უხამსი სულაც არ ეჩვენებოდა.

ტატიმ გაზის ქურა აანთო და ისეთი ფესტი, თითქოს ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო, სიგარეტს მოუკიდა. ოთახი მსუბუქი, სასიამოვნო ბოლით გაივსო.

„უთხრა ნუ ეწვევით?“ – შეჩქვიფებით გაიფიქრა ალმამ, მაგრამ ხმა ვერ ამოიღო, უფრო მეტიც, თვალები ცნობისმოყვარეობითა და მგონი, ალტაცებითაც კი აენთო.

შემდეგ ტატიმ ლანგარი ტუმბოზე დაუდგა და თავადაც ტახტზე ჩამოუჯდა. ალმამ ესლა ამოღერდა:

– გმადლობთ.

აქამდე ყავას სანოლიში მხოლოდ განსაკუთრებით საზეიმო შემთხვევებში სვამდა და ამასაც თითებზე ჩამოთვლიდა, თანაც მას შემდეგ ისე დიდი დრო გავიდა...

ყავა ერთად დალიეს, ალმა რაღაც უცნაურად ალგზნებული ჩანდა. ნამიერად მოუჩვენა გვერდით, ტახტზე ტახტუკი მიზისო და დაბნეულად ჩაიხითხითა, მაგრამ მაშინვე გამოფხიზლდა, თვალები დახუჭა და გუნებაში დილის ლოცვა ნაიკითხა.

– რას შერებით, ფრეკენ, ყავა გაცივდება, – შემოესმა ხრინწიანი ხმა.

– ელოცულობ, – უპასუხა ალმამ, რომელიც თავისი ღმერთის ერთგული იყო და ჩვეულებისამებრ ცდილობდა მისთვის ახალი მორჩილები შეეძინა.

პასუხად ტატიმ ჩაიციხა:

– ოჰო?!

დარჩენილი ყავა უცებ გადაყლაპა და სწრაფად ჩაიცვა.

– გვიან დაგბრუნდება, – უთხრა. – სალამი!

და ეს მოდური სიტყვა, რომელიც ასე არ გავდა „მშვიდობა თქვენდას“ ანდა უბრალოდ „დილა მშვიდობისას“, რასაც ერთმანეთს ხსნის არმიის წევრები ეუბნებოდნენ, პატარა ოთახში ხმაურით შემოიჭრა.

ალმა მიეჩვია ამ სიტყვას და უნებლიედ კიდევ შეიყვარა. ამ სავსე, მკვეთრად ნითელი ტურებიდან იგი კოცნასავით, ჭიქების სადღესასწაულო ნკრიალივით ცოცხლად და უშუალოდ მოფრინავდა.

– სალამი!

თავდაპირველად გოგონას მეტი არც არაფერი უთქვამს. სამსახურიდან დაბრუნებული, სალამიო, ეტყოდა, სამსახურში ნასვლის წინაც იგივეს ამბობდა. ცხოვრება მისთვის თამაშით ხალისიანი იყო, თუმცა გაუხეშებული, ნემსით დაჩხვლეტილი თითები ქონდა. სალამოს, სახლში რომ ბრუნდებოდა, მის შავ თვალებში საგაზაფხულო ქალაქის ფერადოვნება, წყლის ლიცლიცი და ახალგაშლილი ყვავილები ირეკლებოდნენ. ქალი სურნელით

გაქვლენთილიყო და ეს მხოლოდ მძაფრი სუნამოს სუნი როდი გახლდათ. არა! ეს ახალგაზრდა სხეულის მჭახე და მწკლარტე სუნი, ჯანმრთელი, მოძრავი, მზურვალე ცხოველის სუნი იყო.

ეს ახალგაზრდა სხეული აღმას თავბრუს ახვევდა. სიბერის დაავადებებიც კი გადაავიწყა. მრავალი წელია ასე კარგად არ უძინია. მისი დაჩიავებული სული გამოცოცხლდა, ამოძრავდა, ახალი, შეუცნობელი ძალით აივსო. ტატი უყვარდა, რადგან ახალგაზრდა და ლამაზი იყო და თავის ახალგაზრდობასაც და სილამაზესაც უხვად გასცემდა.

მარტო დარჩენილი დროს იმით კლავდა, რომ გოგონასთვის რაღაც პატარა სიურპრიზს ამზადებდა. ეს ხან გემრიელი საჭმელი იყო, რომელიც ფასში არ შედიოდა, ხან ნიგეზიანი შოკოლადის კოლოფი, ტატის მაგიდაზე შემთხვევით დადებული ან უბრალოდ ლამაზი ვაშლი, ტატის საყვარელი კაბებივით ნათელი და ჩახჩახა.

თოჯინა მიივიწყა მას შემდეგ, რაც ტატიმ ხელში მზიარულად შემოატრიალა, ხუმრობით ნამოარტყა და კუთხეში მიაგდო.

ერთ დღით გოგონას ისე ღრმად ჩაეძინა, კინალამ დაავიანდა. აღმამ ყავა თავად მოადულა და სანოლთან მიუტანა. მაშინ ტატი ნამოინია, ძლიერი ხელები კისერზე მოხვია და ლოყაზე აკოცა.

- რა კეთილი ხარო, ფრეკენ, - უთხრა.

აღმა ლოყით ნათელი პიჯამოს ზედაპირს გაეხახუნა. აბრეშუმი აღერსიანად შეეხო და ქალმა თვალები დახუჭა. ამ ნუთებში შეიგრძნო, რომ ცოცხალი იყო, როგორც იქნა, ცოცხლობდა. სიცოცხლის ეს მშვენიერი ხე, ნათელი, სისხლსავსე ნაყოფიანი ხე გულს უნათებდა, მის სულში სასი-

ცოცხლო ბალზამს ანიჭებდა, როცა ნამოდგა, თავბრუ დაეხვია, ლოყები მთლად გაუფითრდა. უხიაკი, ცოტა მკვახე ტონით, რომელიც შერქვეფებისას უჩნდებოდა ხოლმე, გოგონას უთხრა:

- აღმა დამიძახე.

- გმადლობთ, აღმა.

გოგონა ფუნთუშას ლეჭავდა და მზეს თვალმოჭუტული ირიდებდა.

- შეიძლება სალამოს ერთი ნაცნობი მესტუმროს? - იკითხა მოულოდნელად. აღმას ჭიქა გაუვარდა და ლანგარზე დაეცა.

- საქმროა? - იკითხა.

- მმ?

ტატი აბრეშუმის წინდებს იცვამდა.

- პო რა, ადრე საქმროს ეძახდნენ. მოკლედ, ვხედებით ერთმანეთს.

- ეს მისი ფოტოსურათია? - აღმამ მორცხვად გაიღიმა და თითი სანერი მაგიდისკენ გაიშვირა.

- მიმხედარხართ! შეიძლება მოვიდეს?

აღმამ კიო, უპასუხა და გაიფიქრა, რა ტაქტიანია, ჩემი თანხმობა წინასწარ რომ ითხოვიაო.

„ხომ შემიძლია არმიაში წავიდე, სანამ ახალგაზრდები აქ იქნებიან“, - გაიფიქრა ქალმა. არადა, მათთან უფრო სიაშოვნებით დარჩებოდა.

ამ დღეს ტატი სახლში ჩვეულებრივზე ადრე დაბრუნდა და სტუმრის დასახვედრად სამზადისს საქმიანად შეუდგა. მალაზიაში დარეკა და სარდინები, ხიზილალა, ლივერის ძებვი, ყველი, კარაქი და სხვა ნაირ-ნაირი საჭმელი შეუკვთა.

მალე მიკრიკმა შეკვთა მოიჭანა და როცა მის ზურგს უკან კარი უკვე მიიხურა, ტატის უცებ გაახსენდა რაღაც მაკლიაო. დერეფანი ქარიშხალისვით გაირბინა, შემოსასვლელი კარი

გაალო და თავისი ხრინინანი ნმით შიკრიკს მიაძახა:

– ლუდიც მინდა, ექვსი ბოთლი ლუდი!

ეს ძახილი კიბეს ექოსავით მოეფინა, ფეხბურთის ბურთივით უკან მობრუნდა და თეთრფირფიტებიან კარებებს შეასკდა.

ექვსი ბოთლი ლუდი! აღმა შეხტა კიდეც. თავის დღეში წყლის მეტი არაფერი დაუღვია.

როცა ლუდი მოიტანეს, აღმამ დერეფნიდან ნაცნობი ხმები გაიგონა: კარის ჯახუნის, ჩურჩულის, ჭორაობა. ღმერთო ჩემო! ნუთუ მეზობლები ფიქრობენ, რომ მას სპორტიანი სასმელი შეუყვარდა?

რამდენიმე ნუთში გახამებული თეთრი საყელოთი და სამკლავურებით მორთულ შავ, საგარეო კაბაში გამოწყობილი მკაცრი და თავდაჭერილი აღმა ხელთათმანებს იცვამდა.

– მე არმიამი ნაველ, მარტო დარჩით? – თქვა მან.

სულის სიღრმეში იმედი ქონდა, იქნებ ტატიმ მადლობის ნიშნად მაკოცოსო. მაგრამ ტატი ლუდის ბოთლებს ხსნიდა და სხვა არაფრისთვის ეცალა.

– ბაბი – ამბობდა ბოთლი, როცა სახურავი ძვრებოდა.

ეს ბაბაბუხი აღმას არმიისკენ მიმავალ გზაზეც და კრებაზეც სულ ყურში ედგა. გალობასაც, გიტარის აკომპანიმენტსაც ყოვლად უცერემონიოდ ჩაექსოვა. შტაბს-კაპიტანის როხროხა ხმით წარმოთქმული „ამინიც“ კი ისე გაისმა, თითქოს სიტყვას კი არ ამბობდა, აფურთხებდა.

ჩუმი და უჩინარი აღმა მაგარ სკამზე იჯდა. თავი მაღლა აენია და ცდილობდა წმიდათანმიდა ექსტაზში ძველებურად ჩანთქმულიყო, ჩვენი ცოდვებისთვის ჯვარცმულ იესოსთან შეხვედრით ავისებულიყო. მაგრამ თვალ-

წინ მხოლოდ ტატის ნიღბი და კედელი და დაფინებით ფიქრობდა შეყვარებულები ახლა, ალბათ ჩემს ტახტზე სხედან და ერთმანეთს კოცნიანო.

შინისაკენ რაც შეიძლება ნელა ბრუნდებოდა, რომ შეყვარებულები-სათვის მეტი დრო მიეცა.

ჰო, კეთილია და უანგარო, მათთვის მხოლოდ ბედნიერება სურს და სამაგიეროდ არაფერს ითხოვს. ვითომ არაფერს? მოულოდნელობისაგან აღმა შეჩერდა. ამ აზრმა შეაკრთო.

არაფერს ითხოვს? ტყუილია! დღე და ღამე ტატის სინორჩითა და ცხოვრების ფინით ტკბებოდა. მარტოდ დარჩენილი კარადას ალებდა და მოუხეშავი ხელებით კაბებს ეფერებოდა. აბრეშუმი ხომ მის ხელებში ცოცხალივით შრიალებდა. ჭაბუკის ფოტოსურათსაც დაუსრულებლად ათვალერებდა და იცრემლებოდა, რადგან ეს ჭაბუკი ძალიან გავდა იმ ბიჭს, ოდესღაც რომ უყვარდა. ცივ შუშასაც ლოყით ისე ეხუტებოდა, თითქოს სითბოს ეძებდა. ხანდახან ტატის საცვლებით სავსე უჯრასაც კი ალებდა და მისი სუნამოს სურნელით ტკბებოდა...

ცუდად ხომ არ ვიქცევი, იქნებ ეს ცოდვია? აღმა ლილესტამი განითლდა. ოთახის ზღურბლს ისე გადააჯობა, ამაში ვერც გაერკვა.

ტახტზე ორი სხეული ერთმანეთს სასწრაფოდ მოშორდა. ორი გახურებული სხეული აღმას თვალებგაბრწყინებული შეაჩერდა. ოთახი სასმელის სუნით გაჟღენთილიყო. სუფრაზე ნახევრად დაცლილი ღვინის ბოთლი, ქუჭყიანი ჭიქები და კარაქისა და სარდინების ნარჩენებიანი თევშები იდგა. ვახშამი, როგორც ჩანს, დაესრულებინათ.

აღმამ ქუდი და პალტო დინჯად გაიხადა. ახალგაზრდები ტახტიდან წამოდგნენ.

– ბატონი გუსტაფსონი, – ნარად-გინა ტატიმ.

ჰო, ის ქაბუკი იყო, ფოტოსურათზე გამოსახული ქაბუკი. სწორედ ეს ქაბუკი ახლა ვალედილი მუნდირით, თმაგარეილი მის წინ იდგა და ხელს უწვდიდა.

აღმა უცებ აღელდა, სწორედ ისე, მთვარიან ღამეებში რომ შფოთავდა ხოლმე. შეჩქვიფების დასაფარავად ტახტზე ბალიშები გაასწორა, ყველას თავისი ადგილი მიუჩინა.

– დაბრძანდით, დაბრძანდით, – თქვა აღმამ.

– ოჰ, ნუ ნუხდებით. ხელს აღარ შეგიშლით... – ნაშონყო გუსტაფსონმა.

მაგრამ ტატიმ სკამზე ძალით დასვა და სიცილით ყურში რააც ჩასწურჩულა.

აღმა ტახტზე ჩამოჯდა.

– ბუტერბროტი გაგიკეთოთ? – შეეკითხა ტატიმ.

აღმამ გაჩანაგებულ სუფრას გახედა.

– არა, გმადლობთ.

– მგონი, აღარც დარჩა რამე, – გაიღიმა ტატიმ და ჭუჭყიანი ჭურჭლის ალაგება დაიწყო.

– რა მყუდრო ოთახი გაქვთ, ფრეკენ ლილესტამ, – ჩაილაპარაკა ახალგაზრდა კაცმა.

– ჰო, – უპასუხა აღმამ. – აქ თავს კარგად ვგრძნობთ.

რად განითლდა? სახე რად გაუხურდა? აქვე გვერდით სიყვარული, ეს უდიდესი სასწაული იხილა და თავი ისე იგრძნო თითქოს ცხელ ღუმელთან მიიყვანეს და ბოლოს და ბოლოს გაათბეს. გაყინული ხელებიც თითქოს უნებლიედ გაიშვირა და მაშინვე უკან გამოსწინა.

– ერთ ჭიქა ღვინოს ხომ არ დალევდით? – შეეკითხა გუსტაფსონი.

– არა, რას ბრძანებთ! – შიშით ნა-

მოიძახა აღმამ.

არადა, იცოდა, ვინაა მიმართული, თან რომ მიეტანათ, ამ ცოდვილ სითხეს ნამდვილად შესვამდა.

ტატიმ კედლიდან აღმას გიტარა ჩამოსხნა და მუხლებზე პატარა ბავშვივით ფრთხილად დაუდო.

– გვიმღერეთ რა, – თხოვა მან.

ტახტი ხმამაღლა აჭრიალდა, როცა ერთმანეთს ჩახვეული ახალგაზრდები ზედ ჩამოსხდნენ.

და აღმაც ამღერდა რამდენი ხანია არ უმღერია! ახლა კი მათთვის მღეროდა, მთრთოლვარე სიხარულით იმედოვნებდა უფლის სიტყვა სულში თესლივით გაუღვივებდათ და მათი სიყვარულით გამოკვებილი აღმოცნებდებო, თუმცა ესმოდა, რომ ეს მინიერი სიყვარული იყო. მაღალი, ოდნავ აკანკალებული ცოტა მკვეთრი ხმა ჰქონდა. არც კი შეუმჩნევია, რომ ბიჭი და გოგო ისე შესცქეროდნენ ერთმანეთს, თითქოს კარგი გასართობი ეშოვნათ. არც ის შეუმჩნევია, რომ ტატიმ ისე დაიმანჭა, თითქოს სიცილი ძლივს შეიკავა.

აღმა ლილესტამი კი მღეროდა და მღეროდა. სამოთხის მდებლობებს, უფლის ცხერებს, იესოს სისხლიან ცრემლებსა და სიონის ეკლიან გზას უგალობდა. და იმდენხანს იმღერა, სანამ მეზობელი ოთახიდან კედელზე არ დაუკაკუნეს და სიჩუმე არ მოითხოვეს.

შემფოთებული აღმა ნამოხტა. მეზობლები ხომ არასოდეს შეუნუხებიან. ეს როგორ მოუვიდა!

– ნასვლის დროა, – თქვა მან.

ქაბუკი მაშინვე ნამოდგა და აღმას დაემშვიდობა. შემდეგ კართან შეჩერდა და ტატიმს რამდენჯერმე აკოცა. აღმამ თვალი ვერ მოსწყვიტა, თუმცა ძალიან ცდილობდა და ეჭვადაც ვერ მიხვდა ამ შხერაში რამდენი სიმბურვალე და მგზნებარება ჩააქსოვა.

დღეები ერთმანეთს მისდევდა. ტელეფონი საღამოობით ახლა ხშირად რეკავდა. ყოველთვის ტატიის თხოვლობდნენ და ყოველთვის მამაკაცი რეკავდა.

- საქმროა? - ეკითხებოდა ალმა.

- რაც გინდათ ის დაარქვით, - სიცილით პასუხობდა ტატი.

ალმას კი სული უშფოთავდა. იცოდა, რომ ის ქაბუკი აღარ იყო, სხვა რეკავდა და თანაც მგონი ბევრნიც იყვნენ.

ერთ საღამოს არმიიდან დაბრუნებული ალმა სადარბაზოში ჩახუტებულ ნყილს გადააწყდა. ტატი მალალ, შავგერემან, აბზეკილულუაშებიან კაცს კოცნიდა.

სანამ კიბეზე ამოდიოდნენ, ალმა დუმდა. კარის მიხურვის შემდეგ კი თავი ველარ შეიკავა.

- როგორ არ გრცხვენია, - აღმოხდა ქალს.

ტატიმ ჩამოშლილი თმის ქვეშიდან გამომცდელად, ცოტა დამცინავად გამოხედა და უმანკო ხმით იკითხა:

- ნუთუ გუსტაფსონმა ასე მოგვიბლათ?

- მე?

ალმა განითლდა, ენა დაება და მაშინვე მიხვდა, რომ სიმართლე უთხრეს, რომ გუსტაფსონი უყვარდა, ტატივით უყვარდა და მაინც ცოტა სხვანაირად, რადგან მამაკაცი იყო. ქალი მათი სიყვარულით ცხოვრობდა, მათი კოცნა აბედნიერებდა, თუმცა მას სულაც არ ეხებოდა. დიახ, მიითვისა, ისევ

სხვისი მიითვისა, სული სხვისი ცეცხლით გაითბო, სხვისი ანალგაზრდობის, გაზაფხულის, ნათელი იმედების ნამცეცხები მიითვისა.

საბრალო ალმა ლილესტამი! მაგიდაზე დაყრდნობილმა შემთხვევით ქრისტეს თაბაშირის ფიგურას გამოკრა ხელი. ფიგურა იატაკზე დავარდა და დაიშხვრა. ალმამ ქრისტეს ნამსხვრევები აკრიფა. არა, აღარ შენებდება. იქნებ მძიმე ცოდვისაგან დაიხსნა? იმ საღამოს ალმას ტატიისთვის აღარაფერი უთქვამს.

მეორე დღეს კი ტატი გადავიდა. ალმას პატარა ოთახში სული ეხუთებოდა, გარდა ამისა მეთვალყურეც არაფერში ქირდებოდა.

როცა აბრეშუმის კომბინაციების, მაქმანებისა და ქყეტილა კაბების ქარბორბალამ ოთახში ჩაიქროლა და გოგონაც გაიყოლა, ტახტზე ჩამომჯდარი ალმა მარტოდმარტო დარჩა.

გაფითრებული იჯდა და არა იმიტომ, რომ გაზაფხულის ბინდი ლოყებს ნაცრისფრად უღებავდა. ის სისხლი, რომელიც სულ ახლახან ასე მზურვალედ და ხალისიანად ჩქეფდა სხეულში, ახლა ჩაცხრა და გაიყინაო, ერვენებოდა.

შემდეგ კუთხეში მიგდებული თოჯინა აიღო, მის უხემ პარიკს ლოყით მიეხუტა და ასე იჯდა გაუნძრევლად დიდხანს, დიდხანს, ეს ბებერი, ქრისტეს უნაყოფო საცოლუე, რომელიც არავის ქირდებოდა და რომელსაც კალთაში მკვდარი თოჯინა ესვენა.

თარგმნა მანანა მიქელაძემ



თაგაზ ჭილაძე

## “მარტოობა სულისა”

ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენება განჯიდან თბილისში, ხატის გადმოსვენებასა ჰგავდა. ამ დიდებული მოვლენის სრულიად გულგრილი და ობიექტური მონმე, საიდუმლო პოლიციის აგენტი, მოხსენებით ბარათში წერდა: „დედებს მოეყვანათ თავისი პატარა შვილები, აჩოქებდნენ კუბოს წინ და თაყვანს სცემდნენ კუბოს, როგორც წმინდანის ნეშტს“-ო. დედებს შორის ცოტამ თუ იცოდა პოეტის ჭეშმარიტი სიდიადე, მაგრამ ყველა ერთნაირად გრძნობდა ამ ამბის განსაკუთრებულობას. ეს ფაქტი დღესაც – ჩვენი თავისთავადობის ნამღეკავი, ეროვნული საყრდენების დამანგრეველი ნიჰილიზმის აღზევების ჟამსაც – უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან ალბათ არასოდეს ყოფილა ასე საჭირო, ასე აუცილებელი კიდევ ერთხელ გახსენება იმ ჭეშმარიტებისა, რომ ჩვენი გადამრჩენი და მომავალში ადამიანური ცხოვრების გარანტია სწორედ სულიერი საგანძურია, უძველესი დროიდან თვალისწინივით რომ უფრთხილდება ერი, როგორც ამქვეყნიურ ყველაზე დიდ მონაპოვარს და რომელიც მუზეუმის ხავერდოვან ბინდუნდში გამოქვეყნებული, დავანებული განძი კი არა, ცოცხალი, ქმედითი ძალაა...

ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილების მიხედვით, ჩვენს წინაშეა ლალი, მზიარული, ენაკვიმატი, ლხინისა და დროსტარების, თუნდაც, ჭორაობის მოყვარული, თავისებურად ცელქი ჭაბუკი, უდარდელი ახალგაზრდა – „ტატიკო“! მაგრამ ეს წერილები, ამასთანავე, მის უცნაურ გაორებასაც ააშკარავენ და, ამდენად, მისი ლექსების კულისებადაც შეიძლება წარმოვიდგინოთ. მართლაც, იყო რალაც იდუმალი პოეტის ხანმოკლე ცხოვრებაში. მისი ცხოვრებისეული დრამა მეტაფიზიკური ბუნებისაა „ამ სავსე და ვრცელს სოფელში“. კოჭლობა, ხელმოკლეობა, მახლობელთა სიყრუე წარმავალი პრობლემებია, მათი დაძლევა შეიძლება და მათგან განკურნვაც – აკი განიკურნა კიდევ: „ფერხი... კარგად მაქვს“-ო, წერდა ბიძას. სამაგიეროდ, ვერაფერი მოუხერხა უკაცრიელ ადგილებში ხეტიალისა და განმარტოების მძაფრ სურვილს, მოულოდნელ, გაუგებარ კაეშანს. თითქოს მის არსებაში სხვა ვიღაც ჩასახლებულიყო და, „ბოროტი სულივით“, უმონყალოდ ძიძგნიდა.

მისი ცხოვრება ერთგვარი თამაშია საკუთარი რაობის შესანიღბად, გამორჩეულობის, ანუ ნამდვილი ბუნების დამალვის ცდაა და უნებურად მოგვაგონებს პამლეტის ძალისხმევას



ასეთივე მიზნით. კი შექმნა „საგარეო“ ხატი საკუთარი პიროვნებისა, მაგრამ, რასაკვირველია, ქვეშარიტი რაობის დამალვას ბოლომდე ვერ ახერხებს. „ეს ნამალი სიზმარში მაქვს ნასწავლი“-ო, „ტატკო“ ამას ვერ იტყვის, ამგვარი სიზმარი უფრო სამოცი ნლის მოხუცს შეეფერება, როგორადაც თავს წარმოაჩენს ერთ-ერთ წერილში.

შინაგანი ფრთებით დაბადებულს, საკუთარი გამორჩეულობა სიხარულს კი არ ჰგვრის, უცნაურად აფორიაქებს, ასევედიანებს და უფრო მეტიც – ეს არის მისი ალბათ ყველაზე დიდი ტკივილი, ტკივილი კი არა – სულის-შემხუთავი ტრაგედია. იმასაც ხვდება, სინამდვილეში იდეალი რომ არ არსებობს და ეს შირაუული, ირეალური კატეგორია ისეთივე დაუნდობლად უსახურია, როგორც ყოველდღიური ყოფა. უსაზღვროა განძილების ტკივილი, როცა უდაბნოს შინა ნაპოვნი ტაძრის ნაცვლად, რჩება „ცეცხლი დამქრალი“. ო, რა საშინელი, რა მძაფრი, რა მტკივნეულია შეგრძნება სხეულში ვერდატეული სულისა, ამიტომაც ეძიებს სადგურს, „ზენაართ სამყოფს“, უკვე დაკარგული იმ საშინელი ურჩხულის ბრჭყალებით, გონიერ კაცთა ყველაზე დიდი ავადმყოფობა – „მარტოობა სულისა“ რომ ჰქვია და ამოდ ხდის ყველაფერს, რაც „მკაცრმა ბედმა“ განუმზადა და დაუნესა კიდეც, თუნდაც იმის გამო, ამოუხსნელ გამოცანას რომ წარმოადგენს არა მარტო სხვებისთვის, არამედ საკუთარი თავისთვისაც. ამიტომაც, ამოების უფსკრულიდან შემტრუნებული შეპლადადებს ყრუ მახლობლებს, გამიყვანეთ აქედან, მიშველეთო და ამ დროს მის კვნესას, ძაბილს, კვილს კიდევე ერთი ენა ამძაფრებს – დუმილის ენა, რომელიც სიმარტოვემ ასწავლა („მა-

მა, დუმილიც მიმითვადე ქვეშაშვილოცვად“). ოპტიმიზმისა და წყნარების მარტოვეც მეტად პირობითი და ბუნდოვანი ცნებაა. მარტო ყოფნა კი არა, სხვებთან ურთიერთობა, ხალხში ტრი-ალი წარმოშობს ხოლმე სიმარტოვის განცდას, მითუმეტეს, როცა სულით ობოლი ხარ, გრძნობ უკეთესი ხვედრის ილუზიურობას.

ცოცხალ არსებასავით მთრთოლვარე სტრიქონები მის ყველაზე მტანჯველ საიდუმლოს გვიშხელენ თითქოს: პოეტი მომწყვდეულია ირეალური სამყაროს კედლებში, სინამდვილე, ამქვეყნიური ყოფა წარმოდგენილია სამოთხიდან გამოდევნილ ადამიანთა მოდგმის სამუდამო კატორღად და ისიც აღიარებს მას, როგორც იძულებით თავშესაფარს, რომელიც უბიძგებს დათმოს, დაივიწყოს „ყმანვილის ბრმა სარწმუნოება“ და მისთვისაც სავალდებულოდ აქციოს თავსმოხვეული ცხოვრების წესი. ლექსში „ფიქრნი მტკერის პირზედ“ „სოფლის“, ანუ სამყაროს დაქცევა, აპოკალიფსური კატასტროფა წარმოდგენილია, როგორც საბედისწერო გარდაუვალობა და სწორედ ბედისწერასთან შეგუებული კაცის „ტანჯვის ამოძახილივით“ გაისმება ასეთი ჩივილი, მე ვიტყვოდი, ოხვრა – „შვება უბედურისა“: „მაგრამ რადგანაც კაცნი გვქეიან – შვილნი სოფლისა, უნდა კიდევ მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა“. ეს არის ყველაზე პესიმისტური სტრიქონები მის შემოქმედებაში. ოღონდ, მისი მორჩილება ან მოჩვენებითია, ანდა მისთვისაც გაუთვითცნობიერებელი, წამებით სავსე მოთმინება, რათა ბოლოს და ბოლოს, აფეთქდეს, ამოსკდეს, ვულკანივით ამოიფრქვას მისი არსების ნიაღში თანდათანობით გაზრდილი ამბოხის სურვილი, მკვლევარების საყვა-

რელი გამოთქმა რომ მოვიშველიო – პრომეთეისში, რისი მაგალითიც „მერანია“, თავისუფლებისკენ დაუოკებელი სწრაფვის დიადი პიში.

„ღმერთმა გამოგვიგზავნა“-ო, თქვა მის შესახებ ილიამ და განსაზღვრა კიდევ პოეტის მესიანისტური მნიშვნელობა და რაობა. „ჩვენდა ნუგეშად მოვლენილს“ ცაში ჰქონდა გადგმული სულის ფესვი და, რაც მთავარია, ალბათ ამის გამო, მოუხედავად ხანმოკლე სიცოცხლისა, მოასწრო იმის თქმა, რის სათქმელადაც მოეწვლინა ქვეყანას. თითქოს ღმერთის დანაბარევი გადმოგვცა. ჩვენი დიდი მოძღვრისა არ იყოს, პოეზიას („დიდ ტვირთს“) ყველაფერი ანაცვალა. უნდოდა თუ არა ეს თავად პოეტს, იყო თუ არა ეს გააზრებული მსხვერპლი, ამაზე პასუხის გაცემა ძნელია. გენიოსი, უპირველეს ყოვლისა, თავის თავს არ ეკუთვნის. გენია ბედისწერაა! ნიჭს თავისი განსაკუთრებული კალენდარი გააჩნია. „შემოლამება მთანმინდაზედ“ თხუთმეტი წლისამ დანერა, რაც, თავისთავად, მრავლისმეტყველი ფაქტია...

უმეტეს შემთხვევაში, პოეტი თავის შემოქმედებას არ ჰგავს. გავიხსენოთ, როგორ შეაძრუნა იულიუს სლოვაცკი ვიქტორ ჰოვგოსთან, მის სათაყვანებელ პოეტთან, შეხვედრამ, როგორ გაანბილა მისმა „ანტიმწერლურმა“, „ანტირომანტიკულმა“ გარეგნობამ: „ის სრულებითაც არ ტოვებს გენიოსის შთაბეჭდილებას, ჩვეულებრივი ლიბიანი კაცია, პყავს ცოლი და სამი შვილი. ეს კი ვერაფრით ესადაგება რომანტიკულ პოეზიას“-ო, ნერდა პოლონელი რომანტიკოსი ერთ-ერთ ბართში. მსგავს შემთხვევაში, ასევე დაემართა ჭაბუკ თეოფილ გოტიესაც. აშკარაა, რომ „ტატოც“ არა მარტო არ

ტოვებდა მახლობლებზე გენიოსის შთაბეჭდილებას, არამედ მანკობლებს ეტყვიც კი ეპარებოდათ, რაიმე მნიშვნელოვანს თუ მიაღწევდა ცხოვრებაში. იმდროინდელ ჩვენს მაღალ საზოგადოებაში მრავლად იყვნენ „ტატიკოები“ – ფუქსავატი, უიდეო ახალგაზრდები.

გრიგოლ ორბელიანმა ალბათ პირველმა იგრძნო დისწულის გენიოს სიმხურვალე. „დასანანი იქნება, დიდად დასანანი, რომ მისი ნიჭი და უნარი განუვითარებული დარჩეს“, – ეს მისი სიტყვებია, მაგრამ ისიც ცხადია, ბოლომდე ვერ ჩასწვდა დისწულის განსაკუთრებულობას. მართალია, ბარათაშვილი ბიძას – სახელოვან პოეტს – ყველაზე ძვირფას, ყველაზე სანუკვარ ფიქრებსა და ოცნებებს ანდობდა („მე შინაგანი ხმა მინვევს საუკეთესო ხვედრისკენ, გული მეუბნება, რომ შენ არა ხარ ახლანდელის მდგომარეობისთვის დაბადებულიო“), მაგრამ გრიგოლ ორბელიანი ჭაბუკის „ალსარებასა“ თუ „განდობებს“ ჩვეულებრივ კარიერისტულ მისწრაფებად, ამბიციებად მიიჩნევდა, მით უფრო, რომ თავად „ტატიკოც“, თუკი მის წერილებს დავუჯერებთ, თავის ხვედრს, იმდროინდელი „ტატიკოების“ მსგავსად, ჩინოვნიკურ წარმატებას უკავშირებდა. მაგრამ მაინც გასაკვირია, მაინც ძნელი სარწმუნოა, გრიგოლ ორბელიანისნაირ პიროვნებასაც ისეთად სცნობოდა ნიკოლოზ ბარათაშვილი, როგორადაც ის წარმოაჩენდა თავს, ვერ მიხედარიყო, რამოდენა ტკივილს მიაყენებდა „მერანის“ ავტორს, როცა „მარადის სასიამოვნო“, ან, შეიძლება ითქვას, პაერივით აუცილებელი შეფასების ნაცვლად, ერთ ჩვეულებრივ „ფარატინს“ გაუგზავნიდა.

რასაკვირველია, ისეთი სიმძაფ-



რით არა, როგორც ეს პუშკინის ტრაგედიაში ან ფორმანის საკმაოდ სუსტ და პრეტენზიულ ფილმშია, მაგრამ გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის ურთიერთობა (გარეგნულად მაინც) შეიძლება მოცარტისა და სალიერის ურთიერთობის ქართულ ვარიანტადაც კი წარმოედგინა ვინმეს, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს ასე არ იყო. ორბელიანს ძალიან უყვარდა დისნული. როცა მისი მოულოდნელი სიკვდილის ამბავი შეიტყო, ლოგინად ჩაეარდა ლომგული, უმამაცესი მხედარი, რომლის თვალწინაც, ბრძოლის ველზე, ასობით ადამიანი იხოცებოდა, მათ შორის მახლობლებიც. „ექვსი დღეა, ვწევარ“-ო, წერდა ერთ-ერთ ბარათში. მართალია, ბოლომდე არ ჰქონდა გათვითცნობიერებული, მაგრამ ამკარად სულიერ ნათესაობასაც გრძნობდა ჭაბუკ პოეტთან. საქართველოს ცას მოსწყდა უზარმაზარი ვარსკვლავი, რომელმაც თავისი ბასრი ქიმით ჩაუკანრა სული. სიმართლე ის არის, გრიგოლს დისნულის ყველა თხოვნა რომც შეესრულებინა და მთავარმართებლის კანცელარიაში მოხელედ კი არა, თავად მთავარმართებლის სკამზეც დაესვა, მაინც ვერაფერს უშველიდა – ბარათაშვილი თავიდანვე განწირული პყავდა ბედისწერას, ანუ ბედისწერისგან უკვდავებისთვის იყო განწესებული. მის ხვედრს ყველაზე ბანალური, მაგრამ ყველაზე დიადი, პათეტიკური და, ამავე დროს, ყველაზე ფათერაკიანი სახელი ერქვა – გენია! შეიძლება ითქვას, ის მოჰკლა საკუთარმა ნიჭმა. მისი სულის თვალი სულ სხვა მხარეს, სხვა განზომილების სამყაროს ზეერავდა. გასაოცრად მხედველი და მეტყველი სული შთაბერა განგებამ. გაჩენის დღიდან თითქოს ერთგვარად ნეიტრალურ ზონაში, ნე-

იტრალურ ტერიტორიაში დაიბადდა ყვით – „არავის მინაშენი“ ცხრილში და სადაც ჩვენივე არსების ორი ტყუპი ნახევარსფერო – ამქვეყნიურიც და იმქვეყნიურიც – ხედებოდა ერთმანეთს და ერთმანეთის მკერდზე თავმიდებული ითქვამდა სულს. არაფერი ისე არ ცხადყოფს მეორე, იმქვეყნიური სამყაროს არსებობას, როგორც პოეტების განუწყვეტელი სწრაფვა მისკენ. „გულის-თქმა ჩემი შენს იქითა ეძიებს სადგურს“-ო, თქვა ჩვენმა პოეტმა და ესეც მისი ნათქვამია: „ხან ჰყვება სოფელს, ხან ცაად მიფრინავს!“ უცნაურია, რა იდუმალმა ძალამ ჩააგონა ამ რამდენიმე სიტყვით მთელი თავისი ცხოვრების თავისებურება, მთელი თავისი სულიერი ავტობიოგრაფია გადმოეცა. ფიქრით და ოცნებით ცაში აფრენილს, „დასანაცრებელი“ გული ისეე მინაზე, ამაოების ხორკლიან ზედაპირზე ანარცხებს.

ზოგჯერ თვითონვე უკვირდა თავის ლექსები, უნდოდა ყველასთვის ეჩვენებინა, როგორც სასწაული, უცნაური მოვლენა. თითქოს სხვა პიროვნებას ამოეთქვას, ამოეძახოს მისი სულის ნიალიდან. საკუთარი ხელით გადანერილ ლექსებს, როგორც ჩანს გულუხვად არიგებდა, რაც იმასაც ნიშნავს, ამგვარი „საჩუქარი“ პოეტის განსაკუთრებული დამოკიდებულების, მითუმეტეს, სიყვარულის საბუთად არ გამოადგება. ადვილი შესაძლებელია და ალბათ უფრო ლოგიკურიც, სწორედ მას, ვინც ნამდვილად უყვარდა და, თუნდაც ამიტომ, მის სახელს ვერც კი ამხელდა, ასეთი „საჩუქარი“ არ ჰქონოდა. ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ეკატერინე ჭავჭავაძის ურთიერთობა ალბათ უფრო მეგობრობა იყო, ვიდრე სიყვარული, რაც ადრე სხვებმაც აღნიშნეს. ერთი კია, ბევ-

რისგან და ბევრისგან განსხვავებით, ეკატერინეს ესმოდა ასეთი რელიგიის მნიშვნელობა. სხვას რომ ყველაფერს თავი დაეანებოთ, პოეტის ქალიშვილი გახლდათ!..

„ჩემთა გრძნობათა შენდამი ვერ დასდევან კაცთა სახელი“! – ეს ამჟამად უსაზღვროდ შეყვარებული კაცის ნათქვამია, მაგრამ ლექსად გარდაქმნილი ქალის ზატი იმდენად განზოგადოებულია, რომ შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რეალურ ცხოვრებაში არ არსებობდა ასეთი გრანდიოზული გრძნობების აღმძვრელი არსება. ასე რომ, ალბათ ამოად დავეშვებით, თუკი ბარათაშვილის ლექსებში რომელიმე კონკრეტულ მანდილოსანს დაეუნყებთ ძებნას.“ ამ ქალს ბარათაშვილის ლექსში არა აქვს სახელი, მაგრამ შეიძლება განა ან ბეატრიჩეში, ან ლაურაში დავინახოთ რომელიმე ქალწული, ან ახალგაზრდა ქალი, რომელიც მზურვალე გრძნობით უყვარდა მგოსანს სინამდვილეში? – წერდა გალაკტიონ ტაბიძე. გენიოსებს ესმით ერთმანეთისა. სიყვარული ლოგიკას არ ექვემდებარება, პოეტის ლექსში ეს ალოგიკურობა უკვე მუსიკადაა გარდაქმნილი, თითქოს სიზმრისა და ხილვების ბურუსშია გახვეული, თუმცა სიმძაფრესთან ერთად, მიზანდასახულობასაც ინარჩუნებს – გამდნარი ლითონის ნაკადივით მოედინება, რათა, ბოლოს და ბოლოს, იმ მახვილად გამოიჭედოს, რომელზედაც საკუთარი ნებით დაუხვევია პოეტს გული. „არ დაიჯერებ, არ დაიჯერებ, არ დაიჯერებ, თუ ვით სატრფო ხარ!“ – ამოიძახებს სასწაულის მხილველივით და მთელი არსებით ნებდება, ემორჩილება ზებუნებრივ ძალას, ნეტარების ზეავს რომ შგავს და მთელ მის არსებას ასევე ნეტარების უფსკრულში ნთქავს. „ნუთუ

ამ სულის ნადილსაც შრქეა სიყვარული სხვათაებრ? – ეს არის ერთ-ერთი ალბებისა ცეცხლი ციურში“ „ნარჩუნებული, მაცხოვნებელი“ ცეცხლია, გულიდან აღივით რომ ამოაფრქვევს ასეთ სტრიქონებს:

„შევიშრობ ცრემლსა, ქირთ

მანულებლს,

გულსა დავინვაე დასანაცრებელს,  
და მისსა ფერფლსა, ვითა

საკმეველს,

შეესწირაე სატრფოს, ჩემსა

სალოცველს“

უმჯობესი იყო, მეთქვა, გულიდან მუსიკას ამოაფრქვევს-მეთქი და, მართლაც, პოეზია ალბათ მუსიკას უფრო განეკუთვნება, ვიდრე ლიტერატურას. ყოველშემთხვევაში, ბარათაშვილის ლექსი უნებურადაც კი გიჩენს ასეთ აზრს. ჩვენს მკვლევარებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ბარათაშვილის პოეზიის ერთგვარი თვისობრივი სიახლოვე გერმანელი რომანტიკოსი კომპოზიტორების შემოქმედებასთან, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, სასწაულებრივი შარმონიულობით გვხიბლავს, რაც თითქოს მშვიდი, ეგზალტირებული შეერთებაა უზენაეს ფენომენტთან. აღძრულია რა რელიგიური მისტერიების ნიაღში (პოეგო ამბობდა: „რომანტიზმი ტანჯვის ყვავილია, აღმოცენებული ქრისტეს სისხლიდან“-ო), თავად უკვე მუსიკის რელიგიად გარდაქმნის ცდაა თითქოს. პოეტის სულის იდუმალი ნიაღიდან საკუთარი ძლევა მოსილების ტალღით ამოსროლილი და უკიდურესად გამძაფრებული ემოციები, ცხოველყოფილი ნაპერწკლებივით მკითხველის არსებაში პოეზიის მარადუქრობ კოცონს ანთებენ. მისი ყველა ბრძნული, ტრადიციული გაგებით, „ფილოსოფიური“ აზრი



ემოციის აკვანშია გაზრდილი. რომც არ იცოდე, საითა გაქვს გული, მისი ლექსების ნაკითხვის შემდეგ უსათუოდ აღმოაჩენ მას.

ბარათაშვილის პოეზიამ კიდევ ერთხელ ცხადყო ძველი ქართული მწერლობის მთელი სიდიადე, ძველი ქართული ლექსთწყობის უსაზღვრო მიმიკრიის ძლევამოსილება. პოეტმა ძველის წიაღში აღმოაჩინა სრულიად ახალი სამყარო, რომელიც უკვე სამარადისოდ ახალი იქნება ყველა თაობისათვის. ყველა თაობას ერთნაირად ააღელვებს და მოწუხბავს მისი ოცნებათა ჯაჭვური რეაქციების აღმძვრელი მეტაფორები, თუ ღვთაებრივი აკვარელით შესრულებული ვიზუალური სასწაულები, ისეთივე ძალით რომ მოქმედებს გულსა და გონებაზე, როგორც ეს მხოლოდ ბუნებას შეუძლია. მისი ლექსის მთავარი დასაყრდენი, მასაზრდოვებელი და გამაძლიერებელი ქართული ენის – ჩვენი ხალხის საერთო საიდუმლოს – თავისთავადი პოეტურობაა. ამ დიდი, სულით ხორცამდე ევროპელი პოეტის მიერ შექმნილი სინამდვილე მთლიანად ქართული სამყაროდანაა ამოზრდილი. რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს, თითქოს არ განეცადოს არავითარი გავლენა სხვა ხალხთა უდიდესი პოეტებისა, მაგრამ ძირითადად ეს უფრო დიდებულ სულთა ერთნაირობის დამამტკიცებელია, საერთო ტალღაზე რომ მომართავს ხოლმე ჭეშმარიტ შემოქმედთა შთაგონებას, კაცობრიობის შუქის მატარებელ კოპორტად შეუკრავს მათ. ბარათაშვილის პოეზიაში შექსპირის გენიის ათინათი სწორედ ასეთი სულთა ნათესაობის აღმნიშვნელია. ლექსში „ფიქრნი მტკვრის პირზედ“ ქართული პოეტი შექსპირის უკვდავ ტრადიციას თავისებურად ესიტყვება და

შეიძლება საინტერესო, ცუდმუნდეს ისიც, რომ ამ ლექსში *წახხეწნეწნე* აქმათილი მეფე“ აშკარად ფორტინბრასია და არა რომელიმე რეალურად არსებული მონარქი. ამავე ლექსში დიდმა ივანე მაჩაბელმა შექსპირის ტრაგედიების ქართულად თარგმნის ინტონაციური გასაღები აღმოაჩინა.

მაგრამ ნიკოლოზ ბარათაშვილისთვის სულიერად და გენეტიკურადაც ყველაზე მახლობელი პოეტი მაინც რუსთაველია. ცნობილი ნათქვამი: „გოეთეს სისხლში ანტიკურობის სისხლის წვეთი ურევია“-ო, ჩვენს პოეტთან დაკავშირებით, შეგვიძლია ასე გადავასხვაფეროთ: ბარათაშვილის ძარღვებში აშკარად ელავდა რუსთაველის სისხლის წვეთები! მხოლოდ რუსთაველის გენით ნათამამებულს შეეძლო ეთქვა: „გულის-თქმა ჩემი შენს იქითა ეძიებს სადგურს“-ო. აი, ასეთი სწრაფვითაა აღგზნებული „მერანიც“ – მისი შემოქმედების გვირგვინი, ქართული პოეზიის მშვენიება, ბედისწერის ჯებირის გარღვევის ცდა და უსასრულობისკენ, როგორც განთავისუფლებისკენ ლტოლვა. აქ საკუთარი არსების საკნიდან გაღწევის სურვილი კიდევ უფრო გამძაფრებულია იმის გამო, რომ საკუთარი არსება და ბედისწერა ერთ განუყოფელ სუბსტანციად მოვლენია პოეტს, მისი სულით ობლობის საფუძველად. ეს სულის სამშობლოს ძიებაა, სადაც, მართლაც, შეიძლება დაქანცულმა სულმა დაისვენოს „მოიდრიკოს თავი“, შეუერთდეს, განზავდეს დიდ სინათლეში. პოეტმა აღმოაჩინა ცხოვრების, უფრო ზუსტად – „ბედის სამძღვარი“, ანუ იგრძნო უსასრულობა, როგორც კონკრეტული სივრცე, როგორც თუნდაც კოსმიური უდაბნო. სიტყვა იმდენად ზოგადდება, რომ მუსიკალურ იეროგლიფად იქცე-

ვა. თითქოს სიტყვები კი არა, ერთმანეთში გადახლართული ტრაგიკული განცდების გორგალია. სივრცის უსასრულობა „ადამიანთა სურვილთა უსაზღვროების“ სიმბოლოდაა წარმოდგენილი, „გაშლილი ადგილია“, სადაც „სუნთქავს თავისუფლად“, რადგან, თუნდაც წაშით, ბედისწერაზე გამარჯვების სიხარულს ეზიარება. გრძნობს, მისი სული სამყაროს ასლია, მის არსებაში მთელი კოსმოსი ეტევა, ამიტომ თავისი არსებობით ამდიდრებს და აფართოებს კოსმოსის საზღვრებს (რასაკვირველია, თუკი ამ უკანასკნელს საზღვარი საერთოდ გააჩნია!). ღმერთმა ამ ქვეყნად რაც კი შექმნა, ყველაფერი ერთმანეთთანაა და-

კავშირებული, ყველანაირი წყვეტაფერს ერთმანეთისა ესმის „საიდუმლოების“ ნყალობით.

როგორც დიდი რომაელი პოეტი – დანტეს, ისე შემოუძღვა ილია ჭავჭავაძე ბარათაშვილს საქართველოს ჯოჯოხეთურ სინამდვილეში, „ჩვენდა ნუგეშად და თავმოსანონებლად“. მოდის, მოლეღავს, მოედინება გენიის ნათელი, როგორც ცხოველმყოფელი, ნყალუხვი მდინარე – სულთა გოლფშტრეში და ჩვენც, ვისაც მისი წიგნი, მართლაც რომ, ლოცვანივით გვიპყრია ხელთ, გვაშდიდრებს და გვაბაღლებს კიდეც ის უკვდავი გრძნობები, ჩვენს ენაზე რომ გამოთქვა პოეტმა...

## SOS!

ქართულ ლიტერატურულ წრეებში კარგა ხანია, რაც დამკვიდრდა აზრი, რომელსაც მსოფლიო ლიტერატურის ექსპერტებიც იზიარებენ: ოთარ ქილაძის დიდი შემოქმედების წყალობით საქართველო უბრუნდება მსოფლიო ლიტერატურის რუკას.

ჟურნალმა „მნათობმა“ სულ ახლაბან მწერლის ახალი რომანი გაგვაცნო, „გოდორი“, რომელიც განგაშის ზარის შემოკერაა დღევანდელი ქართველობის თავზე. თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ზუგდიდის ფილიალის ლიტერატურულ სალონში გაიმართა საუბარი ახალ ნაწარმოებზე (სამი წლის წინ ამავე სალონში არანაკლები ინტერესით გააანალიზეს რომანი „აველუმი“). გთავაზობთ რამდენიმე გამოშვებულის სიტყვას.\*

**ზ. სარია**  
სალონის ხელმძღვანელი

### შემაჯახებელი

ოცდამეერთე საუკუნე გლობალიზაციის პრობლემებით შემოდის ქართულ სინამდვილეში. არის წრეგადასული ლტოლვა უცხოურისაკენ საკუთარის დევალვაციის ხარჯზე. ეროვნულს ყველაფერს შეექმნა აშკარა პრობლემა. ასეთ პირობებში, ამგვარი ეროვნული საფრთხის დროს, როდესაც შენი ერი საბედისწერო უღელტეხილზე გადადის (მიუხედავად ავტორის მიმართ ჩემი აშკარა სიმპათიებისა, უნდა გამოვხატო გაოცება), რა სიღრმე უნდა გაეხსნას შემოქმედს, რომ თქვას:

„ერთხელ მაინც მაცხოვრა  
ისეთ პლანეტაზე,  
რომელიც სამშობლოებისგან არ  
შედგება  
და თან სიცოცხლეა,  
სადაც სახლად შენი სახლი  
გყოფნის,  
შენი ხე, შენი ძალი  
და შენი ნიგნები,  
ხოლო ირგვლივ სულ ერთი  
ქვეყანაა,  
ერთადერთი ქვეყნიერება –  
დაუკუნავ-დაუქუცმაცებელი  
ენებად და სამშობლოდ“.

და ამ დროს იწერება ნიგნი, რომელიც ხმამაღლა და ცალსახად გვეუბნება „გახვერტილი კაპიტიანის ფასიც არა აქვს არც ერთ ჩვენგანს უსამშობ-

\* გადმოებქდილია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალის ლიტერატურულ-სამეცნიერო ჟურნალიდან „მთაწვლი“.





ლოდ" (თურმე, არ ითვლება ძველმოდურად პატრიოტიზმი, კვლავაც ძალშია „სამშობლო, დედის ძუძუი არ გაიცვლების სხვაზედა...“). საკუთარ სამშობლოში თვალსა და ხელს შუა გვეკარგება სამშობლო, შემოდის და მკვიდრდება უცხოური სიმღერები, ენები, ჩვევა-ქცევები... ამგვარ სინამდვილეში ალალი გულახდილობით არის ტვიფარდადებული მწერლის გმინვა „მასუნთქეთ ჩემი სამშობლოს სურნელი!“

ქართული სული და ქართველობა, საქართველო და მისი ბედ-იღბალი – აი თემა, რომელსაც ეძღვნება ეს ერთი ამოსუნთქვით დაწერილი რომანი.

მწერლის მახვილი თვალი ხედავს, რომ ჩვენს ქვეყანას მუშლის წარღვნა დაატყდა თავს. ქუჩებში, სახლებში, ოთახებში მუშლის კორიანტელი ტრიალებს. „მუშლი მუხასაო გარს ევლებოდაო“ დაშიფრულადაც (უკულმა ასოებით) რამდენიმეგზის მეორდება რომანში, რაც იმას ნიშნავს, რომ უნდა შეყონდეს ამ სიტყვებზე მკითხველი და ჩაფიქრდეს; გამოფხიზლდეს ქართველი და საკუთარ ოჯახში შემოჭრილი დუშმანი იცნოს. ეს არის ლაიტმოტივი ქმნილებისა და ეს გახლავთ უპირველესი პრობლემა ჩვენი ქართულ-რუსული ურთიერთობები გასულ საუკუნეში – ეს მხატვრული ხერხია, პირობითობაა, რომ დღევანდელი დაინახო. დღევანდელი – აი, რა ამორგებს ავტორს, მუდამ დინჯს, ანალიზისა და განსჯისკენ მიდრეკილს. ემოციების მოთოკვის დიდოსტატს... ეს რომანი კი ისეთი ვრცელი და ემოციის აქოჩრილ ტალღაზე შეგდებული წინადადებით იწყება, სულს რომ შეგიგუბებს და მერე მთელი რომანი ასე იკითხება: სუნთქვა შეგიგუბებებითა და დაურევებულ-

ვერდაურვებული ვეჩქვით ვეჩქვითთან შეზავებით. **სიზღიოთეკა**

ქვეყანა საფრთხეშია. მსოფლიო არაერთგზის გადანანილდა და იმპერიის უკანა ნაწილიდან ცხოვრებაში დაბრუნებულ საქართველოს წარმატების შანსი რომ მისცეს, ავტორისა არ იყოს, ვინ ჩაიჩოჩებს, ვინ დაუთმობს ადვილს? ვინ დააცლის განმმენდას, განბანვას, ამაღლებას? „მურვან ყრუების, თემურ ლენგების, ჯალალედინების გამმკლავებული ხალხი ბოლოს ისე დაჩაჩანაკდა, შინაც აღარ აჩერებენ. ხან ერთი სტუმარი ამოჰკრავს ჭიტლაცს, ხან მეორე...“ მწერალი გულმოკლული შესცქერის ამ სინამდვილეს და იმედის სხივი უჭიატებს არსებაში „არა და, ჯერ კიდევ მართლა შეიძლება გადარჩენა, ვინმე თუ გამოგვიჩნდა შემძახებელი...“

ჩემო ბედდანავსულო ქვეყანავ, ვინ გინდა უკეთესი შემძახებელი?! შენ საკუთარი ხორცი და სისხლი, შენი მაღალი სულიერების ერთ-ერთი საუკეთესო განსხეულება გესიტყვება, მწერალი ოთარ ჭილაძე, რომელმაც ხელოვნის მზერით აზომ-დაზომა ქართული სულის თავგადასავალი მითოლოგიიდან დღემდე. პრეისტორიული სინამდვილიდან თანამედროვეობამდე. მარადიული სული ქართველი ხალხისა სასოებითა და რუდუნებით გამოატარა რომანიდან რომანში; მწერალი, რომელმაც იცის, რომ „ვიდრე ქართველი ომობს, საშიშიცაა და ანგარიშგასანეცი!“ არ უნდა ჩაგეძინოს, არ უნდა ჩასთვლიმონ შენმა არწივებმა, არ უნდა გადაულოცონ ხმალი და თოფი სხვას. შენ ხომ კარგა ხანი იცხოვრე ისე, სხვის ომს შენად თვლიდი, ახლა კი „რაც ნამდვილად შენია, სხვისი გკონია“. ამიტომაც დაიძახება თუ არა აქ ვითარება, შენი შვილები თავიანთ



ლექსი მინას ტოვებენ და მტრის ჭერ-  
ქვეშ აფარებენ თავს. სწორედ მათი მი-  
სამართლით ამბობს ავტორი: „უკან, შე-  
გინებული, გულმოკლული, მიტოვე-  
ბული სამშობლოსაკენ!“ ვაჟებს ხმალი  
ქარქაშში დაჟანგვბიათ, მათი მუზარა-  
დი კი ქალებს საწოლისქვეშ შეუდგამთ  
ღამის ქოთანად!.. ქართველ დედებს  
დავინყებიათ, რომ „ყველა ქართველი  
ბიჭი თავიდანვე მეომრადაა ჩაფიქრე-  
ბული ღვთისგან“, ხოლო დღევანდელ  
ქართველობას მოუნვეს შემდეგი ჭეშ-  
მარიტების გაცნობიერება: „გადაარ-  
ჩენ სამშობლოს, გადარჩები!“

ძნელია ძველი მეომრული სულის-  
კვეთების აღორძინება, ძნელი, მაგრამ  
არა შეუძლებელი. ძნელია ნაქები ქარ-  
თული მანდილის პატივის აღდგენაც.  
რა გადაგვარჩენს? – კითხულობს ავ-  
ტორი და სინამდვილის გესლით თვი-  
თონ შხამავს საკუთარსავე არსებას:  
„ქართული პატიოსნებით სავსე მზერა  
ებრაელი ქალიშვილისა იმედს გვაძ-  
ლევს, აუცილებლად რომ გადავრჩე-  
ბით“.

სწორედ რომ ეს საშინელი სიმარ-  
თლეა საჭირო გამოფიხიზლებისათვის.  
რაც უფრო ადრე გაუსწორებ თავს  
რეალობას, მით უკეთესი, ქართველო,  
შენთვის. ოთარ ჭილაძე იმავე ზარს  
არისხებს, რომელსაც ჩვენი კლასიკო-  
სები აგუგუნებდნენ ყველაზე მძიმე  
მომენტებში. აბა, გავიხსენოთ აკაკის  
„ნათელა“:

„ზოგჯერ კერა ჩამქრალია,  
ცივი ნაცრის გარე პირი...“

და უსიბო, უსიცოცხლო  
ზედ აყრია მას ნახშირი!  
მაგრამ, თურმე, შუაგულში  
სძინავს ობოლ ნაკვერცხალსა  
და ინახავს მერმისისთვის  
ჩვეულებრივ ნათელ ძალსა!

ქვეყნის კერაც ასეთია:  
ვინდ დახუჭოს მკედრულად თვალი,  
იმის გულში მაინც ღვრის  
დაფარული ნაპერწკალი!..“

როდესაც რომის პაპმა პიომ (პიუს  
მეორე. 1458-1462) თავისი ელჩი გა-  
მოგზავნა საქართველოში, გამოგზავ-  
ნილს ძველი საქართველოს ნახაბი არ  
დახვდა. არც დღევანდელი საქართვე-  
ლოა იმ დიადი ქვეყნის შესაფერი, სხვა  
სახელმწიფოებს რომ უნდოდა დახმა-  
რების ხელს, მაგრამ ავტორი სწორედ  
იმედგაცრუებული ელჩის, ლუდოვიკო  
ბოლონიელის პაგებებით გვასწავლის:

„სამარადისოდ და უკვალოდ ის  
ქრება მხოლოდ,  
რის დაკარგვასაც ვეგუებით...“

მაგრამ  
თუ ვიგრძნობთ,  
რომ ჩვენ სიცოცხლეს უიმისოდ  
აზრი არა აქვს,  
ისიც ბრუნდება, უფრო სწორად,  
კვლავ იბადება.“

და ძველი საქართველო თავისი ახა-  
ლი დიდებულებით მაშინ ამოიზრდება  
ამ არაფრისმსგავსი, კნინი რეალობი-  
დან, როდესაც როგორც უპაეროდ, გა-  
უსაძლისი გაგვიხდება ყოფა იმ ძველი  
შარავანდელის გარეშე:

„და ერთ დღეს, როგორც წყლიდან  
მინა,  
ან რძიდან ყველი,  
პირველყოფილი ბრწყინვალეებით  
ამოიზრდება...“

ახლა საკითხავი სწორედ ისაა. ვეჩ-  
ვევით, ვეგუებით ასეთ სინამდვილეს  
და ვკარგავთ სახეს, თუ გვსურს კვლავ  
ვიქართველოთ?!

## ლელა კვიციანი

\*\*\*

ჟურნალმა „მნათობმა“ დაასრულა ოთარ ჭილაძის ახალი რომანის, „გოდორის“, პუბლიკაცია. დღის სინათლე იხილა ქართველი ერის მარადიული ჭირისა და სირცხვილის კიდევ ერთმა მატიანემ. კიდევ ერთხელ გავაცნობიერებინეს ის, რომ ყელამდე ჭაობში ვართ ჩაფლული.

მწერლის პერსონაჟ ლუდოვიკო ბოლონიელსაც სწორედ ამის გამო არ დაუბედა საქართველო თავის ადგილზე. „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გაქნებული“ სახელმწიფო უზნეობის, ლალატისა და შულის ჭაობს დაეფარა და როგორც რომანის ეპიგრაფი გვამცნობს, „აღდგენენ შვილნი მამადედათა ზედა და მოპკვლიდნენ მათ“ (მათე. 10-20). ამ ჭაობში, რომელიც ნანარმოებში მხატვრულად გოდორის სახით არის ნარმოდგენილი, ნარმოიშვა და გამოიზარდა კაშელების საზარელი დინასტია. ყველაფერი კი იქიდან დაიწყო, როცა საკუთარ ამბიციებს გადაყოლილ ქართველებს საღათას ძილით ჩაეძინათ ოცნებებსა და ნარმოსახეებში („სულ ძილი, ძილი“), მტერს კი ასეთ დროს არასოდეს არ სძინავს და ბავშვების ენის ასადგამ გასათელღელში უცხო სიტყვები შემოიპარა. ამასაც ვინ აკმარებდა ჩვენისთანა „ბედნიერ ერს“ და ქართულ ოჯახებში „ურადნიკთა“ ყაბალახები გაჩნდა. რუსულ-ქართულად ომობანას მოთამაშე ბავშვები კი გოდორში ჩაგვიმწყვიდეს.

ავტორი არანაირად არ გვინდობს, თავმოყვარეობასაც კი გვილახავს და შეურაცხვეყოფს. მაგრამ სხვანაირად არ ითქმის ეს სათქმელი, რადგან მას შელამაზება და შერბილება არ სჭირ-

დება. პირიქით, ცოტავე მარტოა, რომ გამოეფხიზლდეთ, რომ გოდორის ჩამწიხვლელი სიმართლის თქმაა საჭირო. მწერლის უპირველესი მოვალეობაც სწორედ ესაა და ოთარ ჭილაძემაც „გოდორის“ შექმნით ეს მძიმე მოვალეობა მოიხადა თავისი ერის წინაშე.

„გოდორში“ მწერლის თხრობის სტილიც სათქმელის შესაბამისია, მძორე და მძიმე. ავტორს არ აინტერესებს უშუალოდ მოქმედების ასახვა, მთავარია შედეგი და მისი ანალიზი. მთავარია გავცეთ პასუხი კითხვაზე: რატომ? რატომ მოვედით აქამდე? „რაც მერე ხდება, ყველაფერი უმნიშვნელოა უკვე მომხდართან შედარებით“, – წერს ავტორი. ალბათ, ამის გამოცაა, რომ რომანში არ ვხვდებით დიალოგებს. ამბავიც არ არის გადმოცემული ანწყობი. პერსონაჟები იხსენებენ, ან ეზმანებათ უკვე მომხდარი. მომხდარის ავტორისეული ღრმა ანალიზი საშუალებას გვაძლევს, ჩავნდეთ ამ ადამიანთა ცნობიერების ბნელ ლაბირინთებს. კითხვითი წინადადებებიც აქა-იქ გაიფლავებს. მაგრამ იმდენად მოულოდნელად, რომ ეს გარკვეულ ზეგავლენას ახდენს მკითხველზე. ავტორი, თითქოს, არ გვასვენებს, არ გვაძლევს უფლებას, პასიური დამკვირვებლები ვიყოთ კაშელების აღზევების; ის გვეკითხება, ჩაგვეძიება...

მთელ ნანარმოებს ერთგვარი გასაშიფრი კოდივით გასდევს ქართული ხალხური ლექსის შებრუნებული ვარიანტი: „იღმუმ ასახუმ სრავ ადოეხე“ („მომლი მუხასაო გარს ეხვეოდაო“). შემდეგ სტრიქონი არ გრძელდება და ოპტიმისტური განწყობა არ გვრჩება. პირიქით. თითქმის ეროვნულ პიშნადქცეული ამ ლექსის ეს

სტრიქონი მაშინ გაიღლებს ნანარმო-  
ებში, როცა კაშელების ბუნაგში კიდევ  
ერთი საზარელი ცოდვა ისხამს  
ხორცს. ეს მხატვრული პასაჟი მიგვა-  
ნიშნებს იმაზე, რომ კაშელი კონკრე-  
ტული სახე ამ კონკრეტული ეპოქის  
ბინადარი არ არის, არამედ განზოგა-  
დებული სახეა და მუშლიც არა მარტო  
მათ თავშესაფარს ეხვევა გარს, არა-  
მედ მთელ საქართველოს.

რომანს არა ჰყავს დადებითი, მებ-  
რძოლი გმირი. აქ კაშელებს ვხვდებით  
ან მათ მონებს, მონა კი არ შეიძლება  
იყოს გმირი. ერთ-ერთი მათგანი,  
თვით ელიზბარიც კი ასკვნის: „ვინც  
სამშობლოს მოღალატეს ხელს ართ-  
მევს, თავადაც მოღალატეა“. ზოგიერ-  
თი მათგანი მიისწრაფვის თავისუფ-  
ლებისაკენ, მაგრამ იმედის თვალით  
სხვას უყურებს. ეს სხვა, ეს „ელია“ არ  
ჩანს. ელიზბარს ანტონი ეიმედება, ან-  
ტონს – ელიზბარი. ამასობაში ქაობით  
დაიტბორა ირგვლივ ყოველივე. ანტონ-  
იც ისეთ ომში მიდის (და კვდება), რო-  
მელიც წინასწარ დამარცხებისთვის  
იყო განწირული. რჩება ელიზბარი,  
ჩვენი ეპოქის დონ-კიხოტი. მან დასა-  
კარგი უკვე დაკარგა, გახანირი გასწი-  
რა. საკმაოდაც გაისვარა ამ სიბინძუ-  
რეში, რადგანაც როცა გაბრძოლება  
იყო საჭირო, მაშინ ჩაუძინა თავისი სა-  
ბეჭდი მანქანის რაკუნის ხმაზე. რჩე-  
ბა ლიზიკო, განადგურებული და ტკუ-  
იდანშეცდენილი ქალი, რომელიც თავის  
ჰალუცინაციებსა და სიზმრებში  
მარჩიელობს: გააჩინა თუ არა კაშელე-  
ბის საზარელი დინასტიის შემკვიდ-  
რე?..

ამრიგად, რომანის ფინალიც კით-  
ხვის ნიშანია, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია  
გავცეთ პასუხი ამ კითხვას: კაშელელები  
არსადაც არ ნასულანი ისინი ცოცხ-  
ლობენ და ჩვენ არ უნდა გამოვკვე-

ბოთ, არ უნდა გამოვსაჩვენოთ მსგავსი  
ჩვენი მორჩილებით.

„სამარადისოდ და უკვალოდ ის  
ქრება მხოლოდ,  
რის დაკარგვასაც ვეგუებით...  
მაგრამ

თუ ვიგრძნობთ,  
რომ ჩვენ სიცოცხლეს უიმისოდ  
აზრი არა აქვს,  
ისიც ბრუნდება, უფრო სწორად,  
კვლავ იბადება.“

ლელა ბელქანია

\*\*\*

„გოდორი“ – ასეთია სათაური რო-  
მანისა, რომელიც სულ ახლახან შეე-  
მატა დიდი ქართველი მწერლის, ოთარ  
ჭილაძის შემოქმედებით შემკვიდრეო-  
ბას. მკითხველი პირველივე ფურცლე-  
ბიდან ხვდება, თუ რა საოცარია ძალა  
ამ წიგნისა. მწერლის სათქმელი ბასრი  
სამართებელივით აღწევს მიზანს, გვა-  
ცილებს იმ ბურუსს, რომელშიც  
ვცხოვრობთ დღეს ქართველები; გვა-  
ხედებს საკუთარ სულსა და გულში,  
რათა როგორმე შევიგრძნოთ ჩვენი  
მდგომარეობის ტრაგიზმი, რაოდენ  
შემზარავიც უნდა იყოს იგი.

თავზარდამცემი სიცხადით დაგვი-  
სურათხატა მწერალმა თავის ახალ  
რომანში ჩვენი გადაგვარებული ყოფა,  
ზნედაცემული ცხოვრება.

დამაფიქრებელია ნანარმოების  
ეპიგრაფიც: „და აღდგენენ შვილინი მა-  
მა-დედათა ზედა და მოშკელიდნენ  
მათ“. მათეს სახარების ეს სიტყვები  
ერთგვარი დედააზრია ნანარმოებისა  
და საოცარი სიცხადით გამოხატავს  
საქართველოსა და მისი შვილების ყო-  
ფას.

ავტორი რომანს იწყებს ისტორი-

ულ წარსულში მოგზაურობით, კერძოდ იმ პერიოდით, როცა ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გადაშლილი საქართველო უკვე „თავის ადგილზე აღარ იყო, ანუ ის საქართველო – რაინდული კეთილშობილებითა და მეომრული შემართებით სახელგანთქმული ქვეყანა – ფაქტობრივად, აღარ არსებობდა“. ჩვენმა „ბედდამწვარი მფეებმაც სხვა ვერაფერი შეძლეს და ქართველი ალექსანდრე პირველის დაშლილსა და დაქუცმაცებულ ქვეყანას რუსმა ალექსანდრე პირველმა მოუყარა თავი თავისი იმპერიის ფაშეში.“

ამის შემდეგ ხდება უწყვეტი მცდელობა ჩვენი ერის გადაგვარებისა, გათქვეფისა, რასაც აღწევს კიდეც მოყვრის ნიღბით მოსული ცბიერი მტერი. აქ კი ეყრება საფუძველი კაშელების გვარს, რომელიც ცოდვილი მოველინა ქვეყანას და ცოდვის ნუშპეში იხრჩობა დღენიდაგ. თავიანთი ბინძური სულიერი ცხოვრებით ისინი სხვებსაც რყვნიან, მწერლის სიტყვებით რომ ვთქვათ, „აკაშელებენ“ და ასე ხდება ქართველი ერის დეგრადაცია. საშინელი და შეურაცხყოფელი მეტამორფოზა.

ისტორიულ ქრონოლოგიას მივყევებით და ჩვენს თვალწინ გაივლებს დემოკრატიული საქართველო, რომელიც მხოლოდ ნუთიერი გაბრწყინება იყო და სხვა არაფერი, სამიოდე წლით არსებობადა ეწერა.

ისევ დაინისლა გზები, ისევ კაშელების ბატონობა მოდის, მძიმე, ბნელი და უზნეო, რომელიც „შიგნიდან ანგრევს ადამიანს, მით უფრო, თუკი თავიდანვე დედის რძის მაგივრად მისცემ ბავშვს. მისი მშვეობით, ბავშვს შეუძლია მშობლიური შთისისხლობის, რაც არასოდეს უნახავს თვალთ და ძალით შემოჩეჩებულივით შეიჯავროს მშობლიური. მრავალგზის

ნაცადი იარაღია, ~~ნაღმრთელობა~~ არ გაუფა.“

ბიბლიკოსეკა

კაშელი არ არის კონკრეტული სახე. იგი მწერალმა შექმნა როგორც საერთოქართული მოვლენა, საერთოქართული ხასიათი და მასში ყველამ ჩვენი თავი უნდა ამოვიცნოთ, ჩვენი ბუნება უნდა დავინახოთ.

კაშელები გოდრიდან ამოსული ხალხია. სწორედ აქ იხსნება სათაურის არსიც. გოდორი ჩვენი სამშობლოა, ნანამები, ნატანჯი, ჯვარცმული საქართველო, ხოლო კაშელები – ჩვენ ყველანი, „უბედური საქართველოს ბედდამწვარი შვილები“. მაგრამ გადარჩენის პატარა იმედი მაინც ჭიატობს სადღაც: „სრულიად საქართველომ სასწრაფოდ უნდა მოიშალოს მუცელი, გამოიფხიკოს თავისი ნიალიდან, იგივე წარსულიდან, ანუ გონებიდან, სულიდან კაშელის თესლი, ერთხელ და სამუდამოდ, უკუნითი უკუნისამდე, თუკი მართლა აპირებს გადარჩენას, კაშელი გვარი არაა, სენია.“

კაშელებს თავიანთი ღვარძლი ბოროტება და ცოდვები არ ასვენებთ. მუშლად დასევნიან. აქ უთუოდ გაგვახსენდება: „მუშლი მუხასაო გარს ეხვეოდან...“ მოძალებული მუშლი სულს უხუთავთ კაშელებს. მწერალი ერთგან ამბობს: „ოთახში მუშლი ირევა, ისევე, როგორც მთელ საქართველოში. მთელ საქართველოს დასტრიალებს მუშლი, როგორც გადამნიფებულ ხილსა და სიდაშლე-გამჯდარ ბოსტნულს.“

მაგრამ ნანარმოების ფინალი მაინც არაა უიმედო. ურჯულოებთან ბრძოლაში დახმარების სათხოვნელად მოსული ლუდოვიკო ბოლონიელი, მართალია, ვერ პოულობს ადრინდელ საქართველოს, მაგრამ სამშობლოში არ ბრუნდება, რადგან ელის იმ დროს, როცა საქართველო

„ერთ დღეს, როგორც წყლიდან მინა,  
ან რძიდან ყველი,  
პირველყოფილი ბრწყინვალეობით  
ამოიზრდება.“

მაგრამ ამისთვის აუცილებელია ქართველთა სულიერი განმწმენდა, გარდაქმნა. ახლად დაბადება. რისკენაც მოგვიწოდებს მწერალი ოთარ ჭილაძე და რაც მიზნად უნდა გავიხადოთ, რათა საკუთარი ადგილი დავიმკვიდროთ ამ მზისქვეშეთში.

### ნონა ჩალიკავა

\*\*\*

უდიდესი ბედნიერებაა, ცხოვრობდე იმ ეპოქაში, რომლის ლეიძლი პირმშოა ოთარ ჭილაძე: მწერალი, რომელსაც არსებული სინამდვილე თავის შემოქმედებად უქცევია და შემოქმედება კი არა მარტო საკუთარი ხალხისათვის, არამედ მთელი კაცობრიობისათვის უძღვნია.

ო. ჭილაძის ნაწარმოებებს ინტერესი არასოდეს აკლდა. ამ ახლო წარსულში მწერალმა თავისი ერთგული მკითხველი „აველუმით“ დაასაჩუქრა. ამჟამად კი ღირებული ლიტერატურის მოტრფიალე საზოგადოებას რომანი „გოდორი“ შესთავაზა. ოცდამეერთე საუკუნის პირმშო.

მათეს სახარების სიტყვები: „და აღდგნენ შვილნი მამა-დედათა ზედა და მოჰკვლიდნენ მათ“ მკითხველს წინასწარ შეამზადებს ფინალისთვის. რომანი ჭილაძისეული გულახდილობითა და პირდაპირობითაა დაწერილი. ყოველი ახალი ნაწარმოების ნაკითხვამდე ასე გგონია, იცნობ ამ შემოქმედს და აღარ გაგიჭირდება მისი ქმნილების აღქმა-გაგება, მაგრამ მთელი რიგი ლაბირინთების გადალახვა გინევს, რომ ჩასწვდე მის იდეურ არსსა

თუ მხატვრულ თავისებურებას. და მაინც, უკმაყოფილებისა და უკმაყოფილების ჭია გლრღნის, რაც თავიდან გადაგამლევინებს და ხელახლა ნაგაკითხებს ქმნილებას.

ო. ჭილაძე ქართულ მწერლობაში არავის ჰგავს. ამის ამკარა დადასტურებაა ახალი რომანიც (როგორც ნებისმიერი წინა), რომელიც სააზროვნოდ მზადმყოფ, დაძაბულ გონებას მოითხოვს და სხარტ აზროვნებას ჯ.ჯოისივით ო. ჭილაძე გონებრივად გვლღის, თან გაურკვეველობის ბურუსში გვახვევს. კითხულობ ამ ქმნილებას და ასე გგონია, შენც მისი პერსონაჟი ხარ და, უფრო მეტიც, ავტორთან ერთად ცნობიერების ლაბირინთში დახეტიალობ.

და მაინც, რთული სტილური თავისებურებების მიუხედავად, რომანი ქართულ საფიქრალსა თუ სატყვიარს დასტრიალებს. ქართველ მწყემსს აფრთხობს და ამინებს მის სამშობლოში შემოჭრილი ახალი ცხოვრება, რომლის სიმძიმეც მან საკუთარ კისერზე იწვინა. მისი უბედურების სათავედ რუსი „ურადნიკის“ შემოყვანა შემთხვევითი არაა.

რომანის პერსონაჟები, თითქოსდა, ერთი და იგივე ადამიანის განმეორებას წარმოადგენენ. რაფდენ და ანტონ კაშელეები – ეს ორი სახელი ენაცვლება ერთმანეთს ამ საგვარეულოში. თითოეული მათგანის გაცნობისას ძალიან ნაცნობი სახე იკვეთება. „რკინის კომისრად“ ნოდებულები თუ ჭავჭავაძის მკვლელობაში ეჭვმიტანილი პერსონაჟი მწარე მოგონებებს აშლის ქართველ მკითხველში და მერე გონების თვალის ჩრდილოელ მეზობელსაც გადასწვდება. „როგორი საქართველო რუსეთს უნდა, ისეთი სურს მსოფლიოსაც. უპირველეს ყოვლისა, ეროვნუ-



ლი კომპლექსებისაგან თავისუფალი", - ავტორთან ერთად ასკვნის მკითხველი.

ამ რომანს კი არ კითხულობ, არამედ გგონია, თითქოსდა, უშუალოდ ჩაგესმის ავტორის ხმა, რომელიც სულთ ხორცამდე შეძრული გიყვება კაშელების ისტორიას, რომელთაც თავშესაფრად გოდორი აქვთ და ბინძური ხელები ადამიანთა სისხლში მოუსვრიათ. იმ საზარელი რეალობის დანახვა, რაც კაშელების ოჯახში ხდება, გოდორის მსგავსი თავშესაფრის გარეშე მართლაც ძნელია. უცნაურია მამისმკვლეელი შვილი წინასწარ იხდის დანაშაულისათვის სასჯელს. საკითხავია, ერთი კაშელის მკვლელობა შეძლებს კი იმ სენის ამოშანთვას, რომელსაც კაშელობა ჰქვია? კაშელთა ქვეყანაში მოსულ ლუდოვიკო ბოლონიელს, რასაკვირველია, არ დახედებოდა საქართველო თავის ადგილზე.

საბოლოოდ ო. ჭილაძე იმედიანად გვტოვებს:

**„ერთ დღეს, როგორც წყლიდან მინა, ან რძიდან ყველი, პირველყოფილი ბრწყინვალეობით ამოიზრდება.“**

დიახ, რა თქმა უნდა, აუცილებლად დადგება ასეთი ყოფაც, დღევანდელი გადასახედიდან კი იმის თქმა შეიძლება, რომ გოდორში ჯდომით ნამდვილად ვერ შევძლებთ იმნაირი საქართველოს აღდგენას, რომლის მოლოდინშიც ბიზანტიის დესპანი იყო.

### ზაალ ჯალაღონია

\*\*\*

ოთარ ჭილაძე სახელმწიფო მწერალია, რომელმაც თავისი მაღალი და ბრწყინვალე შემოქმედებით ერთ-

ერთი თვალსაჩინო ნაწარმოის სახელი დაიმკვიდრა მსოფლიო კულტურის სივრცეში. როდესაც ასეთ რჩეულ მწერალთან გინევეს შეხვედრა, ყოველთვის გეუფლება ინტერესი, ერთგვარი ეჭვიც, ავტორებს თუ არა მწერალი თავის გზას ისევე ზეიდადა და შემართებით?.. მხატვრული დონის შენარჩუნება არის უმთავრესი თვისება, რაც მეტნილადა დიდ მწერლებს ახასიათებთ.

ოთარ ჭილაძე ამართლებს მოლოდინს. ჩვენს წინაშე ისევე ის დაფიქრებული, კაცობრიული სევდით დამძიმებული მოაზროვნე წარმოგვიდგება და გვაზიარებს დიდ შემოქმედებას. უკეთ რომ ვთქვათ, ის ახალ სივრცეში ძერწავს სახეს ოთარ ჭილაძისას, რომელიც ერთგვარად განსხვავებული მარადიულად საკუთარ თავს უბრუნდება. აქ უნდა ვიგულოვთ სწორედ მწერლის დიდი სულიერი ენერჯია.

ავტორის ახალი რომანი „გოდორი“ ფურნალ „მნათობის“ ორ ბოლო ნომერში დაიბეჭდა (№5-6 და №7-8) და ეს იყო ქართული აზრის ნამდვილი ზეიმი, ჩვენი კულტურის კიდევ ერთი გამარჯვება.

რომანში თხრობა საოცრად დინამიურია, თითქოს ყველგან და ყველანაირად რაღაცა მოძრაობს, რაღაცა ფეთქავს და იხარჯება. ეს ხან ავტორის გულია, ხანაც პერსონაჟთა ფიქრები თუ განცდები. ამიტომაც ნაწარმოები ინტერესით იკითხება. მონოლოგი სჭარბობს დიალოგს, წარსული - აწმყოს და ასე შემდეგ. ეს წიგნი „ცნობიერების ნაკადის“ თავისებური გამოვლინებაა. ეს კი ცივილიზაციისაგან დასინებოვნებულ ადამიანთა ზეედრია, რაც სრულიად ბუნებრივია „აველუმის“ ავტორისთვის და საერთოდ, ატომური საუკუნის პირმშობათვის.



კითხულობ ნიგნს და იქმნება შთაბეჭდილება, რომ ჩვენს ეპოქაში ადამიანის ცხოვრება შინაარსგაცლილია. დომინირებს მხოლოდ ვნება, ნუთიერი სიამოვნება და ველური ალტკინება, რაც ინსტინქტის დონემდე დადის.

ადამიანი თანდათან შორდება თავის პირველსაწყისს, ლეთიურ მორალს და მატერიას მორჩილობს. ის ხდება არათუ თავისუფალი, არამედ თვითნება და ქარაფშუტა, რომელიც პირველსაწყისს შორდება და მანქანურ აზროვნებას უახლოვდება, მატერიაში იძირება. ეს დღევანდელი საზოგადოებისთვის დამახასიათებელი პროცესია და სწორედ ეს პრობლემა დასმული ოთარ ჭილაძის ახალ რომანში. ეს არის არა ტრაგედია ადამიანებისა, არამედ თვითონ ადამიანია ტრაგედია სამყაროსათვის, დროისთვის.

რომანში იგრძნობა, რომ ყველაფერს დაუკარგავს თავისი სახე. დედა არ ჰგავს ნამდვილ დედას, მარადქალურ სანწყისს. აღარც მამა ჰგავს ნამდვილ მშობელს, არც შვილია უცოდველი კრავი. აღრუულია სისხლი. არ არსებობს წმინდა ნათესაური კავშირი, რის გამოც დარღვეულია პარმონიულობა, დეგრადირებულია აზროვნება, ცნობიერება. ადამიანის მოქმედებას ცხოველური ინსტინქტი წარმართავს.

ეს თემა არ ახალია ჩვენთვის, მაგრამ ჭეშმარიტად დიდი მწერალია ოთარ ჭილაძე, რომ მან ამ ნაწარმოებში, შეიძლება ითქვას, მარადიულ პრობლემას ახალი სუნთქვა შთაბერა და მთელი ეს კოლიზია ახლებურად განგვაცდევინა.

დავუბრუნდეთ ნაწარმოების სათაურს („გოდორი“). რაც ბევრ რამეს აგვიხსნის. ქართველი კაცისთვის გოდორი ერთ-ერთი უმთავრესი ატრიბუ-

ტია ყოფისა. იგი მოსაწონია ქართველი, რომლითაც ხდება დასაინტერესებელი შენახვა მონაგარისა. გამოდის, რომ ქართველი კაცი შრომისმოყვარეა. ქართველი გლეხი უნიკალური მოვლენაა თავისი მუყაითობითა და ჯანსაღი ცხოვრებით. ამდენად, გოდორი არ არის მნიშვნელობას მოკლებული საგანი. მას თავისი დანიშნულება გააჩნია, მაგრამ რომანში ამ საგანს სულ სხვა „ფუნქცია“ ეკისრება.

აღვირახსნილი დედა პატარა რაფდენ კაშელისა, რომელსაც დედა არ შეიძლება ენოდოს, ორგინას მართავს უცხო კაცთან და საკუთარ მეუღლეს უსირცხვილოდ ღალატობს, თანაც ამ საქმის დროს პატარა ბავშვს გოდორში ათავსებს. უნებლიედ ჭუჭრუტანიდან აყურებინებს შემზარავ სურათს. ბავშვს ფსიქიკა ერღვევა. ერთხელაც ქმარი მიუსწრებს თავის ცოლს ასეთ ვითარებაში და უნამუსო ქალი მისი დანის წერა ხდება. ამას პატარა რაფდენ კაშელი გოდორიდან ხედავდა. საგულისხმოა ის გარემოება, რომ დიდობაშიც რაფდენს გოდორი იტაცებდა და უნდოდა, ისე იქ ყოფილიყო. აქედან იწყება სწორედ კაშელის ტრაგედია. საკუთარ ნიჭარაში მყოფი რაფდენი ჩამოყალიბდა, როგორც პათოლოგი. ყველა კაშელი რაფდენისგან მემკვიდრეობით იღებს ამ გარსს, ნიჭარას, გოდორს. სხვებს გოდორმოკიდებულებს არ უვლიათ, მაგრამ მათში ჩაისახა მახინჯი ვნება, დაუნდობლობა, შეუბრალებლობა.

რაფდენ კაშელი შეუბრალებელი ადამიანი დადგა. მან წარმატებას მიაღწია სამსახურებრივ საქმიანობაში, ჩეკისტურ, საზარელ სამუშაოზე, რომელიც ადამიანობამოკლებულ ხალხს ითვლიდა. არც მისი შვილი ასცდა კაშელთა მთავარ თვისებას, ანტონიც



მამაზე უფრო უსულგულო გამოდგა, ჯალათად მოგვევლინა. მან ათასობით ადამიანი დახოცა თავისი ვნების დასათრგუნად, რადგან მასაც ეძახდა სისხლი, რომელიც თაობიდან თაობაში გადადიოდა.

კაშელმა ახალი რაჟდენ კაშელი წარმოშვა, რომელმაც ბაბუის მიერ გოდრიდან დანახული სურათები თავის რძალთან განახორციელა. სადღაც ხომ უნდა შენყდეს კაშელობა? მათი გვარიდან ვინმემ ხომ უნდა დაამსხვრიოს გოდრის გარსი? ეს ანტონია, რაჟდენის შვილი, რომელმაც საკუთარი მამა გამოასალმა წუთისოფელს.

ანტონის მოქმედება არ შეიძლება ოიდიპოსის კომპლექსს დავეუკავშიროთ, რომელიც შინაგანად დევს ყოველ ადამიანში. ანტონის საქციელი — ეს არის არა შინაგანი ქვეცნობიერი მუხტის ამოძრავება, არამედ სავსებით გააზრებული და გათვლილი ნაბიჯი.

მამამ თავისი უზნეო საქციელით, რომელსაც შენდობაც არ უხერხდება, მთლიანად გააცამტვერა შვილი, როგორც პიროვნება და, აქედან გამომდინარე, იგი სიკვდილს იმსახურებდა. მამის მოკვლით ანტონი ხელახლა დაიბადა, სხვა პიროვნება გახდა. საბოლოოდ მოსწყდა თავის ბინძურ წარსულს, თავის ფესვებს.

წაწარმოებში არის ერთი მეტად დამაფიქრებელი ეპიზოდი:

ანტონის მეუღლე, ლიზიკო, სასოწარკვეთილია და ყველასგან გაქცევა უნდა. ის მთელი სისწრაფით გარბის, უკან კი მამამთილი და ქმარი მისდევნენ. საცაა დაენევიან კიდეც. ლიზიკო

მაყვლოვანში შეეპარება მამამთილს, კალი ჩხვლეტს შეუპოვებლად, მის ლებულობს თავის წიაღში განდგომილ, უღირს შვილს.

მაყვალი ლეთისმშობლის სახეა ქრისტიანულ სამყაროში. იგი მარადქალურ სანყისს უკავშირდება. შეუნველი მაყვალი სინმინდის განსახიერებაა, მარადქალუნებრივი კდემამოსილებაა, რაც ლეთისმშობლის უნმინდეს მისიას უკავშირდება.

ლიზიკო ამიტომაც შედის მაყვლოვანში, როგორც მის მფარველთან. მაგრამ სულით დაცემულ ქალს, რომელიც მამამთილთან იყოფს სარეცელს, რა ესაქმება სინმინდესთან? მას არ იღებს მაყვალი და არ იფარებს ამ ზნედაცემულ ქალს, ანუ მარადქალური უბინოების, ზნეობის შემგინებელი ვერ ჰპოვებს ასეთ სინმინდესში საგანეს.

რა შეიძლება ითქვას ამ რომანის სამყაროზე, მის პერსონაჟებზე კიდევ?

შემზარავია ყოველივე ეს! ამას მშვენიერად გრძნობს მწერალი, მაგრამ რას იზამ, სინამდვილეს თვალებს ვერ დაუზუქავ.

ოთარ ჭილაძე, როგორც დიდი მწერალი, მშვენიერად გრძნობს იმას, რომ კაცობრიობის მორალი ფეხქვეშ გაითელა, სინმინდე შეილაბა, სული და ბინძურდა და ადამიანის არსება შეირყვნა.

თითქოს ყურში ჩაგვესმის ავტორის შეძახილი: განიწმინდე! სწორედ ამაშია ხსნა, ამაშია ჩვენი განახლები-სა და გაბრწყინების იმედი.

## უდავრების ანალიზი

გამომცემლობა „ნეკერმა“ გამოსცა დიდი ბერძენი ფილოსოფოსის პლატონის დიალოგი „პარმენიდე“, რომელიც ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა დამატებებით და კომენტარები დაურთო პროფესორმა ბაჩანა ბრეგვაძემ. ცნობილია, რომ მკვლევარმა ათენელი ბრძენის ძირითადი დიალოგები თარგმნა და გამოსცა, ნაწილი მზადაა გამოსაცემად. ეს ნიშნავს, ძველი და თანამედროვე ქართული ფილოსოფიური აზრის კლასიკოსთა: პეტრე იბერის, ეფრემ მცირეს, იოანე პეტრიწის, სერგი დანელიას, და აგრეთვე ივანე მაჩაბლის, გერონტი ქიქოძის, პავლე იაშვილის, თამარ კუკავას, შალვა პაპუაშვილის, გურამ თევზაძის და სხვათა მთარგმნელობითი საქმის შემოქმედებით განვითარებას.

ამ დიდ საქმესთან ერთად, არანაკლები მნიშვნელობა აქვს გამოკვლევებს, რომელიც თან ერთვის თარგმანს, კერძოდ, „პლატონური დიალექტიკის“ შედევრი („პარმენიდე“) და „პლატონი და რუსთაველი“, პირველი ცალკე განხილვას მოითხოვს. ავტორის სიტყვებით: „ძნელია გადაჭარბებით შევაფასოთ ამ ურთულესი დიალოგის მნიშვნელობა ქართული კულტურისათვის, რადგანაც ჩვენი უდიდესი ეროვნული პოეტის მსოფლმ-

ხედველობა, როგორც ირკვევა, დიდადაა დავალებული პარმენიდეზაგან“, თუმცა პლატონის გავლენა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორზე მარტოოდენ „პარმენიდეში“ როდი შემოიფარგლება, რაშიც თვალნათლივ დარწმუნდება ყველა, ვინც გულდასმით გაეცნობა მთარგმნელის ვრცელ გამოკვლევას – „პლატონი და რუსთაველი“. დამატების სახით რომ ერთვის წინასიტყვაობას (1.2).

მკითხველის ყურადღებას შევაჩერებ მეორე გამოკვლევაზე, რომლის შესახებ დასაწყისშივე უნდა ითქვას: გადაჭარბებული არ იქნება იმის აღნიშვნა, რომ გამოკვლევა „პლატონი და რუსთაველი“ არა მხოლოდ ქართული რუსთაველოლოგიის, არამედ, ქართული ფილოსოფიური აზრის მონაპოვარია; შედეგების – პლატონის ფილოსოფიისა და რუსთაველის უკვდავი შემოქმედების შესახებ ეს გამოკვლევა თავად, მართლაც, რომ შედეგია.

ცნობილი ინგლისელი მეცნიერი მორის ბოურა თავის ნაშრომში „ვეფხისტყაოსანი“ აღნიშნავს: „პლატონის ჰანგი უკვე აშკარაა და შემდეგ ჩვენ ვხედავთ, თუ რა სისავსით შეუთვისებია პლატონური თვალსაზრისი რუსთაველს... ბერძნული პლატონიზმი უთუოდ იყო მისთვის ერთ-ერთი... ნყაროთაგანი“ (4.9-40), მ. ბოურას პე-

სიმისტურად დასმულ კითხვაზე: „თითქმის შეუძლებელია ვთქვათ, სად პოვა თავისი იდეები“ ბ. ბრეგვაძე პასუხობს: ეს არის მანგანის ანუ კონსტანტინოპოლის უნივერსიტეტი, მას ხშირად ზოგჯერ მანგანის აკადემიასაც უწოდებენ“ (1.331). აღნიშნულთან დაკავშირებით, არჩილ მეფე პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ მეტად საინტერესო ცნობას გვანდის, როცა რუსთველს ათქმევენებს: „მე ათინას ვარ გაზრდილი... ათინას თქმულა სიბრძნისა მოპოვნა-მოშობანი“.<sup>1</sup>

ნამროში განხილულია ბიზანტიის XI-XII საუკუნეებში პლატონიზმის განვითარების საკითხი, გამოჩენილი ფილოსოფოსების – პსელოსისა და იტალიოსის მიერ. ცნობილია, რომ ქართული ფილოსოფიის ერთ-ერთი ფუძემდებელი იოანე პეტრიწი იტალიოსის მსმენელი და მისი მიმდევარი იყო. რუსთველი გამოჩენილ ბიზანტიელ ფილოსოფოსთა მემკვიდრეობას კონსტანტინოპოლის, მანგანის უნივერსიტეტში ანუ აკადემიაში სწავლის დროს გაეცნობოდა, ან იოანე პეტრიწის ფილოსოფიიდანაც. ამით მ. ბორუას მიერ დასმულ კითხვაზე პასუხი გაცემულია.

ბ. ბრეგვაძეს კარგად აქვს გამოყენებული, ფილოსოფიის ისტორიის დიდი მკვლევარის ვ. ტატაკისის გამოკვლევა პლატონსა და პლატონიზმზე, „მიანიც რატომაა, – კითხვას სვამს ბერძენი ფილოსოფოსი, რომ – პლატონი ასე უჩვეულო ძალით იზიდავს პსელოსს? (და სხვა ფილოსოფოსებს, მეცნიერებსა და პოეტებს, კ. ბ.), მისი აზრით, პლატონი ყველაზე დიდი გე-

ნიაა, რომელიც რუსთველი იმდენად ქვეყნიერებას, და მისი მემკვიდრეობის ქვეყნიერებას მოეძებნება მთელი დედამიწის ზურგზე... პლატონი ფილოსოფოსთა მოძღვარია, ერთადერთი ადამიანი, რომელმაც მიიღწია აზროვნების უკიდურეს ზღვარს, მხოლოდ მას, თუ შეიძლება ეწოდოს ქრისტიანიზმის წინამორბედი... სამართლიანობისა და სულის უკვდავების პლატონისეული იდეები რაციონალურ საფუძვლად დაედო შესაბამის ქრისტიანულ დოგმებს... ეს პლატონიზმი, იმდენადვე ნეოპლატონური, რამდენადაც თეოლოგიური, თავისი მოქნილობით ხელს შეუწყობს დასავლეთის ფილოსოფიური აზრის თავისუფალ აღმაფრენას; სწორედ ეს პლატონიზმი შეარყევს სქოლასტიკოსთა გახევებულ არისტოტელიზმს“.<sup>2</sup>

ავტორის აზრით, „... სწორედ აქ, ამ სულიერსა და ინტელექტუალურ ატმოსფეროში უნდა ჩამოყალიბებულიყო რუსთველის პოეტური მსოფლმხედველობის ის პლატონური ინგრედიენტი, ესოდენ ნათლად რომ ვლინდება მის უკვდავ პოემაში“. ავტორი „ვეფხისტყაოსნის“ ცალკეულ პასაჟთა ანალიზის საშუალებით ახდენს გამოთქმული მოსაზრების დასაბუთებას.

რუსთველოლოგის, პროფესორ ელგუჯა ხინთიბიძის ვრცელ გამოკვლევაში – „მსოფლმხედველობითი პრობლემები „ვეფხისტყაოსანში“ (167-192), ავტორის აზრით, „... ქართული მეცნიერების თითქმის ყველა საყურადღებო ინტერპრეტაცია განხილული და გაანალიზებულია... ავტორის მიერ მათი კრიტიკა უმეტესწი-

<sup>1</sup> იხ. არჩილ მეფის თხზულებათა სრული კრებული, ტ. II, ტფ., 1937, გვ. 13.

<sup>2</sup> იხ. ბ. ტატაკისი „ბიზანტიური ფილოსოფია“ B. Tatakis, op. cit., p. 186-187 დასახ. ნამროში, თარგმანი ბ. ბრეგვაძისა იხ (1. 334-335).



ლად ობიექტური და სამართლიანია... პროლოგის მეორე სტროფის: „ჰე, ღმერთო ერთო შენ შექმენ სახე ყოვლისა ტანისა“<sup>1</sup>, ყველაზე არსებითი აქ არის „სახის“ მიჩნევა „ეიდოსად“, „იდეად“, „ფორმად“ თუ „პროტოტიპად“. ამათვე უნდა დაემატოს „პარადიგმაც“. მკვლევარი მართებულად მიიჩნევს ე. ხინთიბიძის დებულებას, რომ ფსევდო დიონისე არეოპაგელის თხზულებებისა და პროკლე დიადოხოსის „კავშირნი ღვთისმეტყველებითნი“-ს ეფრემ მცირისა და იოანე პეტრიწისეულ თარგმანებში ბერძნ. (ეიდოს) და (მორფე) ბერგან „სახითაა გადმოცემული (5. 177-178, იხ. 1. 335-336). პროფესორი ივანე ლოლაშვილი სამართლიანად თვლის „ტანს“ – სხეულად. აღნიშნულ სტროფში ის აზრია გატარებული, რომ ღმერთმა შექმნა ყოველი ცოცხალი სხეულის სახე და ფორმა; ფორმა არის სული ცოცხალი სხეულის არსება. აღნიშნული სტროფის შინაარსი შედეგის მიხედვით, ემყარება პლატონის „ტიმოქოსი“ გამოთქმულ თვალსაზრისს: „ყოველივე ის, რაც იბადება, აუცილებლად ამა თუ იმ მიზეზის ძალით იბადება, რადგანაც შეუძლებელია უმიზეზოდ დაიბადოს რამე. ამიტომ, როცა შემოქმედი მარად უცვლელსა და იგივეობრივ არსს უმზერს და საგანთა ფორმისა თუ თვისების შექმნისას პირველნიმუშად იყენებს მას, მთელი ქმნილება უცილობლად მშვენიერი გამოვა... ყველასათვის ცხადია, რომ დემიურგოსი უმზერდა მარადიულ ნიმუშს; კოსმოსი ხომ ყველაზე მშვენიერია დაბადებულთა შორის, ხოლო მისი შემოქმედი – ყველაზე უკეთესი მიზეზთა შორის... რადგან ღმერთმა, რომელმაც მოისურვა,

რომ სამყარო ყველაზე მტკნად ყაბს-გაესებოდა, გონითმაწველნიმ საკანთაა შორის უმშვენიერესსა და უსრულქმნილეს, ერთ ცოცხალ და ხილულ არსად შექმნა იგი, რომელიც თავის თავში შეიცავს ბუნებით მის მონათესავე ყველა ცოცხალ არსს“ (7. 28ab; 29ab; 30cd).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბაჩანა ბრეგვაძე შემდეგ დასკვნამდე მიდის: „ამჟამად უნდა იყოს: რუსთველისეული „ჰე, ღმერთო ერთო, შენ შექმენ სახე ყოვლისა ტანისა“ მხოლოდ პლატონის იდეათა თეორიის მიხედვით განიმარტება მართებულად, ისე, რომ განსახილველი სტრიქონის აზრზე არავითარი სუბიექტური ძალდატანება არ მოვახდინოთ: „ჰე, ღმერთო ერთო, შენ შექმენ ყოველი საგნის (სხეულის) იდეა (სახე)... ძნელი ნარმოსადგენია შინაარსით უფრო მდიდარი ცნება, ვიდრე პლატონის „იდეა“, რომელშიც ინტელექტუალურ ღირებულებათა უჩვეულო სიუხვე ორგანულად ერწყმის ეთიკურსა თუ ესთეტიკურ ფასაულობებს“ (1.346).

შემდეგ ავტორს განხილული აქვს „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის მეორეთმეტე სტროფი („რაცა ვისცა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს“...), რომელიც, გვიმონშებს, რომ რუსთველი კარგად იცნობდა პლატონის სოციალურ თეორიასაც, გადმოცემულს მის უტოპიურ „სახელმწიფოში“ და ადრინდელ „ფედროსში“. ამ თეორიის მიხედვით, სახელმწიფო ერთი მთლიანი ორგანიზმია, რომლის შემადგენლობაში შედის ცალკეული ფენები, სოციალური ჯგუფები თუ ინდივიდუალური წევრები, ადამიანის სულის სამ ნაწილად გაყოფილ ერთე-

<sup>1</sup> აქაც და ქვემოთაც მითითებულია „ვეფხისტყაოსნის“ თუ 1938 წლის გამოცემა.

ულეხს შეესაბამება იდეალური სახელმწიფოს სამ ნაწილად დაყოფილი მოსახლეობა: პირველი ნაწილი ან წოდება „ხალხია – საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა – „მინათმოქმედთა და ხელოსანთა“ სახით; ამ წოდებას მიეკუთვნება ვაჭრებიც, რომლებიც თავიანთი შრომით ქმნიან მატერიალურ ფასეულობებს. მეორე წოდება პრივილეგირებულია. ესენი არიან, მეომრები (მცველები); მესამე – „სახელმწიფო მოხელენი“. პლატონის მიხედვით, უტოპიური სახელმწიფოს სათავეში მყოფ მმართველ ფილოსოფოსთა კლასს შეესაბამება წარმმართველი, უკვდავი გონივრული საწყისი; მეომართა კლასს – სულის აფექტური ნაწილი; ხოლო უდაბლეს წოდებას – სულის ის საწყისი, რომელიც ქვედა გრძნობებს, თუ მდაბალ ინსტინქტებს განასახიერებს. „ასე უშუალოდ ერწყმის ერთმანეთს პლატონის სოციალურ-პოლიტიკური უტოპია და ეთიკურ-თეოლოგიური ფსიქოლოგია“ (1. 350).

პლატონის მიხედვით, საზოგადოების ყველა წოდებას და მის შესაბამის წევრებს კონკრეტული დანიშნულება აქვთ, მათი შეფასება ხდება საქმიანობის შესრულების ხარისხით; იმისდა მიხედვით, თუ როგორ ასრულებენ ისინი თავიანთ დანიშნულებას, მათი მოქმედების ფორმულა მარტივია: ისინი მხოლოდ თავის საქმეს უნდა აკეთებდნენ. რუსთველის სტროფი „...თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს“ პლატონის დებულებას:

„რაცა ვისცა ბედმან მისცეს,  
დასჯერდეს და მას უბნობდეს;  
მუშა მინყვი მუშაკობდეს, მეომარი  
გულოვნობდეს,  
კვლა მიჯნურსა მიჯნურობა  
უყვარდეს და გამოსცნობდეს“...

ამ სტროფებისა და პლატონის კონცეფციის მიმართ მონათხრობის სული ინტერპრეტაცია სავსებით სამართლიანია: „ეს მსგავსება ცოტა უფრო ღრმაა, ვიდრე უბრალო ანალოგია“ (1.351). მართალია, „ფედროსში“ და „სახელმწიფოში“ რუსთველის ტრიადის მესამე წევრი „მიჯნურობა“ არ ფიგურირებს, მაგრამ პლატონი კლასიკურ „ნადიმში“ მიჯნურობას, სიყვარულს „ფილოსოფიის – („სიბრძნის სიყვარულის“) კერძო მომენტად აღიარებს...“ ხოლო შეყვარებული, მიჯნური, ფილოსოფოსთანაა გაიგივებული. ამიტომ გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ რუსთველი მხოლოდ თავისი პოეტური მიზანდასახულობის შესაბამისად ახდენს პლატონური კონცეფციის საკმაოდ გამჭვირვალე პერიფრაზირებას“.

პოეტური შემოქმედების გენიოსი – რუსთველი, ფილოსოფიის გენიოსის – პლატონის უბრალო მიმბაძველი შეგირდი კი არ ყოფილა, არამედ დიდი იდეური მასწავლებლის სიბრძნის ღირსეული გამგრძელებელი, დამოუკიდებელი, თვითმყოფადი მოაზროვნე და სწორუბოვარი შემოქმედი. „ვეფხისტყაოსნის“ ბევრი სტროფი ემყარება პლატონიზმს, ან როგორც სამართლიანად აღნიშნავს ავტორი: პროლოგის მეთორმეტე სტროფის პირველი სტრიქონი – „შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი“... „ერთხელ კიდევ შეგვახსენებს პლატონიზმს, მაგრამ აქ რუსთველი კვებს კი აღარ უკრავს და ეთანხმება, არამედ მკვეთრად უპირისპირდება ბერძენ მოაზროვნეს (პლატონს – კ. ბ.)“ (1..352). რუსთველის აზრით, პოეზია (შაირობა) სიბრძნის – ფილოსოფიის ერთი დარგია, ხოლო პლატონის მიხედვით, პოეზია დაბლა დგას სიბრძნეზე – ფილოსოფიაზე, თუმცა



ისტორიაზე, როგორც მეცნიერებაზე მაღლა დგას, პლატონს „სოკრატეს აპოლოგიაში“ და „იონში“ და სხვა დიალოგებშიც, ასეთივე აზრი აქვს გამოთქმული; „... პოეტები სიბრძნით კი არ ქმნიან, – ნერს პლატონი, – მას, რასაც ქმნიან, არამედ ერთგვარი ბუნებრივი უნარისა და ღვთიური სიმშაგის წყალობით... რომელნიც ბევრ მშვენიერ რასმე გვიცხადებენ სიტყვით, მაგრამ თვითონ კი არ იციან რას გვიცხადებენ“ (8.22 a-c).<sup>1</sup> პლატონის ამ თვალსაზრისს არ იზიარებს რუსთველი „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის მეექვსე სტროფის პირველ სტრიქონში „ან ენა მინდა გამოთქმად გული და ხელოვანება“ (4. მე-6 სტროფი).

ავტორს ცალკე აქვს განხილული პლატონის ფილოსოფიასა და რუსთველის მხატვრულ შემოქმედებაში სიკეთისა და ბოროტების ურთიერთმიმართების ძირითადი საკითხი; გარკვეული აქვს ათინელი ბრძენის და ქართველი შემოქმედის კონცეფციებს შორის საერთო დამაკავშირებელი მომენტები. „ვეფხისტყაოსანში“ აღნიშნული პრობლემა დასმულია როსტევან მეფის ნადირობის დროს „უცხო მოყმის“ გამოჩენისა და უცაბედ გაუჩინარებასთან დაკავშირებით და პოემის სხვა ეპიზოდებში. ხსენებულმა შემთხვევამ ააღელვა მეფე, რადგან მან წარმოიდგინა, ბოროტ, ეშმაკისეულ ძალას გადაეყარა, მაგრამ მას ამშვიდებს მისი მშვენიერი და ბრძენი ასული – თინათინი:

„ჰე, მეფეო! რად ემდურვი ანუ  
ღმერთსა, ანუ ბედსა?  
რად დასწამებ სიმწარესა

ყოველთათვის ტკბილად მხედსა?  
ბოროტიმცა რად შეექმნა,  
კეთილისა შემოქმედსა“ (4. 113  
სტროფი).

ეს სტროფი პლატონის ფილოსოფიურ მოძღვრებასთან რომ უშუალო კავშირშია, ეს აშკარაა, პლატონის მიხედვით, სიკეთე ღვთაებრივი წარმოშობისაა, ღმერთი თვითაა ყველაზე სრულყოფილი სიკეთე, ამიტომ მას ბოროტება რად უნდა შეექმნა, იგი ხომ მხოლოდ სიკეთის შემოქმედი. ეს თვალსაზრისი აქვს გატარებული რუსთველს ზემოთ მითითებულ სტროფში. რაც შეეხება ბოროტებას, იგი წარმოვალის ქვეყნისთვისაა დამახასიათებელი, „...სამყაროული ბოროტების მტვირთველ საწყისად მატერია მიჩნეული“... ბოროტება სხვა არა არის რა, თუ არა სიკეთის უქონლობა, სიკეთისაგან განძარცვულობა. მაგრამ რაკი მატერია არარსია, ამიტომ ბოროტებასაც სუბსტანციური არსებობა არ გააჩნია (1.359, 361).

ამ თვალსაზრისს იცავს და ავითარებს ნეოპლატონიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი პლოტინი და ასევე პ. იბერი – ფსევდო-დიონისე არეოპაგელი, ი. პეტრინი და სხვ. პლატონიზმის ამ კონცეფციას აზრობრივად უკავშირდება „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგი სტროფები: „ამ საქმესა მემონმების დიონისი ბრძენი ეზროს“ (177) და მეორე „ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დიენოს გააცხადებს:

„ღმერთი კეთილს (კარგსა)  
მოავლინებს და ბოროტსა არ  
დაბადებს.  
აესა წამ-ერთ შეამოკლებს, კარგსა

<sup>1</sup> აღნიშნულ საკითხებზე გვაქვს მსჯელობა ნერილევში „მშვენიერების პრობლემა პლატონის ესთეტიკაში“, ჟურ. „ცისკარი“ №6, 2000 წ.; პლატონის მეტაფიზიკისა და ესთეტიკის მიმართების ზოგიერთი საკითხი ჟურ. „მნათობი“ №11, 2000 წ.

**ხან-გრძლად გააკვლადებს  
თავსა მასსა უკეთესსა უზადო  
ჰყოფს, არ აზადებს** (სტრ. 1492).

„დიენოსი“ ქრისტიანული ნეოპლატონიზმის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი ფსევდო-დიონისე არეოპაგელი-პეტრე იბერია, თუმცა ამ ქართველ მოაზროვნეს რუსთველი არ ასახელებს, ბაჩანა ბრეგვაძე ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს: „ვეფხისტყაოსანში“ მხოლოდ ორი, ორად ორი ფილოსოფოსი იხსენიება სახელდებით: პლატონი და ფსევდო-დიონისე არეოპაგელი („დიონისე ბრძენი“, „ბრძენი დიენოსი“) ... შეიძლება ითქვას, რომ არეოპაგეზში დაახლოებით ისეთსავე როლს თამაშობს „ვეფხისტყაოსანში“, როგორსაც პლატონიზმი“ (1, 362, 363). სწორედ ეს ორი მოძღვრება აკავშირებს რუსთველს ქრისტიანულ მრწამსსა და „ვეფხისტყაოსნის“ გმირების რელიგიურ აღმსარებლობასთან. ამ მოსაზრების მეტი არგუმენტირების და დამაჯერებლობის მიზნით ნაშრომში მოხმობილია „ვეფხისტყაოსნის“ ის სტროფები, სადაც აღნიშნული „დიონისო ბრძენი ეზროს“ და ეს უკანასკნელი სიტყვაა გაანალიზებული:

**„ამ საქმესა მემონმების დიონისო  
ბრძენი, ეზროს  
საბრალოა ოდეს ვარდი  
დაეთრთვილოს, და-ცა-  
ეზროს“**(სტ.172).

აქ სიტყვა „ეზროს“ არ არის მოხმარებული ბიბლიური მნიშვნელობით „ეზრას ნიგინი“, არც ბერძნული აპოკრიფული ძეგლის „კალანდათ ეზრა ნინასწარმეტყუელისაი“ და არც ორი ებრაელი პოეტის (XI-XII სს) ეზრას გვართან არ არის დაკავშირებული. ავტორს თავისი ვარაუდი უფრო მართებულად

მიაჩნია, რომლის მიზეზდევით: „ეზროსი“ იგივეა, რაც ბერძნული პანთეონის ღვთაების - ეროსის - სიყვარულის ღმერთისა და თვით სიყვარული სახელი... აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ „ესროს“ ბიზანტიურ ბერძნულში სწორედ ასე გამოითქმოდა, როგორც „ვეფხისტყაოსანშია“ ფიქსირებული - „ეზროს“. (ანუ, რაც იგივეა, „ესროს“) უშუალოდ უკავშირდება დიონისე არეოპაგელის სახელს“ (1. 366).

ზემოთ დასმული საკითხის ანალიზის შემდეგ ბატონი ბაჩანა შემდეგ დასკვნამდე მიდის: ... „რუსთველმა ჩვენზე უკეთ იცის, რა ამრეზით და ათვალისწინებითაც აღიქვამენ ამ სიტყვას, და შეფარვით თქმის ეს დიდოსტატი „ეროსის“ ნაცვლად მის ნაკლებად ცნობილ პლატონისულ ვარიანტს ირჩევს - „ეზროს“. ასე რომ, აზრი სტრიქონისა - „ამ საქმესა მემონმების დიონისი ბრძენი, ეზროს - შემდეგნაირად უნდა გვესმოდეს: „ამ საქმეს მიმონმებს ბრძენი დიონისე, სიყვარულო“ (1, 372, 373). ვფიქრობ, რომ ავტორის დასკვნა სამართლიანია.

გამოკვლევაში „პლატონი და რუსთველი“ ორიგინალურად ახლებურადაა განხილული რუსთველის საყოველთაოდ ცნობილი სტრიქონები:

„შე სიტყვასა ერთსა გკადრებ, პლატონისგან სწავლა-თქმულსა: სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“ (სტრ. 789<sub>ა</sub>). ჩვენი ავტორის აზრით, აღნიშნული სტრიქონების ზუსტ სიტყვიერ ან აზრობრივ ეკვივალენტს პლატონთან ვერ ვიპოვით და ვერც აღმოვაჩინეთ, მაგრამ ისინი პლატონის ფილოსოფიიდან იღებს სათავეს. სტრიქონის „პლატონისაგან სწავლა თქმულსა“ ანალიზი ასეთია: „სწავლა“ ძველ ქართულში „**მოძღვრებას**“ ნიშნავს, ხოლო „სიცრუე და ორპირობა“ ფსიქოლოგიურად

სულის მანკია, ბუნებრივად ჩნდება კითხვა: „სულის მანკი“ რატომ უნდა ვნებდეს ვერ სხეულს და მხოლოდ შემდეგ სულს?.. „ალბათ, – წერს ავტორი, – ამასაც უნდა მიქცეოდა სათანადო ყურადღება. ერთი სიტყვით, რუსთველი თვითონვე გვაუწყებს, რომ აქ საქმე პლატონის ამა თუ იმ დიალოგიდან დამონმებული ციტატას კი არ ეხება, არამედ მის ფილოსოფიურ კონცეფციას, ასე რომ, ჩვენთვის საინტერესო კითხვის პასუხიც ბერძენი მოაზროვნის ანთროპოლოგიასა თუ ფსიქოლოგიაში უნდა ვეძებოთ“ (1.374).

ცნობილია, რომ სამყაროს, ადამიანის სულისა და შემეცნების პლატონური ფილოსოფიური კონცეფცია დუალისტურია, ონტოლოგიურადაც და გნოსეოლოგიურადაც: ორი სამყაროს: გრძნობადის, მოჩვენებითის, წარმავლის, და ტემშარიტი არსებობის – იდეათა სამყაროს დაშვება; გრძნობადისა და რაციონალურის ძირეული დაპირისპირება და ადამიანური არსებობის დუალისტური გაგება. „რა არის ადამიანი? – სვამს კითხვას პლატონი დიალოგში „პირველი ალკიბიადე“, სული, სხეული თუ ორივე მათგანი ერთად? (130a-131c). მთავარი და მმართველი სულია, იმიტომ, რომ სულში არის ღვთაებრივი საწყისი და „რომელშიც მოქცეულია სულის მთელი სიბრძნე და გონიერება“ (იქვე, 133cd). ინდივიდუალური სული მსოფლიო სულის ნაწილია, მაგრამ აჩრდილების, გრძნობად სამყაროში არსებული სული...“ დროისა და სივრცის ყოვლისგამსრეს მარწუხებში გათანგული ჩლუნგი და უაზრო მატერიის, გრძნობად-კონკრეტული სამყაროს უმწეო ტყვედ იქცევა, სხეული მისთვის სხვა არა არის რა, თუ არა დილეგი „რომელშიაც მომწყვდეულია, როგორც ლო-

კოკინა – თავის ნიჭსა და სულის სნორად, საფლავი“ (497b).

პლატონის აზრით, სული უკვდავია, წარუვალა, ბნელში ნათელი, როგორც სანთელი, სიცოცხლის მიმნიჭებელი, პლატონის ეს კონცეფცია ნეოპლატონიზმმა, კერძოდ, პლოტინმა განავითარა, „... ნეოპლატონიზმი, არსებითად, სხვა არა არის რა, თუ არა პლატონიზმის გენიალური ინტერპრეტაცია“ (1. 377). ნეტარი ავგუსტინეს სიტყვებით, პლოტინი იმდენად პლატონიკოსი იყო, რომ პლატონის ხატად იქნა მიჩნეული. პლატონისა და პოლიტინის აზრით, მატერია და სული ორგანულად კი არაა დაკავშირებული, არამედ მექანიკურად, სული სამყარობილეთა, მაგრამ მატერია ვერ შედის სულში, თუმცა იგი ამას შეუპოვრად ცდილობს, მაგრამ ეს მას არ ძალუძს, რადგან იგი მანკიერი და ბინიერებაა, ხოლო სულის ყველა ადგილი წმინდაა... სწორედ მატერიააა სულის სიძაბუნისა და ბინიერების მიზეზი. ის, უწინარეს ყოვლისა, რომ ის ბოროტია და თვითონვე პირველი ბოროტება. თუ სული ეთვისება და ეზიარება მატერიას. რის შედეგადაც ქმნადობის ნყაროდ და ბინიერების მტვირთველად იქცევა, მხოლოდ იმიტომ, რომ ამქვეყნიურ სიცოცხლეში მას განუყრელად თან ახლავს (იხ. 9.1.8.14), მაგრამ, პლოტინის აზრით, „სხეული“ სულის მატერიალური გარსი კი არ არის, არამედ მათი ნაერთია, ამ დებულების ბრეგვაძისეული ინტერპრეტაციის მიხედვით „სწორედ ესაა რუსთველისეული „ხორცი“ (1.384.). წმინდა სულს, – აგრძელებს მსჯელობას პლოტინი, – ბოროტება არ ახასიათებს. ბოროტება ცხოველში ან ნაერთსა თუ ნაზავშია (9.1.1.9), მატერიას სიკეთეში წილი არა აქვს, მატერია იმსგავსებს ყველაფერს, რაც ოდნავ მაინც ეხება მას



(12.1.8.4). პოლტინის თვალსაზრისი ემყარება პლატონის კონცეფციას, „ყველა სიხარული, ყველა წუხილი, – ნერს პლატონი „ფედონში“, – სულს თითქოს სიმსჭვალით ამსჭვალავს და ერთგვარად კიდევ ამსგავსებს სხეულს, ხოლო სხეულის თანამოაზრედ ქცეული მისი თანამგზავრი და თანამეინახე ხდება“ (83d).

პლატონი ზმ-ნეოპლატონური თვალსაზრისი „სხეულის“ ანუ „ხორცის“ ნაერთობის შესახებ აისახა შოთა რუსთველის მხატვრულ შემოქმედებაში, კერძოდ, ზემოდ განხილულ სტროფში „... სიცრუე და ორპირობა...“ თავდაპირველად გავლენას ახდენს მატერიაზე, სხეულზე ანუ „ხორცზე“, რადგან ისინი ურთიერთშესაბამისობაშია. ამის შემდეგ გავლენას განიცდის მეორე ნაერთი – სულიც „მაგრამ ეს აფექტია, ბრეგვაძისეული კომენტარის მიხედვით, ... მეორადია, მეორეული (აქედან – „აენებს“ ხორცსა, მერმე სულსა)“ რამდენადაც ის მხოლოდ არაგონიერული სანყისის მიერ აღიძვრის გონიერულ სულში“ (1.386).

პლატონის კონცეფციასთან ერთად, შოთა რუსთველისთვის კარგადაა ცნობილი ათენელი ფილოსოფოსის ბრძენისა და ლეგენდარული მასწავლებლის სოკრატეს ეთიკური მოძღვრება და მისი პრაქტიკულ საზოგადოებრივი მნიშვნელობა, რომ სიკეთის ცოდნა პრაქტიკულად ქველმოქმედებაა და აქტიური საზოგადოებრივი პოზიცია. მხოლოდ ფილოსოფოსთა განყენებული სიბრძნე, პრაქტიკული საქმიანობის გარეშე, უძღურია და საზოგადოებისათვის ნაკლები სარგებლობის მომტანი. სოკრატეს აღნიშნული თვალსაზრისი „ვეფხისტყაოსანში“ ზემოთ წარმოჩენილი სტროფის მომდევნო სტროფშია ასახული: „არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა

ბრძნობასა“ (სტროფი 780), ცხადია შოთა რუსთველს ზმ-ნეოპლატონური ფილოსოფია კარგად აქვს გაცნობიერებული. ბატონი ბაჩანას ინტერპრეტაციით, შოთა რუსთველის ეს ზნეობრივი იდეალი პირნპირადად სოკრატულია (იხ. 1.388). მაშასადამე, შოთა რუსთველი პლატონსა და დიონისე არეოპაგელთან ერთად სხვა ბრძენ ფილოსოფოსებსაც იყენებს, სოკრატეს, პროკლეს და ა. შ., თუმცა მათ კონკრეტულად არ ასახელებს.

შოთა რუსთველი „ვეფხისტყაოსანში“ პლატონური განყენებული იდეალური სიყვარულისაგან განსხვავებით უპირატესად, ამქვეყნიური ხორციელი სიყვარულის მეზობტება „უთქვენ ხელობანი ქვენანი, რომელი ხორცსა ხედებიან“. 277-ე სტროფი გვამცნობს: „ამ საქმესა მემონშების დიონისო ბრძენი ეზროს“. ეზროს იგივეა, რაც „ეროსი“, რომელსაც უარყოფს ქრისტოლოგია, საქმე ისაა, რომ „ეროსი“ მხოლოდ ხორციელი სიყვარული კი არაა, არამედ წარმართული პანთეონის ერთ-ერთი ღვთაებაც, ამიტომ შოთა რუსთველი ეკლესიასთან ურთიერთობა რომ არ გაამწვავოს, „ეროსის“ ნაცვლად „ეზროს“ ხმარობს. ეს ტერმინი პლატონისეულია, მაგრამ ნაკლებად ცნობილი ვარიანტია (იხ. 1.372).

პიროვნების აქტიურობაზე მიუთითებს „ვეფხისტყაოსანის“ შემდეგი სტროფი „ჰკითხე ასთა, ქმენ გულისა, რა გინდ რა ვინ გავაზიროს“ (სტრ. 883), ე. ი. გამოიყენე სხვისი რჩევა, ვაზირთა ავტორიტეტი, მაგრამ შენ გადანიყვტილებას მიეცი უპირატესობა – „ქმენ გულისა“, გააკეთე პრაქტიკულად ის, რასაც გული გკარნახობს.

„ვეფხისტყაოსანის“ სტროფში („დამშლიან ჩემნი კეჟირი, შვერთვივარ სულთა სირასა“ (884)) ბ. ბრეგვა-



ძის ინტერპრეტაციის მიხედვით, „პლატონის ფსიქოლოგიური კონცეფციის ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა გამოსჭვივის... აქ „სირა“ ბერძნული სიტყვაა – („წყება“, „რიგი“, „მწკრივი“) პროკლე დიადოხოსის ტრაქტატის „კავშირნი ღმრთისმეტყველებითნი“ ქართულ თარგმანში იოანე პეტრიწი „სირას“ უთარგმნელად ტოვებს „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთ თავში „პოვნა ავთანდილისაგან დაბნედილი ტარიელის“ სიკვდილგადარჩენილი ტარიელი ავთანდილს ეტყვის: „...სიკვდილი მახლავს, დამესხენ, ხანსალი დავყოფ მცირასა;

არ ცოცხალ ვიყო, რას მაქნევ, რას დავრჩე, ხელსა მხდი რასა?

დამშლიან ჩემნი კავშირნი, შეერთვივარ სულთა სირასა“ (სტროფები 884<sub>2,3</sub>). ბ. ბრეგვაძის აზრით, „ბუნებრივად იბადება კითხვა, როგორ შეიძლება დაშლილიყვნენ მისი სხეულის შემადგენელი მატერიალური სტიქიონები სულ რაღაც რამდენიმე წუთის განმავლობაში?“ „ვეფხისტყაოსნის“ აღნიშნული სტროფი ემყარება პლატონის დიალოგის „ფედონის“ დებულებას სულის უკვდავების შესახებ, სული, ოგორც ღვთაებრივი ფენომენი უკვდავია, ხოლო სხეული, როგორც მატერიალური, არასრულყოფილი არსებობა, შემადგენელ ნაწილებად იშლება სტიქიონებად, ძირითად შემადგენელ ნაწილებად, მაგრამ, – პლატონის აზრით, სხეულის ნაშთი რჩება გარდაცვალების შემდეგაც (იხ. 80 ცდ).

ბ. ბრეგვაძე თავის სადოქტორო დისერტაციაში „ანტიკური ცივილიზაციის გვირგვინი“, მეოთხე თავში „მაკროკოსმოსი და მიკროკოსმოსი“ პლატონის ფსიქოლოგიური თეორიის ანალიზისას „ფსიქოლოგიურ პარალელიზმზე“ ამახვილებს ყურადღებას.

კერძოდ, შემდეგ დებულებებზე: „სულის უკვდავი ნაწილია სამკესტედა, მისი სავანეა თავის ტვინი... რომელიც უდიდესი სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. ამ მხრივ, პლატონის კონცეფცია შეიძლება თანამედროვე ბიოლოგიური ნარმოდგენების ზუსტ ადეკვატად ჩაითვალოს“, მაგრამ, მეორე მხრივ, ძირეულად განსხვავდება მისგან „... თავის ტვინი განსაკუთრებით ნატიფი, განსაკუთრებით წმინდა და დახვეწილი ელემენტარული სამკუთხედების, ანუ, რაც იგივეა, ელემენტარული ნაწილაკებისაგან... არის შემდგარი... ასე რომ, თავისი ფიზიკური და მორფოლოგიური სტრუქტურით მკვეთრად განსხვავდება ყველა მატერიალური სხეულისაგან (217-224). გამოკვლევაში „პლატონი და რუსთველი“ ბატონი ბაჩანა შემდეგ შენიშვნას აკეთებს: პლატონის ელემენტარული დასაბამიერი სამკუთხედების – თავის ტვინის შესახებ დებულებების „... და თანამედროვე ატომური ფიზიკის ელემენტარული ნაწილაკების განსაცდვიფრებელ კონცეპტუალურ მსგავსებას არაერთხელ აღნიშნავს დიდი გერმანელი ფიზიკოსი, კვანტური მექანიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ნობელის პრემიის ლაურეატი ერნერ ჰაიზენბერგი“ (8. 111-112).

პლატონის კონცეფციის მიხედვით, ტვინშია ყველა სასიცოცხლო კავშირები, რომლებიც სულს აკავშირებენ სხეულთან, მაგრამ თვით ტვინი ნაერთია, წმინდა სახით ნარმოქმნილი ცეცხლისა და წყლის, მიწისა და ჰაერისა. მთელი ტვინი ღმერთმა მიანიჭა სულდგმულთა თითოეულ სახეს, ხოლო იმ ნაწილს, რომელსაც ყანასავით მიეღო ღვთიური თესლი, ღმერთმა სფეროს ფორმა მისცა და თავის ტვინი უწოდა მას, ვინაიდან წინასწარვე იცოდა, მისი სათავსი, ყოველი

ცოცხალი არსების დასრულების შემდეგ თავი იქნებოდა" (837bc).

ბაჩანა ბრეგვაძე შესანიშნავად აანალიზებს გამოთქმას „სულის შემკვრელი კავშირნი“ ანუ „სულის საბმელნი“, „ბაგირი“, „ბორკილი“. უკვე გარკვეული იყო, რომ „ადამიანის სულის უკეთესი – ღვთაებრივი და უკედავი ნაწილის სავანე თავის ტვინია, რომელთანაც ის „დაშლად კავშირთა“ მეშვეობითაა შეერთებული (განსხვავებით სამყაროს სულისა და სამყაროს სხეულისაგან, დაუშლელი კავშირებით“ – რომ ერწყმიან ერთიმეორეს“ ტვინის ელემენტთა გაცვეთა და მათი გამოფიტვა ... გარდაუვლად იწვევს სულის შემაერთებელ კავშირთა დაშლას, რასაც შედეგად მოსდევს სულის ახსნა ანუ თავდასხმა. ესე იგი, სხეულთან გაყრა, ანუ სიკვდილი“. მკვლევარს ზემოთქმულიდან ასეთი დასკვნა გამოჰყავს: „ტიმოქონის“ სწორედ ამ პასაჟითაა შთაგონებული „ვეფხისტყაოსნის“ განსახილველი სტრიქონი: „დამშლიან ჩემნი კავშირნი, შეერთვივარ სულთა სიარსა“.

პლატონის აზრით, მსოფლიო სულთან ერთად არსებობს, მისგან განუყრელი კაცობრიობის განუყოფელი კოლექტიური სულები, რომლებიც პირველთან შედარებით ნაკლებ სრულქმნილია, მაგრამ ისიც დემიურგის შექმნილია, თავდაპირველად ერთიანი არსის სახით, და შემდეგ მის მიერ დანაწილებულია, ინდივიდუალურ სულებად, რომელთა სავანე ნილხვდომილი ვარსკვლავებია, სწორედ აქედან ჩამოდიან ისინი ადამიანურ სულებად, რომლებიც თუ ნუთისოფელს ღირსეულად გალევენ კვლავ უბრუნ-

დებიან თავიანთ სავეფხისტყაოსნულ სულებს ნილხვდომილი ვარსკვლავების სამყაროს, სადაც ისინი უკვე თავისუფლები არიან ფაშთა სიავისაგან და იწყებენ მარადიულ ნეტარ სიცოცხლეს (იხ. 6.41, 41). პლატონის აღნიშნული თვალსაზრისის ბრეგვაძისეული ინტერპრეტაციის მიხედვით, „ვეფხისტყაოსანთან“ მიმართებით „განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს“, კერძოდ, „ნიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელთან“.

**„ღმერთსა შემვედრე, ნუთუ კვლადამხსნას სოფლისა შრომასა, ცეცხლსა, წყალსა და მიწასა, პაერთა**

**თანა ძრომასა,**

**მომცეს ფრთენი და აღვფრინდე, მივხვდე მას ჩემსა წდომასა, დღისით და ღამით ვხედავდე მზისა ელვარე კრთომასა“ (სტროფი 1364).**

ნესტანის ამ სიტყვებს მოსდევს სტროფი ... რომელიც გვიჩვენებს, რაოდენ კარგად იცნობდა რუსთველი ვარსკვლავებიდან დედამიწაზე და პირიქით, დედამიწიდან ვარსკვლავების მიმართ სულთა მიგრაციის პლატონისეულ კონცეფციას“ (1.397).

**„მზე უშენოდ ვერ იქმნების, რადგან შენ ხარ მისი წილი**

**განალამცა მას ეახელ მისი ეტლი, არ თუ წბილი!**

**მუნა გნახო, მანვე გსახო, გამინათლო გული ჩრდილი; თუ სიცოცხლე მნარე მქონდა, სიკვდილიმცა მქონდა ტკბილი. (სტროფი 1305).**

ტარიელი მზის ეტლი<sup>1</sup>, ზოდიაქოს

<sup>1</sup> აქ „ეტლი“ ასტრონომიული ტერმინია და ზოდიაქოს თანავარსკვლავებს ნიშნავს (შეად. „ვეფხისტყაოსნის“ სტროფს: „ეტლის ცვალება მზისაგან შეუდგომა სარატანასა“. ხაზგასმა ჩემია, – კ. ბ.).



თანავარსკვლავედია, მზის წილადია, მზესთან განუყრელი შემადგენელი წევრია, არა უბრალო, არამედ ისეთი ძირითადი და განუყოფელი წევრი, რომლის გარეშე ვერ იქნება მზეც, „მზე უშენოდ ვერ იქმნება“, იმიტომაც, რომ ტარიელის მუდმივი ეპითეტია „ლომი“. „შავი ცხენი სადავითა პყვა ლომსა და ვითა გმირსა“ (სტრ. 84, ასევე – „ძალად ლომსა, თვალად მზესა...“ სტროფები 332, ასევე – 1345, „ავთანდილ მკერდსა დაასხა მას ლომსა სისხლი ლომისა“ 1346, და ასე შემდეგ. „ამიტომაც, რომ ნესტანის ღრმა რწმენით, მისი ლომი მიჯნური ოდესმე წილხდომილ ლომის ზოდიაქოს დაუბრუნდება, რომელიც სულხან-საბა ორბელიანის სიტყვებით რომ ვთქვათ, „იელისა 23 მიითუალავ მზესა“.

ნესტანის სიტყვებში „მუნა ვნახო“, მუნ ნიშნავს ვარსკვლავებს, ზოდიაქოს ციურ რკალს. ნესტანი, როგორც „ქალწული“ ლომის – ტარიელის ზოდიაქოა, რომელიც „აგვისტოსა 23 მიითუალავს მზეს“ ნესტანი ღრმადაა დარწმუნებული იმაში, რომ „... ამ ქვეყნად გაყრილ მიჯნურთ მხოლოდ ცის სინწინდე თუ შეანყვილებს... წილხდომილ ლომისა და ქალწულის თანავარსკვლავედზე დაავანებთ... ამიტომ ნესტანი მტკიცედ ამბობს: „თუ სიცოცხლე მწარე მქონდა, სიკვდილიმცა მქონდეს ტკბილი“.

ბაჩანა ბრეგვაძე თავის შესანიშნავ გამოკვლევაში „ანტიკური ცივილიზაციის გვირგვინი“ მართებულ დასკვნამდე მიდის:

„ამრიგად, დედააზრად რომ იღებს სუფთა კოსმიური წრებრუნვის (ვარსკვლავები – დედამინა, დედამინა –

ვარსკვლავები) პლატონისეულ-კონცეფციას, რუსთველზე მსოფლიო პოეტურ მეტაფორას, რომლის ბადალიც იშვიათად თუ მოიძებნება მსოფლიო პოეზიაში“ (6.262-264).

დასახელებულ ნაშრომში ქართველი მკვლევარი განიხილავს დიდი ათენელის ასტრონომიულ კონცეფციას, რომელიც ძირითადად ჩამოყალიბებულია „სახელმწიფოში“, „ტიმეოსში“, „უპინომისისა“ და „კანონებში“. ხოლო ნაშრომში „პლატონი და რუსთველი“ ავტორი წერს:

„... საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ „ტიმეოსისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ ავტორთა ასტრონომიული შეხედულებების განსაცვიფრებელი დამთხვევა“. აღნიშნული საკითხი ცალკე გამოკვლევის საგანია.<sup>1</sup>

ფილოსოფიური და ფილოლოგიური თვალსაზრისითაც დიდ ინტერესს იწვევს „ვეფხისტყაოსნის“ კიდევ ერთი პასაჟის განხილვა და გაანალიზება:

„იტყვის: ჰე, მზეო, ვინ ხატად გთქვეს მზიანისა ღამისად, ერთარსებისა ერთისა, მის უჟამო ჟამისა...“

„ვის ხატად ღმრთისად გიტყვიან ფილოსოფოსნი წინანი...“ (სტროფები 836<sub>1,2</sub>, 837<sub>1</sub>).

პლატონისა და დიონისე არეოპაგელის მდიდარ თეორიულ მემკვიდრეობაში უზვადაა დებულებები, რომლებიც წარმოადგენს შოთა რუსთველის მსოფლმხედველობის საფუძველს, კერძოდ, „მზიანი ღამისა“ და სხვა პასაჟების შთაგონების წყაროს.

პლატონის ფილოსოფიური სისტემის და საერთოდ, მისი შემოქმედების

<sup>1</sup> ამ პრობლემას ბ. ბრეგვაძე ეხება და მას გამოყენებული აქვს პროფესორ გიორგი თევზაძის საინტერესო გამოკვლევა „რუსთველის კოსმოლოგია“ (1979).

გვირგვინი და უმაღლესი საფეხური არის უზენაესი სიკეთის, აბსოლუტური ერთის – ღმერთის ცნება. ღმერთი მაღლა დგას არსსა და აზრზე: იგი სიკეთეცაა, ჭეშმარიტებაც, მშვენიერებაცა და სამართლიანობაც, თუმცა იგი „უთქმელი“ და „უცნაურია“, ამიტომ მას რაიმე კონკრეტული თვისობრიობა და პრედიკატი არ მიენერება. „ხილულის სფეროში ის ბადებს ნათელს და მის შეუფეს, გონით სანედომ სფეროში კი თვითონვეა მბრძანებელი, რომელზედაც დამოკიდებულია ჭეშმარიტება და გონიერება“ (სახელმწ., VII 597c).

ზემოთ აღნიშნულ ღრმააზროვან ანალიზს ბაჩანა ბრეგვაძე შემდეგ დასკვნამდე მიჰყავს:

„როგორც ვხედავთ, პლატონიცა და რუსთველიც ღვთის ხატად მიიჩნევს მზეს. ვთარგმნოთ რუსთველის „მზიანი ღამე“ ბერძნულად და შევუდაროთ იგი პლატონის „შუადღის ღამეს“, – „შუადღისას“, როცა მზე ზენიტშია. მკითხველმა თავად განსაჯოს, გვაქვს თუ არა უფლება ვივარაუდოთ, რომ სწორედ „სახელმწიფოს“ VI ნიგნში გადმოცემული ღმერთის სოლარული კონცეფცია, ისევე, როგორც პლატონის უკანასკნელი გრანდიოზული ქმნილების – „კანონების“ ზემოთ ციტირებული ფრაგმენტები უნდა ყოფილიყო „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის შთაგონების წყარო, როცა ის თავის უკვდავ მეტაფორას ქმნიდა“ (1. 431).

„ვეფხისტყაოსნის“ ზემოთ მოტანილ სტროფში „ვის ხატად ღმერთისად გიტყვიან ფილოსოფოსნი ნინანი“ დიონისე არეოპაგელი ჰყავს, ალბათ, რუსთველს ნაგულისხმევი, „მზიანი ღამის“ შესაბამისი გამოთქმა გვხვდება მის მოკლე ტრაქტატში – „საიდუმლო ღვთისმეტყველებისათვის“ და-

სანყისში, კერძოდ, „საიდუმლო ღვთისმეტყველებისათვის“ ზეღვთიურო და ზნეუთილო, ქრისტიანთა თეოსოფიის მოძღვარო, ნარგვმართე ჩვენ საიდუმლო სიტყვათა ზეუცნაური, ზებრწყინვალე და უზენაესი მწვერვალის მიმართ, სადაც ღვთისმეტყველების მარტივი, ნრფელი და უცვლელი საიდუმლონი დაფარულნი არიან იდუმალი დუმლის ზენათელ ბნელში, რომლის უკუნეთშიაც უცხადესი ზებრწყინვალეებით ნათობენ“ (დ.არეოპაგ. III, 997A). მისივე ეპისტოლეში დოროთე მსახურის მიმართ ვკითხულობთ: „საღმრთო ბნელი არის მიუწვდომელი ნათელი“ (იქვე). ქართველი მკვლევარის ინტერპრეტაციის მიხედვით, დიონისე არეოპაგელის „ზენათელი ბნელი“ ასევე შეიძლებადა ყოფილიყო რუსთველის „მზიანი ღამის“ ერთგვარი პროტოტიპი, დიონისე არეოპაგელის რუსულ ენაზე მთარგმნელმა გენადი ეიკალოვიჩმა არეოპაგიტულ კატაფატიკა-აპოფატიკას დაუკუაუქმირა რუსთველის „მზიანი ღამე“. რუსთველოლოგებმა შ. ხიდაშელმა (10.275-291) და ე. ხინთიბიძემ (5.120-136) საგვებით სამართლიანად გაიზიარეს რუსი ღვთისმეტყველის აზრი. იგივე ითქმის რუსთველის „უფამო ქამის“ მიმართაც, რომელშიაც ნიკოლა კუზანელის („დაპირისპირებულთა დამთხვევას“) ხედავენ და ღმერთის კატაფატიკურ-აპოფატიკურ სახელად მიიჩნევენ“ (1.432). მკვლევარი შემდეგ განმარტავს: დიონისე არეოპაგელის კატაფატიკურ-აპოფატიკური ანუ ნართქმით-უკუთქმითი თეოლოგია ერთგვარ „პიპერფატიკურ“, ე. ი. „ზეთქმით ღვთისმეტყველებაში გადადის: „მყარი“, „ზეკეთილი“, „ზენათელი“ და ა.შ. (რა არის, მაგალითად, „ზენათელი?“ – ეს არც „ნათელია“, არც „არანათელი“



და არც ორივე ერთად, არამედ ორივეზე უმეტესი, ორივეზე უპირატესი და უზენაესი" (იქვე).

ქართველ რუსთველოლოგთა გარკვეული ნაწილი მარისეულ ნეოპლატონიზმის ფარგლებს ვერ გაცდა, „ვერ იქნა და ვერ მოუახლოვდა პლატონის მოძღვრებას“, ამიტომ ისინი პირდაპირ სვამენ იგივეობის ნიშანს „მზიან ღამესა“ „უჟამო ჟამს“ შორის. ეს ფორმალურად სწორია, მაგრამ შინაარსობრივად – არა. ქართველ რუსთველოლოგთა მეორე ნაწილი, კერძოდ, პროფესორი შალვა ხიდაშელი – „ცდილობს უფრო ღრმად ჩასწვდეს „უჟამო ჟამის“ როგორც დაპირისპირებულთა ერთიანობის რუსთველისეულ კონცეფციას და მას უშუალოდ უკავშირებს არეოპაგული ღვთისმეტყველების მეტაფიზიკურ შინაარსს, კერძოდ, იგი იმონებებს ორ პასაჟს ტრაქტატიდან „საღმრთო სახელთათვის: „პასაჟი პირველი: „ღმერთი „დღეებზე უხნესად“ იგალობება იმის გამო, რომ დღეებზე, მარადისობასა დროზე უწინარესი, თვითონვეა ყოველთათვის მარადისობაც და დროც (X,2), პასაჟი მეორე: „ღმერთს ჩვენ ვადიდებთ როგორც მარადისობას, როგორც დროს და როგორც მთელი დროისა და მარადისობის მიზეზს“ (X,3). ეფრემ მცირე, მარადისობას თარგმნის „საუკუნედ“, ხოლო დროს ჟამად“ (1. 433, ზემო თარგმანები ბაჩანა ბრეგვაძეს ეკუთვნის, შენიშვნასთან ერთად).

ბატონ შალვა ხიდაშელს ბატონი ბაჩანა სოლიდარობას უცხადებს დიონისე არეოპაგელის ზემოთ მოტანილი ორი პასაჟის გამოყენებასა და ინტერპრეტაციაში, მაგრამ არ ეთანხმება მის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ აღნიშნულ პასაჟებში გატარებული აზრი მხოლოდ დიონისე არეოპაგელი-

საა „თუმცაღა სინამდვილეში ისინი პლატონის მეტაფიზიკური მოძღვრების აუცილებელ ატრიბუტებად გვევლინებიან“ (იქვე, 434).

შ. ხიდაშელი მართებულად არკვევს, რომ სამყაროული ყოფიერების პირველმიზეზს ანუ ღმერთს თანაბრად მიენერება ურთიერთსაპირისპირო პრედიკატები – სიდიდე და სიმცირე, მსგავსება და არამსგავსება, მოძრაობა და უძრაობა. ამის შემდეგ ბ.ნი შალვა დასძენს: „არეოპაგეტიკაში, მსგავსად განხილული პრედიკატებისა და ჩვენთვის საინტერესო ნათელი-სა და სიბნელისა, ერთდროულად არის გამოყენებული პირველმიზეზის მიმართ. როგორც „უჟამოს“ და „საუკუნოს“ (მარადიულის), აგრეთვე „ჟამის“ (დროის) პრედიკატი. ღმერთი არის „უჟამო“. მარადიულობა და, ამასთან, – დრო „უჟამოა“ ის, როგორც უქცეველი, როგორც „მარადის თავსა შინა“ მყოფი, იგივეობრივი, „აუგებელი და მარადის არსი და თვით სრულ-არსი და იგივედ მყოფი თავის თვისით“, როგორც მიზეზი ყოველი მარადისობისა. მაგრამ ღმერთი არის მიზეზი არა მხოლოდ „ყოველივე საუკუნისა“, არამედ არის მიზეზი ყოველისავე ჟამისა“ და მას შეიძლება მიენეროს დროის პრედიკატიც“ ... (10. 296).

„რუსთველოლოგია აქ სვამს წერტილს“ შენიშნავს ბატონი ბაჩანა, მკვლევარის აზრით, „როგორც ნარმართული, ისე ქრისტიანული ნეოპლატონიზმი ერთი და იმავე მშობლის – პლატონიზმის ნაშვილია“.

პლატონის კონცეფცია დროისა და მარადისობის შესახებ ორიგინალური და მართლაც კლასიკურია, რომელმაც განსაზღვრა ანტიკურობის, ელინისტური ეპოქის, საშუალო საუკუნეების დიდ ფილოსოფოსთა და თეოლოგთა,

კერძოდ, არისტოტელესა და პლატონის, ნეტარი ავგუსტინესა და დ. არეოპაგელის „ქრონოლოგია“ („დროისმცოდნეობას“), სწორედ სუბსექციე ავტომიტატის ეტ ინფინიტატის – მარადიულობისა და უსასრულობის თვალსაზრისით აყალიბებს იგი თავის წარმოდგენას ე. წ. „უნანამძღვრო სანყისის“ – უზენაესი ერთის შესახებ, მაგრამ ეს „უნანამძღვრო სანყისი“ – უზენაესი ერთი ანუ ღმერთია.

ზემოაღნიშნულიდან, – ბაჩანა ბრეგვაძეს, – გამოპყავს შემდეგი დასკვნა: „მოუხედავად იმისა, ურთიერთსაპირისპირო ტემპორალურ რეალობებად აღვიქვამთ დროსა და მარადიულობას, თუ დაპირისპირებულთა ერთობის სახით, გაცილებით მეტი საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ რუსთველის შთაგონების წყარო თუ შემოქმედებითი იმპულსი, როცა ის ღმერთის სახელად „უფამო ფამს“ ქმნიდა, პლატონის დიალექტიკური მოძღვრება უფრო იყო, ვიდრე ფსევდო-დიონისე არეოპაგელის კატაფატიკა-აპოფატიკა, რომელსაც, კიდეც ერთხელ გავიმეორებ. პლატონის დიალექტიკაში აქვს ფსევდი გადგმული“ (1.444).

ბ. ბრეგვაძეს განხილული აქვს „ვეფხისტყაოსნის“ კიდეც ერთი სტროფი „პლატონური დიალექტიკის შედეგთან“ – „პარმენიდესთან“ მიმართებაში, რაც მისი აზრით, განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა პლატონის ფილოსოფიასა და რუსთველის გენიალურ პოეტურ შემოქმედებას შორის არსებული მჭიდრო კავშირის წარმოსაჩენად:

**„ვინ დამბადა შექლებაცა მანვე  
მომცა ძლევად მტერთა;  
ვინ არს ძალი უხილავი შემწე  
ყოვლთა მინიერთად,**

**ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებს, მას  
უკედავი ტყუილმტყუარად  
იგი გახდის წამის ყოფით ერთსა  
ასად, ასა ერთად“.**

ავტორს მიაჩნია: ყურადღება უნდა გავამახვილოთ მოტანილი ამონარიდიდან მე-3 და მე-4 სტროფებზე „ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებს, და „იგი გახდის წამის ყოფით ერთსა ასად ასა ერთად“. საზღვრის დასაზღვრება ანუ საზღვრის დადება ანტიკურ ფილოსოფიაში და კერძოდ პლატონის იალოგებში „ფილებოსი“, „პარმენიდე“ და სხვა. განსაკუთრებული განხილვის საგანია: „უსაზღვროება“ (ტო აპეირონ) და „ზღვარი“ (ტო პერას) ურთიერთდაპირისპირებული, მაგრამ მჭიდრო ერთიანობას წარმოადგენენ, მათი ურთიერთშერწყმის შედეგია მთელი ბუნება და წესრიგი სამყაროსი, ხოლო, თანაფარდობა საზღვარს უდებს უსაზღვროსა და უშუალოდ ერთფეროვნებას და განაპირობებს მრავალფეროვნებას. ამ პრობლემასთან მჭიდროდაა დაკავშირებული ერთისა და სიმრავლის პრობლემა. „პარმენიდეში“ დასაბუთებულია, რომ „თუ ერთი არ არსებობს, არაფერი არ არსებობს (166c). „ერთარსი“ ნამდვილი არსია, მასთან დაპირისპირებულია სიმრავლე, მაგრამ ისინი განუყრელ დიალექტიურ კავშირში არიან. „პარმენიდეში“ საკმაოდ დიდი ნაწილი (137c-166c) დათმობილი აქვს აღნიშნულ პრობლემას. „ვეფხისტყაოსნის“ ზემოთ მოტანილ სტროფებსა და პლატონის აღნიშნულ დებულებათა შორის მჭიდრო კავშირი დღესავით ნათელია; ზემოთ თქმული საფუძველს აძლევს ბ. ბრეგვაძეს კატეგორიულად ამტიკოსს: მსოფლიო მწერლობის ისტორიაში იშვიათად თუ მოიძებნება მეორე პოეტი, უფრო ღრმად და სა-



ფუძვლიანად რომ იცნობდეს პლატონის ფილოსოფიურ მოძღვრებას: ისეთი როგორც შოთა რუსთაველია (1.45).

ასეთია ფილოსოფოსის, მკვლევარისა და მოაზროვნის ბაჩანა ბრეგვაძის მიერ ორი გენიოსის – დიმიტრი სოფოსის პლატონისა და შოთა რუსთაველის შედეგების დიდოსტატის – შოთა რუსთაველის შედეგთა ნარმოჩენილი ანალიზი, შესანიშნავ გამოკვლევაში „პლატონი და რუსთაველი“.

დის მიერ ორი გენიოსის – დიმიტრი სოფოსის პლატონისა და შოთა რუსთაველის შედეგების დიდოსტატის – შოთა რუსთაველის შედეგთა ნარმოჩენილი ანალიზი, შესანიშნავ გამოკვლევაში „პლატონი და რუსთაველი“.

### ლიტერატურა:

1. პლატონი „პარმენიდე“, თბ., 2002, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, დამატებები და კომენტარები დაურთო ბაჩანა ბრეგვაძემ.
2. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1981.
3. Посев А., Жизненный и творческий путь Платона. - Платон соч. в трёх томах, т. 1, М., 1968.
4. ბოურა მორისი, პოემა „ვეფხისტყაოსანი“, თბ., 1966.
5. ხინთიბიძე ე. „მსოფლმხედველობითი პრობლემები „ვეფხისტყაოსანში“, თბ., 1975.
6. პლატონი, „ტიმეოსი“, თბ., 1994. თარგმნა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო ბაჩანა ბრეგვაძემ.
7. Гейзенберг В., Шаги за горизонт, М., 1987.
8. პლატონი, „სოკრატეს აპოლოგია“ თბ. თარგმნა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო ბაჩანა ბრეგვაძემ.
9. Плотин, эннеады, 11, Киев, 1996.
10. შ. ხიდაშელი, „ქართული ფილოსოფიის ისტორია“, თბ., 1988.





ლაიოშ ტარდი

## გზა საქართველოს გავლით

ცნობილი უნგრელი ქართველოლოგის – დოქტორ ლაიოშ ტარდის (1914-1990) ნინამდებარე სტატიის მიმოხვედნის შესაძლებლობა ეძლევა, გაეცნოს თურქმანთა სახელმწიფოს აყ-ყოიუნლუს გამგებლის – უზუნ-პასანის ელჩის, წარმომოხებით ვენეციელის, კატერინო ზენოს დიპლომატიურ მოღვაწეობას საქართველოსთან და უნგრეთთან მიმართებით, რაც, ჩვენი აზრით, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ქართველი მკითხველისთვის.

### უზუნ-პასანის (1451-1478) ელჩის – კატერინო ზენოს გზა საქართველოს გავლით უნგრეთის მეფის – მათიაშის (1458-1490) კარზე

მიუხედავად იმისა, რომ სპეციალური ლიტერატურა კატერინო ზენოს საყოველთაოდ აღიარებულ ვენეციელ მოგზაურთა რიგს მიაკუთვნებს და სამართლიანად უწოდებს მას პირველ დიპლომატს, ვინც თავისი სიკვდილის შემდეგ ჩანანერები დატოვა სპარსეთის შესახებ, ჩვენ მაინც ბუნებრივად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ ფარაგო პეტერნეს შესანიშნავ მონოგრაფიაში უნგრულ ენაზე სახელწოდებით „ალორძინების ეპოქის იტალიელი ბურჟუაზიის იდეოლოგია და აღმოსავლეთის მოგზაურობანი“ (1957, ბუდაპეშტი), რომელიც მიძღვნილია სახელოვანი მოგზაურებისადმი აღმოსავლეთის ქვეყნებში, კატერინო ზენო არ მოიხსენიება და აზიის ქვეყნებში ცნობილ მოგზაურთა რიცხვში მხოლოდ მისი ორი ნათესავის – ნიკოლო და ანტონიო ზენოს სახელს ვხვდებით. ჯოზაფეტე ბარბაროს და

ამბროჯიო კონტარინის მოგონებები სპარსეთსა და საქართველოზე, რომლებიც კატერინო ზენოს პირდაპირ კვალდაკვალ მისდევდნენ, მთლიანად შემორჩა და სამართლიანად შეიძლება ეწოდოს მათ ალორძინების ეპოქის მოგზაურის ჩანანერების შედეგები. კატერინო ზენოს ჩანანერები უფრო საინტერესოა და პიონერულ ხასიათს ატარებს, რამდენადაც ეს წერილები გვანდებიან უფრო თვალსაჩინო და ფართო მასალას პირადი შთაბეჭდილებების და გარემოებების შედეგად მიღებულს, მაგრამ მათ უფრო მკაცრი ბედი ერგოთ. კატერინო ზენოს ჩანანერები ჯერ კიდევ არ არის ნაპოვნი ან, რაც ყველაზე უფრო სარწმუნოა, სამუდამოდ დაიკარგა და შემორჩა მხოლოდ ძალზე მცირე მოცულობის მასალა, რომელიც მისმა ერთმა შთამომავალმა პირდაპირი ხაზით – ნიკოლო ზენომ გამოსცა 1558 წელს, ვენე-



ციაში ნაპოვნი ზენოს ჩანაწერების ნაწყვეტების საფუძველზე, სახელწოდებით „*Dei Commentarii del viaggio in Persia di M. Caterino Zeno il K. et delle guerre fatte nell'Imperio Persiano dal tempo di Vsuncassano*“ („კომენტარები მუსიკატერინო ზენოს სპარსეთის იმპერიის მოგზაურობაზე და იქ წარმოებულ ომების შესახებ ვსუნკასანოს დროიდან“). ამ სტატიის უტყუარობა სავსებით მტკიცდება იმ ეპოქის დოკუმენტური მასალით, რომელიც ინახება ვენეციურ არქივში სახელწოდებით „ფარარი“. ეს ნაშრომი, ხელახლა გამოცემული 1606 წელს ანალოგიური ტექსტით და შემდგომ 1783 წელს ფართო ჩანართებით, რომელიც ეყრდნობა პირველად ხელნაწერს და ატარებს რომანის ხასიათს, შეიცავს ძალზე ბევრ მონაცემს იტალიელ ჰუმანისტთა თვალთახედვის შესახებ ისლამზე.

ჩვენთვის ეს ნაშრომი, პირველ რიგში, საინტერესოა თავისი კავშირით საქართველოსთან და უნგრეთთან. გარდა ამისა, ჩვენ გაგვაჩნია ელჩ კატერინო ზენოს მოხსენებითი ბარათები, რომლებიც მის მიერ გამოგზავნილია სპარსეთიდან და მათზე დამყარებული დიპლომატიური მიწერ-მონერა. ეს მოხსენებითი ბარათები შესანიშნავად ავსებენ მისი მგზაურობის ჩანაწერების მნიშვნელოვან ნაწილს.

კატერინო ზენოს მისია აუცილებელი გახდა ვენეციის რესპუბლიკის პოლიტიკამ, რომელიც, მართალია, მოესწრო თავის აყვავებას, მაგრამ შევიწროვებული იყო ოსმალთა იმპერიისგან.

კოლონიათა თანდათანობით დაპყრობის გზით თურქებმა ძლიერ შელახეს ვენეციის როლი და ძალაუფლება მსოფლიო ვაჭრობაში. 1453 წელს კონ-

სტანტინოპოლის დაპყრობა უკვე ქერიოზულ დარტყმას წმინდაწმინდა მარკოსის რესპუბლიკისადმი. ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქის დაცემამ, ვენეცია მისი სიმდიდრის მთავარ წყაროს – საზღვაო ვაჭრობის მნიშვნელოვან ხაზს მოსწყვიტა; ოსმალთა დამპყრობლები ჯიუტად იცავდნენ ბოსფორის სრუტეს – კარს, რომლის გავლითაც შემოდიოდა განძი აღმოსავლეთიდან.

ვენეცია, რომელიც პაპ პიუს II-ის ჯვაროსნულ ლაშქრობებში მონაწილეობამდე უკვე დიდი ხნით ადრე იმედოვნებდა, რომ გასტეხდა სულთან მოჰამედ II-ის ხელისუფლებას, დაწყებული 1563 წლიდან იბრძოდა თურქთა წინააღმდეგ, მაგრამ მისი ძვირადღირებული დაქირავებული ჯარისკაცები განსაკუთრებული ერთუზია შიმის გარეშე იბრძოდნენ და არ შეეძლოთ მოკავშირეთა შეცვლა. საქმე ის არის, რომ იტალიის ზოგიერთი სამთავრო ერთმანეთს შორის შინაომებს აწარმოებდა, ხოლო დანარჩენ სამთავროებს კი თავიანთი გეოგრაფიული მდებარეობის გამო არ შეეძლოთ, ანდა არ უნდოდათ ექპარათ საფრთხის ქვეშ მყოფი ვენეციის დახმარება. კუნძულოვანი იმპერიის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მარგალიტი, იმდროინდელი სახელწოდებით ვეზეა, აგრეთვე მაშინდელი ნეგროპონტი 1469 წელს თურქთა ხელში მოხვდა და ვენეციისთვის საფრთხე უფრო რეალური გახდა. იტალიის სამთავროებისადმი დახმარების ხელის გამოსანდვლად დაგზავნილ მიმართებებში, სინიორია უკვე გამოხატავდა იტალიური გაერთიანების იდეას, ხოლო დეტალურად დამუშავებული სამხედრო გეგმა იმედს ამყარებდა საგანგებო მნიშვნელობის მქონე გამოსვლაზე



თურქთა წინააღმდეგ უნგრეთის მხრიდან, რომლის მიმართაც ამ დრომდე მტრულად იყო განწყობილი. 1470 წლის 22 დეკემბერს აღდგენილ იქნა იტალიური ლიგა, რომელიც პაპ ნიკოლოზის დროს შეიქმნა. 1471 წლის 1-ელ იანვარს სიცილიის მეფე ფერდინანდმა კავშირი დადო ბურგუნდიასთან, კეიპროსთან, როდოსთან და სხვა სახელმწიფოებთან, მაგრამ დაპირებებს მოქმედებები არ მოჰყოლია და საფრთხე სულ უფრო უახლოვდებოდა ვენეციას.

ამ დროს ვენეციაში გამოჩნდნენ ქართველი მეფის – კონსტანტინეს ელჩები, რომლებმაც როგორც თავიანთი ხელმწიფის, ისე სპარსეთის მბრძანებლის უზუნ-ჰასანის სახელით შესთავაზეს სინიორიას კავშირი საერთო მტრის, – თურქების წინააღმდეგ. მალე ვენეციაში უზუნ-ჰასანის პირადი ელჩიც ჩავიდა.

სახელმწიფო მოღვაწეებმა, რომლებიც ვენეციის პოლიტიკას თავრიზში მყოფ სოფდაგართა მეშვეობით წარმართავდნენ, რომლებიც ინფორმაციის შეგროვებას ეწეოდნენ, კარგად იცოდნენ, რომ აღორძინებულმა სპარსეთმა, ენერგიული და ძლიერი უზუნ-ჰასანის მმართველობის დროს, თურქებს უკვე არა ერთი დარტყმა მიიყენა; გარდა ამისა, მათთვის ცნობილი იყო, რომ შეეძლოთ იმედი ჰქონოდათ საქართველოსთან თანამშრომლობისა, უფრო სწორად, მის ტერიტორიაზე ჩამოყალიბებულ ქართულ სამთავროებთან თანამშრომლობისა. ვენეციის სახელმწიფო მოღვაწეები ეძებდნენ თურქული პრობლემის მშვიდობიანი გადაწყვეტის გზას თავიანთი სტამბულელი დიპლომატების შემწეობით. ორი აზიატი მონარქის წინადადება ვენეციის სახელმწიფო

მოღვაწეთათვის სერიოზული სახე-რიერების შესაძლებლობას უზრუნველყოფდა და ისინი სიფრთხილით შეუდგნენ მოლაპარაკებას უეცრად ჩამოსულ ელჩებთან, თუმცა, ამავ დროს, მშვენივრად ესმოდათ პრობლემის სირთულე, რომელიც დაკავშირებული იყო განსაკუთრებით დიდ გეოგრაფიულ მანძილებთან; ვენეციის სახელმწიფო მოღვაწენი საომარ მოქმედებათა შეთანხმებასთან დაკავშირებულ სიძნელებებშიც კარგად ერკვეოდნენ.

სულთნის კარის ქედმოუდრეკლობის და დაუთმობლობის გამო, სტამბოლის მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდა და სპარსეთის და საქართველოს მონარქების ახალმა ელჩებმა შესძლეს კონკრეტული მოლაპარაკებების დაწყება ვენეციის სენატთან.

უზუნ-ჰასანის ელჩი არ ამეტებდა, როცა საუბრობდა იმის შესახებ, რომ მისმა მბრძანებელმა დაიპყრო უზარმაზარი ტერიტორიები მცირე აზიაში, მიიტაცა ერსინდჯანი, სივასი, მინისაგან პირისა ალგავა ანატოლია და ყოველივე ამის გაკეთება შეძლო არა მხოლოდ ძალით და იარაღით, არამედ სიბრძნით, სათნოებით და ხელშეწყობი ფორტუნის ნყალობით და გახდა ტამერლანის იმპერიის მემკვიდრე“; ვენეციელი პოლიტიკოსები სამართლიანად სცემდნენ პატივს სპარსეთის ძალას, რომელიც კვლავ ერთიანი გახდა და, ასევე, ამ ქვეყნის მოკავშირეებს. თურქთა წინსვლა საფრთხეს ქმნიდა, რომ საქართველოს, ამ ძველი ქრისტიანული, უძველესი კულტურის მქონე ქვეყნის სახელმწიფოებრიობა მოისპობოდა და ჩაკედებოდა, რომელიც წარმოადგენდა ბუნებრივ მოკავშირე ძალას ოსმალთა იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ვენეციასთან კავშირის ძებნის გზებთან უზუნ-ჰასა-



ნი მაჰმადიანთა შორის ჰეგემონიისთვის გამართულმა გაცხარებულმა ბრძოლამ მიიყვანა. გარდა ამისა, იყო კიდევ ერთი გარემოება, რომლის უგულვებელყოფაც არ შეიძლება, სახელდობრ, ის, რომ უზუნ-ჰასანის მეუღლე, ტრაპეზუნდის იმპერატორის ქალიშვილი, დესპინა ნარმოშობით ვენეციიდან იყო დედის მხრიდან. ამ ფაქტის აღიარებამ, თუმცა არა პირველ რიგში, ხელი შეუწყო იმას, რომ სინიორიამ უკვე 1471 წლის 7 მარტს დაინიშნა კატერინო ზენო დელეგაციის ხელმძღვანელად, რომელიც სპარსეთის მონარქის უზუნ-ჰასანის კარზე და ქართველ მეფე ალექსანდრესთან უნდა გამგზავრებულიყო.

თუმცა გამგზავრება გაჭიანურდა, ძალზე ფრთხილმა ვენეციის სახელმწიფო საბჭომ საბოლოო გადაწყვეტილება მხოლოდ მას შემდეგ გამოიტანა, რაც სულთანმა არ მიიღო ვენეციის წინადადებები მოლაპარაკებების დაწყებაზე და უარი თქვა ვენეციის ელჩების მიღებაზე. ამ ვითარებამ და აგრეთვე უზუნ-ჰასანის და ქართველი მეფის ახალი ელჩების გამოჩენამ, რომლებიც პოლონეთის გავლით ჩამოვიდნენ, ბოლოს და ბოლოს, აიძულეს სინიორია 1471 წლის 18 მაისს მიეღო გადაწყვეტილება, ხოლო შემდეგ კი, იმავე წლის 10 სექტემბერს გამოეტანა საბოლოო მითითებანი, რომლებიც შეიცავდნენ დანვრელებით ინსტრუქციებს უკვე დიდი ხნის წინათ დაინიშნული ელჩის კატერინო ზენოს ვენეციიდან გასვლის შეჩერების მიზეზთა ახსნით. კატერინო ზენო იღებს რწმუნებულების სიგელებს უზუნ-ჰასანისთვის და ქართველი მეფისთვის გადასაცემად; ამ რწმუნებულების სიგელების დანიშნულება ის არის, რომ შეამსუბუქოს კატერინო ზენოს ძალ-

ზე ძნელი დავალებანი და მოწყობიანნი. სინიორია უკვე 1471 წლის 24 სექტემბერს ანუ დის ცნობას სიცილიის მეფეს, რომ ჩამოვიდნენ ახალი საელჩოები სპარსეთიდან და საქართველოდან პოლონეთის გავლით და, რომ კატერინო ზენო პაპის ელჩის თანხლებით, რომელიც ფრანცისკანელთა ორდენის ბერია, გაემგზავრა თავისი მისიის შესრულების მიზნით. 1472 წლის 30 აპრილს კატერინო ზენო თავრიზში ჩადის.

ერთი ნამით მივაპყროთ ჩვენი მზერა პიროვნებას, რომელმაც ევროპის ისტორიაში ერთ-ერთმა პირველმა, მიიღო უფლება, რომ შეექმნა სიცოცხლისუნარიანი თანამშრომლობა ერთმანეთისგან განსაკუთრებით დიდ მანძილზე მყოფ ორ სახელმწიფო დაჯგუფებათა შორის მესამე სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელსაც საერთო მტრის სახით ყველაზე დიდი ძალაუფლება გააჩნდა.

კატერინო ზენო – ზუსტად ისე, როგორც კონტარინი, ფოსკარი, ბადოარი, მოჩენიგო და სხვები, სოფდაგარ-არისტოკრატთა ისეთი ვენეციური ოჯახიდან წარმოდგებოდა, რომელმაც, როგორც ადრე, ისე მომდევნო ასწლეულთა განმავლობაში, რესპუბლიკას მთელი რიგი შესანიშნავი მწერლები, პოეტები, სახელმწიფო მოღვაწეები, სარდლები და მოგზაურები მისცა; მათ შორის კარლო ზენომ უნგრელთა წინააღმდეგ წარმატებით წარმოებულ ომის მსვლელობის დროს დაფნის გვირგვინები დაიმსახურა. ჩვენთვის ცნობილი არ არის კატერინო ზენოს დაბადების ზუსტი თარიღი; სინამდვილეს შეესაბამება მხოლოდ ის, რომ ის დაიბადა ცოტა ადრე, ვიდრე 1450 წელი დადგებოდა. კატერინოს მამამ, დრაგონე ზენომ შვილს



არა მხოლოდ შესანიშნავი აღზრდა მისცა, არამედ პრაქტიკულად მოამზადა ის ვენეციელ პატრიციანთა ოჯახების ტიპური ცხოვრების წესისთვის, რომლის განუყოფელ ნაწილსაც მოგზაურობები წარმოადგენდა. დრაგონე ზენოს შვილი, თავისთან ერთად, შორეულ მოგზაურობებში მიჰყავდა, აცნობდა მას ადამიანებს, რომელთაც ტოლფარდი მნიშვნელობა გააჩნდათ ნაოსნობისა და გარიგებათა დადების სხვადასხვა სფეროში. დრაგონე ზენო გარდაიცვალა ერთ-ერთი თავისი მოგზაურობის დროს ქ. დამასკოში. მალე კატერინო ზენო პერცოვ ნიკოლო კრესპოს ქალიშვილ ვიოლანტაზე დაქორწინდა. ამ ქორწინების შედეგად ის უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა არა მხოლოდ ყველაზე ძლიერ ვენეციელ მმართველ წრეებს, არამედ ბევრ სამეფო კარსაც. ვიოლანტას დედა ტრაპეზუნდის უკანასკნელი იმპერატორის მეუღლე იყო; მათი ქალიშვილი დესპინა კი უზუნ-ჰასანის მეუღლე გახდა.

ეს ოჯახური კავშირები და, აგრეთვე, ზენოს მიერ აღმოსავლეთში მოპოვებული გამოცდილება საფუძვლად დაედო კავშირს სპარსელებთან და ქართველებთან. კატერინო ზენოს შეხედულებათა შედეგები ჩვენ შეგვიძლია აღვადგინოთ შესანიშნავად შემონახულ დიპლომატიურ-დოკუმენტურ მასალათა მიხედვით, რომლებიც თითქმის სრულად შეიძლება იქნენ მიჩნეულნი; თუმცა აქ ჩვენ მხოლოდ მგზავრის ჩანაწერებით და აგრეთვე მათი გვიანდელი ხანის უკვე გადაშუშავებული სახის გაცნობით შემოვიფარგლებით.

შვილიშვილი, რომელმაც მოგვიანებით გამოაქვეყნა ეს დოკუმენტები, წინასიტყვაობაში წერს, რომ თავისი წინაპარი კატერინო ზენო არის პი-

როვნება, ვინც „პირველმა კდნერა სპარსეთის მოვლენებზე“ მიწვევასკერიპტიები, რომელსაც, როგორც მაშინ ჩანდა, გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნდა.

წინარმოების პირველი ნიგნიდან, რომელიც ორი წინაწილისგან შედგება, ჩვენ ვიგებთ, რომ თურქების მხრიდან საფრთხის გაზრდის შედეგად, აუცილებელი გახდა კატერინო ზენოს მისია. აზიიდან მოსული წინადადება კავშირის დადების შესახებ, მოულოდნელი საჩუქარი აღმოჩნდა ვენეციის რესპუბლიკისთვის. სპარსეთის ერთ-ერთი ელჩი ხაჯი-მოჰამედი ვენეციაში დარჩა, ხოლო მეორე, ებრაელი ექიმი ისააკი კი ეწვია პაპს, შემდეგ უნგრელ და ნეაპოლიტანელ მეფეებს, რათა დაეყოლიებინა ისინი, რომ დაენახათ საომარი მოქმედებანი თურქების წინააღმდეგ. ვენეციის რესპუბლიკას თავდაპირველად უნდოდა სპარსეთში გაეგზავნა მიქელე ფრანჩესკო, შემდეგ ჯაკომო დე მეზა, მაგრამ მათ უარი განაცხადეს დაეალებების შესრულებაზე. კატერინო ზენო, ვინც შვიდი კაცისგან შემდგარი ელჩობის სათავეში იმყოფებოდა, უფლებამოსილი იყო ეცნობებინა უზუნ-ჰასანისთვის, რომ რესპუბლიკა შეაიარაღებდა თურქებთან საბრძოლველად ას დიდ და მომცრო ზომის ბევრ გალერას და სპარსელებს სამხედრო და მატერიალურ დახმარებას გაუნეცდა.

ჩვენ ვიგებთ, რომ ვაზიმი რამდენიმე თვის დაყოვნების შემდეგ, რომლის დროსაც ცოდოსშიც შეჩერებულა. ზენო თავრიზში ჩავიდა, სადაც მას ბრწყინვალე მიღება მოუწყვეს, რომლის შემდეგაც, არსებითად, დაწყებულ იქნა მოლაპარაკებები საქმის ორგანიზაციის მიხედვად იმისა, რომ თვით უზუნ-ჰასანიც ევროპელებთან თანამშრომლობის მომხრე ყოფილა, საგა-



რეო პოლიტიკის ძაფებს მის ზურგს უკან დესპინა ქსოვდა, მხოლოდ ახლა უკვე კატერინო ზენოს აქტიური დახმარებით. დესპინამ დაიყოლია ქმარი, რომ თავის მხარეზე გადაებირებინა ერთ-ერთი ქართველი თავადი, რათა ბრძოლა დაეწყო თურქებთან. ვენეციელებმა მთელი ზამთრის განმავლობაში არავითარი ზომა არ მიიღეს და ამიტომ უზუნ-პასანმა გადაწყვიტა თავისი იარაღი თათრების წინააღმდეგ მიემართა. სწორედ ამიტომ იყო, რომ ოცი თვის მერე, კატერინო ზენოს საელჩოს გამგზავრების შემდგომ, სინიორიამ ოსმალეთში გაგზავნა ჯოზაფეტე ბარბარო იარაღის მნიშვნელოვანი რიცხვით, ზარბაზნებით, საბრძოლო მასალების დამზადების ოსტატებით და დაახლოებით ასი არტილერიისტით. სულთანმა მოჰამედ II-მ დიპლომატიურ ხერხს მიმართა: სამშვიდობო ზავის დადების თაობაზე უზუნ-პასანთან ელჩები გაგზავნა ხელსაყრელი წინადადებებით, მაგრამ ზენომ და, უმთავრესად, დესპინამ შეძლეს თავიანთი პირადი გავლენით წინ აღდგომოდნენ ამ შეთანხმების დადებას და თურქი ელჩები დაბრუნდნენ სულთანთან თავიანთი ამოცანის შესასრულებლად.

ამის შემდეგ იწყება XV საუკუნის უდიდესი სამხედრო ბრძოლა აზიასში. ზენო გარდაცვლილ თურქულ უზუნ-პასან-

ნის არმიას, რომლის რეგულარული ნიშნავი აღჭურვილ ჯარსად გადაიქცევა და გამოიყურებოდა. სპარსელები და მათ მხარეზე მებრძოლი ქართველები სექტემბერში სივას იკავებენ, ხოლო შემდეგ კი – ერსინჯანს და ტოკატს.<sup>1</sup> ოსმალთა იმპერია სრული განადგურების პირას აღმოჩნდა, უზუნ-პასანს კი უკვე შეეძლო თავი მის მიერ შექმნილი მსოფლიოს ყველაზე ძლიერი იმპერიის ბატონ-პატრონად ეგრძენო.

მთელი რიგი განუწყვეტელი გამარჯვებების შემდეგ, 1473 წელს დადგა თურჯანთან დამარცხების ფაჩი, რომლის მოწმეც თვით კატერინო ზენო იყო. ამ ბრძოლას უზუნ-პასანის იმპერიის დაცემა არ გამოუწვევია. მოგვიანებით ეს ზარალი შევსებულ იქნა უამრავი გამარჯვებებით, თუმცა უზუნ-პასანი უკვე აღარ წარმოადგენდა მოსალოდნელ საფრთხეს ოსმალთათვის, რომელთა სახელმწიფო იმ დროს მსოფლიო მნიშვნელობისა იყო.

უნგრეთის სახელმწიფოს თურჯანთან წაგების შედეგებზე ზენო მიუთითებს დრამატულად საინტერესო ეპიზოდის აღწერით. ამ ბრძოლიდან რამდენიმე კვირის გასვლის შემდეგ სულთანი შეხვდა უნგრეთის მეფის მატიაშის ელჩს: სულთანი „... ძალზე სწრაფად დაბრუნდა სივასში, ხოლო შემდეგ ტოკატში, სადაც იმყოფებოდა

<sup>1</sup> უზუნ-პასანი და ქართველი მეფეები ენდობოდნენ არა მხოლოდ ვენეციას, არამედ მათ გააწინადათ გეგმები უნგრეთთან მიმართებით; ამას გვიმონებებს საინტერესო ნაწყვეტი წერილიდან, რომელიც, შედგენილ იქნა სტამბოლში 1472 წლის 27 ოქტომბერს: „13 სექტემბერს სულთანთან უზუნ-პასანის ორი წარგზავნილი მიიყვანეს, რომელთაც თან მისი წერილი ჰქონდათ უნგრეთის მეფესთან გადასაცემად. სულთანმა მათ ბევრი შეკითხვა დაუსვა და დაპირდა, რომ სიცოცხლეს შეუნარჩუნებდა, სანაცვლოდ კი ისინი მოუყვანენ სულთანს, რომ უზუნ-პასანი ახლა ყველანაირი საშუალებით მზად იყო მხარი დაეჭირა უნგრეთის მეფისთვის სულთნის წინააღმდეგ, რომ იგი შეუთანხმდა უნგრეთის მეფესა და ვენეციის სინიორიას, რათა ხელსაყრელ მომენტში ყველა მოკავშირე სახელმწიფო ოსმალთა წინააღმდეგ გამოსულიყო.“ (ი. ნოძი - „ზაფხულის კრებული“; ტ. II, გვ. 242).

უნგრეთის მეფის ელჩი. მან შეაფერხა თავისთან ელჩი იმ ვერაგული საბაბით, რომ თითქოს მას (ე. ი. სულთანს) განზრახული აქვს ჯერ განთავისუფლდეს სპარსეთის წინააღმდეგ ომისგან, ხოლო შემდეგ დადებს ზავს უნგრეთის მეფესთან, რომლისკენაც ის (ე. ი. უნგრეთის მეფე) იღვწის. სულთანმა მოიმოქმედა ყოველივე ეს იმ წინასწარ ჩაფიქრებული განზრახვით, რომ უნგრეთის ჯარებს ის ამგვარ შევიწროებულ მდგომარეობაში არ შეენახებინათ. მაგრამ, მოპოვებული გამარჯვების შემდეგ, სულთანმა ელჩი ხელცარიელი გაუშვა. ამით მან დიდი ზარალი მიაყენა უნგრეთის მეფეს და მოატყუა მთელი ქრისტიანული სამყარო. უნგრეთის მეფეს რომ ესარგებლა შესაძლებლობით, ეჭვგარეშეა, არც ისე მრავალრიცხოვანი სამხედრო ძალებით იგი შეძლებდა გაეყარა თურქები არა მხოლოდ საბერძნეთიდან, არამედ შიშის ქვეშ ჰყოლოდა მთელი აზიაც.<sup>2</sup>

უზუნ-ჰასანმა, ვინც, ჯერ კიდევ, რამდენიმე დღის წინ სამართლიანად თვლიდა თავს აზიის მბრძანებლად, როგორც კატერინო ზენო ნერს, ახლა უკვე სულდამძიმებულ გუნებაზე გადაწყვიტა, გაეშვა სამშობლოში მუდმივად მასთან მყოფი უნგრელი და პოლონელი ელჩები, რომ ისინი მისი შემდგომი განსაცდელებისა და შესაძლებელი წარუმატებლობების მონეგები არ გამხდარიყვნენ. ამავე დროს მან დაავალა ზენოს, ახლა უკვე როგორც სპარსეთის ელჩს, რომ წაეღო ნერილები ევროპის მონარქებისთვის, რომლებიც ასევე რთულ და გაურკვეველ ურთიერთობებში იმყოფებოდნენ თურქებთან, და რომ ეთხოვა მათთვის

დახმარება, რათა ხელსაყრელად მოსთავსებინათ ბრძოლა სპარსელებით.

უზუნ-ჰასანის ბრძანების თანახმად, კატერინო ზენო უნგრელი და პოლონელი ელჩების თანხლებით ტოვებს სპარსეთს. შემდგომ, ბაქოს გავლით, სალვატოპოლისში ე. ი. თანამედროვე სოხუმში ჯდება გენუელი ლუიჯი და პოზოს გემზე, რომელსაც კურსი ქ. კაფასაკენ ეჭირა.

მუსიე კატერინოს თუმც არ მიჰქონდა თავისი ჩანთით სასიხარულო ცნობები გამარჯვების შესახებ წმინდა მარკოსის რესპუბლიკისთვის, მაგრამ მაინც იმ შეგნებით, რომ შეასრულა დავალება, ავიდა გალერაზე, რომელიც მისთვის იტალიურ მიწას ნიშნავდა. ამაზრზენი იყო მისთვის იმის გაგება, რომ, როგორც კი გემის შეპატრონებ შეიტყო, თუ ვინ აიყვანა თავის გემზე, მოისურვა მისი ძალდატანებით გაგზავნა (ე. ი. კატერინო ზენოსი) კონსტანტინოპოლში, რათა თურქებისთვის გადაეცა. ეს გეგმა მხოლოდ იმიტომ ჩაიშალა, რომ ქ. კაფაში მამაცი ვენეციელი ანდრეა სკარამელი, რომელმაც თავისი სიცოცხლე სასწორზე დადო, ღამით მიიპარა გენუურ გემთან, დაეხმარა ზენოს გაქცეულიყო და დამალა ის თავის სახლში. ზენოს მთელი ფასეულობანი გემზე დარჩა. მაშინ მსახურმა მარტინომ, როგორც ანტიკური ხანის თავგანწირვის ცოცხალმა ნიმუშმა შესთავაზა თავის ბატონს, რომ გაეყიდა ის მონად და მიღებული ფულით დაესრულებინა თავის თავზე აღებული მისია. რადგან სხვა გამოსავალი არ იყო, კატერინო ზენომ მიიღო თავისი ერთგული

<sup>2</sup> ვ. ფრაკონი, მეფე მატიაშის უნგრელი დიპლომატები, ბუდაპეშტი, 1900, გვ. 146 (უნგრულ ენაზე).

მსახურის<sup>3</sup> ეს კეთილშობილური ნინა-დადება და ამგვარი გზით შეძლო გავგრძელებინა თავისი გზა.

ზენოს შემდგომ გზას, მისი შვილიშვილის შვილი ნიკოლო, რომელმაც 1558 წელს კატერინო ზენოს შესახებ შემონახული დოკუმენტები გამოსცა, შემდეგი სახით აღწერს: „მუსიე კატერინომ ბევრი სიძნელე და განსაცდელი გადაიტანა და პოლონეთში ბატონ მიქელე ამანის დახმარებით ჩავიდა, სადაც ის მიიღო მეფე კაზიმირმა, ვინც უნგრეთის მეფესთან აწარმოებდა ბრძოლას. მუსიე კატერინომ გააცნო მეფე კაზიმირს უზუნ-პასანის დავალების არსი და სთხოვა მეფეს, მოეფიქრებინა და აენონ-დაენონა ის უზარმაზარი საფრთხე, რომელიც შეიძლება წარმოშობილიყო მთელი ქრისტიანული სამყაროსთვის, თუკი სულთან მოჰამედი აღმოსავლეთის მბრძანებლებზე გამარჯვების შემდეგ, თავის ჯარებს დასავლეთის საინააღმდეგოდ შეაბრუნებდა. დე, მისმა უდიდებულესობამ დადოს მშვიდობისა და მეგობრობის ხელშეკრულება უნგრეთის მეფესთან. მეფე კაზიმირმა ყოველივე, რაც ზენომ გადასცა, კეთილგანწყობით მოისმინა და უპასუხა, რომ უნგრელებთან ომის გამო, არ შეუძლია დაიწყოს საბრძოლო მოქმედებანი თურქთა წინააღმდეგ. უფრო მეტიც, სწორედ ამ ომის გამო, მას თურქებთან კეთილგანწყობილი დამოკიდებულება აკავშირებს. მეფის ამგვარი პასუხით მუსიე კატერინო მიხვდა, თუ როგორ იყო განწყობილი

მისი უდიდებულესობის წმინდა სამხედრო სადმი და რატომ არ შეუძლია გასწავლანა უზუნ-პასანისთვის არათუ ელჩობა, არამედ წერილიც კი. ზენომ თავის გრძელ სიტყვაში დაიყოლია მეფე უნგრელებთან ზავის დადებაზე, რათა პოლონეთის მეფე არ გამხდარიყო მიზეზი იმისა, რომ უნგრეთი თავისი მდგომარეობით ვერ შეძლებდა შეესრულებინა ვალდებულებანი, რომლებსაც ის არაერთხელ ასრულებდა მტრის წინააღმდეგ ბრძოლებში. ამ საუბრებმა ისეთი დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს პოლონეთის მეფეზე, რომ კაზიმირმა უნგრეთის ელჩებთან შეხვედრიდან სამი დღის შემდეგ მათთან ზავი დადო. პოლონეთში ყოფნის დროს კატერინო ზენო შეხვდა პაოლო ონიბენეს, რომელიც უზუნ-პასანთან ვენეციის სენატის დავალებით მიემართებოდა. მან სამი წერილი გადასცა ონიბენეს – სპარსეთის, საქართველოს და სამეგრელოს მბრძანებელთათვის, რომლებშიც აქეზებდა აღმოსავლელ მონარქებს შემდგომი ბრძოლებისკენ და პირდებოდა ყოფილიყო მათი შუამავალი ევროპის სახელმწიფოთა წინაშე.“

წარმატებით შეასრულა რა თავისი მისია, კატერინო ზენო უნგრეთში გაემგზავრა.

მეფე მათიამ კორვინუსი არა მხოლოდ ნინა უნგრელ მეფეებს შორის, არამედ მთელ ქრისტიანულ მონარქებს შორისაც იარაღის ხმარების უნარი და ხელოვნების მფარველობით გამოირჩეოდა; სწორედ მან მიიღო ზე-

<sup>3</sup> მარტინოს ერთგულება დაჯილდოებულ იქნა იმით, რომ ზენოს დაბრუნების შემდეგ, სინიორიამ მაშინვე გასცა განკარგულება ერთგული მსახურის გამოსყიდვაზე, რომელიც სამშობლოში დაბრუნების შემდეგ დაჯილდოვდა სამაგალითო ქვეყისთვის და თავისი სიცოცხლის ბოლომდე იღებდა სათანადო თანხას პენსიის სახით რესპუბლიკისგან.



ნო შესაფერისად და დაჰპირდა, რომ აუცილებლად გამოეხმაურებოდა უზუნ-ჰასანის მონოდებას, რომელიც ასე კეთილად იყო განწყობილი მთელი ქრისტიანული სამყაროს მიმართ. ზენოსთან მთელი რიგი კონფიდენციალური საუბრების თუ მოლაპარაკებების ჩატარების შემდეგ, მეფემ შეაფასა მისი ღირსებები და დიდი პატივით აკურთხა რაინდად, რასაც მონმობს სიგელი, რომელიც ხელმწიფრად იქნა უნგრეთის დედაქალაქში 1477 წლის 20 აპრილს. ამის შემდეგ მუსიე კატერინომ დატოვა უნგრეთი, სადაც ის დამსახურებულად იქნა აღიარებული, და, კვლავ, როგორც სპარსეთის მონარქის ელჩმა, განაგრძო გზა რომის პაპთან და ნეაპოლიტანელ მეფესთან შესახვედრად.

აუცილებელია კიდევ ვახსენოთ 1783 წლის სრული გამოცემის, ჩვენთვის საინტერესო რამდენიმე ნაწყვეტი. ეს გამოცემა, რომელიც აგრეთვე კატერინო ზენოს მიერ აღმოჩენილ ხელნაწერებს იმონმებს, 1558 წლის გამოცემაზე უფრო ფართოა; აქ ჩვენ ვხვდებით მუსიე კატერინო ზენოს ეპოქისთვის დამახასიათებელ არა კეთილშობილურ, შეკვეცილ სტილს, არამედ XVIII საუკუნის ბოლოს გაბატონებულ, უფრო თავისუფალ იტალიურ ენას; ჩვენ გვაინტერესებს, თუ რა შემთხვევებში შეიძლება ვენეციელ მწერალ-ისტორიკოსის<sup>4</sup> დამატებანი ჩაითვალოს წარმატებითი სამეცნიერო მუშაობის რეზულტატად და რამდენად წარმოადგენენ ისინი მისი წარმოსახვის ნაყოფს ან „ნახევსებს“,

რომლებიც სერიოზულ კანკაწაწაგრო შრომის შედეგად არიან შექმნილნი.

ფორმალეონის ვარიანტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ვიდრე ზენო გამზე დაჯდებოდა, რომელიც კაფაში მიემართებოდა, საქართველოში განსაკუთრებული სახის თავგადასავლები გადაიტანა. ერთ-ერთ ციცაბო კლდეზე აღმართული ციხესიმაგრე, მან უზუნ-ჰასანის ერთ-ერთი ვასალთაგანის ადგილ-მამულად მიიღო. ციხესიმაგრეში ზენოს კარგი მიღება მოუწყვეს, მაგრამ დიდი იყო მისი შეძრწუნება, როდესაც გაიგო, რომ ციხესიმაგრის პატრონი შრისხანე რეუმედანაკომარი<sup>5</sup> იყო. ეს სახელი მთელ აღმოსავლეთში, ყოველ ადამიანში შიშს იწვევდა და ზენო უკვე თავს დალუპულად თვლიდა. ციცაბო კლდეზე აღმართული ციხესიმაგრიდან რეუმედანაკომარი თავის ყაჩაღურ თავდასხმებს აწყობს, რომლებშიც მას ქართველები ეხმარებიან; კავკასიის სხვა მცხოვრებნიც მის მიერ დანესებული კანონებით ცხოვრობენ. რეუმედანაკომარმა იცის, როგორ უნდა მოიქცეს იმ უბრალო ადამიანებთან, რომლებიც მას, როგორც თავიანთ კანონმდებელს და წინასწარმეტყველს, უდიდესი პატივისცემით ეპყრობიან. თავის მიმდევრებს რეუმედანაკომარი სამუდამო ნეტარებას პირდებოდა და ხანდახან აძლევდა კიდევ შესაძლებლობას, განეცადათ რაიმე ამ დაპირებულ ნეტარებათგან. ის ირჩევდა რამდენიმე ადამიანს და იმისთვის, რომ აღთქმულ სიბარულთაგან რომელიმე მიენიჭებინა, აბრუებდა მათ სხვადასხვა სახის

<sup>4</sup> ეინჩენცო ფორმალეონი, იტალიელი ისტორიკოსი, გეოგრაფი და მწერალი (1752-1797); ახალგაზრდობაში მთელი შავი ზღვის სანაპირო შემოიარა.

<sup>5</sup> ეს სიტყვა ნიშნავს „მთების მხცოვანს“ ფორმალეონის მიხედვით.



ბალახებით და ამგვარ მდგომარეობაში გადაჰყავდა ისინი გასაოცარი სილამაზის შემკულ ველზე, სადაც ეს ადამიანები მართლაც სამოთხისებერ სიამოვნებას განიცდიდნენ.

კატერინო ზენო ბედმა იმიტომ დაინდო, რომ მან არ გაუმხილა კავკასიის ამ ტირანს, თუ ვინ იყო და ინკოგნიტოდ დარჩა. ამასთან, მისი კეთილგანწყობის დამსახურებაც კი შეძლო და ბოლომდე განიცადა ყველა ის სიამოვნება, რომლებიც, როგორც შემდგომში ირკვევა, სხვა არა იყო რა, თუ არა სპარსელთა რელიგიის ორგია-რიტუალები და რომ რეუმადანაკომარი, სწორად რომ ვთქვათ, თავის თავს წინასწარმეტყველ „ზოროასტრის ნაცვლად“ ასაღებდა.

სინამდვილეს შეეფერება განსაზ-

ღვრება, რომლის მიხედვითაც ამჟამოქის მოგზაურების წინააღმდეგობისტიურ აღწერებს მჭიდროდ ერწყმის მისტიკური და ნოველისტიური ელემენტები.

კატერინო ზენოს მიერ ხუთასი წლის წინათ დაწერილი ჩანაწერები მონიშნავენ, რომ შეფე მატიაში აღმოსავლური ინტერესების სფეროშიც კი არ ჩამორჩებოდა იტალიური რენესანსის მონარქებს, და რომ მისი სპარსული და ქართული ორიენტაცია, რომელიც მისი შთამომავლების პოლიტიკაშიც კიდევ ნახევარი საუკუნის განმავლობაში აგრძელებდა არსებობას, ანალოგიურია ესპანური, სიცილიური, ბურგუნდიული და სხვა მონარქების ამგვარი სახის ცდებისა.

უნგრულიდან თარგმნა  
ვანო იმერლიშვილმა



ვახტანგ გრილაძე

## პირველი ქართული სააკლესიო თხზულება

ძველი ქართული საისტორიო მწერლობის შესანიშნავი ძეგლი, „უძველეს ეროვნულ მატრიანედ“ მიჩნეული „მოქცევაი ქართლისაი“ – „ნიგნი ქართლისა მოქცევისაი, რომლითა ღმერთმან ნათელი გამოაბრწყინვა“ ჯერ კიდევ არაა საფუძვლიანად შესწავლილი. ისევ საკამათოა ამ თხზულების შექმნის, შედგენილობისა და წყაროების საკითხი. გრიგოლი დიაკონის თხზულებას „მ.ქ.“ თავის ერთ-ერთ წყაროდ ასახელებს, ამიტომ საინტერესოა გაირკვეს როდის დაიწერა გრიგოლი დიაკონის მოკლედ აღწერილი „ნიგნი ქართლის მოქცევისა“, რაც მთავარია, როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი წერდა, მართლაც დაკარგულად უნდა მივიჩნიოთ იგი?

„მ.ქ.“ ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში ე.წ. „ქრონიკაში“ მოკლედაა გადმოცემული ქართლის ისტორია ალ. მაკედონელის ლაშქრობათა ხანიდან IX საუკუნემდე. მეორე ნაწილი – „ნინოს ცხოვრება“ ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების ისტორიას მოგვითხრობს.

ამ ბოლო ხანებამდე „მ.ქ=ის“ ორი – შატბერდული და ქელიშური რედაქ-

ციები იყო ცნობილი. 1990 წელს სინას მთაზე ნმ. ეკატერინეს მონასტერში აღმოჩნდა ე.წ. სინ-50 ხელნაწერი, რომელშიც გაერთიანებულია „მ.ქ.“ და „ასურელ მამათა ცხოვრების“ ნიგნები (2:37-38. სინას მთაზე აღმოჩენილია, აგრეთვე, „მ.ქ=ის“ X ს. დასაწყისის ახალი რედაქცია სინ-48, რომელშიც შემონახულია „მ.ქ=ის“ „ქრონიკა“ ნმიდა ნინოს ქართლში შემოსვლიდან ასურელ მამათა ქართლში მოსვლამდე).

„შატბერდის კრებული“ (სადაც „მ.ქ.“ არის შესული) საზოგადოებისათვის 1888 წელს გახდა ცნობილი. ამ წელს ნიკო მარმა გამოაქვეყნა მღვდელ დიმიტრი ალექსი=მესხიშვილის მიერ წერა=კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის შეწირულ ხელნაწერთა მოკლე კატალოგი (22:15). რის შემდეგაც „მ.ქ.“ მკვლევართა ყურადღების ცენტრში მოექცა: 1889 წელს გაზეთ „ივერიაში“ (№ 4,6) დაიბეჭდა თ. ჟორდანიასა („ახალი წყარო საქართველოს ისტორიისა“) და დ. ბაქრაძის („შესანიშნავი ქართული მანუსკრიპტი“) წერილები. იმავე წელს გამოქვეყნდა დ. ბაქრაძისავე „ისტორია საქართველოსი“, რომელშიც გან-



ხილულია შატბერდის კრებული და მასში შემავალი ისტორიული ხასიათის შრომები (6:57-58). დ. ბაქრაძემ „მ.ქის“ „ქრონიკის“ ცნობები „სხვადასხვა დიდი მატრიანეებიდან“ გამოკრებილად მიაჩნია (6:57).

„მ.ქის“ ცნობები 1890/91 წლებში გახდა ხელმისაწვდომი სამეცნიერო საზოგადოებისათვის. 1890 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა დაბეჭდა „შატბერდის კრებულში“ შემავალი „მ.ქის“ პირველი ნაწილი „ქრონიკა“, ხოლო 1891 წელს მეორე ნაწილი „ნინოს ცხოვრება“. მანვე უწოდა ამ კრებულს „შატბერდის კრებული“ (8:1).

1902 წელს ჭელიშის მონასტერში არქიმანდრიტმა (შემდეგში სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა) ამბროსი ხელაიამ მიაკვლია „ჭელიშის კრებულს“, რომელშიც გაერთიანებულია „მ.ქის“ ჭელიშური რედაქცია. 1907 წლის 28 დეკემბერს კი საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საერთო კრებას მოახსენა ამ უცნობი კრებულის შესახებ (2:36-37). სწორედ „მ.ქის“ ჭელიშურ რედაქციასია ცნობა გრიგოლი დიაკონის თხზულების შესახებ (შატბერდულ რედაქციას ეს ადგილი აკლია). 1921 წელს ე. თაყაიშვილმა ერთად გამოაქვეყნა „მ.ქის“ შატბერდული და ჭელიშური რედაქციები (22:43). ამის შემდეგ „მ.ქისაისადმი“ მეცნიერთა ყურადღება არ შენელებულა, არაერთი თვალსაზრისი გამოითქვა გრიგოლი დიაკონის მოღვაწეობის დროისა და მისი თხზულების რაობის შესახებ. ასე მაგ., 1916 წელს გამოცემულ „ძველი ქართული საისტორიო მწერლობისადმი“ მიძღვნილ მონოგრაფიაში აკად. ივ. ჯავახიშვილმა ჩამოაყალიბა თავისი შეხედულებები ძველი ქართული მწერლობის ძეგლების მ.შ. „მ.ქის“ მატრიანის ღირ-

სებისა და შექმნის თვალსაზრისით (26:38-43). „მ.ქის“ „ქრონიკის“ (საქართველო გოლი დიაკონის თხზულება იხსნიება) მან IX ს-ში შექმნილ „უძველეს სამოქალაქო საისტორიო ნაწარმოებად“ მიიჩნია (26:40). ამ ნაშრომის მეორე (1921 წ.) და მესამე (1945 წ.) გამოცემების შემდეგ ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისი „მ.ქის“ შესახებ თანდათან დამკვიდრდა ქართულ ისტორიოგრაფიაში. გარდა იმისა, რომ „მ.ქის“ „ქრონიკა“ XI ს-ში შექმნილ „ჩვენამდე მოღწეულ პირველ ქართულ ისტორიულ თხზულებად“, „უძველეს ეროვნულ მატრიანედ“ იქნა გამოცხადებული, მითითებული იქნა იმაზეც, რომ IX ს-ში მოღვაწე ლეონტი მროველმა, თითქოს, „ქართლის ცხოვრებაში“ შესული საქართველოს უძველესი ისტორიის გადმომცემი თხზულების – „მეფეთა ცხოვრების“ დაწერისას „მ.ქის“ „ქრონიკის“ ცნობებით ისარგებლა და იგი ლეონტის „ძირითადი წყარო“ იყო ( 27:176, 187;4:47,67; 5:43;25:29).

აქ საუბარს აღარ გავაგრძელებ, რამდენად მისაღებია „მ.ქის“ „ქრონიკის“, საერთოდ, „მ.ქის“ „უძველეს ეროვნულ მატრიანედ“ მიჩნევა, მართლა იყო თუ არა „მ.ქ.“ „მეფეთა ცხოვრების“ წყარო და უშუალოდამ გამოკვლევის ძირითად საკითხს – გრიგოლი დიაკონის თხზულების პრობლემას დაუბრუნდები.

1916 წელს ივ. ჯავახიშვილი როცა გრიგოლი დიაკონის თხზულების საკითხს შეეხო, აღნიშნა: „ახლა არც ამგვარი თხზულება, არც ამგვარი მატრიანე ცნობილი არ არიან“-ო (26:39). 1924 წელს ს. კაკაბაძე წერდა: „მ.ქის“ პირველი ნაწილი „ქრონიკა“ მეოთხე საუკუნეში ბერძნულ ენაზე შეადგინა გრიგოლი დიაკონმა. მაგრამ ეს გრიგოლი იმპერატორ კონსტანტინეს გამოგ-

ზავნილი პიროვნება კი არ იყო, არამედ ქართველი. „ქრონიკაში“ თავდაპირველად მოთხრობილი იყო ქართლის ისტორია ალ. მაკედონელიდან მირიან მეფის სიკვდილამდე (10:67-81). ს. კაკაბაძის თანახმად, გრიგოლი დიაკონის თხზულება წინ უსწრებდა რომაელი ავტორის რუფინუსის (გარდ. 410 წ.) ტექსტს. IV ს. უკანასკნელ მეოთხედში გრიგოლის მიერ ბერძნულად დანერილი თხზულება IV საუკუნეშივე ითარგმნა ქართულად. იქვე, ს.კაკაბაძე არ გამორიცხავს IV საუკუნეშივე „მ.ქ=ის“ ქართული ვერსიაც შექმნილიყო (10:81-85). „ქრონიკის“ ის ტექსტი, რომელიც მირიანის გარდაცვალებიდან სტეფანოსამდე ამბებს მოიცავს, VII ს. შუახანებში არის დანერილი (10:92), ასკვნიდა ს. კაკაბაძე.

როგორც „მ.ქ=ის“ „ქრონიკის“ შექმნის, ლირსების, ასევე ამ „ქრონიკაში“ დამონშებული გრიგოლი დიაკონის თხზულებისა და თვით გრიგოლის მოღვაწეობის დროის შესახებ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ძველი ქართული ლიტერატურის გამოჩენილი მკვლევრის აკად. კ.კეკელიძის აზრს. გრიგოლი დიაკონი, - ნერდა იგი „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ 1923 წლის გამოცემაში, „პირველ ქართველ ისტორიკოსად“ უნდა იქნას მიჩნეული. მას დაუწერია მოკლე ქართლის მოქცევის ისტორია. როდესაც ინერებოდა შატბერდულ-ქელიძური რედაქციები, გრიგოლის შრომა ჯერ კიდევ არ ყოფილა დაკარგული (11:125=126). მას შემდეგ, რაც 1927 წელს საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომაზე ნაკითხულ მოხსენებაში პროფ. სოლ. ყუბანეიშვილმა აღნიშნა, რომ „გრიგოლის შრომა არ უნდა იყოს დაკარგული“ და მისი ერთი ნაწილი ჩართულია „მოქცევის“ შატბერდულ

ვერსიაში-ესაა მე-14 სტრუქტურა 21:311-313. ეს მოხსენება გამოქვეყნდა 1945 წელს), კ. კეკელიძემ სოლ. ყუბანეიშვილის თვალსაზრისი შეიტანა ქართული ლიტერატურის ისტორიის 1941 წლის გამოცემაში. იქვე აღნიშნა, როგორც ს.კაკაბაძე წერს, გრიგოლი IV ს. კი არა, VII ს. მეორე ნახევრის მწერალი უნდა იყოსო (12:114-115).

გრიგოლი დიაკონის შესახებ თავისი მსჯელობა კ. კეკელიძემ შედარებით ვრცლად და დეტალურად წარმოადგინა ქართული ლიტერატურის ისტორიის 1960 წლის გამოცემაში. ამჯერად უფრო გამოკვეთილად აღნიშნავ: გრიგოლის შრომა ქართლის მოქცევის შესახებ „თუ მთლიანად არა, ფრაგმენტული სახით უნდა გვექონდეს ნინოს შატბერდული „ცხოვრების“ მე-14 თავში (13:127-128). მ. თარხნიშვილის სიტყვით, - განაგრძობს კ. კეკელიძე, - გრიგოლის შრომა შედგენილი უნდა იყოს შემედიდ საუკუნის მეორე ნახევარში, შეიძლება V საუკუნეშიცო (13:128).

1939 წელს ჟურნალ „მნათობში“ გამოქვეყნებულ ძველი ქართული მწერლობისადმი მიძღვნილ წერილებში (შემდეგ ისინი შევიდა თხზულებათა მეოთხე ტომში) პ. ინგოროყვამ „მ.ქ=ის“ ისტორიული ტექსტი „წარმართული ხანის ძეგლებიდან“ - „ძველი ქართული საისტორიო თხზულებებიდან“ გამოკრებილად მიიჩნია (9:255). მართალია, იქვე აღნიშნავს, რომ ლეონტი მროველის თხზულებაში (იგულისხმება „მეფეთა ცხოვრება“. ვ.გ.) წარმოდგენილია ქართლის მეფეთა ზუსტად იგივე სია, რაც „მ. ქ=ის“ მატრიანშია (9:255), მაგრამ ამ თხზულებათა ურთიერთმიმართების შესახებ არაფერს წერს. გრიგოლი დიაკონი პ.ინგოროყვას თანახმად, „უძველეს ქართველ ისტორიკოსთა რიცხვს

ეკუთვნის", „ნაწყვეტები მისი თხზულებიდან „მოქცევის“ მატრიანეში არის შეტანილი. გრიგოლი მე-4-ს საუკუნეთა მწერალი უნდა იყოსო (9:320,353).

გრიგოლი დიაკონის მოღვაწეობის დროისა და მის თხზულების შესახებ ჩვენს მეცნიერებაში, მართალია, სრულიად განსხვავებული თვალსაზრისი გამოითქვა (ს.კაკაბაძემ და პ.ინგოროყვამ იგი IV, მ. თარხნიშვილმა V, ხოლო კ.კეკელიძემ VII ს. ავტორად მიიჩნია), მაგრამ მთავარი ისაა, რომ ჯერ კიდევ 1927 წელს პროფ. სოლ. ყუბანეიშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრება „გრიგოლის შრომა არ უნდა იყოს დაკარგული“ და მისი ერთი ნაწილი ჩართულია „მ.ქ=ის“ შატბერდული ვერსიის მე-14 თავში, ძველი ქართული ლიტერატურის ისეთმა გამოჩენილმა მკვლევრებმა გაიზიარეს, როგორებიც იყვნენ: აკად. კ. კეკელიძე, პ.ინგოროყვა. მაგრამ, ამის შემდეგ ძველი ქართული ლიტერატურისა და ქართული სასულიერო მწერლობის დასაწყისის განსასაზღვრავად ეს მეტად მნიშვნელოვანი მიკვლევა კარგა ხანს უყურადღებოდ დარჩა. მხოლოდ გასული საუკუნის დასასრულს პროფესორმა რ. სირაძემ დაეინყებულ პრობლემას ახალი მასალები შემატა (იხ. ქვემოთ).

აკად. კ.კეკელიძე როცა გრიგოლი დიაკონს „პირველ ქართველ ისტორიკოსად“ თვლიდა და მას VII ს. ავტორად მიიჩნევდა, შემთხვევითი არ იყო. მას ღრმად სწამდა, რომ ახ. წ. მეხუთე საუკუნემდე ქართულ ენაზე არ მოიპოვებოდა არც ერთი ლიტერატურული, გინა თუ ეპიგრაფიკული ძეგლი, რადგან არ იყო აღმოჩენილი V ს. უფრო ადრინდელი „არცერთი ქართული წარწერა არც დედამიწის ზედაპირზე, არც მის წიაღში“. მისი მტკიცებით, მცხეთა=არამაზის გათხრების შედეგად მო-

პოვებულ მასალათა შეხვედრით დაკარგა იყო, „ქართველები დაეინყებებან“ უმთავრესად არამეული და ბერძნული დამწერლობის საშუალებით იკმაყოფილებდნენ (13:36-37).

როგორც ცნობილია, სანინააღმდეგო შეხედულებისაა არაერთი გამოჩენილი ქართველი მეცნიერი. ისინი არ უარყოფენ წინაქრისტიანულ ხანაში ქართული „მნიგნობრობის“ არსებობას ( ამ საკითხზე იხ. 6:85-95). აღნიშნულთან ერთად ქართული ფილოლოგიური და ისტორიული მეცნიერების მიღწევებს (ამ მხრივ საყურადღებოა ნუკრესის გათხრებისას აღმოჩენილი ქართული წარწერებიც. იხ. 24) თუ გავითვალისწინებთ, მაშინ IV ს. 20-30-იან წლებში წმიდა ნინოსა და მირიანის მოღვაწეობის თანადროულად, ქართულში ქრისტიანობის შემოსვლისა და გამარჯვების ამსახველი თხზულებების (მ.შ. გრიგოლი დიაკონის „მოკლედ აღწერილი წიგნი ქართლის მოქცევისა“) შექმნა, უჩვეულოდ არ უნდა მოგვეჩვენოს.

როცა გრიგოლი დიაკონის თხზულებაზე ვსაუბრობთ, უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნო. როგორც ს. კაკაბაძე ფიქრობდა, გრიგოლი დიაკონის თხზულება „მ.ქ=ის“ „ქრონიკის“ იდენტური ნაწარმოები არ იყო. „ქრონიკის“ ავტორის მიერ გრიგოლი დიაკონის, როგორც მისი თხზულების ერთ-ერთ ნყაროზე მითითებას აზრი სწორედ მაშინ ექნებოდა, თუ ისინი ერთმანეთისაგან განსხვავებული ნაწარმოებები იქნებოდნენ (3:28-29). მართლაც, „ქრონიკის“ ავტორი გრიგოლი დიაკონის თხზულებას ხომ მხოლოდ ჯერის აღმართვასთან დაკავშირებით იმონებეს. ასე რომ, საეჭვო არაა იგი „მ. ქ=ის“ „ქრონიკაზე“ ადრე შექმნილი ცალკე ნაწარმოები რომ იყო. ძველი ქართული სასულიერო

მწერლობის ამ უადრესი ძეგლის, საერთოდ, მ.ქ=ის" შექმნის დროის საკითხზე გადამწყვეტი გავლენა ვერ მოახდინა ქართული საისტორიო მეცნიერების პატრიარქის აკად. ივ. ჯავახიშვილის ავტორიტეტმა. ს.კაკაბაძისა და პ.ინგოროყვას ზემომოტანილ თვალსაზრისთა შემდეგ არაერთი საყურადღებო მოსაზრება გამოითქვა. 1984 წელს ქართულ ენციკლოპედიაში გამოქვეყნებულ წერილში – „მოქცევაი ქართლისაი“ პროფ. ზ. ალექსიძემ აღნიშნა: „თხზულებაში ზოგჯერ აღწერილი ამბების თანამედროვის ხმაც ისმის“-ო. იმავე ტომში მოთავსებულ წერილში „ნინოს ცხოვრების“ რედაქციები, პროფ. ივ. ლოლაშვილი წერს: „სავარაუდოა, რომ IV ს=ში ქართულ ენაზე მართლაც არსებობდა ქართლის გაქრისტიანების ისტორია, რომელშიც ჩართული იქნებოდა ნინოს მისიონერული მოღვაწეობა“.

„ნინოს ცხოვრების“ პრობლემებს სპეციალურად იკვლევდა მ.ჩხარტიშვილი. მისი მტკიცებით, „ნინოს ცხოვრების“ მოთხრობათა ციკლი ნინოს თანადროულადაა შექმნილი და მისგან მომდინარეობენ ქართლის მოქცევის ბიზანტიური (IV ს.) და სომხური (V ს.) ვერსიები (23:91). პროფ. რ. სირაძის დასკვნითაც, „ნინოს ცხოვრება“ IV ს=ში შექმნილი უძველესი ქართული ნაწარმოებია“, რომლის ცნობები უკვე IV-V საუკუნეების ბერძენ და სომეხ ავტორებს აქვთ გამოყენებული (19:259).

ვფიქრობ, მართალი იყო პ. ინგოროყვა, მ.ქ=ის" „ქრონიკის“ ის ტექსტი, რომელიც მირიანის წინაპრებს ეხება „წარმართული ხანის ძეგლებიდან გამოკრებილად“ რომ მიიჩნია. ამიტომაც „ქრონიკაში“ ქართლის წარმართ მეფეთა ზუსტად იგივე სია, რაც „მეფეთა ცხოვრებაში“ (9:255). საეჭვო არაა

ქართლის წარმართ მეფეთა ცხოვრებთხრობა „მ.ქ=ის“ „ქრონიკის“ მხარეში პირველი ტექსტის ავტორს სწორედ „მეფეთა ცხოვრებიდან“ რომ აქვს აღებული („ძველი ქართული საისტორიო თხზულებებიდან გამოკრებილი: დ.ბაქრაძე, ე.თაყაიშვილი, ს.კაკაბაძე, პ.ინგოროყვა). წარმართული ხანის მტინანე რომ არსებობდა, ამის დასტურად უნდა მივიჩნიოთ პ. ინგოროყვას დაკვირვება გარკვეული კორექტივით. როგორც იგი წერს, მ.ქ=ის" მატინანეში შეტანილ წარმართ მეფეთა სიაში ორმეფობის ხანის (ახ. წ. III სს.). ქვეყნის პოლიტიკური ცენტრი – მცხეთა რომ „იმეორ“ ინოდება, ხოლო საკულტო ცენტრი არმაზი „ამეორ“, იმას ნიშნავს, წარმართული ხანის ქართლის ისტორია (და არა „მ.ქ.“, როგორც ამას პ. ინგოროყვა ამტკიცებდა) არმაზში მოსამსახურე ქართველ ქურუმებს „ფამითი ჟამად“ რომ უნდა შეექმნათ.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჯერ კიდევ 1924 წელს ს.კაკაბაძის მიერ გამოთქმული მოსაზრება („მ.ქ=ის“ „ქრონიკის“, რომლის ერთ=ერთი წყარო გრიგოლი დიაკონის თხზულება იყო, თავდაპირველი მოცულობა აღ. მაკედონელის თანადროული ამბებით ინყებოდა და ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის მირიანის თანადროული ამბების თხრობით მთავრდებოდა) თანამედროვე მკვლევართა ნაწილის მიერ გაზიარებულია, მეტი საფუძველი გვექმნება, გრიგოლი დიაკონის თხზულება ერთ=ერთ უძველეს საეკლესიო ნაწარმოებად მივიჩნიოთ.

როგორც ზ.ალექსიძე წერს, თუ თავდაპირველად დაინერა ქართლის ისტორია, მირიან მეფის გარდაცვალებამდე და მასში შედიოდა ქართლის სამეფოს შექმნის, მცხეთის შენების

მშრალი ქრონიკა, წარმართ მეფეთა სია და წინოს მიერ ქართლის გაქრისტიანების ვრცელი თხრობა (იხ. 1), მაშინ სწორედ ასეთად წარმოგვიდგება „მ. ქ=ის“ პირველი ნაწილის – „ქრონიკის“ თავდაპირველი სახე და იგი, ცხადია, ქართლის პირველ ქრისტიან მეფეს-მირიანს ეძღვნებოდა. ისევე როგორც „წინოს ცხოვრების“ შექმნის დროზე საუბრისას მკვლევრები ახლა თვით ნმიდა „წინოს ცხოვრებაში“ შესულ თხრობათა ციკლის ცნობებს ითვალისწინებენ, „ქრონიკის“ თავდაპირველი მოცულობისა და შექმნის დროის განსასაზღვრავადაც მისი ტექსტის ანალიზისას მიღებული შედეგებით უნდა ვიხელმძღვანელოთ.

„ქრონიკაში“ ქართლის წარმართ მეფეთა სიას მოსდევს შედარებით ვრცელი თხრობა, რომელშიც ქრისტიანობისა და მირიანის მოღვაწეობის ამბავია გადმოცემული. იგი იმპერატორ კონსტანტინე დიდის თანადროული (ე.ი. 306-337 წწ.) ამბების თხრობით იწყება („და იყო დღეთა კონსტანტინე მეფისათა.“ 17:321). ავტორმა იცის დედოფალ ელენეს იერუსალიმში ჩასვლის ფაქტი, ქრისტიანები რომ ჯვრით სძლევენ მტერს (იგულისხმება კონსტანტინეს გამარჯვება 312 წ. მაქსენციუსზე). შემდეგი ცნობა უკვე ქართლში კონსტანტინესგან გამოგზავნილ იოვანე ეპისკოპოსის, ორი მღვდლისა და ერთი დიაკონის ჩამოსვლას ეხება. მოთხრობილია მთავარდიაკონის მითითებით ჯვრების დასამზადებლად ხის მოჭრის შესახებ (ავტორი აქ იმონშებს „ნიგნსა ქართლის მოქცევისასა გრიგოლ დიაკონის მიერ აღწერილსა“. 17:322). მომდევნო თხრობაში წინო ცოცხლად იხსენიება და, რაც მტკადად საინტერესოა, მისი პირითაა გადმოცემული 325 წელს ქ. ნიკეაში გამართული პირველი მსოფლიო

საეკლესიო კრების შინაარსი (17:323). შემდეგ მოთხრობილია, წინოს, იაკობ მღვდლისა („წინოს ცხოვრების“ ციკლის ერთ-ერთი ავტორის) და ქართლის ერისთავის „მთიელთა მოსაქცევად“ წახელის ამბავი (17:323-324). წინოს გარდა „ქრონიკაში“ ცოცხლად იხსენიება მირიანის უფროსი ძე რევი. განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ მომაკვდავ წინოსთან დაბა ბოდინში რევი და მისი მეუღლე სალომე თავიანთი საუფლისწულო მამულიდან-უჯარმიდან ჩადიან (17:324).

წინოს გარდაცვალების შემდეგ უკვე მირიანისა და დედოფალ ნანას გარდაცვალებაზეა მითითება (17:324. ამის შემდეგ თხრობას ისევ სქემატური ხასიათი აქვს).

ყოველივე ზემოთქმული, ვფიქრობ, საფუძველს იძლევა დავასკნათ: 1. „მ. ქ=ის“ „ქრონიკა“ მირიანის უფროს ძეს-რევის და მის მეუღლეს სალომეს ჯერ კიდევ საუფლისწულო მამულში უჯარმაში რომ იხსენიებს და რევის გამეფებაზე არ მიუთითებს, იმას მოწმობს „ქრონიკა“ მირიანის თანადროულად, მის სიცოცხლეში რომ შედგა (იგი მირიანის ანდერძით უნდა დამთავრებულიყო), და იგი მირიანის მოღვაწეობას ეძღვნებოდა. „ქრონიკაში“ მოთხრობილი იყო ქართლის სამეფოს შემოკლებული („გამოკრებილი“) ისტორია ალ. მაკედონელის ხანიდან მირიანის გარდაცვალებამდე (მდრ. 1).

2. ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის – მირიანის თანადროულად შედგენილ „ქრონიკაში“ დასახელებული გრიგოლი დიაკონის თხზულება, როგორც ითქვა, ამ „ქრონიკაზე“ ცოტათი ადრე უნდა დაწერილიყო.

„მ. ქ=ის“ „ქრონიკა“ და გრიგოლი დიაკონის თხზულება რომ იდენტური ნაწარმოებები არაა, ამის შესახებ უკვე მივუთითეთ. ვფიქრობ, გრიგოლის



თხზულება არც დაკარგულად უნდა მივიჩნიოთ. ანგარიში უნდა გაუწიოთ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში (სოლ. ყუბანეიშვილი, კ. კეკელიძე, პინგოროყვა) გამოთქმულ მოსაზრებას გრიგოლი დიაკონის თხზულების „მ. ქ=ის“ შატბერდული რედაქციის მე-14 თავში მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ შემონახვის შესახებ.

ახლა ვნახოთ რაა მოთხრობილი „ნინოს ცხოვრების“ მე-14 თავში.

„ნინოს ცხოვრების“ მე-14 თავი – „აღმართებაი პატიოსნისა ჯუარისა მცხეთისაი და მერმე კულად გამოჩინებაი“ (მასზე ავტორი არაა მითითებული), მართლაც, ძირითადად მცხეთის ჯვრის აღმართვის აღწერას ეხება (შემდეგ მოკლედაა გადმოცემული „პატიოსანი ჯვრის“ მიერ მოხდენილი სასწაულების შესახებ).

ჯვრის აღმართვაზე „მ. ქ=ში“ სამჯერაა თხრობა: პირველად ჯვრების აღმართვაზე მოთხრობილია „ქრონიკაში“ (როგორც ითქვა, აქაა დამონმებული გრიგოლი დიაკონის თხზულება). შემდეგ ჯვრის აღმართვის შესახებ თხრობაა „ნინოს ცხოვრების“ მე-13 თავში („პატიოსნისა ჯუარისათვის, რომელი აღწერა იაკობ“. 17:348; 19:252). როგორც პროფ. რ. სირაძე წერს, ეს თავი უნდა დასრულებულიყო სიტყვებით: „... რომელსა შუენის დიდებაი უკუნითი უკუნისამდე, ამენ“ და მისი მომდევნო მცირე მონაკვეთი აქ უადგილოა. „მ. ქ=ის“ ქელიშურ ტექსტში ამ მონაკვეთის ბოლოს არსებულ მინანერში აღნიშნულია: „დაესრულა ცხოვრებაი ნეტარისა და ბევრნილ სანატრელისა ღირსისა ჩუენისა დედისა და განმანათლებელისა უბინოისა წმიდისა ნინოისი“ (18:152; 19:252). რ. სირაძის დასკვნით, აქ მთავრდება „ნინოს ცხოვრება“ და „შატბერდის კრებულში“ შემდეგ მე-

ტანილი საკითხავი (იტყუანს მცხეთა მე-14 თავი. ვ.გ.), რომელიც მთლიანად მცხეთის ჯვრის აღმართვას ეძღვნება, „შატბერდის კრებულიდან“ მომდინარე ტრადიციისა და მიუხედავად, „ნინოს ცხოვრების“ თავად არ უნდა ჩაითვალოს, იგი მის გარეთ დგას (ეს თავი ცალკე საკითხავადაა შეტანილი კლარჯულ მრავალთავშიცო. 19:253). „მ. ქ=ის“ ქელიშურ ვერსიაში იგი არ მოიპოვება (13:127).

აღნიშნულის შემდეგ თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ „ნინოს ცხოვრებაში“ ჯვრის აღმართვის ამბავი ისტორიულ რეალობას უნდა ასახავდეს (19:254), „ქრისტიანობის გავრცელება ჯვრის აღმართვას გულისხმობს“ (19:252), მაშინ მცხეთაში ეს რიტუალი სათანადოდ რომ შესრულდა და ჯვრის აღმართვას ცალკე ნაწარმოები მიეძღვნა, იმას მონშობს ამ რიტუალს ქართლის სამეფო კარმაც დიდი მნიშვნელობა რომ მიანიჭა.

„ნინოს ცხოვრებაში“ მე-14 თავად შეტანილი ჯვრის აღმართვისადმი მიძღვნილი საკითხავი, როგორც სოლ. ყუბანეიშვილი, კ. კეკელიძე და პინგოროყვა წერდნენ იქნებ, მართლაც, გრიგოლი დიაკონის თხზულებაა? არაა გამორიცხული, დამოუკიდებელი სახით არსებული ამ თხზულების შეტანა როგორც „ნინოს ცხოვრებაში“ (ე.ი. „შატბერდის კრებულში“), ისე „კლარჯულ მრავალთავში“ (აქ ეს საკითხავი ოდნავ განსხვავებული რედაქციითაა წარმოდგენილი. 14:344-347) X ს=ში ამ კრებულთა შედგენისას მომხდარიყო (ამ საკითხავიდან სასწაულების შესახებ თხრობა ლეონტი მროველს ქართლის მოქცევის ისტორიაშიც აქვს შეტანილი. 15:123-124).

ძველ ავტორებს შუა საუკუნეებში არსებული ტრადიციის თანახმად, როგორც ცნობილია, ნინამორბეთა ნამ-



რომები „თითქმის მთლიანად და უცვლელად შეჰქონდათ თავის საისტორიო თხზულებებში“ (16:12). ჩანს, ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე ამჯერადაც. საეკლესიო დოკუმენტი „მ.ქმის“ შატბერდული ვერსიის მეორე ნაწილში – „ნინოს ცხოვრებასა“ და „კლარჯულ მრავალთავში“ გრიგოლი დიაკონის თხზულების დაახლოებით სრული ტექსტია შემონახული და მისი სახით ჩვენს ხელთაა ერთ-ერთი უძველესი – IV ს. 20-იან წლებში შექმნილი საეკლესიო თხზულება. იგი ადრექრისტიანული ხანისათვის დამახასიათებელი საეკლესიო ნაწარმოების შესანიშნავი ნიმუშია. გრიგოლი დიაკონი მიჩნეული უნდა იქნას IV ს. I ნახევარში მოღვაწე ჩვენთვის ცნობილ პირველ საეკლესიო ისტორიკოსად, ხოლო მისი თხზულება როგორც ერთ-ერთი უძველესი ქართული საეკლესიო ნაწარმოები, ცალკე უნდა გამოიყენოს (პრიორიტეტი ამ მხრივ, რა თქმა უნდა, ბუნ რ. სირაძეს ეკუთვნის). აკად. კ.კეკელიძე „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ ყველა გამოცემაში (1923, 1941, 1960) გრიგოლი დიაკონს ხომ „პირველ ქართველ ისტორიკოსად“ თვლიდა და მას სხვა ძველ ქართველ მოღვაწეთა გვერდით ცალკე განიხილავს. მას IV ს-ში მოღვაწე „უძ-

ველეს ქართველ ისტორიკოსთა რიცხვს აკუთვნებდა“ (ს. ინგოროვეცი (9:320,353).

ასეთი ნაბიჯი კიდევ ერთი დასტური იქნება იმისა, ქრისტიანული მწერლობა საქართველოში ქართლის მოქცევის თანადროულად რომ იქმნებოდა და როგორც ახლა მიუთითებენ, „ორიგინალური მწერლობის შექმნას“ ბიბლიური ნიგნების ქართულად თარგმნა კი არ უძლოდა“ (ზ. სარჯველაძე), არამედ ძვ. წ. III ს-ში მეფე ფარნავაზის მიერ შექმნილი „ქართული მნიგნობრობა“. ასეთი „მნიგნობრობის“ არსებობის დასტურად უნდა მივიჩნიოთ „მეფეთა ცხოვრების“ ის ცნობები, რომლებშიც ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის-მირიანის წინადროინდელი ისტორიაა გადმოცემული. „ქართული სამოქალაქო-საისტორიო მწერლობის საწყისები წინაქრისტიანული ხანის ქართულ საისტორიო აზროვნებაში (16:13-14), კი არა, ქართულ საისტორიო მწერლობაშია საძიებელი. რაც შეეხება სასულიერო მწერლობას, როგორც პროფ. რ. სირაძე წერს, ქართული ლიტერატურის ისტორია „შუშანიკის ნამებით“ კი არა, სწორედ „ნინოს ცხოვრებით“ (მასში ჩართულ ზემოდასახელებულ საკითხავთან ერთად) უნდა დავიწყოთ (იხ. 20).

## მიტიტაჰული ნყაროჯი და ლიტერატურა

1. ალექსიძე ზ., „მოქცევაი ქართლისაი“, ქართ. საბჭ. ენციკლოპედია, ტ. 7, თბ., 1984.
2. ალექსიძე ზ., კვლავ სპარსული ფრაზის შესახებ „მოქცევაი ქართლისაის“ „წმიდა ნინოს ცხოვრების“ ტექსტში. გელათის მეცნიერებათა აკადემიის ყურნალი, 2, ქუთაისი, 2002.
3. ალექსიძე ზ., „მოქცევაი ქართლისაის“ სტრუქტურისათვის. საქართვ. ეკლესიის, ქართული სასულიერო მწერლობისა და ქრისტ. ხელოვნების ისტ. საკითხები, თბ., 1998.
4. არახაშია გ., „მოქცევაი ქართლისაი“ და „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“. ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევები, თბ., 1991.

5. არახხაშია გ., „ქართლის ცხოვრების“ პირველი მატრიანე, თბილისი, 2007.
6. ბაქრაძე დ., ისტორია საქართველოსი. ტფილისი, 1889.
7. გოილაძე ვ., ასურელ მამათა სამშობლო და საქართველო. თბ., 2002.
8. თაყაიშვილი ე., სამი ისტორიული ხრონიკა, ტფ., 1890.
9. ინგოროსყვა პ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, თხზულებანი, ტ IV, თბ., 1978.
10. კაკაბაძეს, მოქცევაი ქართლისაი, საისტორიო ძიებანი, ტფ., 1924.
11. კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტფ., 1923.
12. კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1941.
13. კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1960.
14. კლარჯული მრავალთავეი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო თ. მგალობლიშვილმა, თბ., 1991.
15. ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955.
16. ლორთქიფანიძე მ., რედაქტორისაგან. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი ტ. VIII, თბ., 1977.
17. მოქცევაი ქართლისაი. შატბერდის კრებული. გამოსცა ბ. გვიგინიშვილმა და ე. გიუნაშვილმა, თბ., 1979.
18. მოქცევაი ქართლისაი. ძველი ქართ. აგიოგრ. ლიტ. ძეგლები, ნ. I, (V-X სს.), თბ., 1963.
19. სირაძე რ., „ნინოს ცხოვრება“ და დასაწყისი ქართული მწერლობისა, „განთიადი“, 1989, № 3.
20. სირაძე რ., უძველესი ქართული ნაწარმოები. ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა, I, თბ., 1992.
21. ყუბანეიშვილი სოლ., გრიგოლ დიაკონი და მისი თხზულება. ლიტერატურული ძიებანი, II, თბ., 1945.
22. შანიძე მზ., გიუნაშვილი ე., შესავალი. შატბერდის კრებული, თბ., 1979.
23. ჩხარტიშვილი მ., ქართული პავიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი შესწავლის პრობლემები. „ცხოვრებაი წმიდისა ნინოსისი“, თბ., 1987.
24. ქილაშვილი ლ., წინაქრისტიანული ხანის ქართული წარწერა ნეკრესიდან. „მნიგნობარი“, თბ., 2001.
25. ხოშტარია-ბროსე ე., ლეონტი მროველი და „ქართლის ცხოვრება“, თბ., 1996.
26. ჯავახიშვილი ივ., ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V-XVIII სს.) ტფ., 1916.
27. ჯავახიშვილი ივ., ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V-XVIII სს.), თხზულებანი, ტ. VIII, თბ., 1977.

## ღამის მხატვარი

„მხატვარი, რომელიც არ ეჭვია-  
ნობს, ბევრს ვერაფერს მიაღწევს...  
როცა მსჯელობა აღემატება ნაწარმო-  
ებს, მაშინ მისი სრულყოფა დაუსრუ-  
ლებელი ხდება“ – ამბობს ლეონარდო  
და ვინჩი.

ქმნიდა და აზროვნებდა თბილისში  
მხატვარი, რომლის ცხოვრება და შე-  
მოქმედება ამ გამონათქვამის გამარ-  
თლება გახლდათ. უყვარდა ღამის ქა-  
ლაქი, ძველი, ქვაფენილიანი უბნები,  
სახლებზე ჩუქურთმიანი აივნები,  
მთვარის შუქი, ფოთლების შრიალი და  
საღებავის სურნელი... მუდამ ეჭვი  
ეპარებოდა: „როცა მხატვარს მეძახი-  
ან, ხომ არ ცდებიანო?“ „მთლიანად არ  
ვარ მოცული მხატვრობით, ეს ჩემი  
ნაკლია...“ წერს კაცი, რომელსაც საა-  
ვადმყოფოს ლოგინზე მიჯაჭვულს,  
სიკვდილის უკანასკნელ ნუთამდე  
ფუნჯი და ფანქარი ეჭირა ხელში. ის  
კი 45 წლის უკვე ცოცხალი აღარ იყო.

ღამესთან მეგობრობდა და არავინ  
ისე კარგად არ ხატავდა ღამე თბი-  
ლისს, როგორც ომარ დურმიშიძე.  
ვკითხულობდი ენერგოკრიზისის  
დროს სანთლის შუქზე მის მიერ დანე-  
რილ დღიურებს: „ვზივარ და ვარსკე-  
ლავებს ვუცქერ, მშურს მათი. ისინი  
ანათებენ, თავის სათქმელს ამბობენ,  
მე კი ვერ მითქვამს სრულად რაც მინ-

და, არ შემიძლია გადმოვცე ღამე, რო-  
მელსაც ვხედავ, ალბათ ოდესმე დაე-  
ხატავ მას, ახლა თუ არა, მეორედ რომ  
მოვალ ამ ქვეყნად მაშინ...“

ზამთარ-ზაფხულ მოლბერტთან  
იდგა ღამის 12 საათის შემდეგ. 1993  
წელს, კომუნდანტის საათის დროს, გა-  
ულახავთ კიდეც, მილიციაშიც ნაუყ-  
ვანიათ – ღამე ხატვას როგორ ბედა-  
ვო? ზამთარში ხელი რომ ეყინებოდა,  
ფუნჯი თითზე სახვევით დაუმაგრე-  
ბია და ასე გაუგრძელებია მუშაობა.  
„როცა ვხატავ, გარემო თბება და სი-  
ცივეს ვერ ვგრძნობო“ – ამბობდა ხში-  
რად.

მის ნახატებში გადმოცემულია სო-  
ლოლაკისა და მთანწინდის, ნაკაშიძის,  
იეთიმ გურჯის, ჩაიკოვსკის ქუჩის მო-  
ნაკვეთები.

ერთ-ერთ ტილოზე ღამის თბილი-  
სია წარმოდგენილი. სახლის პირველი  
სართულის ფანჯრიდან სინათლე გა-  
მოდის. ეს წითელი და ყვითელი ფერე-  
ბის სიმკვეთრით არის გადმოცემული,  
რაც მიუთითებს იმაზე, რომ ნახატზე  
მიძინებული და უსიცოცხლო კი არა,  
მოძრავი და ენერგიით დამუხტული  
ქუჩაა. სახლის კუთხესთან „ამოსული“  
ზე შავი და ხასხასა მწვანე ფერებით  
აუმეტყველებია. შავი ფერი ღამის მი-  
მანიშნებელია, ხოლო ზურმუხტისფ-

რად აელვარებული ფოთლები - სიცოცხლის.

„რალაცა მინდა მოვიგონო - ნერს ის - ღამე იყო, დავამთავრე მუშაობა და კმაყოფილი ვიყავი. უცებ ვილაცამ ქუჩაში ქოთანში ჩარგული ყვავილი გადმოაგდო, იქაურობა შეიცვალა, დანაგვიანდა. მსურდა ქუჩა ყოფილიყო ისეთი, როგორც დავხატე. გული დამწყდა. სადარბაზო დაკეტილი იყო თორემ მინდოდა „ღამის ტილო“ მეჩუქებინა მისთვის, რომელმაც არც დღის სილამაზე იცის და არც ღამის. ყველა მიყვარხართ ღამის თბილისის მხატვარს, ცოტა თქვენც შეიყვარეთ“...

მისი ნახატებიდან და ჩანაწერებიდანაც ჩანს, რომ ეს არ იყო დეკორატიული ხელოვნება. ეს იყო და არის იდეის, რეალობის და სუბიექტივიზმის სინთეზი.

... სულ სხვანაირია მის ნახატზე ქუჩა დილით. სახლის ფანჯარასთან ხე ამოსულა; მისი მოცისფრო-მოთეთრო ტოტები მარგალიტის სამკაულივით ასხშია შენობის სარკმელს. კედლები ღურჯი და იისფერი ტონებით არის გადმოცემული. სახურავი ღვინისფერი კრამიტით გაუნათებია. სახლს ქართული ჩუქურთმებით შემკული აივანი აქვს. ნახატის კუთხესთან მეორე, პატარა ხე „ამოსულა“, აქ უკვე ჩნდება თეთრი, ცისფერი, მარჯნისფერი, რძისფერი ეს ფერები გვეწურწულებიან, რომ გათენდა, სუფთა პაერია, ოდნავ ცივა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ მზის სხივის იმედი უნდა გვეკონდე.

ადრეული პერიოდის ნახატებში ომარ დურმიშიძის პალიტრა სიჭრელით არ გამოირჩევა. ის რამდენიმე და ზოგჯერ ერთი ფერიდან ამომავალი ტონებით ახერხებს ფორმების შექმნას. ჩრდილ-სანთლის მონაცვლეობა მცირე ზომის ტილოზე კი უზარმაზარ

სიერცეს გვაგრძნობინებს ცხატრების ბოლო წლებში შექმნილ ნახატებში ხასხასა ფერების სიმრავლე შეიმჩნევა, უფრო ნითელი სჭარბობს.

ომარ დურმიშიძეს ბევრი ავტოპორტრეტი აქვს შექმნილი. მათ შორის გამოირჩევა „ავტოპორტრეტი ჩიტით“. მხატვარს შუა თითზე შეუსვამს დიდი თეთრი ფრინველი. მისი სახის გამომეტყველება დაეჭვებას, სიკეთეს დაფიქრებას და ცხოვრებასთან ჭიდილის მზაობას ერთდროულად გამოხატავს. ნახატზე განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს თვალები; მხატვარი ერთი თვალით თითქოს ქვეყნიერების საოცრებას უმზერს, ხოლო მეორით-თავის თავში ჩაღრმავებული და საკუთარი სამყაროს შეცნობით არის დაკავებული. ზუსტად გვიდასტურებს, რომ ხასიათის გადმოცემა ისევე მთავარია მისთვის, როგორც გარეგნული მსგავსება საკუთარ თავთან. ამავე პრინციპით ხატავს სხვათა პორტრეტებსაც. მას შესწევს უნარი გვიჩვენოს ადამიანის შინაგანი ბუნებისათვის მნიშვნელოვანი შტრიხები, რადგან ახერხებს შთაგონების წყაროს ფიქრთა თანაგანცდას. ამის მაგალითად უნდა ჩავთვალოთ მისი მუღლის, ქალიშვილის... პორტრეტები.

შეიძლება ისწავლო ხატვა და არ გერქვას მხატვარი, შეიძლება იყო მხატვარი და არ გერქვას შემოქმედი. მხოლოდ ოსტატობა, ძიების სურვილი და ფერთა სასიამოვნო შეხამება ჰუმანიზმისა და პოეტური ფანტაზიის ვარეშევერ შექმნიდა სილამაზეს, რომელიც მის ფერწერას ახასიათებს.

ხაზობრივი რიტმი ზოგან მკვეთრად არის გამოხატული, ზოგან ნერტილოვანი ფორმით იცვლება. ავტორი მუშაობდა მის მიერ დამკვიდრებული ნაკანრის პრინციპითაც.



საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ომარ დურმიშიძის ნატურმორტიები: „ნატურმორტი ლამპით“, „ნატურმორტი მსხლელებით“, „ბაბუანვერები“ და „ნატურმორტი ფორთოხლებით“. ძალიან შთამბეჭდავია „ნატურმორტი თევზებით“. ეს ნახატი მისი სიცოცხლის ბოლო წლებშია შექმნილი და შესრულებულია ჩალისფერით და მკვეთრი წითელი ფერებით. მძიმე ავადმყოფს უთქვამს ეს წითელი ჩემი სისხლიაო. ამავე პერიოდში დაუბატავს ნატურმორტი რომელზეც ვხედავთ დიდ კალათას და შიგ ჩანყობილ მინდვრის ყვავილებს, სჭარბობს გვირილები. ფონი აქაც ალისფერია. კალათის გვერდით ლალივით ბრდღვივლებს წითელი ფორთოხალი. მაღალი ტექნიკით შესრულებულ ნახატს მივყავართ აზრამდე, რომ იქვე ცოცხალი ყვავილების სურნელი ტრიალებს. ნატურმორტს ქვია „თაიგული და სისხლი“. მხატვრული ტილო მეტად ლირიულია და მის სათაურში სიტყვა „სისხლი“ ძალიან უჩვეულოდ ქდერს.

„სააღდგომო ნატურმორტი“ ეძლეება ფიროსმანს და აეთო ვარაზს. ნახატზე სამი კვერცხი და ჯერიანი სააღდგომო ნამცებვარია დახატული მოთეთრო და მოვარდისფრო ტონებით. ავტორი ახერხებს საზუიშო განწყობილების გადმოცემას... საერთოდ დღესასწაულივით არის მისი ფერწერა, რადგან ყოველი ნახატი შთაგონებითაა შექმნილი. საოცარია მისი „ბაბუანვერები“. უზარმაზარი ხის მაგიდა, ზედ მაქმანებიანი ღია ფერის გადასაფარებელი, შავი ფონი და ლარნაკში ჩანყობილი დიდი თეთრი ბაბუანვერები. შესანიშნავად არის გადმოცემული ხისა და ქსოვილის ფაქტურა, მაგრამ ეს საგანგებო დაკვირვების შემდეგ შეიძლება აღმოაჩინო, რადგან აქ ლირი-

რიზმი, ფანტაზია და კონტრასტული ელემენტების გრძნობა ნახატის მსხლელებსა და ავტორის ინტელექტზე უფრო მოგვითხრობს.

მისი ნატურმორტი „ლელვებით“ დაბინდული და არა ჩამქრალი, მონასმებით არის შესრულებული. დიდ ლარნაგზე ხილი აწყვია: რამდენიმე ლელი, ყურძნის მტევანი და მაგიდაზე გოგრა მოწვანო, მოყვითალო და თამბაქოსფერი ენაცვლება ერთმანეთს. ტილოზე არც ერთი ბოლომდე დაუმუშავებელი ადგილი არ არის, ნახატი გვიანი შემოდგომის სითბოდაკარგულ საღამოზე მიგვანიშნებს, გვინვევს ოთახისკენ და სიმყუდროვისკენ.

ფერთა შეხამებით, თემატიკით ომარ დურმიშიძისათვის ყველაზე ახლობელი უნდი იყოს იმპრესიონისტი და პოსტიმპრესიონისტი მხატვართა მოტივები.

განსაკუთრებულ პატივს, ვფიქრობ, მისი შემოქმედება ვანგოგს მიაგებდა. ამის ერთ-ერთი დასტურია „სკამი ჩიბუხით“. „როცა არ ვმუშაობ, მაშინ არაფერი ვარ ან ფერი ვარ და ვისმენ ვივალდს“... „რაც უფრო უბრალოა ადამიანი, მით უფრო მიამიტია, რაც უფრო მიამიტია, მით უფრო მარტოა, რაც უფრო მარტოა, მით უფრო ეკუთვნის თავის თავს“ წერს თავის დღიურში.

ომარ დურმიშიძემ ბევრი გრაფიკული ნამუშევარი დატოვა. მის ყველა ნახატს ახასიათებს კომპოზიციური სრულყოფილება და სიცოცხლის სურვილი. ამ ნამუშევართა ნაწილი დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. რამდენიმე პერსონალური და ბევრი ჯგუფური გამოფენის მონაწილე, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში, როცა უცხოეთის საგამო-

ფენო დარბაზები ბოლომდე თუ არა, ნანილობრივ მაინც დაკეტილი იყო ქართველი (და, არამარტო ქართველი) მხატვრებისათვის, მის ნამუშევრებს იძენდნენ კერძო კოლექციითა მფლობელები: საფრანგეთში, გერმანიაში, სირიაში, ამერიკაში, იუგოსლავიაში, თურქეთში, იტალიაში, საბერძნეთში, პოლანდიასა და რუსეთში.

დაიბადა 1949 წლის 18 ივნისს, სწორედ 18 ივნისს 1994 წელს გამოასვენეს სახლიდან. „ძალიან მჭირდება სახელოსნო, ქუჩაში გამსვლელი ღამით აღარ ვარ“ – წერდა დღიურში. „... ვარ უღარიბესი მოქალაქე, ინტელიგენტი ვითომ, რომელსაც, როგორც ილია ჭავჭავაძე ამბობდა, საცხოვრებ-

ლად თავის მარჯვენა იქნებოდა მტერი არაფერი. იქნებ ვცდებოდი, იქნებ არაა“. ეს ჩაუნერია 1990 წელს. არ მეძინება, ალბათ თვალის ნამლის ბრალიაო მიუწერია ზედ. ეს ფუნჯს შეუძლია, მე როგორ უნდა შევექმნა გარდაცვლილი მხატვრის პორტრეტი კალმით. მაგრამ ვინც მას იცნობდა, დამეთანხმება, რომ მართლაც იყო ნამდვილი ინტელიგენტი, წესიერი პიროვნება, სიკეთით სავსე კაცი და ერთ-ერთი საუკეთესო მხატვარი... ბოლოს და ბოლოს მისი ნახატების უმრავლესობა სიამოვნებს თვალს. დიდებული უბრალოებით თქვა დელაკრუამ: „სურათის უპირველესი მოვალეობაა თვალს ესიამოვნოს“.



## ირანულ-ქართული კულტურული ურთიერთობები და XVII ს. ქართული სახვითი ხელოვნების ერთი ასპექტი

XVI-XVII საუკუნეების ქართულ-სპარსული კულტურული ურთიერთობების შესწავლა და ცალკეული მაგალითების გამოვლენა გვავალებულებს რამდენადმე განვთავისუფლდეთ სტერეოტიპებისაგან და განსხვავებული რაკურსით შევხედოთ ამ ორი ქვეყნის ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ ისტორიას. სეფიანთა დინასტიის მმართველობის ხანაში ირანის სახელმწიფოს გაძლიერებასთან ერთად ძლიერდება მისი ინტერესი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მდებარეობის მქონე საქართველოს მიმართ. რომლის წინააღმდეგ წარმოებული დაპყრობითი პოლიტიკა განსაკუთრებულ სიმწვავეს XVII ს. დასაწყისში შაჰ აბას I (1587-1629) მმართველობის დროს აღწევს. ამ პერიოდიდან საქართველო, მომეტებულად კი ირანის დაქვემდებარებაში მყოფი მისი აღმოსავლეთი ნაწილი სულ უფრო მჭიდროდ უკავშირდება სპარსულ კულტურას, რომელმაც მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნია არა მხოლოდ XVII ს. ქართულ ლიტერატურას, არქიტექტურასა თუ საერო ნიგნის გაფორმე-

ბის ხელოვნებას,<sup>1</sup> არამედ ყოფის კულტურასაც.<sup>2</sup> თავის მხრივ, როგორც ჩანს, ამ პერიოდის სპარსულ კულტურაშიც მიმდინარეობს შემხვედრი პროცესი - ჩნდება ქართული თემატიკა. მაგალითად გამოდგება თუნდაც XVI ს. შირაზელი პოეტის აბდი ბეგის (1515-1580) პოეტური ქმნილება და მასში მონაწილე ქართველი პერსონაჟები. განსაკუთრებით საინტერესოა პოემაში აღწერილი შაჰ-თამაზის ყაზვინის ჯაფარ-აბადის სასახლის დღეს აღარ არსებული მოხატულობის აღწერა, რომელშიც ქართველებთან ბრძოლის ამსახველი სურათი იდენტიფიცირებულია როგორც ვარძიის ციხისა და ეკლესიის დარბევის ეპიზოდი შაჰ-თამაზის მესამე ლაშქრობის დროს (1552).<sup>3</sup> ცნობილი რუსი ირანისტი იური მარი აღნიშნავდა, რომ ქართველები გამოსახულნი იყვნენ ისპაჰანის ჩემპელ სუთუნისა და შაჰთ ბე-პეშთის სასახლეთა ფრესკებზეც. განსაკუთრებით საინტერესოა მის მიერ აღწერილი ალი ყაფუს მოხატულობის ერთი ფრაგმენტი მამაკაცის გამოსახულებით, რომლის გადამლილ ნიგნ-



ზეც ქართული ასოები იკითხებოდა.<sup>4</sup> ქართული წარწერა აქვს ერმიტაჟში დაცულ სასახლის ყოფის ამსახველ მინიატურასაც, რომლის ავტორი წარმოშობით ქართველი მხატვარი ალი ყული ჯაბადარია.<sup>5</sup> ამ მინიატურაზე, რომელიც შაჰსა და მის გარემოცვას გადმოსცემს, ქართული წარწერებით გამოყოფილი წარწინებული ქართველები არიან გამოსახული,<sup>6</sup> რაც ნათლად წარმოაჩენს იმ დროის ისპაჰანის სამეფო კარის სურათს.

ცნობილია, რომ შაჰ აბას I-ის სახელმწიფო რეფორმების შედეგად როგორც სამხედრო, ისე სასახლის კარის მოხელეთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა კავკასიური ეთნოსის წარმომადგენლებმა (ქართველებმა, სომხებმა, ჩერქეზებმა).<sup>7</sup> ამასვე ადასტურებს XVII ს. ფრანგი მოგზაური შარდენი, რომელიც აღნიშნავს, რომ ქართველთა სისხლი ძლიერ გავრცელებული იყო ირანში, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ლამაზი ქართველი ქალის ყოლა ყველას სურდა, არამედ იმ მიზეზითაც, რომ შაჰ აბასი და მისი მემკვიდრეები დიდი სიამოვნებით ნიშნავდნენ ქართველებს თანამდებობებზე. აღმოსავლეთ საქართველოდან უამრავი ხალხის გადმოსახლების შემდეგ ქართველები ისე დანიშნულდნენ, რომ თანამდებობათა მეტი წილი მათ ხელში იყო.<sup>8</sup> ეს ცნობა შესაძლოა რამდენადმე გადაჭარბებული მოგვეჩვენოს, თუმცა არ შეიძლება არ გავგვახსენდეს თუნდაც შაჰ აბასის უმაღლესი მოხელე ალავერდი ხანი (უნდილადე). მისი ვაჟები, შაჰ სეფი I-ის ძმის ტიტულის მატარებელი ხოსროვ მირზა, იგივე ქართლ-კახეთის მეფე როსტომი (1633-1656) და სხვები. ის ფაქტი, რომ ქართლის ვალის თანამდებობა, რომელსაც შაჰ სეფი I-ის დროს როსტომ მეფე ფლობდა, უმაღლესი რან-

გის მოხელეთა ჩამონათვაში მხოლოდ ადგილზე იყო მოხსენიებული,<sup>9</sup> მიანიშნებს თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდა ირანი საქართველოს მოცემულ პერიოდში. ცხადია, კარგად გვესმის, რომ ირან-საქართველოს ისტორიულ-კულტურული კავშირების ჩვენება გაცილებით ფართო და ღრმა კვლევის საგანია, ვიდრე ეს ერთი სტატიის ფარგლებშია შესაძლებელი, მაგრამ მაინც ვფიქრობთ, სწორედ ამ რეალობის გათვალისწინებით შეიძლება აიხსნას იმ უაღრესად საინტერესო მხატვრული მოვლენის წარმოშობისა და განვითარების საკითხები, რომელსაც ქართულ-სპარსული ფერწერული სკოლა წარმოადგენს.

1996 წელს პარიზში გამოცემულ ირანული ხელოვნებისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კრებულში დაიბეჭდა ირანელი მეცნიერის, ხელოვნების ისტორიკოსის შარიარ ადლის მრავალმხრივ საყურადღებო და ქართული ხელოვნების ისტორიისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი სტატია სახელწოდებით „ქართული და აღმოსავლური ფერწერა შ. ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმში“, რომლის პირველი ნაწილი – „ცნობები რუსული პერიოდის წინამორბედი ფერწერის ქართულ-სპარსულ სკოლაზე“, უშუალოდ ეხება XVII ს. მეორე ნახევრითა და XVIII ს. დასაწყისით დათარიღებულ, ისპაჰანის მხატვრული სკოლის ნიმუშებად აღიარებულ, წარჩინებულ პირთა ზეთით შესრულებული პარადული პორტრეტების ერთ ჯგუფს, რომელთაც ირანელი მკვლევარი ქართულ მხატვრობად მიიჩნევს.<sup>10</sup> მკვლევარი აქვე ცნობილ სპარსულ სიუჟეტზე შექმნილ მრავალფიგურიან კომპოზიციასთან ერთად, ქართული მხატვრობის ნიმუშებად ასახელებს ირანის მუზეუმებ-

სა თუ კერძო კოლექციებში დაცულ და აუქციონებზე გაყიდულ ათამდე ზეთით შესრულებულ ტილოს, რომელთა დიდი უმრავლესობა კეთილშობილ ბანოვანთა გამოსახულებებია. სამაგალითოდ მოტანილია ორი ფოტო, რომელთაგან ერთზე ახალგაზრდა მანდილოსანი, ხოლო მეორეზე ქაბუკი არისტოკრატია წარმოდგენილი.<sup>11</sup> მკვლევარმა საგანგებოდ გამოყო თეირანის საიდაბადის სასახლეში დაცული „ბანოვანი სპარსულ კაბაში“ (ტილო, ზეთი, 155X82 სმ), რომელსაც თავად უწოდა „ქართველი ქალი ყანით ხელში“ და რომელშიც, მისი აზრით, ყველაზე უკეთ წარმოჩნდა ქართული ნიშნები. შორეული პეიზაჟის ფონზე მთელი სხეულით გამოსახულ, სამი მეოთხედით სიღრმისკენ შებრუნებულ ახალგაზრდა ქალს იდაყვში მოხრილი, მარჯვნივ მიმართული ხელებიდან ერთში ყანა უჭირავს, მეორეში – ვაშლი, ხოლო მის ფეხებთან გამოსახულ საგნებს შორის ღორის თავ-ფეხია. სწორედ ყანა და ღორის თავ-ფეხი მიაჩნია ირანელ მკვლევარს მინიშნებად იმისა, რომ ქალი ქართველია და თანაც ქრისტიანი. ამ კონტექსტში განიხილავს იგი როსტომ ქართლ-კახეთის მეფის გარეგნულად სპარსულს მიმსგავსებული ცხოვრებისა და შეფარვით ქრისტიანულ საქმეთა კეთების ფაქტებს. ამ სურათთან მსგავსების გამო იგი ქართულად მიიჩნევს კიდევ რვა ტილოს და მათ შორის სტატიაში ილუსტრირებულ „ქამანდარ შაჰს“ (სხვაგან სურათი სახელდება როგორც „კავკასიელი ახალგაზრდა კარისკაცი სამოსში“ F. Farmanfarmanian-ის კოლექცია. ტილო ზეთი, 155-80),<sup>12</sup> რომელსაც იგი „ქართველ საქურველმტვირთველს“ უწოდებს. სამი მეოთხედით სიღრმეში შებრუნებული უწვერული ვაჟი აქაც მთე-

ლი სხეულითაა წარმოდგენილი, მოხრილი ხელების პოზიცია მსგავსია ახალგაზრდა ქალისა ყანით ხელში. მისი სამოსი და ბუნიაანი ქუდი დამახასიათებელია ქართველი უფლისწულებისა თუ წარჩინებული ქაბუკებისათვის (მაგ: მცირეწლოვანი ოტია და იესე ჩიქვანები მარტვილის ეკლესიის 1673-81 წ. მოხატულობაში)<sup>13</sup> შარიარ ადლი სწორედ მასთან მიმართებით გამოთქვამს თამამ მოსაზრებას, რომ შესაძლოა ამ ტიპის გამოსახულებები მხოლოდ ისპაჰანში არ იქმნებოდა და მას ადგილობრივი ქართველი მხატვრები საქართველოშივე ასრულებდნენ წარჩინებულ ქართველთა სასახლეების შესამკობად.<sup>14</sup> აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ გამოსახულებების მსგავსად ჩავთვალეთ კიდევ ერთი სურათი – „ქალი ვარდით“ ესკანდერ არიეს კოლექციიდან (ტილო, ზეთი, 165X89 სმ.),<sup>15</sup> რომელიც კვლავ სამი მეოთხედით სიღრმეში შებრუნებულ, ინტერიერის ფონზე მთელი სხეულით წარმოდგენილ არისტოკრატული დახვეწილებითა და გარეგნული მშვენიერებით გამოირჩეულ ახალგაზრდა მანდილოსანს გადმოსცემს. მსგავსად მოხრილ ხელებში მას სასმისი და ვარდი უჭირავს. სურათის დათარიღებისთვის ინტერესმოკლებული არ იქნება ყურადღება მიექცეს ყოფილი მეპატრონის არნოლდ ფოსტერის საოჯახო გადმოცემას, რომ პორტრეტი ეკუთვნოდა მათ ნინაპარს, შაჰ აბას I-ს კარზე მოღვაწე ინგლისის ელჩს ჯორჯ ბუტს,<sup>16</sup> რაც იმას მიაწინებს, რომ სურათი შესაძლოა 1668 წლამდე ყოფილიყო შესრულებული.

მართალია გვესმის, რომ მოპოვებული ვიზუალური მასალა მწირია, ვფიქრობთ, მაინც საკმარისია ირანული მეცნიერის მოსაზრებისა და ამ მხატვრული მოვლენის შესახებ გარკ-

ვეული შთაბეჭდილების ჩამოსაყალიბებლად. ცხადია, პერსონაჟთა ქართველობად მიჩნევა არაა საკმარისი აღნიშნული ჯგუფის ქართულ მხატვრობად აღიარებისათვის, თუმცა ირანული მეცნიერის მოსაზრებას საესეებით ვიზიარებთ და მის გასამყარებლად შევეცდებით ეს მხატვრული მოვლენა განვიხილოთ, როგორც ქართული ხელოვნების მხატვრული თავისებურებების, ისე თანადროული სპარსეთის კულტურულ-ისტორიული რეალიების გათვალისწინებით.

სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, რომ ისლამის ხანის ირანული მხატვრობა საუკუნეების განმავლობაში ერთი ძირითადი დარგით, საერო ლიტერატურის ხელნაერთა დასურათებით იყო წარმოდგენილი და მხოლოდ სეფიანთა ხანაში გაჩნდა სასახლეთა კედლის მხატვრობის ნიმუშები,<sup>17</sup> სწორედ ამ პერიოდიდან აღზევებული ირანის მძლავრი სახელმწიფო ეკონომიკურად მჭიდროდ დაუკავშირდა ევროპას და ეზიარა მის კულტურას. შედეგად ირანულ ფერწერაში ჩამოყალიბებული ორი ძირითადი მიმართულებიდან უფრო ტრადიციულიც კი განიცდიდა ევროპული ფერწერის გავლენას. პორტრეტთა განხილული ჯგუფიც, ცხადია, ევროპული პარადული პორტრეტით იყო შთაგონებული, რაზეც მეტყველებს, როგორც მასალა (ტილო, ზეთი), ისე ფორმათა მოდელირების, სამგანზომილებიანი სივრცის ილუზიის შექმნის, შუქ-ჩრდილის მონაცვლეობისა თუ ტონალური ფერწერისათვის დამახასიათებელი პროცესების გადმოცემა. მაგრამ იმავდროულად, ხსენებული გამოსახულებები არსობრივად განსხვავებულია დროსა და სივრცეში დასაზღვრული კონკრეტული პირის ევროპული პორტრეტისგან. აქ ნაკლე-

ბია ნამიერისა და ნერწყველს განცხადება. შინაგანი ღირსებების განხილვა გურები ვარკვეული პორტრეტული ნიშნების მიუხედავად, განზოგადებულ ტიპებს უფრო წარმოადგენენ. მეორე მხრივ, ფერწერული ტილოები კომპოზიციური აგებულებითა თუ ზოგადი მხატვრული გადაწყვეტით აშკარად შორს დგანან ტრადიციული სპარსული საერო მინიატურის ხელოვნებისგან. ყველა ნიშნის მიხედვით მათი საფუძველი მონუმენტური ფერწერაა. როგორც აღინიშნა, სამივე სურათზე მსგავსი კომპოზიციური სქემაა წარმოდგენილი. ქართული ხელოვნების მკვლევართათვის ერთი შეხედვით თანავე უაღრესად ნაცნობი და გასაგებია, თუ საიდან შეიძლება მიმდინარეობდეს აღნიშნული კომპოზიციური სქემა. ეს სხვა არაფერია, თუ არა მართლმადიდებელ სამყაროში გავრცელებული და საუკუნეთა განმავლობაში ქართულ ეკლესიათა მონასტულობაში დამკვიდრებული უფლის მიმართ მავედრებელი საერო პირის - ქტიტორის პოზა ლოცვად შემართული, იდაყვიში მოხრილი ხელეებით.<sup>18</sup> შემთხვევითი არც ის უნდა იყოს, რომ ზემოთაღმოთვლილ ტილოებზე გამოსახულ პერსონაჟებს ქტიტორის მონინებული ჟესტის შესაბამისად უჭირავთ ხელში საგნები, რომელთა მნიშვნელობა აშკარად სცდება ყოფითობის ფარგლებს და ნიშანსიმბოლოთა მნიშვნელობას იძენს. ფიგურათა რეპრეზენტატული პოზა კი ღირსების, სიღარბაისლისა და თავშეკავებული მოკრძალების იმ უცვლელ თვისებებს გადმოსცემს, რომელიც დამახასიათებელია ქართული კედლის მხატვრობის როგორც მამაკაცი, ისე ქალი ქტიტორის გამოსახულებისათვის. ეს მაშინ, როცა ირანულ ხელოვნებაში ქალის პიროვნების ღირსების

წარმომჩენი გამოსახულება ტრადიციულად უცხოა. ამერიკელი მკვლევარი ლეილა დიბაც საგანგებოდ მიანიშნებს ბანოვანის სწორედ შინაგან ღირსებას სურათზე „ქალი ვარდით“ და თავსაბურავისა და მარგალიტის საყბურის ტარების წესის მიხედვით, მას მაღალი არისტოკრატიული ფენის გათხოვილ ქალად მიიჩნევს. განასხვავებს მას როგორც ირანელი კურტიზანი ქალების, ისე თავშიშველი და დეკოლტირებული ევროპელი ქალბატონებისგან.<sup>19</sup>

გასათვალისწინებელია ისიც, რომ სეფიანთა დინასტიის მმართველობის დასასრულს ანუ 1722 წლიდან გამქრალ ამ მოვლენას შემდგომი პერიოდის ირანულ ფერწერაში გაგრძელება-განვითარება არ მოჰყოლია.<sup>20</sup> ამის მიზეზი კი, ვფიქრობთ, ის უნდა იყოს, რომ (VIII ს. მეორე ნახევრიდან, როცა სპარსულმა ხელოვნებამ ევროპული რეალისტური ფერწერის საშუალებები საბოლოოდ მიიღო, გადაამუშავა და გაითავისა, მან მისი კულტურისთვის უფრო ორგანული სხვა მხატვრულ-ესთეტიკური ფენომენი წამოიწია და განავითარა. ქალის გამოსახულების შემთხვევაში ესაა გარეგნული სხეულებრივი სილამაზე და მისი ეროტიკული მიმზიდველობა. ამიტომაცაა, რომ XVIII-XIX საუკუნეების სპარსული ფერწერული ტილოები ძირითადად, სასახლის კარის გამართობ და მამებელ მემუსიკე, მოცეკვავე თუ აკრობატი ქალების გამოსახულებებს წარმოგვიდგენს.<sup>21</sup> მაშ, რა მიზეზით და რის საფუძველზე წარმოიშვა ირანული ხელოვნებისთვის, შეიძლება ითქვას, რამდენადმე უცხო მხატვრული მოვლენა, რომელმაც მხოლოდ სეფიანთა მმართველობის ეპოქაში ანუ ირანის ევროპასთან დაახლოების მხოლოდ საწყის ეტაპზე იარსება? კარგად

გვესმის, რომ მწირი ინფორმაციის პირობებში ამ მხატვრული მოვლენის ღრმა გაანალიზებისა და მისი ჩამოყალიბება-განვითარების რეალური სურათის აღდგენა უაღრესად ხარისკო საქმეა. მაგრამ ფრთხილი ვარაუდის გამოთქმის უფლებას მაინც ვიტოვებთ და ვფიქრობთ, რომ XVII ს. დასაწყისში ძირითადად მხოლოდ ხელნაწერთა დასურათების თავის თავში დასრულებული, ჩაკეტილი მხატვრული სისტემით წარმოდგენილი სპარსული მხატვრობა საკმარისი საფუძველი, თუ შეიძლება ასე ითქვას, სათანადო ბაზა ვერ გახდებოდა ევროპასთან დაახლოების შედეგად ირანში ერთბაშად და მასშტაბურად შემოჭრილი ფანრული მრავალფეროვნებითა თუ ახალი ტექნოლოგიებით დატვირთული დასავლეთევროპულ სახვითი ხელოვნების მძლავრი ნაკადისთვის. მეორე მხრივ, იმავე ეპოქაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სრულიად განსაკუთრებულია ირან-საქართველოს ურთიერთობა, სასახლის კარის წარჩინებულთა თუ ხელოვანთა შორის აღზევებული ქართველებით. ასეთ პირობებში ადვილი მოსალოდნელი იყო, რომ სწორედ საუკუნეების განმავლობაში ქრისტიანულ დასავლეთზე ორიენტირებული ქართული ხელოვნება გამხდარიყო ხიდი დასავლეთევროპულსა და ირანულ კულტურას შორის. ვფიქრობთ, სწორედ ამის ერთ-ერთი გამოვლინებაა ქართული საერო პორტრეტის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების გაზიარება და მის საფუძველზე ე.წ. ქართულ-სპარსული ფერწერული სკოლის ჩამოყალიბება.

ქართულ საკტიტორო პორტრეტებს შორის აღნიშნულ ჯგუფთან განსაკუთრებულ სიახლოვეს როსტომ მეფის მეუღლის, მარიამ დედოფლისა და მისი ვაჟის ოტია გურიელის მცხე-



თის სვეტიცხოვლის ფრესკული გამო-  
სახულება ამჟღავნებს. მსგავსება ამ-  
კარაა სამი მეოთხედით წარმოდგენი-  
ლი მოცულობითი ფორმების მიმანიშ-  
ნებელი ერთმანეთისკენ შებრუნებუ-  
ლი სახეებითა და ფეხების პოზიციით;  
აგრეთვე სამოსის მცენარეული ორნა-  
მენტის საგულდაგულო ნახატი და  
განსაკუთრებით ისეთი საერო ხასია-  
თის ელემენტით, როგორცაა ხელში  
დაჭერილი კონკრეტული საგნები (მა-  
რიამს – კრიალოსანი, ხოლო ოტიას  
დედისკენ განვდილ ხელში – ყვავილი),  
რომლებიც ფიგურებს შორის ინტიმუ-  
რობის, კამერულობის განწყობას  
ქმნის და ქართულ-სპარსულ დაზგურ  
ფერწერასთან სიახლოვეს ამჟღავ-  
ნებს. მისი შექმნის თარიღი მარიამ დე-  
დოფლის როსტომ მეფეზე დაქორნი-  
ებას და ოტია გურიელის გარდაცვა-  
ლებას ანუ 1634-1645 წლებს შორის  
მოიაზრება.<sup>22</sup> დაზგური ფერწერის და-  
მახასიათებელი მხატვრული ნიშნები  
ჩნდება მარტივლის ღმრთისმშობლის  
ტაძრის ჩრდილოეთ ბურჯზე გამოსა-  
ხული ქალისა და ყმანვილი ვაჟის შენ-  
ყვილებულ პორტრეტზეც, რომელიც  
კვლავ მარიამ დედოფლისა და ოტია  
გურიელის 1625-1634 წლებს შორის  
შესრულებულ გამოსახულებადაა მიჩ-  
ნეული.<sup>23</sup> აქ განსაკუთრებით ფაქიზია  
სახის წერის ფენოვანი, თითქოს „ფაქ-  
ტურული“ მანერა, თეთრ-ყირმიზი  
ფორმების „ამოძერწვის“ იმგვარი  
პროცესი, რომელიც სხეულის ილუზი-  
ას ქმნის და ამ პერიოდის ქართულ  
კედლის მხატვრობაში ერთი შეხედ-  
ვით მოულოდნელ, ზეთით შესრულე-  
ბული დაზგური ფერწერისთვის დამა-  
ხასიათებელ მხატვრულ ეფექტს გად-  
მოსცემს. უაღრესად მნიშვნელოვანია  
ქალის მდიდრული სამოსი და ძვირფა-  
სი სამკაული. საგულდაგულოდაა შეს-  
რულებული არა მხოლოდ ჯილა-გვირ-

გვინი, საღებავის რეტიკულარული  
აღნიშნული ლალებით მსუქანსკეს-  
თა და მარგალიტებით მორთული  
ყელსაბამი, არამედ ვარდებით, პიონე-  
ბითა და სამოთხის ჩიტებით მორთუ-  
ლი სამოსი. თითზე ნამოცმული ბეჭ-  
დებიცა და ფრჩხილებიც კი იმგვარი  
გულმოდგინებითა და დახვეწილი ოს-  
ტატობითაა შესრულებული, როგორ-  
საც ქართულ-ირანული ფერწერული  
სკოლის ნიმუშებზე ვხედავთ. ამდე-  
ნად, ქართულ მასალაზე დაყრდნო-  
ბით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ  
ქართულ-სპარსული სკოლის ნიმუშე-  
ბი XVII ს. 30-იან წლებში უკვე იქმნე-  
ბოდა. რაც შეეხება ზედა ზღვარს, პა-  
სუხს ამ მხატვრული სკოლის უშუალო  
ნიმუში – 1829 წლით დათარიღებული,  
თბილისში ხელოვნების სახელმწიფო  
მუზეუმში დაცული ნინო თორნიკე  
ქსნის ერისთავის ასულის პორტრეტი  
(ტილო, ზეთი, 135X90 სმ.) იძლევა. ეს  
ის პორტრეტია, რომელიც, ერთი  
მხრივ, ღრმა და დასაბუთებული  
კვლევის საფუძველზე სრულიად სა-  
მართლიანად ეროვნული მხატვრული  
შემოქმედების ნიმუშადაა აღიარებუ-  
ლი,<sup>24</sup> მეორე მხრივ, იგი თვალნათლივ  
წარმოაჩენს ევოლუციის იმ ხაზს, რო-  
მელიც დროის მოცემულ მონაკვეთში  
გაიარა დაზგური ფერწერის ქართულ-  
სპარსულმა სკოლამ. მხედველობაში  
გვაქვს როგორც კომპოზიციური აგე-  
ბულება, ისე ფორმათა გადმოცემისა  
თუ ფერადოვანი გადანყვების დაზ-  
გური პორტრეტის ჩამოყალიბების  
ეტაპები, რაც საბოლოოდ ასევე ეროვ-  
ნულ ნიადაგზე წარმოშობილ „თბილი-  
სურ პორტრეტის“ მხატვრულ ფენო-  
მენში გადაიზარდა. ის ფაქტი, რომ  
სპარსეთში 1722 წლიდან ანუ ამ მხატ-  
ვრული მოვლენის დასრულების პერი-  
ოდიდან ერთი საუკუნის შემდეგაც იგი  
ცოცხალია საქართველოში და იქმნე-



ბა ისეთი მხატვრულად სრულყოფილი და თავის თავში დასრულებული ნაწარმოები, როგორცაა ნინო ერისთავის პორტრეტი, იმას მიანიშნებს, რომ ქართულ-სპარსული დაზგური ფერწერის სკოლა ქართული ხელოვნების ორგანული ნაწილია და მხოლოდ ჩვენი ქვეყნის ისტორიული ბედუკულმართობით შეიძლება აიხსნას ის, რომ ჩვენში ამ უმნიშვნელოვანესი მხატვრული მოვლენის ერთადერთი ნიმუშია დღეს ცნობილი.

ქართულ-სპარსული მხატვრული სკოლის ტილოების შესახებ მტკნარად სამომავლო საქმეა, რათა სამართლიანად აღდგეს განყვეტილი რგოლი შუა საუკუნეებსა და ახალ დროს შორის; რათა თვალნათლივ გამოჩნდეს რომ ქართულ სახვით ხელოვნებას ევროპულ მხატვრულ კულტურასთან მჭიდრო კავშირი გაცილებით ადრე უკონდა, ვიდრე ის რუსეთის იმპერიის ნაწილად იქცეოდა.

### შენიშვნები:

1. Гвахария А. А., Кацитадзе Д. В. \_ Грузино-Иранские культурно-исторические связи (краткий очерк). Тб. 1978., Чубинашвили Г. Н. \_ Иранские влияния в памятниках архитектуры Грузии. Вопросы истории искусств. Тб. 1970. сс. 308-320., ი. ხუსკივაძე - XVI-XVIII საუკუნეების ქართული საერო მინიატურა. თბილისი, 1976.
2. Чубинашвили Г. Н. \_ Иранские влияния. с. 310.
3. აღ. გვახარია. ქართულ-სპარსული კულტურულ-ისტორიული ურთიერთობების ასახვა აბდი-ბეგ შირაზის (XVI ს.) შემოქმედებაში. აღმოსავლური კულტურა (წერილები და გამოკვლევები). თბ. 1980. გვ. 123-133.
4. Марр Ю. Н. \_ По поводу выставки копии фресок Али-капу. Материялы по истории Грузии и Кавказа. VII, Тифлис, 1937. сс. 566-572, აღ. გვახარია - ქართულ-სპარსული კულტურული ურთიერთობების... გვ. 125-126.
5. Амиранашвили Ш. Я. \_ Грузия и Иран, III международный конгресс по иранскому искусству и археологии, М.-Л., 1939, с. 14., შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია. 1971, გვ. 394.
6. O. Akimushkin. The Shah and His Courties. Royal Persian Paintings. The Qajar Epoch (1785-1925), edited by Layla S. Dibawith Maryam Ekthiar, Brooklyn Museum of Art. 1998. p. 120.
7. ნ. სურგულაძე - სეფიანთა ირანის ცენტრალური მმართველობა. თბ. 1990. გვ. 8.
8. Chardin, Voyages du Chevalier Chardin. Ed. Langles, vol. V. Paris, 1811, p. 307-308.
9. ნ. სურგულაძე - სეფიანთა ირანის... გვ. 78.
10. Chahriar Adle. Peintures georgiennes et peintures orientales, Musse Georgian d'Art Chalva Amiranashvili a Tbilisi. Archeologie et arts du monde iranien, de l'Inde musulmane et du Caucase d'apres quelques recherches de terrain. 1994-1995. Paris, 1996, p. 347-357. სტატიის ქართული თარგმანი შესრულებული თინათინ ცერცვაძის მიერ დაიბეჭდა შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს

ხელოვნების სახ. მუზეუმის ნარკვევებში (VII, თბ. 2001) მუზეუმის აღმოსავლეთის ხელოვნების განყოფილების გამგის ქ-ნ ნინო ანაბერძენიძის მონდომებით.

11. Chahriar Adle. Peintures georgiennes. Fig. 13, fig. 15.
12. Layla S. Diba. A Caucasion Youth in Court Dress. Royal Persian Paintings. pp. 130-131.
13. ნ. ჩხილაძე – XVI-XVII საუკუნეების ისტორიულ პირთა გამოსახულებები მარტვილის ეკლესიაში. შ. ამირანაშვილის სახ. სახ. საქართველოს ხელოვნების სახ. მუზეუმის ნარკვევები. III, 1997, გვ. 111-112.
14. Chahriar Adle. Peintures georgines. p. 348.
15. Layla S. Diba. A lady with Rose. Royal Persian Paintings. pp. 132-133.
16. Layla S. Diba. A lady with Rose. p. 133.
17. Б. Денике, Живопись Ирана. Москва. 1933. сс. 141-142, Layla S. Diba. Safavid Period. Royal Persian Paintings. The Qajar Epoch (1785-1925), edited by Layla S Diba, with Maryam Ekhtiar, Brooklyn Museum of Art. 1998. p. 102.
18. Алибегашвили Г. В. \_ Светский портрет в грузинской средневековой монументальной живописи. Тбилиси, 1979. таб. 4, 10, 16, 21, 25, 26, 36, 38, 39, 41.
19. Layla S. Diba. A lady with Rose. p. 133.
20. Layla S. Diba. A Caucasion Youth in Court Dress. Royal Persian Paintings. p. 130.
21. Амиранашвили Ш. Я. \_ Иранская станковая живопись. Тбилиси. 1940, с. 10-11.
22. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შესრულებული, ქრონოლოგიურად დანყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, ტ. II. 1897. გვ. 456.
23. ა. ტულუში – ცხოვრება და ღვანლი დედოფალ მარიამ დადიანისა. თბილისი. 1992. გვ. 49-50.
24. მ. ციციშვილი – ნინო თორნიკე ქსნის ერისთავის ასულის პორტრეტი. ქართული ხელოვნება. სერია B. 9. თბ. 1991. გვ. 5-18.



ალექსი ლოსავი

## წიგნიდან: "პლატონი და არისტოტელე"

### მართოდმართ ქეშვარიტაზის ქიპის გზაზე

პლატონი მართო დარჩა, მაგრამ სოკრატესთან რწანლიან მეგობრობას ფუჭად არ ჩაუვლია. სოკრატეს სიკვდილის შემდეგ მისი ყველა მონაფე დამოუკიდებელ ცხოვრებას იწყებს, ყოველი მათგანი თავისი გზით მიდის და მასწავლებლის იმ იდეებს ანვითარებს, მათ სულს რომ ეთანაზიარებოდა. ზოგმა მშობლიურ მზარეს მიაშურა და იქ საკუთარი სკოლა დააარსა, სხვანი უცხო ქვეყნებში გაემგზავრნენ, ერთნი ქალაქიდან ქალაქში მოგზაურობდნენ და თავიანთი მასწავლებლის მსგავსად სიბრძნეს ასწავლიდნენ, ზოლო ისინი, ვინც საკუთარ თავში ჩაიკეტნენ, სოკრატეს მცნებების განხორციელებას სათნო და პატიოსანი ცხოვრებით ცდილობდნენ. სოკრატეს უსაყვარლესი მონაფე, 18 წლის ფედონი, ოდესღაც სპარტელელადელთა ომის დროს მონობიდან მასწავლებლის მეოხებით რომ გამოისყიდეს, მშობლიურ ელადაში ბრუნ-

დება, აარსებს სკოლას, სადაც გაიცნობს თავისი საქმის გამგრძელებელ მენედემეს.

ევკლიდე და ტერასიონი მეგარაში დასახლდნენ. ევკლიდესთან პპოვეს საყუდარი აგრეთვე ათენის ხელისუფლების მოქმედებით შეშინებულმა პლატონმა და სოკრატეს სხვა მიმდეერებმაც. კირენით და ათენელებით უკმაყოფილო არისტოტელე უგზოუკვლოდ ხეტიალს სიცილიაში, ტირან დიონისეს სასახლის კარზე ამთავრებს. იქ სფეტელ ესქინეს ხვდება, რომლის თზულებებში სოკრატეს იდეები სიტყვა-სიტყვითაა გაცოცხლებული. ბოროტი ენები იმასაც ამბობდნენ, რომ ამ დიალოგებს თვით სოკრატე ფარულად წერდა, ზოლო მისმა ქვრივმა - სქანტიპამ მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ისინი ესქინეს გადასცაო. ესქინე დიდხანს გაჭირვებაში ცხოვრობდა, ვიფრე სიცილიაში არ დასახლდა. ანტისთენემ თავისი მიმდეერები ათენის სიახლოვეს, კინოსარგის გიმნაზიაში შეკრიბა, საიდანაც შემდეგ მთელ ანტიკურ სამყაროში გავრცელდა კინიკების ფილოსოფია.

\* ა. ლოსავი. პლატონი და არისტოტელე, გამომც. „მოლოდიათა გვარდია“ (რუს. ენაზე), 1993წ.





ქსენოფონტე, რომელიც სპარტაში გამოჩენილი კაცი და ყველასათვის სასურველი სტუმარი გახლდათ, სპარტელ მეფესა და ათასეულის მხედართმთავარ აგესილას დაუმეგობრდა. საჩუქრად ელიდთან ახლოს მდებარე მამული – სკილუნტი მიიღო, სადაც მშფოთვარე ახალგაზრდობის შემდეგ მეურნეობას მიჰყო ხელი. აქვე წერდა „მოგონებებს სოკრატეზე“ და ისტორიულ შრომებს. სპარტელებთან მეგობრობის გამო მისთვის გზა ათენისკენ მრავალი წლით გადაიკეტა.

ათენში, შინ მჯდომი მხცოვანი კრიტიკონი კვლავინდებურად ფილოსოფოსობდა და, როგორც გადმოგვცემენ, ერთ წიგნად შეკრული თორმეტი დიალოგი დაწერა.

პლატონს, რომელიც ვერაფრით შეგუებოდა სოკრატეს სიკვდილს, ათენში დარჩენა აღარ შეეძლო. იგი ეეკლიდესთან გაემგზავრა მეგარაში, სადაც სოკრატეს მეგობრები შეკრებილიყვნენ, როგორც ირკვევა, უკანასკნელად, რათა კიდევ ერთხელ განეცხადათ საერთო სატიკივარი, გული მოეოხებინათ და სამუდამოდ გამომშვიდობებოდნენ ერთმანეთს, რადგან სხვადასხვა ქალაქებში გაფანტვა ეწერათ ბედად და ერთურთს ველარასოდეს შეხვდებოდნენ.

ძველთაძველი ტრადიციის მიხედვით, ნაღდ ფილოსოფოსად ის ითვლებოდა, ვინც სიბრძნეს იქ დაენაფებოდა, სადაც ქვეშარიტებას იცნობდნენ, როგორც უხსოვარი დროიდან არსებულ სუბსტანციას, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ფილოსოფოსს ბევრი უნდა ემოგზაურა; მეცნიერებანი, ფილოსოფია და რელიგია შეესისხლბორცებინა; უცხო ქვეყნების ზნე-ჩვეულებანი შეესნავლა. სწორედ აქ შორდებიან ერთურთს პლატონის შესახებ ჩვენს ხელთ არსებული ცნობები. ერთნი ამ-

ტიკებენ; რომ იგი წინასწარმეტყველია, სადაც ასტრონომია შეესწავლა; შემდეგ ასურეთში ჩასულა და მატეების დიად ცოდნას ზიარებია; სხვათა მონათხრობით, მან ფინიკია და იუდეაც მოიარა, იქაური კანონებისა და რელიგიის შესახებ ცნობებს აგროვებდა თურმე. ბევრნი ფიქრობენ, რომ გვერდს ვერ აუვლიდა ეგვიპტეს, ქვეყანას, ერთ დროს სოლონი და პეროდოტე რომ განაცვიფრა. პლატონი კარგად იცნობდა პეროდოტეს ისტორიას, სადაც აეტორს ეგვიპტე აქვს აღწერილი და როგორ არ გაუდგებოდა თავისი წინაპრის – სოლონის გზას, ვინაც სიბრძნეს თებეში, პელიოპოლში და საისში ეგვიპტელ ქურუმებთან შეიძინა. სოლონი პელიოპოლში ფსენოფისს ხედებოდა, საისში კი – სონხოსს. ორივენი ფრიად განსწავლულ ქურუმებად ითვლებოდნენ, თავიანთი ხალხის სიძველეთა და ზეპირი გადმოცემებით ამაყობდნენ, და ბერძენი ერი ვერ ისევე ჩვილად მიიჩნდათ. „აჰ, სოლონი, სოლონი! – ნამოიძახა ერთმა ეგვიპტელმა უზუცესმა, – თქვენ, ელინები, მუდამ ბავშვებად რჩებით და არ არსებობს უზუცესი ელინთა შორის!“ ეგვიპტელი ქურუმის აზრით, ყველა ელინი ქჟუა-გონებით ყრმაა, რადგან მათი მეხსიერება არ ინახავს გადმოცემებს, რომლებიც თაობიდან თაობაში უნდა გადადიოდეს, არც უძველეს მოძღვრებებს, დროისგან რომ გაჭაღარავებულაო. სოლონი ეგვიპტელმა ქურუმებმა ატლანტიდისა და ატლანტებს შორის ატეხილ სისხლისმღვრელ ომზეც უამბეს.

ასე რომ, პლატონის ეგვიპტეში მოგზაურობა ვასაკვირი არცაა, მით უმეტეს, რომ ეგვიპტე იქვეა. ბერძნები დროდადრო ჩადიოდნენ ხოლმე იქ და აფრიკის ჩრდილოეთში კოლონიებს აარსებდნენ.



ვარაუდობენ, რომ პლატონი ეგვიპტეში მარტო არ გამგზავრებულა, მას მისი ახალგაზრდა მონაფე, მომავალში სახელგანთქმული გეოგრაფი და ასტრონომი ევდოქსი ახლდა. მასთან ერთად გამგზავრებას თითქოს პითაგორელი სოკრატეს მეგობარი სიმია თებელიც აპირებდა. შესაძლოა 408 წელს დაბადებული, 18 წლის ახალგაზრდა ევდოქსი 35-36 წლის მასწავლებელს თან ხლებოდა. პელიოპოლში 300 წლის შემდეგაც ახსოვდათ ის სახლი, სადაც, გადმოცემით, პლატონი და ევდოქსი ცხოვრობდნენ.

არსებობს ცნობა, რომ პლატონი ჯერ კიდევ ჩვ. წ. აღ-მდე VII ს-ში ჩრდილო აფრიკაში ბერძნების მიერ დაარსებულ ქალაქ კორინას სწვევია. ცნობილი მათემატიკოსები თეოდორე და არისტოქლე ნარმოშობით ამ ქალაქიდან იყვნენ. გადმოცემით, პლატონმა თეოდორე მოინახულა. ერთხანს მისგან მათემატიკას სწავლობდა, როგორც სოკრატე. თეოდორე პითაგორელებთან იყო დაახლოებული და პლატონიც თანდათან დაუახლოვდა იმ ფილოსოფოსებს, ასევე თურად რომ ცხოვრობდნენ და რიცხვებს ადამიანური და კოსმიური ყოფის სიმბოლურ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ტარენტელ არქიტომთან ტყუილუბრალოდ როდი მეგობრობდა პლატონი. მან იტალიის სამხრეთ ნაწილში იცხოვრა, სიცილიის დარად ოდითგან ბერძნებით რომ იყო დასახლებული და რომელიც შემდეგომ დიდ საბერძნეთად იწოდა. პითაგორელები მდიდარ სავაჭრო ქალაქებში: კროტონში, მეტაპონტეში და ტარენტეში ჯერ კიდევ VI-V საუკუნეებში მოღვაწეობენ. ნახევრად ლეგენდარული პითაგორა კროტონში დასახლდა და იქ მრავალი წელი მასწავლებლობდა. პითაგორამ პირველმა იხმარა ტერმინი „ფილოსოფოსი“. ტირან პო-

ლიკრატეს კითხვაზე „შენ ვინ ხარ?“ (τίς εστίς, τίς εστίς), მან უპასუხა: – მე არაფარწმინდა (φιλόσοφος), მე ვარ სიბრძნის მოყვარული (philosophos), ფილოსოფოსი. პითაგორელების მოძღვრება დიდად განთქმული და ერთობ მიწმიდველი იყო. იგი მარადისობის წინაშე სულთა თანასწორობას ქადაგებდა, კრძალავდა ნებისმიერი ცოცხალი არსების განადგურებას, ზღუდავდა ადამიანში ძალადობას, ვნებებს, რათა არ დათრგუნულიყო წმიდა ადამიანური გულისთქმანი. პითაგორელები ყველაზე მეტად ეთავყვანებოდნენ რიცხვს და რიცხვულ დამოკიდებულებებს. მთელი გარემომცველი სამყარო მათთან სიმბოლოებითაა გამოხატული და ციფრთა თანაფართობითაა განსაზღვრული, რაც სამყაროს მათემატიკურად გააზრებასა და ზუსტ მეცნიერებათა განვითარებას უწყობდა ხელს.

პითაგორელების მკაცრი ცხოვრების წირი, ფილოსოფიური ჭვრეტა, ადამიანისადმი კეთილგანწყობა, სიკეთისაკენ ლტოლვა, სხვებისადმი დახმარების სურვილი მათთან უამრავ ხალხს იზიდავდა. თავიანთი რელიგიურ-ეთიკური ქადაგებებით, შეიძლება ითქვას, ისინი თავიანთი „კალოლატოსის“ შექმნას და საზოგადოების გარდაქმნას ცდილობდნენ. მათი ფილოსოფია პრაქტიკულ ცხოვრებასთან იყო შერწყმული, რომელიც ადამიანს იმ უცილობელ ხვედრისკენ მავალ ღირსეულ გზას უჩვენებდა, რასაც სიკვდილი ჰქვია. ტირანიით განთქმული დიდი საბერძნეთის ბერძნული პოლისები ფულიანი, ფხიანი რადიკალური დემოკრატიის ხელმძღვანელობით ვითარდებოდა, დემოკრატიისა, დაპყრობით ომებს რომ ეწეოდა და ძველ, პუმანურ იდეალებს თანდათან კარგავდა. ამიტომაც, პითაგორელთა მოძღვრება მდიდრებს, განცხრომაში

მყოფთ, ამორალურ და სკეპტიკოს ადამიანებს აღიზიანებდა, რადგანაც გრძნობდნენ მისგან მომავალ საფრთხეს. პითაგორელებმაც იგრძნეს საშიშროება და ფარული კავშირი შექმნეს. მათ საზოგადოების წევრთა შემვეობით თავიანთი გავლენა მრავალ ქალაქში განავრცეს, სადაც მნიშვნელოვანი თანამდებობები ეკავათ და ფარულად პოლიტიკასაც წარმართავდნენ. პოდა, კროტონში პითაგორელების მოღვაწეობას ვინმე კილონი, ცნობილი და მდიდარი კროტონელი, იამბლიქოსის თქმით, „მძევნარე მოძალადე, მოუსვენარი და სასტიკი კაცი“ მიმდევრებითურთ დაუპირისპირდა. პითაგორელების სახლები დაარბიეს და გაძარცვეს. ბევრი დაიღუპა. პითაგორელების სახლები შეტაპონტიშიც გადაწვეს და, გადმოცემით, მხოლოდ მოხერხებული ახალგაზრდები ფილოლაე და ლისისი გადარჩნენ. ეს ამბები დიდი ხნის წინანდელია, V ს-ის შუა ხანების. პითაგორელთა კავშირმა, როგორც ერთიანმა და მტკიცემ, თავისი არსებობა ჯერ კიდევ პლატონის დაბადებამდე შეწყვიტა.

ამ მოვლენების შემდეგ პითაგორელები საბერძნეთში გადასახლდნენ, ფილოლაოსი – თებში, ხოლო ექუკრატე – პლიუნტიში. ეს ის ექუკრატეა, ფედონი რომ სოკრატეს სიკვდილზე უამბობდა. ზოგი მათგანი მრავალი წლის შემდეგ იტალიაში დაბრუნდა, სახელდობრ ტარენტეში, პითაგორელთა მთავარ ცენტრად რომ იქცა. პლატონის დროს პითაგორელები პოლიტიკაში არ ერეოდნენ. ისინი ასტრონომები, მექანიკოსები, მათემატიკოსები, გეომეტრიები და მუსიკოს-აკუსტიკოსები იყვნენ. ბევრი მათგანი თავისი განსწავლულობის, ზნეკეთილობის წყალობით დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. ხელისუფალნი მათ ადგილ-

სამყოფელს ეძებდნენ, რუმეც მისი წინააღმდეგობით. ბრძენ პითაგორელებს საიდუმლოთა თანაზიართ ეთაყვანებოდნენ. სახელმწიფო მოღვაწის პრესტიჟი წარმოუდგენლად იზრდებოდა თუკი იგი თვით მისდევდა ფილოსოფიას ან მფარველობდა ფილოსოფოსებს. გასაგებია, პლატონმა რად ვერ აუარა გვერდი ტარენტას, სადაც ცხოვრობდა და ფილოსოფოსობდა ცნობილი არქიტი, ვინაც არითმეტიკა, გეომეტრია და ჰარმონიული პროგრესია პირველმა განასხვავა ერთმანეთისაგან და კუბის გეომეტრიის პრობლემაც გადაჭრა. ცნობილია მისი მათემატიკური ძიებანი მექანიკასა და მუსიკის სფეროში; მან პირველმა წარმოადგინა მანქანების მოძრაობა გეომეტრიული ნახაზებით; აკუსტიკურ ცდებსაც ატარებდა. განსაცვიფრებელია არქიტის საბრძოლო ტალანტიც. იგი არაერთხელ ყოფილა სტრატეგი. პირველსავე ბრძოლაში, როცა იგი გადააყენეს, ტარანტელები დამარცხდნენ.

მრავალი ასეული წლის შემდეგ განთქმული რომაელი არქიტექტორი და სწავლული ვიტრუვიუსი ფილოლაოსზე და არქიტზე დაწერს: „ისინი ბუნებამ იმგვარი მახვილი, სხარტი გონებითა და შესაშური მეხსიერებით დააჯილდოვა, შეძლეს, სრულყოფილად სცოდნოდათ გეომეტრია, ასტრონომია, მუსიკა და სხვა დისციპლინები... ასეთი ადამიანები იშვიათნი არიან“.

პლატონის და პითაგორელების მეგობრობა ნაყოფიერი გამოდგა ფილოსოფოსისათვის. პითაგორელებმა თავიანთ მოძღვრებაში ასახეს ანტიკური ადამიანის სწრაფვა ლოგიკური აზროვნებისა და სამყაროს, მისი სივრცით-გეომეტრიული და სტრუქტურულ-რიცხვითი დამოკიდებულებე-



ბის მათემატიკურად, ზუსტად აღქმისაკენ.

თუკი სოკრატემ პლატონში ცოდნისა და ზნეობრივი იდეალისკენ მსწრაფი ადამიანისადმი პატივისცემა დანერგა, პითაგორელებმა მას მკაფიო აზროვნება, თეორიის მწყობრად აგება და საგნის თანმიმდევრული და ყოველმხრივი განხილვა ასწავლეს.

პლატონი სოკრატეს სიკვდილის შემდეგ, IV ს-ის 90-იან წლებში, მთელი 10 წელი მოგზაურობდა და ბოლოს, 389-387 წლებში, სიცილიაში ჩავიდა.

### სიცილიელი ტირანი დიონისე უმცროსი

უმდიდრესი და უნაყოფიერესი კუნძული სიცილია ოდითგან მოსაველიანობის ქალღმერთ დემეტრასათვის შეუწირავთ. უძველეს დროში ეს ბარაქიანი კუნძული ტრინაკრიად – სამკონცხიან კუნძულად იწოდებოდა და პომერული ლესტრიგონებისა და ციკლოპების თავშესაფარად ითვლებოდა. იტალიასთან სიახლოვემ, რომლისგანაც სიცილია მხოლოდ ვიწრო სრუტითაა გამოყოფილი, კუნძული იტალიელების ბელელად აქცია. ხმელთაშუა ზღვაში მისმა მოხერხებულმა მდებარეობამ ჩვ. წ. აღ-მდე ჯერ კიდევ VIII ს-ში ბერძნებს აქ თავიანთი ქალაქები დააარსებინა, რამაც კართაგენელ ფინიკიელებთან შეტაკება განაპირობა. სიცილია ჩრდილო აფრიკიდანაც ხომ ხელის ერთ განვდენაზეა. მთავარ სავაჭრო გზებზე ფინიკიელები ბატონობდნენ, რომლებიც განთქმულნი იყვნენ როგორც მოგზაურები და ვაჭრები. ქალაქები: სირაკუზა, გელი, აკრანგატი, ქიმერა, სელინუნტი ბერძნების მიერ სიცილიის ათვისების ნაყოფია. ამ ქალაქებში ოდითგანვე დულდა ბრძოლა არისტოკრატიულ და

დემოკრატიულ პარტიებს შინაშე. ქვე დაფუძნდნენ ტირანტები, რომლებმაც თავისი ძალაუფლების ქვეშ მთელი სიცილიის გაერთიანებას ცდილობდნენ. სიცილიელ ბერძენში ხელოვნება და მეცნიერება ჰყვავდა. მოდგმით კომედიოგრაფები ეპიქარმე და სოფრონი, პოეტი სტექსიქორე, ცნობილი ფილოსოფოსი ემპედოკლე, ორატორი და სოფისტი გორგია, ისტორიკოსი ფილისტე სიცილიელები გახლავან. სიცილია მტკიცედ ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას და პელოპონური ომის დროს (415 წ.) ათენის მძლავრ ფლოტს უმწევესი მარცხი აგემა.

თუმცა IV ს-ის დასაწყისის მოვლენები V ს-ის სიცილიელების ძლიერებას არცთუ ძალიან ჰგავდა. ქალაქ სირაკუზას ტირანი დიონისე უფროსი მართავდა. ამ უბრალო წარმოშობის, მაგრამ იბლიანმა სტრატეგმა ერთგული ჯარის მეშვეობით, რომლისთვისაც ფულს არ იშურებდა, 406 წელს სირაკუზაში ძალაუფლება ჩაიგდო ხელში. თავიდან იგი წარმატებით ებრძოდა კართაგენელებს, რომლებიც სიცილიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში გამაგრებულ იყვნენ, შემდგომ კი იძულებული გახდა, რამდენიმე ქალაქი დაეთმო მათთვის. დიონისემ ცნობილი სარდლის – პერმოკრატეს ქალიშვილზე იქორწინა. ეს ის პერმოკრატეა, 415 წელს ათენის ფლოტზე ბრწყინვალე გამარჯვება რომ მოიპოვა. როცა სირაკუზელები დიონისეს აუჯანყდნენ, მისი მეუღლე საშინელი სიკვდილით დაიღუპა. დიონისე გაუსწორდა მეამბოხეებს, ძალაუფლება კვლავ დაიბრუნა და ახლა ერთდროულად ორი ცოლი შეირთო. დოროდა იტალოს ლოკრელი და თანამემამულე არისტომაქე შიპარინას ქალიშვილი. არისტომაქე სირაკუზას განთქმული მოქალაქე იყო და დიონისესთან ერთ-

თად, როგორც პოლკის მეთაურს, განუსაზღვრელი უფლებები ჰქონდა. მალე დაიწყო შეტოქეობა ცოლებსა და მათს მომხრეებს შორის. სირაკუზელებს მემკვიდრე ჰიპარინას ქალიშვილისგან უნდოდათ, დორიდას დედას ჯადოქრობა დააბრალეს და ანაშეს, მაგრამ პირველი ვაჟი ტირანს მაინც დორიდამ გაუჩინა. კართაგენელებთან ომებს სასახლის კარის ინტრიგა და პოლიტიკური ბრძოლა ენაცვლებოდა. დიონისე არნახულ სისასტიკეს ავლენდა – მოქალაქეებს სიკვდილით სჯიდა, ქონების კონფისკაციას ახდენდა, იგი იყო პირველი, ვისაც ტირანს საგამობლად უნოდებდნენ მაშინ, როცა VII-VI სს. ტირანები ბერძნულ ქალაქებში, ძველი არისტოკრატიისაგან განსხვავებით, დემოკრატიულ პრინციპებს ახორციელებდნენ, ხოლო ზოგიერთ მათგანს – მაგალითად, პიტაგორა და პერიანდეს ლამის ლეგენდარულ შვიდ ბრძენს მიათვლიდნენ. დიონისეს პატივმოყვარეობას ზღვარი არ ჰქონდა – თავი ნიჭიერ პოეტად მიაჩნდა, მაგრამ მის ლექსებს ჩუმი-ჩუმად დასცინოდნენ. ერთი ტრაგედიისათვის ათენში ჯილდო მიიღო და სიხარულით ცას ეწია. გარდაიცვალა 367 წელს. ამბობდნენ, ძილის ნამლის ნაცვლად შხამი დააღვინეს.

ტირანის კარზე მნიშვნელოვან როლს თამაშობდა გიპარინის ვაჟი, დიონისეს და არისტომაქეს ცოლისძმა დიონე, რომელსაც ცოლად ჰყავდა დიონისეს ქალიშვილი.

ქკვიანი კაცი იყო დიონე, ახალგაზრდა, განათლებული, არისტოკრატიული სულისკვეთებისა, პოლიტიკურ რეფორმებზე იმედებს რომ ამყარებდა, ფილოსოფია უყვარდა და არც რა უშლიდა ხელს პოლიტიკაში ნარმატივისთვის მიეღწია.

დიონეს ხვედრი იყო, ჯერ დიონი-

სე მამის სისასტიკეებთან შეწყობილ – დიონისე შეიღობა და მისი მკვლელობას ესწრაფოდა, რათა ქვეყანა განათლებულ ტირანად გარდაექმნა. იგი მომავალში პლატონის ბიოგრაფიაში განსაკუთრებულ როლს ითამაშებს და მისი უშუალო მონაფე იქნება. არაპითაგორელების, კერძოდ არქიტის გავლენით სიცილიაში პლატონი ჩადის. იმ ხანად იგი იტალიაში მოგზაურობდა.

თითქმის ათი წელია, პლატონი სამშობლოში არ ყოფილა. სიბრძნესა და ცოდნას კრებდა, ფილოსოფოსისთვის საჭირო გამოცდილებას აგროვებდა. მეგობრების მეშვეობით დიონისე უფროსის პოეზიით გატაცების შესახებ მან უკვე იცოდა და შესაძლოა მედიდური განზრახვაც ჰქონდა, მის ზნეობრივ სახეზე თავისი ფილოსოფიით ზეგავლენა მოეხდინა. თუმცა პლუტარქე წერდა, რომ პლატონი სიცილიაში „ღვთის ნებითა და არა ადამიანისათვის დამახასიათებელი ანგარებითა და შეგნებით“ ჩავიდა, მაგრამ, ჩანს, ღვთის ნებასა და პლატონს შორის მთავარი მედიუმი მაინც დიონეა, რომელიც პლატონის სიცილიაში ჩასვლისას 18 წლისა იყო, მაგრამ თავს უკვე პლატონის მონაფედ თვლიდა და ნეოფიტის მხურვალეებით გადაეწყვიტა, ფილოსოფიის მეშვეობით ტირანის ზნეობრივი გაკეთილშობილების იდეა სინამდვილედ ექცია.

პლატონი სიჭაბუკიდან მოყოლებული ოცნებობდა, საზოგადოებისა და სახელმწიფოსათვის გამოსადეგი ადამიანი ყოფილიყო. იგი ძლიერი პოლიტიკური ვნებების გარემოცვაში ცხოვრობდა. მისი უახლოესი ნათესავები 411 და 404 წლების ოლიგარქიული ბრძოლების ყველაზე აქტიური მონაწილენი იყვნენ. ჯერ კიდევ ჭაბუკი პლატონი დარწმუნებული იყო, რომ

სწორედ ეს ადამიანები უბიძგებდნენ სახელმწიფოს უსამართლობისაკენ, მაგრამ როცა მათ ნაბიჯებს დაუკვირდა (ყოველი მათგანი უკომპრომისო და სასტიკი იყო), დარწმუნდა, რომ მოკლე დროში ამ ადამიანებმა ყველა აიძულეს, ყოფილ სახელმწიფო წყობილებაში ოქროს ხანა დაენახათ. ხელისუფლებაში დემოკრატების მოსვლამ პლატონს ახალი დარტყმა მიაყენა როცა იგი მოწმე გახდა სოკრატესადმი მათი უსამართლობისა. სწორედ მაშინ გადაწყვიტა, სახელმწიფო საქმეებში არ ჩარეულიყო. ძველი წეს-ჩვეულებები და კანონები გაუკუღმართდა და დაკნინდა. მოხუცებული ბრძენი ერთ-ერთ წერილში წერდა, რომ მზად იყო, საზოგადოებისათვის გულმოდგინედ ემსახურა, მაგრამ ყველგან უთანხმოებას ნაახყდა და ბოლოს და ბოლოს თვალთაც დაუბნელდა. პლატონს, როგორც მოაზროვნე ადამიანს, ფიქრი არ შეუნყვეტია, თუ რა გზით შეიძლება სახელმწიფო წყობის გაუმჯობესება. ბევრ ქვეყანაში იმოგზაურა. მათ ზნე-ჩვეულებებსა და კანონებს აკვირდებოდა, რის შემდეგაც დაასკვნა, რომ ყველა სახელმწიფო ცუდად იმართება. მათი კანონმდებლობების განკურნება შეუძლებელია, ამისათვის ხელსაყრელ გარემოებათა დამთხვევა არ დაეხმარა მათ. პლატონისთვის ფილოსოფია ერთადერთ წყაროდ იქცა, რომელიც არწყულებს სახელმწიფო კანონებსა და ადამიანთა ცხოვრებას. იგი სულ უფრო და უფრო რწმუნდება, რომ ადამის მოდგმის ბოროტისაგან ხსნა მხოლოდ ჭეშმარიტ, სწორად მოაზროვნე ფილოსოფოსთა ღალატით, რომელნიც სახელმწიფო თანამდებობებს დაიკავებენ, ან კიდევ ქვეყნის მმართველთ, თუკი რომელიღაც მაღალი ღვთაების განჩინებით

ჭეშმარიტ ფილოსოფოსებთან.

მაგრამ რაც ახალგაზრდა დიონეს მიეტივებოდა, ცხოვრებაგამოვლილი, 38 წლის პლატონისათვის წმინდა წყლის ილუზია იყო. პლატონის სირაკუზაში ჩასვლისთანავე გაირკვა, რომ მითი იქაური ნეტარი ცხოვრების შესახებ სიცრუე იყო. იტალიასა და სირაკუზაში ჩასვლა პლატონს არ ექაშენიკა. იქაურთა ჩვეულებამ, დღეში ორჯერ გასკდომამდე გამძლარიყვნენ, მასში ზიზი გამოიწვია. ფილოსოფოსის წინაშე შემზარავი სახით გაცხადდა სახელმწიფო, რომლის მოქალაქეებიც ფუფუნებაში იხრჩობოდნენ, ღორმუცელობდნენ, ლოთობდნენ, მეძავობდნენ... მან დაინახა, რომ ასე აღზრდილი ადამიანები, რაგინდ დიდებული მონაცემებითაც ყოფილიყვნენ დაჯილდოებულნი, ვერასოდეს მოიქცეოდნენ გონივრულად. პლატონმა იცოდა, რომ ასეთი სახელმწიფოები უცილობლად იცვლიან მართვის ფორმებს, მაგრამ უკიდურესობისაკენ – ტირანიის, ოლიგარქიისა თუ დემოკრატიისაკენ, და მათ ხელისუფალთ არასდროს არ ენდომებათ სამართლიანობისა და თანასწორუფლებიანობის ხსენებაც კი.

ტირანზე ფილოსოფიური ზემოქმედების ურყევი რწმენა იყო საჭირო, რომ ასეთი თავდაჯერებული ნაბიჯი გადაედგა და დიონისეს შეგონებას შედგომოდა. თავის მხრივ ტირანი ყოველად დაუინტერესებლად დაყაბულდა პლატონს ფილოსოფიურ საუბრებზე. ცბიერი დიონისე, რომელსაც თავისი ცხოვრების 40 წლის მანძილზე გამოუმუშავდა, არავის არ ენდობოდა და ყველასა და ყველაფერში მტერი დაენახა, ფილოსოფოსს შინაგანი უნდობლობით უსმენდა. პლატონი ხელისუფლისა და საერთოდ



ადამიანის სათნოებაზე მსჯელობდა; მოძღვრავდა დიონისეს, ცდილობდა, აეხსნა მისთვის, თუ რა არის სიმამაცე, თუ შიშა, ომსა და პოლიტიკურ ბრძოლებში არასოდეს მიუღია მონაწილეობა; ამტკიცებდა, რომ ტირანები ლაჩრები არიან, გარშემომყოფთ აწინებენ, რადგან თავად ეშინიათ ყველასი. როცა საუბარი სამართლიანობაზე ჩამოვარდა, ითქვა, რომ ნამდვილი ბედნიერების ღირსნი მხოლოდ სამართლიანი ადამიანები არიან, უსამართლობა კი სხვა არაფერია, თუ არა უბედურება.

პლატონის დიონისესთან საუბრების შესახებ დანერვილებითმა ცნობებმა ანტიკური ხანის ბოლომდე მოაღწია. მათ შორის ყურადსაღებია ერთი – დიონისეს კითხვებს პლატონი ავტორიტეტული ფილოსოფოსის ღირსებით პასუხობდა, კითხვაზე, ვინაა ყველაზე ბედნიერი კაცი, პლატონმა უყოყმანოდ სოკრატე დაასახელა. ხოლო როდესაც ტირანმა ჰკითხა, რა უნდა იყო ხელისუფლის მიზანი, პლატონმა აუღელვებლად მიუგო: გააკეთილშობილო შენი ქვეშევრდომებით. დიონისე დაინტერესდა იმითაც, თუ რას იტყოდა ფილოსოფოსი სასამართლოს სამართლიანობის მნიშვნელობაზე. პლატონს არც უფიქრია, თავის მრისხანე თანამოსაუბრეს შეპაექრებოდა და გონებაშახეილურად შენიშნა, – მსაჯულნი სამართლიანნიც რომ იყვნენ, იმ მკერავებს ემგვანებიან, გახეული კაბა რომ უნდა გააკერინო. მინიშნება სრულიად ცხადი გახლდათ – სახელმწიფოში, რომელსაც ტირანი მართავს, ხვრელების წინამოს მოვარაყება არ კმარა, საჭიროა თვით მართვის მეთოდების შეცვლა. დიონისე არ ცხრებოდა, ახლა ისევე სიმამაცეზე ჩამოაგდო სიტყვა, რადგან ფიქრობდა, რომ პლატონი ბოლოს და ბოლოს მის

პირად ღირსებასაც შეაფასებდა. მკვრამ ახლაც ისევე გულანდობილად მიიღო – რომ ტირანი ყველაზე ლაჩარი კაცია ქვეყანაზე. იგი თავის დალაქთანაც თრთის, რადგან ეშინია ყელი არ გამოლაფროსო.

დიონისე უკმაყოფილებას ველარ ფარავდა. ყველასაგან ნაქები ფილოსოფოსის შეგონებას ისმენდა და ხვდებოდა, როგორ შეუფარავად ასამართლებდა იგი. ტირანს ისიც ალაშფოთებდა, თუ როგორი ინტერესით უსმენდნენ პლატონს მისი კარის ბინადარნი, ახალგაზრდები ხომ თითქმის მოჯადოებულნი იყვნენ მისით, რამეთუ ფილოსოფოსი დაუფარავად გამოთქვამდა ისეთ აზრებს, რომელთა შესახებაც სასახლეში არავინ არ ლაპარაკობდა, მეტიც, ასეთი აზრების გაფიქრებისაც კი ეშინოდათ.

დიონისეს მოთმინების ფიალა ავესო და მკვებედ ჰკითხა პლატონს, – სიცილიაში რატომ ჩამოხვედიო. პლატონის პასუხზე, – სრულყოფილი ადამიანის საძებრადო, – ტირანმა გესულით მიუგო: – ვფიცავ ღმერთებს, რომ შენ იგი არ გიპოვია, ეს ხომ სრულიად ნათელია. ტირანიაზე ფილოსოფოსის ზნეობრივი ზემოქმედება ამით დასრულდა.

პლატონს არცთუ დიდი ხნის წინათ ეტნას მიერ ამოფრქვეულ მოგიზგიზე ლავის ნაკადს რომ აკვირდებოდა და სიცოცხლეს საფრთხეში იგდებდა, ახლა უფრო დიდი საფრთხე ელოდა, ვინაიდან დიონისე დაუნდობელი და სასტიკი კაცი იყო. ტირანმა გადაწყვიტა, ფილოსოფოსი დაუყოვნებლივ შინისაკენ გაესტუმრებინა.

პლატონმა სირაკუზა სპარტელი ელჩის, პოლიდის გემით დატოვა. ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ელჩს საიდუმლო დავალეზაც ექნებოდა – როცა ღია ზღვაში გავიდოდნენ, მოეკლა



ან მონად გაეყიდა იგი. მერე იმასაც ამბობდნენ, როგორ იქედნურად უკითხავს დიონისეს, – მგ ზაერობისას პლატონი ხომ არ დაზარალებდაო. იქვე დაუმატებია, თუმცა იგი სამართლიანი კაცია და მონობაშიც სამართლიანი იქნებაო.

პოლიდმა ვერ გაბედა მოეკლა ყველასაგან პატივებული ფილოსოფოსი, მაგრამ დიონისესიც ემინოდა და მონად გაყიდა კუნძულ ეგინზე. ეგინეს ბინადარი იმხანად ათენელებს ეომებოდნენ და კუნძულზე გამოჩენილ ყოველ ათენელს მონობა ელოდა. ასე რომ, კუნძულზე, სადაც, ერთ-ერთი გადმოცემის თანახმად, პლატონი დაიბადა, იგი მონათა ბაზარზე გაიყვანეს.

ეგინეს მკვიდრი ანიკერიდე ელადაში ეტლების შეჯიბრებაზე საასპარეზოდ მიდიოდა. გამგზავრებამდე შემთხვევით პოლიდს შეხვდა და მისგან შეიტყო, რომ განთქმული ფილოსოფოსი პლატონი გასაყიდად იყო განწირული. დაუფიქრებლად იყიდა იგი 20 თუ 30 მინად იმ მიზნით, რომ მონობისაგან ეხსნა და სამშობლოში დაებრუნებინა. მან ამით მეტი სახელი მოიხვეჭა, ვიდრე ეტლების შეჯიბრებაზე გამარჯვებით მოიხვეჭდა. ვერავინ გაიგებდა, თუ ვინ იყო ანიკერიდე, პლატონი ტყვეობიდან რომ არ გამოეყიდა.

სხვა გადმოცემით, პლატონი სპარტელი პოლიდისაგან პლატონის ძველმა მეგობარმა და დიონისეს კეთილისმყოფელმა პითაგორელმა არქიტმა გამოისყიდა. ამ უჩვეულო ამბავმა ანტიკურ ხანაში ბევრი ქორი და მითქმა-მოთქმა გამოიწვია. მას ნაირგვარად აღწერდნენ და შესაძლოა აჭარბებდნენ კიდევ. პყეებოდნენ, სპარტელი პოლიდი შემდგომ როგორ დაამარცხა ათენელმა სარდალმა ხებრიამ და

მისი ხომალდი ჩამოიხრჩუნეს თქმით, „ფილოსოფოსის მსგავსრ ლეთებამ იძია შური“. იმასაც ამბობდნენ, რომ პლატონის მეგობრებს ანიკერიდისათვის გამოსასყიდი ფულის უკან დაბრუნება უნდოდათ, მაგრამ იმ მართლაცდა კეთილშობილმა კაცმა იუარაო. მაშინ მეგობრებმა ეს ბედნავისი ხელის ქუჩყი თვით პლატონს გადასცეს და სიმდიდრით თავს რომ ვერ მოიწონებდა, მოულოდნელად კაიძალი თანხის მფლობელი გახდაო. ეს კაპიტალი მან ისე დახარჯა, როგორც ფილოსოფოსს შეშვენის.

## აკადემია

ხანგრძლივი მოგზაურობიდან ათენში დაბრუნებულმა პლატონმა ქალაქის ჩრდილო-დასავლეთ გარეუბანში, დიპილონის მთავარი კარიბჭედან ნსტადიონის მოშორებით, ბაღში ჩადგმული სახლი იყიდა, იქ დაეფუძნა და ფილოსოფიური სკოლაც დააარსა.

ამ სანახებს, რომელსაც უძველესი გმირი აკადემიკოსი მფარველობდა (გადმოცემით, ეს მიწები მას ლეგენდარულმა მეფემ – ტესემ აჩუქა) და სადაც ოდესღაც ათენის ტაძარი აღზევებულიყო, აწ ნატაძრალი და 12 ზეთისბილის – ლეთების ზე – შემორჩენოდა.

თვალწარმტაც ბაღსა და ქალას, უძველეს გიმნაზიას, ათენელნი აკადემიად ხმობდნენ. დაახლოებით 385 წელს სწორედ აქ აღმოცენდა პლატონის განთქმული ფილოსოფიური სკოლა და 529 წლამდე, თითქმის ანტიკურობის ბოლომდე იარსება, ვიდრე იმპერატორმა იუსტინიანემ არ დახურა, როგორც ცრუ, წარმართული სიბრძნის კერა.

აქ, აკადემიაში, პლატონმა ოჯახუ-





რი, მყუდრო ცხოვრება ჰპოვა, ცხოვრება, რომელიც მას ასე ენატრებოდა. თუმცაღა, ბედს ენება, ადგილები, მისთვის ასე ძვირფასი რომ გამხდარიყო, მას კიდევ ორჯერ დაეტოვებინა და თავს გადახდენილ დრამატულ მოვლენათა შემდგომ, კვლავ დაბრუნებოდა თავის მონაფეებს და, რალა თქმა უნდა, საყვარელ მიდამოს, ბალს, გმირი აკადემიკოსის კალთა რომ იფარავდა.

ეს, ათენის კედლებს მიღმა მდებარე უყურადღებოდ მიგდებული მიწები V ს-ის პირველ ნახევარში განთქმულმა ათენელმა სარდალმა, კომონმა, თვალწარმტაც ქალად აქცია და არხიც გაჭრა. აკადემოსის ბალი ქალაქის სამკაულად იქცა და ათენელებმა შეიყვარეს იგი. აკადემიისაკენ გზად მიმავალს „უმშვენიერესი“ არტემიდეს გამოსახულება და დიონისე განმათავისუფლების ტაძარი, დემოკრატიის ბელადების – პერიკლესა და ფრესიბულეს, სახელგანთქმული ზებრიას საფლავები ხედებოდა.

ყველა, ვინც ათენიდან ქალაქის გარეუბან კერამიკის გაელით, აკადემიას ეშურებოდა, მონინებით თრთოდა, რამეთუ გზაზე იმ გმირთა საფლავებზე აღმართული ქვის სტელები მიმოფანტულიყო, ხმელსა და ზღვაზე ათენის თავისუფლებისთვის რომ იბრძოდნენ. აქ ფილოსოფია და დიად ნინაპართა შესახებ მოგონებები მეზობლობდნენ, რაც პლატონის სკოლას განსაკუთრებულ ელფერს ანიჭებდა. ათენის კედლებს მიღმა მდებარე ამ ნყნარ კუთხეში, მდინარე კეფისეს ნაპირას, გაშლილფოთლებიან ჭადართა, ასწლოვან ზეთისხილთა, თეთრ ხვალთა ჩახლართულ ტოტებს შორის აქა-იქ მუზეუმის ქანდაკნი და ხელოვნების ამა თუ იმ ღვთაებათა სამსხვერპლონი მოჩანდა... ერთი ხე ზეთისხი-

ლისა იმდენი ხნისა იყო, რომ ათენელნი მას მეორე თაყვანსაცემი ედგინებდნენ, იმ ზეთისხილის შემდეგ, ქალაქში თვით ათენამ რომ დარგო. გიმნასტიკისთვის სავარჯიშო იარაღები, აქ გიმნაზიის შემდეგ რომ დარჩა, პრომეთესა და ჰეფესტოსის ქანდაკთ ხელს სულაც არ უშლიდა. ბრძენი ტიტანი პრომეთე და მასზე არანაკლებ ბრძენი ჰეფესტოსი, მრავალტანჯული გმირი ჰერაკლე და ფრთაშესხმული ღმერთი ეროტი, სოკრატეს თქმით, მარადიულ ლტოლვას რომ ნიშნავს, ხეების ჩრდილში, მხიარულ პატარა მდელოებზე მკვიდრობდნენ. ღვთაება ათენასა და ჩირალდნიანი პრომეთესადმი მიძღვნილი დღესასწაული, უძველესი ტრადიციით, აქ, პრომეთეს სამსხვერპლოსთან იწყებოდა და ქალაქის შუაგულში აღმართულ ათენას ქანდაკებასთან მთავრდებოდა, სწორედ ის დღესასწაული, რომელზეც პლატონი მოგვითხრობს თავის თხზულებაში – „სახელმწიფო“.

მაინც როგორი იყო პლატონის აკადემია? – ეს აპოლონისა და მუზეუმის მსახურთა, ბრძენთა კავშირი გახლდათ, პლატონის სახლი კი „მუზეუმის სახლად“ – „მუსსეიონად“ (მუზეუმად) იწოდებოდა. სკოლის თავკაცი ანუ სქოლარქი თვით პლატონია. ჯერ კიდევ სიცოცხლეშივე თვისი საქმის გამგრობად, მომავალ სქოლარქად პლატონმა თავისი დისწული, პოტონეს ვაჟი პსევსიპე დაასახელა.

სკოლის განვითარების შემდგომი ეტაპები – კერძოდ პირველი (უძველესი), მეორე (საშუალო), მესამე (ახალი) აკადემია შემდგომ სქოლარქებთანაა დაკავშირებული. სკოლა ყოფილი გიმნაზიის ძველ შენობაში იყო. თალზე ეწერა: „გეომეტრიის არმცოდნე ნუ შემოვა“. ეს ნარწერა პლატონისა და მის თანამემამულეთა ზოგადად მათე-

მატიკისადმი და კერძოდ გეომეტრი-  
ისადმი უდიდეს პატივისცემაზე მია-  
ნიშნებდა, ვით მეცნიერებაზე უმშვე-  
ნიერეს ფიგურათა შესახებ. უძველეს  
აკადემიაში უმთავრესი ყურადღება  
მათემატიკასა და ასტრონომიაზე შემ-  
თხვევით როდი გაუმახვილებინათ, ეს  
პლატონის მიერ პატივდებული პითა-  
გორელუბის გავლენის შედეგი იყო!

მათივე მიზანძვით აკადემიის ორ  
ჯგუფში შეცადინებოდა მკაცრი განრი-  
გით მიმდინარეობდა. პირველი იყო  
საერთო – ყველა მსურველისთვის და  
მეორე – სპეციალური, ფილოსოფიურ  
საიდუმლოებებს რომ იყვენენ ნაზი-  
არებნი. დილაობით აკადემიის ბინა-  
დართ უჩვეულო „მალვიძარას“ ძლიერ  
ხმა აღვიძებდათ. იგი თვით პლა-  
ტონმა გააკეთა. იქვე გნომონი – მზის  
საათიც გაემართათ. როგორც მოსა-  
ლოდნელი იყო, პლატონის სკოლაში  
მათემატიკის გაკვეთილებმა გამოყუ-  
ნებითი მექანიკით გატაცება განაპი-  
რობა, განსაკუთრებით მაშინ, როცა იქ  
ერთხანს განთქმული ასტრონომი ევ-  
დოქსი ბინადრობდა. „ლამის“ საათის,  
მალვიძარას თაობაზე არისტოქსენე  
მოგვითხრობს. მან მისი მასწავლებ-  
ლისგან – არისტოტელესგან აკადემი-  
ურ ცხოვრებაზე ბევრი საინტერესო  
რამ იცოდა.

კლეპსიდრედან – წყლით სავსე  
დიდ ქურჭლიდან, დაახლოებით ექვს  
საათიან ციკლზე რომ იყო გათვლილი,  
წყალი წვეთ-წვეთად ჩადიოდა კლეპ-  
სიდრეს ქვეშ დადგმულ რეზერვუარ-  
ში. როდესაც ქვედა ქურჭელი წყლით  
აივსებოდა, სითხე ძლიერი წნევით  
მიღში ჩაედინებოდა, რომელიც ზედა  
და ქვედა ქურჭლებს ერთმანეთთან  
აკავშირებდა. ზედა წერილი მილიდან  
წყალი ქვედა რეზერვუარს ლონივრად  
ექვრებოდა. შეკუმშული პაერი აქე-  
დან ერთადერთი სარქველის მეშვეო-

ბით გამოდიოდა, რომელიც ქვედა რე-  
ზერვუარში იყო დამონტაჟებული და  
გრძელი მილით მუსიკალურ ინსტრუ-  
მენტს უერთდებოდა. ეს წყლის ფლე-  
იტისმაგვარი ორლანი მძლავრ ხმას  
გამოსცემდა.

პითაგორელების მიზანძვით, ოდით-  
გან მკაცრ, ასკეტური ტიპის საზოგა-  
დოებებად რომ ცხოვრობდნენ, აკადე-  
მიის მონაფეებს ცოტა ეძინათ, უმე-  
ტესნილად ფიზილობდნენ და ბუნების  
წიაღში, სინუშეში აზროვნებას ავარ-  
ჯიშებდნენ. ერთობლივ ტრაპეზზე ის-  
ხდნენ, ხორცისგან, რომელიც გრძნო-  
ბებსა და მძაფრ ვნებებს ამძაფრებს,  
თავს შორს იჭერდნენ და მხოლოდ  
ბოსტნეულით იკვებებოდნენ (თვით  
პლატონს ლელვის ჩირი და რძე ჰყვარ-  
ებია). ცდილობდნენ წმინდა ზრახვე-  
ბი ჰქონოდათ. აკადემიაში სადილად  
დროდადრო პლატონის მეგობრებს  
ინვევდნენ, მაგრამ ერთობლივი მოკ-  
რძალებული ტრაპეზი უცვლელი რჩე-  
ბოდა. ცნობილი სარდალი, განთქმუ-  
ლი კონონას შვილი და ხებრიას თანა-  
მოსაგარე ტიმოთე, ხელგამლილ მას-  
პინძლობას რომ იყო ჩვეული, სადღე-  
სასწაულო ნადიმზე ლარიბულმა სუფ-  
რამ და ბრძნული საუბრის გარემომ  
პირდაპირ შეძრა.

გადმოგვცემენ, რომ აკადემიაში  
ტრაპეზის მეორე დღეს მას პლატო-  
ნისთვის უთქვამს: შენ და შენი მეგობ-  
რები კი არ ნაყრდებით, არამედ ისე ნა-  
იხემსებთ, რომ მეორე დღემდე გაატა-  
ნოთო.

თავდაპირველად პლატონი აკადე-  
მიის კორომებში ნარგავთა ჩრდილქ-  
ვეშ მოსეირნე საუბრობდა ხოლმე,  
შემდგომში კი შინ, სადაც მუზების ტა-  
ძარი და ე. წ. ესკადრა, სამედიცინო  
დარბაზი მოანყო. პლატონის დროი-  
დან მოყოლებული, მის საცხოვრებელ  
სახლს და ბაღს, ისევე როგორც



მთელს იმ შემოგარენს, სადაც ფილოსოფიური სკოლა იყო, ათენელები აკადემიას ეძახდნენ. რამდენიმე ასეული წლის მერე, სს-ში ჩვ. წ. აღ-მდე, რომაელმა დიქტატორმა სულამ ათენს ალყა შემოარტყა, პლატონის აკადემიის ბალი გაჩეხა და იმ მასალით საალყო დანადგარები ააგო. მაგრამ ნარგავებმა ისევე იხიერეს და მშვენიერმა ჩრდილოვანმა ბაღმა ანტიკურობის დასასრულამდე მოაღწია. თვით სკოლაში და მუზეუმის ტაძარში პლატონის დისპვილმა, ახალმა სქოლარქმა პსევსიპემ ქარიტებს ძველი აღუმართა, ზოლო დაარსებიდან რამდენიმე წლის შემდეგ განთქმულმა სპარსმა მითრიდატემ აკადემიის ეზოში მოქანდაკე სილანიონეს გამოქანდაკებული პლატონის ბიუსტი აღმართა მიძღვნილი ნარწერით. პლატონის ცნობილ, დღემდე შემორჩენილ გამოსახულებათაგან სწორედ სილანიონეს ქანდაკი ითვლება საუკეთესოდ, ქანდაკი, რომელიც პლატონის სიცოცხლეშივე შეიქმნა.

აკადემიის ბინადარნი 7 ტერგილიონს (21 მაისს), ფილოსოფოსის დაბადების დღეს პლატონის გარდაცვალების მერე ყოველწლიურად დღესასწაულობდნენ და პლატონს, ვით უძველეს გმირს, ფილოსოფიური ტაძრის დამაარსებლად და ეპონიმად მოიხსენიებდნენ. შორიახლოს, ბალის კედლების მიღმა პლატონი განისვენებდა.

კანონის თანახმად, აკადემიის თავკაცს ირჩევდნენ, მაგრამ გადმოგვცემენ, რომ აკადემიის არსებობის მანძილზე სქოლარქი ორად ორჯერ აურჩევიათ, ტრადიციულად კი მის მემკვიდრეს სკოლის ხელმძღვანელი ასახელებდა.

ბალს, შენობას, სატრაპეზოს, სამზარეულოსა და სამხვერპლოს საგანგებოდ შერჩეული პირნი უვლიდნენ და მსახურებდნენ. ყოველი თვის პირველ

დღეს „არქოტი“ ანუ მუზეუმის მფლობელი, „წმიდა მსხვერპლის მძღველი“ და „მუზეუმის მსახური“ ინიშნებოდა. მასწავლებლებთან ერთად ისინიც ქადაგებდნენ და სანიმუშო მონაფეხბად მოიაზრებოდნენ. აქ მხოლოდ მათემატიკასა და ასტრონომიას როდი სწავლობდნენ, არამედ ლიტერატურას, სახელმწიფოთა კანონებს და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს, მათ შორის ბოტანიკას. მონაფეთაგან ზოგს განსაკუთრებით ბუნების კანონების შესწავლა იტაცებდა. მათ შორის იყო არისტოტელეც (384-322). მან პლატონის აკადემიაში 20 წელი ისწავლა და უკვე ზრდასრულს 40 წლის მონიფულ მეცნიერს, პლატონის გარდაცვალების შემდეგ საშუალება მიეცა, საკუთარი სკოლა – ლიქეა დაეარსებინა.

ხოლო მანამ, მრავალი წელი, პლატონის ნებართვით, აკადემიაში განსწავლას არისტოტელე უძღვებოდა. ერთ ამბავს ირონიით მოგვითხრობენ. უკვე მოზუცი პლატონი აკადემიიდან მცირე ხნით გამგზავრებულა, არისტოტელე კი ლექციების კითხვისას ზუსტად იმ ადგილას დამდგარა, სადაც პლატონს სწევოდა დგომა. პლატონმა დისშვილის – ფიზიკურად ლონიერი და ძლიერი კაცის, პსევსიპეს დახმარებით შეძლო არისტოტელეს აკადემიიდან გაძევება. ეს ამბავი შესაძლოა სათუო იყოს, მაგრამ იმაზე მიგვანიშნებს, რომ აკადემიაში მკაცრად მისდევდნენ ტრადიციას, მისი დარღვევის უფლება არავის ჰქონდა, ხოლო სკოლის დამაარსებლის, მისი მეთაურისა და ყოველთა სამფლობლოთა მფლობელის უფლებებს მტკიცედ იცავდნენ.

პლატონის აკადემიამ ანტიკურობის ისტორიაში პირველმა მოუყარა თავი მის კედლებში ამდენ მსმენელს,



რათა ისინი სხვადასხვა მეცნიერებებისთვის ეზიარებინა; შეიმუშავა სწავლების მკაცრი მეთოდები. მონაფეთა შორის განსაკუთრებულად ნიჭიერი არა მხოლოდ ფილოსოფოსობდნენ, არამედ აქტიური სახელმწიფო მოღვაწეებიც გახდნენ.

პლატონის გარდაცვალების შემდეგ აკადემიას მისი დისწული პსევსიპე ხელმძღვანელობდა (347-329 წწ). მისი უმცროსი თანამონაფე ქსენოკრატე რიგით მესამე სქოლარქი გახლდათ (339-314 წწ). მან ეს თანამდებობა პსევსიპეს მძიმე ავადმყოფობის დროს დაკარგა. მოხუცი პლატონის დასაყრდენმა პსევსიპემ, რომელიც მძიმე სენს შეეპრო, ტკივილებს ვეღარ გაუძლო და თავი მოიკლა.

ქსენოკრატე, სიცილიაში ერთ-ერთი მოგზაურობის დროს პლატონს რომ ახლდა, უაღრესად მართალი და ზედმინეწივით პატიოსანი, მაგრამ უკიდურესად კუშტი ადამიანი იყო. ვადმოცემით, მას ერთხელ პლატონმა ღიმილით შეახსენა, ქარიტებისთვის, სილამაზისა და მშვენიერების ქალღმერთებისათვის, მსხვერპლის შეწირვა არ დაეინყებოდა, რადგან ისინი მოგვიწოდებენ, სამყარო აღვიქვათ სიხარულად, დღესასწაულად, ბედნიერებად.

პლატონის მონაფე გახლდათ დიდი არისტოტელე. როცა პლატონი ამ ქვეყნად აღარ იყო, იგი თავის ლიკეაში ჩრდილოვან ხეებსა და ხეივნებს შორის მოსეირნე ესაუბრებოდა მონაფებს. ამიტომ მის სკოლასაც პერიპატეტიკული უწოდეს (ბერძნ. peripatein - ვსეირნობ).

პლატონის უსაყვარლესი მონაფე ფილიპე ოპუნტელი იყო. მან გადაწერა პლატონის უზარმაზარი თხზულება - „კანონები“, რომლის ცვილით გამოხილ დაფებზე ნაწერი შავი პირიც სიკვდილის წინ მოძღვარმა დაუტოვა. „კანონების“ ბოლოთქმას ანუ დასრულებას ნილს მას მიანერენ. ზიგლინიოთქმა

366 წელს სიცილიიდან გაგდებული დიონე ფილოსოფოსთა შორის ცხოვრობდა და აკადემიაში თავის უფროს მეგობარს გატაცებით უსმენდა. სოკრატეს მიმდევრები და პლატონის მონაფეები ერასტე და კორისკი წარმოშობით მცირე აზიიდან ქალაქ სკეპსიიდან გახლდნენ.

მეგობრობდნენ სკეპსიის ახლო მდებარე ქალაქ ატარნევსის მბრძანებელთან, ფილოსოფიის მეტრფე პერმიასთან და ახლო ურთიერთობა პქონდათ არისტოტელესთანაც, რომელსაც პერმიას ძმისწული პყავდა ცოლად. პერმიას, ერასტესა და კორისკს ხანდაზმულმა პლატონმა წერილი მისწერა, სადაც შეაგონებს მათ, რომ თვინიერ მეგობრობისა, არც ოქროს, არც ცხენთა რემას, არც სამხედრო ძალაუფლებას არა აქვს უფრო დიდი ძალა, ვიდრე ერთგული, მოაზროვნე ადამიანების ერთურთისადმი მზარდაჭერასო. ქსენოფონტი პერმას სასახლეში ხშირად სტუმრობდა, აგრეთვე სხვა პლატონელებიც, მაგრამ პერმა სპარსელებთან ბრძოლაში დაიღუპა, მისი უახლოესი მეგობარი არისტოტელე კი თავისი სახელოვანი მონაფის - ალექსანდრე მაკედონელის დაღუპვის შემდეგ იძულებული გახდა, ათენიდან გაქცეულიყო, სადაც მას მტრები სოკრატეს ხვედრს უმზადებდნენ.

ზოგიერთი იმასაც ამბობდა, ადამიანის ხასიათის შესახებ განთქმულ თხზულებათა ავტორი - თეოფრასტი არა მხოლოდ არისტოტელეს, პლატონის მონაფეც იყო. არისტოტელეს გარდაცვალების შემდეგ თეოფრასტიმ მისი ბიბლიოთეკა პლატონისა და არისტოტელეს მონაფეს - კორისკეს გადასცა.

ცნობილი ფილოსოფოსი პერაკლი-

დე, რომელიც პონტოს სანაპიროზე მდებარე ქალაქ პერაკლეადან იყო, ამავე აკადემიის კედლებიდან გამოვიდა. იგი მხოლოდ პლატონსა და პსევსიპეს როდი უსმენდა, არამედ არისტოტელესაც. პლატონი სიცილიაში შესამედ რომ გაემგზავრა (361-360 წწ.), სკოლას დროებით პერაკლიდე მეთაურობდა. პსევსიპეს სიკვდილის შემდეგ სქოლარქის არჩევისას ქსენოკრატემ რამდენიმე ხმით მეტი მიიღო, ვიდრე პერაკლიდემ. მაშინ მან დატოვა ათენი და მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა, სადაც საკუთარი სკოლა დააარსა.

განთქმულ ათენელ ორატორთა შორის სამი პლატონის მსმენელი იყო - ჰიპარხიდე, ლიკურგე და დემოსთენე. ისინი არა მხოლოდ ფილოსოფიის კარგი ცოდნით გამოირჩეოდნენ, არამედ სახელი გაითქვეს, როგორც ორატორებმა და სახელმწიფო მოღვაწეებმა. მათ მძიმე დროში მოუწიათ ცხოვრება. როდესაც მაკედონელმა საბერძნეთი დაიპყრო, სახალხო ანტიმაკედონური პარტიის რიგებში იბრძოდნენ. ჰიპარხიდე მაკედონელებმა ანამეს. ლიკურგე ათენელების წინაშე დამსახურებისათვის მოქალაქეებმა სწორედ იმ გზის პირას დაკრძალეს, ათენსა და აკადემიას რომ აკავშირებდა. ყველა დროის ბუმბერაზი ორატორი დემოსთენე, საერთო ბერძნული საქმის ერთ-ერთი ბოლო დამცველი, რომელსაც მტრები დევნიდნენ, იძულებული გახდა შხამი დაეღია, მაკედონელებს ხელში ცოცხალი რომ არ ჩავარდნოდა.

ათ განთქმულ ათენელ ორატორთა შორის მოიხსენიება აგრეთვე ისოკრატე, პლატონის ძველი მეგობარი, სოკრატეს მსმენელი და აკადემიის თავყანისმცემელი. ისოკრატე ბერძნების მაკედონელებთან უიმედო ბრძოლის

მონაწილე და ქერონეასთან მარცხსა შემდეგ (338 წ.), როცა ბერძნულმა სამხედრო მოდ დაკარგეს თავისუფლების იმედი, სიცოცხლე თვითმკვლევლობით დაასრულა.

ნუ გაიკვირვებს მკითხველი, რომ პლატონის ზოგიერთი მეგობარი და მოწაფე თავს იკლავს. დროება, რომელშიც მათ იცხოვრეს, საშინელი იყო, იმ დროის საბერძნეთი ყველა მხრიდან მტრით იყო გარშემორტყმული. ისინი პლატონის მიერ სოკრატესებრ სამშობლოსადმი ერთგულების, თავდადებულად მსახურებისა და მის კანონებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით იყვნენ აღზრდილნი. ამდენად, სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ, თავი უნდა მოეკლათ, ვინაიდან მათ მიერ წამოწყებული თავგანწირული ომი, რომელსაც მთელი ძალისხმევა შესწირეს, მარცხითა და იმედგაცრუებით დამთავრდა.

ბრძენ პითაგორელ ქალებზე თქმულებებმა ჩვენამდეც მოაღწია. გადმოგვცემენ, რომ აკადემიის ხშირი სტუმრები იყვნენ ლასთენია მანტინელი და აქსიფია ფლიუნტელი. მანტინეია ქურუმ ქალ დიოტიმას მშობლიური ქალაქია, ეს ქალბატონი სოკრატეს დიალექტიკას, მშვენიერებას და სიყვარულს ასწავლიდა. პლატონის „ნადიმში“ ნახსენებია ფლიუნტი, სადაც იტალიიდან დევნილმა პითაგორელებმა ჰპოვეს თავშესაფარი. შესაძლოა, გადმოცემა ლასთენიასა და აქსიოფიაზე, მამაკაცის ტანსაცმელში გადაცმული რომ დადიოდა და თავის სქესს მალავდა, ლეგენდაც იყოს, მაგრამ იგრძნობა, რომ მასში არის სიმართლის მარცვალი.

სხვათა შორის, ანტიკურობის დასასრულის ფილოსოფიის ისტორიკოსი დიოგენე ლაერცი პლატონის მოწაფეთა ჩამონათვალში ამ ფაქტს ადას-



ტურებს. ამჟამად, სურს, მითი გაფანტოს და „სიმართლეს დაუახლოს“.

პლატონი ბერდებოდა, მისი მეგობრების, თაყვანისმცემლებისა და მონაფეების წრე ვინროდებოდა, მისი მონაფეობისდროინდელი ამხანაგების გზები სოკრატესთან გაიყარა.

როგორც მოგახსენეთ, ანტისტინემ, ფედონმა, ეკლიდემ, ესქინე სფეტელმა, არისტოქემ თავიანთი ფილოსოფიური სკოლები დააარსეს საბერძნეთის ქალაქებში, ხშირად მის გარეთაც დაეხეტებოდნენ და თავიანთ მოძღვრებებს ქადაგებდნენ. პლატონის ურთიერთობა ზოგიერთ ძველ თანამოაზრესთან დაიძაბა კიდევ. არისტოფანე და პლატონი ერთმანეთს გაუცხოვდნენ მას შემდეგ, რაც პლატონმა მისი ერთ-ერთი ნაწარმოები ირონიით მოიხსენია. არისტოქე სირაკულელ ტირანის კარზე ცხოვრობდა და მის ახირებებს ითმენდა, რაც პლატონს ალაშფოთებდა. ესქინეც დიონისესთან მოღვაწეობდა და მის ამგვარ სახელმძღვანელოებას პლატონი ვერ მოიწონებდა. მან ესქინეს ერთადერთი მონაფე ქსენოკრატე გადაიბირა და თავის აკადემიაში მიიყვანა.

ზოგ-ზოგებს პლატონისა შურდათ (რომელ დიადს არ ჰყავს მოშურნე), ამიტომ ფილოსოფოსის ურთიერთობა სოკრატეს დანარჩენ მონაფეებთან ვერა და ვერ მოგვარდა. ყველა მათგანი თავს დამოუკიდებელ, ჩამოყალიბებულ ადამიანად თვლიდა და ვერაფრით შეგუებოდნენ იმ აზრს, რომ მოძღვარი ჰყოლოდათ, მით უმეტეს მათივე წრიდან. სოკრატეს სიკვდილის შემდეგ, როცა პლატონმა მზადყოფნა გამოთქვა, თვით ჩაუდგებოდა სათავეში ფილოსოფიურ სკოლას და ამ ფაქტის აღსანიშნავად შესთავაზა შეკრებილთ, ღვინით საგვ თასი აენიათ, ექსპანსიურმა აპოლოდორემ, სწორედ

იმ აპოლოდორემ, სოკრატეს წარმცელებთან უნუგემოდროსმტრისმტრებ, უხეშად მოუგო, – მზად ვარ, უმაღლესი შვესვა, ვიდრე ეს ღვინო.

ქსენოფონტე და პლატონი დიდი ხანია მეტოქეობდნენ. მართალია, ვერ კიდევ სოკრატეს სიკვდილამდე ქსენოფონტე მცირე აზიამი გაემგზავრა და იქ სპარსეთის მეფის – ატარკსექსისა და მისი უმცროსი ძმის – კირის სასახლის კარზე საშიშ ავანტიურაში ჩაება, მაგრამ საბერძნეთში დაბრუნებული გამოჩენილი მწერალი გახდა. იგი ავტორია კირ უფროსის შესახებ და მისი დროის დრამატიზმით აღსავსე ათენის ისტორიულ მოვლენათა ამსახველი ნიგნებისა. ახალგაზრდობაში ფილოსოფიით გატაცებამ ხელი შეუწყო იმ თხზულებათა შექმნაში, სადაც ბრძენი მოძღვრისა და სამაგალითო ადამიანის – სოკრატეს სახე ხელმწიფობს. ქსენოფონტე მასწავლებლის ხსოვნის უკვდავსაყოფად გულმოდგინედ ირჯებოდა და ის ვერ მოენულებინა, რომ პლატონმა თითქოსდა მიითვისა მთავარი მსაჯულის პრიორიტეტი ყველა ფაქტში, რომელნიც მათ საერთო მეგობარს შეეხებოდა. ქსენოფონტემ შეთხზა არა მარტო „მოგონებები სოკრატეზე“, არამედ თხზულებებიც, რომელთაც განგებ იგივე სათაური უწოდა, რაც პლატონმა – „ნადიმი“ და „სოკრატეს აპოლოგია“. პლატონის „სახელმწიფო“ და ქსენოფონტეს „კირის წერთნაი“ აგრეთვე ამ დაპირისპირების ნაყოფია. პლატონი თავის „კანონებში“ ქსენოფონტეს „კირის წერთნას“ შემთხვევით როდი მიიჩნევს მონაჩმბაად. მეტოქეობა ამჟამად. ისიც თვალში საცემია, რომ პლატონიც და ქსენოფონტეც სოკრატეზე მოგონებებში ერთურთს არსად არ იხსენიებენ.

ნიშანდობლივია ერთი ფაქტიც.

პლატონი არსად არ ახსენებს უდიდეს ფილოსოფოსს – მატერიალისტს – დემოკრიტეს. იგი სოკრატეს თანატოლი იყო და 370 წელს გარდაიცვალა, ანუ მაშინ, როცა პლატონი ნაყოფიერად მოღვაწეობდა. იონისის აბდერადან ჩამოსული დემოკრატე ათენში პითაგორელ ფილოლოსსა და სოკრატეს უსმენდა. ანაქსაგორას კარგად იცნობდა. მან სამოცდაათამდე წიგნი დაწერა და ბერძენთ შორის „პირველი ენციკლოპედიური გონება“ ვახლდათ. იყო ფილოსოფოსი, მათემატიკოსი, ფიზიკოსი, მუსიკისა და პოეტიკის თეორეტიკოსი, ფიზიოლოგი და ექიმი. დემოკრიტე პირველი ალაპარაკდა მატერიალური ყოფის პირველადობაზე. მისი მოძღვრებით ყოფიერება უცვლელი, განუყრელი ნაწილაკებისაგან, ატომებისაგან შედგება, რომელთაც იგი იდეებს უწოდებდა. დემოკრიტემ ჩაუყარა საფუძველი ევროპული ფილოსოფიის მიმდინარეობას – ისტორიულ მატერიალიზმს მაშინ, როცა პლატონი იდეალიზმის სათავეებთან

იდგა. იქნებ ფილოსოფიური კონსერვატორული პრინციპული განსხვავებაა, ურთიერთსაწინააღმდეგო მრწამსია იმის მიზეზი, რამაც ისინი ანტაგონისტებად აქცია. მაგრამ ერთმანეთსა და ერთურთის იდეებს პატივს სცემდნენ, აროდეს უკადრებიათ ერთმანეთისათვის დაეცინათ, ერთურთი გაეკიცხათ და გაელანძლათ. ერთმანეთს არც ახსენებდნენ, თავაზიანად სდუმდნენ და თავი ისე ეჭირათ, ჩანდა, ორივეს მიაჩნდა, რომ თვითონ იყო ერთადერთი ქადაგი ჭეშმარიტებისა. მოშურნენი ხმებს ავრცელებდნენ, თითქოსდა პლატონი დემოკრიტეს თხზულებებს ყიდულობდა და წვავდაო. ეს ამბავი საკმაოდ სასერიოა, დამაჯერებელი რომ იყოს. არც ერთი მოძღვრების პაიპარად უარყოფა არ შეიძლება. თვით პლატონმა თავის „პერმენიდესში“ „ერთის“ და „სხვის“ დიალექტიკა განავითარა: თუკი არსებობს „ერთი“, მაშინ ყოველთვისაა „სხვა“-ც. და ეს უალრესად მნიშვნელოვანია.

თარგმნა ნოდარ შანიძემ

## კონტრასტული უბრინების პოეზია

გაგა ნახუცრიშვილის ლექსებში აღბეჭდილი ვნებათაღელვა, ბოჰემა, სულიერი ფორიაქი 20-იანი წლების ქართული ლირიკის ასოციაციას აღძრავს. შეიძლება ეს კავშირი თუ თანხვედრა ზოგადი და არაფრისმთქმელი იყოს, მაგრამ თუკი ამგვარი რამ ნამდვილად არსებობს, არც აქ არის რაიმე დასაძრახი: „ედგარ პო, ყორანი, / მორალი - / წარსული მუსიკის / უსიტყვო და ძველი ფორანი“.

წარსული მუსიკის პანგები, მართლაც, ხშირად კრებულში „გამგზავრება და მოლოდინი“ და ყოველივე ამას ახლავს თან ავტორის პიროვნულ-ინდივიდუალური სტრიხები. ეს პიროვნული ნიშნები ერთგვარ სიმსუბუქეს, „მინიერებას“, პროზაულობას, ირონიანარეველფერს სძენს ლექსებს. ასეთია, ვთქვათ, „ძველი“ ინტონაციით დანერვილი „ახალი“ ლექსი: „ახედე ვარსკვლავებს, რომელნიც არ ჩანან, / ოცნება გეყოფა! / ჩადიხარ კიბეზე, ჰაერი ცივია / სხვა დადგა ეპოქა. / გამქრალი სიზმრები და ღამე შიშველი / ეძახის ფანტომებს / დაცლილი ბოთლები და შარვლის ტოტები / არაფერს გაგონებს.“

საერთოდ გაგა ნახუცრიშვილის ლექსებისთვის დამახასიათებელია მაღალის და მდაბალის, მინიერის და არამინიერის, ოცნების და ირონიის ნახაევი. ზოგჯერ კი რაღაც დიდი, ყოვლისმომცველი სისუფთავის წყურვლი ტანჯავს პოეტს და ასეთ დროს ამალღებული და არამინიერი სძლევს პროზაულს და იბადება ასეთი სტრიქონები: „ის მოდის ჩუმად, / როგორც ქურდი ან საყვარელი, /

ან ნამთვრალევი / გრძნობების ჩქამი, / ის მოდის ჩუმად, / უფრო ხშირად / ის მოდის ღამით, / და რომ იცოდეს, - / როგორ გავსვრით, / აქ აღარ მოვა!.. / და იქნება ცამდე მართალი / ის - / მარტოობის თეთრი სარდალი, / სახელად თოვა!..“

ჩემზე პირადად ყველაზე მძაფრ შთაბეჭდილებას ახდენს გაგა ნახუცრიშვილის ის ფრაზები, რომლებიც ემოციურად და ფსიქოლოგიურად ზუსტია. ამგვარ სიზუსტეს ინტუიციით გრძნობს მკითხველი და ამიტომაც არის მნიშვნელოვანი. ვთქვათ ასეთია ამ სტროფის ბოლო სტრიქონი: „ქალები იცვლიდნენ თმის ფერს, / დღიურში ყვავილებს ახმობდნენ, / ეტრფოდნენ ლექსებს თუცის ფერს, / უბრალოდ თავისთავს ართობდნენ“.

ნაკითხვისთანავე მენიშნა - ქალები ხშირად იმ უბრალო მიზეზით აკეთებენ რაღაც-რაღაცებს, რომ საკუთარი თავი გაართონ. რა თქმა უნდა, შეიძლება საამისოდ მათ მოწყენილობა უბიძგებს, მაგრამ ეს ფაქტია.

მომწონს ასეთი ფრაზაც: „იყო სულელი ბედნიერება / და სულელურად ბოროტი ქამი. „სულელურად ბოროტი“ ნამდვილად არსებობს - ჟამიც. და დაამიანიც. სულელურია ის ბოროტება, რომელიც არაფრით არ არის ნაკარნახევი და ამავე დროს არავითარ მიზანს არ ემსახურება (რა თქმა უნდა, ბოროტება არც სხვა შემთხვევაშია გამართლებული, მაგრამ სხვა დროს შეიძლება იყოს „მზაკერული“, „სასტიკი“, „ვერაგი“, ოღონდ არა „სულელური“).



გაგა ნახუცრიშვილის ლექსთა ერთი ნაწილი განწყობილებისმიერ ქარგაზეა აღმოცენებული. განწყობილება რამდენიმე სტრიხით იხატება. სხვათა შორის, ამ მყისიერი მდგომარეობის ლექსში მოქცევას საკმაოდ კარგად ახერხებს ავტორი: „ქალები, ტუზი, / და ისევ ტუზი, / სამწუხაროა გაქცევა მუზის, / როცა გარეთ წვიმს... / ნუ გაშლი ქოლგას, / მოუსმინე, რას ამბობს წვეთი, / წვიმის წვეთი / და ნურაფერი / ნუ გინდა მეტი“.

გაგა ნახუცრიშვილის ლექსწერა ზოგჯერ მთლიანად ასოციაციურ აზროვნებაზეა აგებული. ასეთია, ვთქვათ, ლექსები „ნაცნობი სურათი“ და „მთვარის რიტმი“. ამ ლექსებში თითქოს წყვეტილი ფრაზებია, მოკლე სტრიხები, მოულოდნელი განათებები. და ამავე დროს: აქ არის რეალობა და ფანტასმაგორია, სინამდვილე და სიზმარი არეული ერთმანეთში.

ცალკე განხილვის ღირსია პოეტის მიძღვნილი ლირიკა. აი, ვთქვათ, ლექსი, რომელიც ეძღვნება ამერიკელ მწერალს ჯერომ სელინჯერს: „რას ეუბნება კედელი კედელს? / რასა და ვდგავარ უძრავად ასე, / კუთხეში აღბადა შევხედებით შემდეგ, / ასე, ნულარ იკითხავ რაზე, / რას ეუბნება კედელი კედელს? / რასა და, ძმაო, შენთან ვარ თითქმის, გიპოვნე მგონი და მაინც გეძებ... / ტბა გაიყინა, გაფრინდა იხვი“.

ამ ლექსში, უშუალოდ, მოთხრობიდან აღებული ფრაზაა გამეორებული. აქ ერთი სტრიქონი: „გიპოვნე მგონი და მაინც გეძებ...“ გამოხატავს ლექსის მთელ დედააზრს. ეს სტრიქონი აზრისმიერი ნათელი სხივივით ანათებს მთელ ლექსს. დანარჩენ ნაწილში კი ემოციური ფონია წარმოჩენილი, მარტოობის ძუნწი სტრიხებით დახატული განწყობილებაა დაფიქსირებული.

აქვე არის ლექსები მიძღვნილი ეგვიპტურისადმი, მოდილიანისადმი, ლორკასადმი. შთამბეჭდავია ესპანელი პოე-

ტის ტრაგკული ხვედრები ნახუცრიშვილი ასეთი გამონათქვამი სტრიქონით: „ქარ იმისთვის, რომ თავი დაეინდო“, ან ასეთი წამოძახილი: „სადღლა რწმენა, როცა მლიქვენებს უჭირავს დროშა, / და, როცა მოდის შეგნებული, ტლანქი სიბნელე“. ან კიდევ ამგვარი სურათი: „მერე საფლავთან ცრემლიანი კარტს გაშლის ბოშა, / ის იგრძნობს როგორ გადამშალეს და გამიშეტეს“.

ძალზე უცნაური მდგომარეობაა დაფიქსირებული ლექსში „მოქვენებები“. ფორმის თვალსაზრისით ლექსი შეკრულია და კონცენტრირებული. რითმა ძალდაუტანებლად, ოსტატურადაა გამართული. არაფერი აღარ არის მოჩვენებების გარდა. ეს, ფაქტობრივად, არყოფნაა, ოღონდ მოჩვენებების ნიშნით აღბეჭდილი. სხული კარგავს შეგრძნების უნარს, ქრება შიშხილი და წყურვილი. ყველაფერი დროის და სივრცის მიღმა ხდება. ხდება კი რამე? მე მგონი, არა. სინყნარე სუფევს და სიცარიელე: „სხული გაქრა. სხვა დროა უკვე. / სილუეტს აღარ სჯერა ვნებების, / აღარც სიბრტყეა და აღარც კუთხე / მოჩვენებები. მოჩვენებები. / აღარც შიშხილი. აღარც წყურვილი. / აღარც ავდარი და აღარც დარი. / არც სიყვარული, არც სიძულელი. / აღარც მზე. აღარც გიჟური ქარი“ და ა. შ.

ვერ ვიტყვი, რომ ეს ლექსი უჩვეულოა გაგა ნახუცრიშვილის პოეზიისთვის, მაგრამ სიმკაცრით, ფილოსოფიური ნედომის თინით, ყოფიერების მიჯნათა დალაშქერის სურვილით აქ პოეტი თავის სხვა ნაწარმოებებს აშკარად აღემატება. უჩვეულო მდგომარეობა ხელშესახებადაა გადმოცემული.

გაგა ნახუცრიშვილი კარგად ფლობს კონვენციულ ლექსს. ზუსტად არგებს სათქმელს რიტმს, ინტონაციას. კარგი იქნება თუ მეტ ყურადღებას დაუთმობს ზოგჯერ რითმას, რომელსაც არა უბრალო, არამედ განსაკუთრებული აზრობ-



რივი, შინაარსობრივი და სხვა ფუნქციები აქვს ლექსში.

ზოგჯერ პოეტი მელოდრამატულ განწყობილებას ქმნის, მაგრამ ერთი ან ორი ტრაგიკული ტონალობით აღბეჭდილი ფრაზა აქარწყლებს მყისიერ სიმსუბუქეს და სიღრმისეულობას ანიჭებს სათქმელს.

გაგა ნახუცრიშვილის ლექსებში კონტრასტული შტრიხები, მარწყვებები, ნალველით და ირონიით შეფერილი სტრიქონები, სინათლე და წყვედიანი ერთმანეთშია გადაქსოვილი. თავისებური სიმბიოზი სასიამოვნო შთაბეჭდილებას ქმნის.

ანდრო ბუაჩიძე



საქართველოს პარლამენტი

საგარეო ურთიერთობების კომიტეტი

საგარეო ურთიერთობების განყოფილება

საგარეო ურთიერთობების განყოფილება, საქართველოს პარლამენტი, თბილისი

საგარეო ურთიერთობების განყოფილება



საგარეო ურთიერთობების განყოფილება

საგარეო ურთიერთობების განყოფილება, საქართველოს პარლამენტი

თბილისი, საქართველოს პარლამენტი, თბილისი, საქართველოს პარლამენტი

თბილისი, რუსთაველის გამზ. №38  
ტელეფონი: მთ.რედაქტორის – 99-51-61  
განყოფილებების – 99-91-00  
გადაეცა ასანყობად 8.05.2003 წ., ხელმოწერილია დასაბუჯდად 13.08.2003 წ.

ტირაჟი 300



გამომცემლობა „სანი“  
თბილისი 0160, გამსახურდიას გამზ. №34  
ტელ: (995 32) 38 47 53 e-mail: zazaberishvili@yahoo.com

6123/30

ფასი ორი ლარი



ISSN 0132-599 X

0603500 76125

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა